



გლობ

1168
2010

სურობაში დედის აღსარება

ფულის გამო ბაღებულნი მსხვერპლნი

თემა

ვინ მანიჭებულა სემუხაოს დანაბრებულნი ახალგაზრდებით

ჩისი ფუნიას პანიჭურად გიორგი შორეას

„გოგონებს ვათხოვებდი“ ...


„დაქორწინებული“ გეგლას სახალწლო სეზონის

„გზა“ – ყველაზე მაღალბირაჟიანი შურნალი საქართველოში!



„საქონი“ „საჩინო“
განვითარებას
ინფორმაცია

ISSN 1987 - 5029



როგორ არ უნდა გამოიფურცოდეს გათხოვილი ქალი...

„მანიჭას ყველა სამსახური მანიჭებდა“ ...



სასულიერო სემინარიის რეპორტი მკვლევარ

ახე პირველი გერმანი თბილისში

Baron
CHOCOLATE
dark


საძვანგა



საძვანგის საძვანგა ფიჭვას სუკეფილას!

ჰილთინური შიკილასდი ბაჩიბი გილთივსვი შიბა სხელ წელს!

Baron



ბიბლუსი

წიგნის
მაღაზიათა ქსელი

Books

დიდი საახალწლო ფასდაკლება წიგნებზე

ბიბლუსის ყველა მაღაზიაში

20%

40%

მონე ბოგენი
დიდი
მხატვრები
20%

ქართული
პროზის
საგანძური
20%

ეს
სამყაროა
20%

ჩემი
საყვარელი
ზღაპრები
20%

დეკემბრის
ბოლოდან
50 წიგნი
20%

- თბილისი - რუსთაველის 40/1
- თბილისი - იოსებძის 49
- თბილისი - აღმაშენებლის 121
- თბილისი - რობაქიძის 7
- თბილისი - ბაბტიანი 12
- თბილისი - ს.ს. თბილისი ცენტრალი
- ქუთაისი - ლილი ნუსაბიძის 1
- ბათუმი - მამულ აბაშიძის 62
- ზუგდიდი - რუსთაველის 92
- სეაი - რუსთაველის 241
- ფოთი - შარვაშიძის 12
- სამტრედიანი - სააკაძის 6
- საზურგო - რუსთაველის 69
- ღუბანი - რუსთაველის 11
- რუსთავი - მამულბროვის ბაზა 12
- ოზურგეთი - 9 აპრილის პარკი
- გურჯაანი - ნოვოვილიისა და
- რუსთაველის ქუჩის გადაკვეთაზე
- გურჯაანი - კახან ბაღის 506
- ბოლნისი - სულხან საბას 106
- ჯანტაფორი - აღმაშენებლის 87

გამომცემლობები:

- „პალიტრა L“
- ქარჭხაძე
- შემეცნება
- ბაყერ სულთაგური
- გორგა
- სიესტა
- ინტელექტი
- არტანუჯი
- სუზანი
- ანა-ბანა

და სხვა ბესესელები

franco fontana

italy

საიუველირო მატარებია franco fontana
გილოცავთ შობა-ახალ წელს და
გთავაზობთ საახალწლო ფასდაკლებას

10-25% 20 -იანვრამდე!

franco fontana-ს ყველა ფილიალში

franco fontana
italy

კუმპოზიციონერი ადამიანების არჩევანი

მსოფლიოში აღიარებული იტალიური
ბრენდების ოქროსა და ვერცხლის
ორიგინალური ნაქეთობები და
ექსკლუზიური დიზაინი



რუსთაველის 26
☎ 18-10-47



ჯაიონის 7
☎ 30-65-56



ჭავჭავაძის 21
☎ 18-10-46



დადიანის 7
(ქარვასლა)

27

ფიქციონიზმი

„პალიტრა მედია“ წარმოგიდგენთ

ისტორიულ ზეპირსაბით ჟურნალს



**აღმოჩენა:
დიმოხაჯის
ნახვადური
მახვიდში**


**„შავი წყალი“,
როგორმაც
გაქალოვლი
იხსვერკლა**

**ჯვაროსნები
და
საქართველო**

**სტაინი და
თბილისის
განმაჯიბელი
ქვხომიხიანი**

**აბაზი
ბოქიძი
როგორც
სომხებიდან**

მთავარი რედაქტორი ჯაბა სამუშია



ვისას ხალხური სიძლერა უყვარს, შეუძლებელია, დიდი ააზრიოტი არ იყოს

„ბელგიის გაზეთს კი დაუნერია: „რუსთავს“ ჰყავს სოლისტი, რომელიც უშვებს ისეთ ხმას, რომელსაც საოცარი თვისება აქვს — ტალღასავით გადადის მსმენელზე, კედელს „ეჯახება“ და მერე ისევ სოლისტს უბრუნდებაო...“

7

სახე



ანი გიუნტერი — „დაქირავებული“ გეგლე

„ჩემი მეუღლის თვალში, ძალიან შრომისმოყვარე ვარ, მაგრამ საკუთარი თავისგან მეტს ვითხოვ. ახალი წლის დღესასწაული ერთ-ერთი კარგი მიზეზია საიმისოდ, რომ უფრო კეთილი გახდე, საყვარელი ადამიანი კიდევ უფრო მეტად შეიყვარო...“

18



ცხოვრება

სურობატი დედის აღსარება



ერთხელ ნიკას ტელეფონი ანკარუნდა და ვილაცამ რუსული აქცენტით იკითხა, — ნიკა ბრძანდებით? მინდა, შეგხვდეთ. მაინტერესებს, ვინ იქნება ჩემი შვილისთვის სურობატი დედა, ფულზე კი ნუ იდარდებთ, რამდენიც საჭიროა, იმდენს გადაგიხდითო...

26



- **მინიატიურები** 5
 - „მიშას შობას“ და „წმინდა ლუკაშენკოს“ დღეს გილოცავთ
- **ქრელი მსოფლიო** 6
- **ფაქტი და კომენტარი** 7
- **საზოგადოება** 10
 - ქველმოქმედების სახელით „დარეკლამებული“ ტოტალიზატორები და საახალწლოდ დანიშნული სამშვიდობო აქცია
- **კოლიჯია** 11
- **საბანძური** 13
- **მადლი** 16
- **ფსიქოპოორტრეტი** 18
 - „მონადირეც“ ვარ, „მესაკუთრეც“, ეჭვიანობის რა მოგახსენოთ?..“
- **სამზადისი** 20
 - ანი გიუნტერი — „დაქირავებული“ მეკვლე
- **ოჯახი** 21
 - „ჩვენი სიყვარული დღითი დღე ძლიერდება“
- **სცენის მიღმა** 24
- **შთამომავლობა** 26
 - სულის მწყემსი ანუ „თეთრი ანგელოზის ძიებაში“
- **ბედისწერა** 30
 - სუროგატი დედის აღსარება
- **ბედის ბორბალი** 32
 - პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან
- **თემა** 34
 - ვინ მანიპულირებს გულუბრყვილო და სამუშაოს დანატრებული ადამიანებით?
- **მოდა** 36
 - 2011 წლის მოდის ტენდენციები — სუნამო, ვარცხნილობა, აქსესუარი
- **ღიზიანი** 38
 - მანდარინის „ბილიკი“ და მსხლის „ლამპიონი“ ანუ იდეები საახალწლო სუფრისთვის

გზაგნილები

„სიკვდილის წინ მამა ააზიოვას გვთხოვდა“




„თუ დედაშენი არ უყვარდა, ცოლს აქამდეც უნდა დაშორებოდა... არ გენყინოს, მაგრამ პირადად მე, მისნაირი მამა არ მომენატრებოდა. ღმერთს მიენდვე და ილოცე. იცოდე, ერთადერთი ხსნა უფლის სიყვარულია.“

76

■ ეს საყვარო	40
■ ანტიდუკრესანტი	42
■ ავტო	42
■ ბაქარი	44
„იგავი ტალანტებზე“	
■ საკითხავი ქალაქისათვის	46
■ ისტორიის ლაბირინთები	48
დეკანოზ ჩუდეციკის მკვლელობა — პირველი ტერაქტი თბილისში	
■ ჯანმრთელობა	51
სამკურნალო ვარჯიშების კომპლექსი ხერხემალში ცვლილებების დროს	
■ ღრონი	55
„მეფე“ და „ღმერთი“	
■ ნაფილი აბაჯი	58
„ყირამალა მსუქანაო...“	
■ თინეიჯერული პოეზია	59
როგორ ემზადებიან სკოლის მოსწავლეები ახალი წლისთვის	
■ ნათი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
■ საზრდო	64
■ რეალური	65
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ ქართული დავალები	68
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (დასაწყისი)	
■ რომანი	71
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (გაგრძელება)	
■ გზავნილები	76
ცოდვა გამხელილი სჯობს	
■ ყველა ერთისათვის	80
„სიკვილის წინ მამა პატიებას გვთხოვდა“	
■ მოგილი-ზაზია	82
■ პროგნოზი	88
■ თაობა	90
დედისგან მიტოვებული ნიჭიერი გოგონას მიზანმიმართული სვლა მწვერვალისკენ	
■ ეკუდი	92
„ეს მეორე გამოცდაა, რომელიც საკუთარ თავს მოუწყვე“	
■ გასართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სქანოვრდი	97
■ საფირმო ქროსოვრდი	98

სამყარო




2011 წლის მოდის ტენდენციები

ახალი წელი თავისთავად, სიახლესთან ასოცირდება. ჩვენც უფრო მეტად ვცდილობთ, ამ სიახლეებს არ ჩამოვრჩეთ და შეძლებისდაგვარად, ფეხდაფეხ მივყვებით მოდის სფეროში გაბატონებულ ტენდენციებს.

36

ადამიანი



„მეფე“ და „ღმერთი“

გაივლის კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტი, ფეხბურთი ისევ იარსებებს, პეულე და მარადონა იმ ქვეყნად იქნებიან, თანამედროვე ტექნოლოგიები კი საბედნიეროდ, სამუდამოდ შემოინახავს ამ ორი ჯადოქრის მიერ მწვანე მინდორზე ნაჩვენებ საოცრებებს.

54

ბიბლუსი



ანტიკვარი

სანამ მოხუცი სავარძლიდან წამოდგებოდა, ზარი კიდევ რამდენჯერმე განმეორდა. — მოვიდვარ, ჰო, ნუ ჩამოიღეთ კარი! — გაღიზიანდა მარიამი. — ვინ არის? — „გაზიდან“ ვარ, — მოისმა კარს იქიდან...

62

ბაიბ-აუბი



„ეს მეორე გამოცდაა, რომელიც საკუთარ თავს მოუწყვე“

„ამ შოუში იმიტომ მოვხვდი, რომ საკუთარი თავი გამოემცადა და აჭარიდან დაღწილი ჩამოვედი... მივხვდი, რომ „სათბურის ადამიანი“ ვყოფილვარ, არადა, მანამდე ასე წამდვილად არ მეგონა“.

88

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
 გამოდის კვირაში ერთხელ, სუბსაბსკრიპციით
 გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
 ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
 პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
 მენეჯერი: მათე კვიციანი
 დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
 რეზო თხილიშვილი
 მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„მიშას შობას“ და „წმინდა ლუკაშენკოს“ დღეს გილოცავთ



შესავლის ნაცვლად


დღეს 21 დეკემბერია (თქვენ 23-ში წაიკითხავთ ამ ჩემს „ნაღვანს“ და უკვე ნაქიფაროც იქნებით და „მესამე დღის ხაშუც“ ისხდებით) — დიდი დღე!

ჯერ ისედაც ხომ „ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველის“ — სტალინის დაბადების დღე იყო, მაგრამ აღარც სტალინა და მისი იუბილეების აღმნიშვნელი თაობის ადამიანებიც, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოთ და, ნელ-ნელა მიდიან... ჰოდა, დაილოცოს განგებობის სამართალი — აგერ მეორე და „უფრო დიდი ქართველი“ მოგვივლინა, რომ ეს დღე კვლავ დღესასწაულად დარჩენილიყო ჩვენს ცნობიერებაში! ერთი სიტყვით, 21 დეკემბერს გილოცავთ და თუ გგონიათ, ვაჟმრობ, ძალიანაც ცდებით — აგერ „ფეისბუქი“, აზრო არა აქვს ახლა „ლინკის“ მიცემას. უკვე ნაშალეს, მაგრამ ფოტო გადავუღე გვერდს და ვისაც გაინტერესებთ, მომწერეთ და „მაილით“ გამოგიგზავნათ. მოკლედ, დღეს დილას „ფეისბუქზე“ ჩვენი პრეზიდენტის „ფრენდები“ ერთმანეთს „მიშას შობას“ ულოცავდნენ!!!

პრეზიდენტს მეც ვულოცავ, მაგრამ ამ „ფანტაზიის“ „ჩვენებს“ მხოლოდ ერთს ვიტყვი: „ვაი, თქვენს პატრონს!“

მოკლედ, მიშას ფანტაზიას რადგან „შობა“ გაუთენდა, ე.ი. „გაუხსნილდა“ კიდევ და შეუბერავენ ახლა!

ისე, როგორ ვიცით ხოლმე ამ ქართველებმა: ახალი წელი, ბედობა, შობა, ძველით ახალი წელი, ნათლისღება —



საერთა თუ სასულიერო, ოღონდ დღესასწაული იყოს და ჭიქა-ჩანგალი განკარუნდეს. ადრე, როგორც აღვნიშნეთ, 21 დეკემბრით — „ხალხთა მამის“ დაბადების დღით იწყებოდა ეს გადაბმული გრიალი, მერე სულ ცოტა ხნით, სტალინი რომ „გადამოღწერდა“, კათოლიკური შობის აღნიშვნაც დაიწყო ბევრმა („ძველი“ და „ახალი“ ახალი წლის „პონტიში“, აბა, საქეფრო დღეს ხომ არ დაიკლებდნენ); ახლა კი, მაღლობა ღმერთს, ისევ აღგვიდგა 21 დეკემბრის აღნიშვნის მიზეზი.

მიზეზიც არის და მიზეზიც!

ჰოდა, იმას ვამბობდი — ვიცით ქართველებმა კარგი ცხოვრება. აჰა, დავიწყებთ 21 დეკემბერს; მერე ლუკაშენკოს მესამედ (თუ მეოთხედ? თუ მეხუთედ? მოკლედ, რამდენიც არის, ერთი მაგისიც...) გაპრეზიდენტებას აღვნიშნავთ; ეგერ ბურჯანაძე და ნოლაიდელი მოსკოვში აღნიშნავენ რამეს, „მერე „გუმში“ და „ცუმში“ გაივლიან (ახალგაზრდები ვერ გაიგებენ ამას, მშობლებს ჰკითხონ) — კუკავას „კაკას“ ჩამოუტანენ (ესეც მშობლებს ჰკითხეთ — „კაკას“ ჩემს ბავშვობაში კანფეტს ეძახდნენ, ახლა სხვა რამეა, მაგრამ ჩვენში დარჩეს და, ზოგიერთისთვის სულერთია); მერე საათს დადგამენ ბათუმში — მილიონ-ნახევარი ლარი ჯდება; მერე მართლა ახალი წელი მოვა და ტელევიზორიდან მიშა მოგვილოცავს; მერე ისევ მიშა, მერე ისევ, ისევ... მიშა, მიშა, მიშააა...

ა, ჰო... ბოდიში, თავი ვერ შევიკავე, ეს ისე — რადგან „მიშას შობა“, „ალილუისასავით“ წამომცდა...

მართლა, ბათუმის საათს რაც შეეხება: მილიონ „სჩემტა“ დაჯდებაო და დავინტერესდი. სხვათა შორის, სულაც არ ყოფილა ცუდი საათი, დამამზადებელი ფირმაც ძველი და საიმედოა, მაგრამ მანდ, „ფანკლუში“, ვინმემ თუ იცით, რომ მთელ მსოფლიოში, აღარსად დგამენ ქუჩის და კოშკის საათებს, თუნდაც ქალაქის დასამშვენებლად და ის „ბიგ-ბენები“ და „კურანტები“ მაშინ და იმიტომ გაკეთდა, როცა და რადგანაც ხალხს არც ხელზე ეკეთა საათი და არც მობილურში ჰქონდა?! ხოლო ჩვენთან, გარდა ამ ორი მიზეზისა, ახალი და ძვირი საათის არდადგმის კიდევ ერთი მიზეზი არსებობს — უმეტესობას ფეხებზე ჰკიდა, რომელი საათია!

აი, მე ნამდვილად არ მკიდა, რა დროა, რადგან თვალეში ვეღარ ვუყურებ ნახევარ რედაქციას — მხოლოდ „პრო-ვოკატორის“ გვერდს ელოდებიან, ამიტომ ამჯერად აქ დავამთავრებ და ვეღარც „გრიგისაზე“ გეტყვი, ის 2 მილიონი აიღო თუ არა; ვეღარც გარემოს დაცვის მინისტრზე მოგახსენებთ, რა უნდა აკეთოს იმხელა შენობაში — მის სამინისტროში ერთადერთი კაცი, სატყეო დეპარტამენტის დირექტორი (მისი ბიძაშვილი) იყო „სვაბოდაზე“ და ისიც დაიჭირეს; ვეღარც ქართული „მთავარი ტელეარხის“ ყურ-

ნალისტრ-რედაქტორ-მესვეურთა უნიგუნ-რობაზე გესაუბრებით დაწვრილებით — მთელი კვირა სულ „ხანცთა“ რომ იძახეს და წერეს ანონსებში და მერე გადაცემაშიც (მივწერე უკვე და არ იკადრეს გასწორება, ამიტომ აქედანაც მივმართავ: ოროსნებო, „ხანცთა“ კი არა, „ხანძთა“, „გრიგოლ ხანძთელი“ და არა „გრიგოლ ხანცთელი“)...

მოკლედ, ბევრი რამ დამრჩა სათქმელი...

P.S. არა, ამ ამბავს მაინც ვერ დავიტოვებ გულში: სანამ დროა და ბათუმში ჩამოუტანიათ, მიხეილ ბატონო, იქნებ, პირდაპირ გადავამისამართოთ და ლუკაშენკოს ვაჩუქოთ ის „ბიგ-ბენი“?! ჰა, რას იტყვით?! აბა, მხოლოდ კიკაბიძის სიმღერა ეყოფა?! არა, ბუბა კარგად მღერის და ლუკაშენკოს „გაუსწორებოდა“, განსაკუთრებით საკონცერტო დარბაზის გარეთ მიმდინარე დაკა-დაკას ფონზე, მაგრამ ბუბას იქ ხომ არ დაგტოვებთ?! (ისე, რო დაგტოვოთ?..)

ჰმ, მე სულელმა კიდევ, ამ ერთი თვის წინ, ერთ-ერთ ინტერნეტგამოცემაში როგორ გამოვლანძღე თამარ გვერდნიტელი და სოსო პავლიაშვილი — რუსებს უმღეროიან-მეთქი... რუსებს კი არა, „გაგანია ლუკაშენკოსთვის“ სიმღერა არ „ტესტავს“ თურმე, თუკი ზემოდან გიბრძანებენ.

თუმცა რა, ეს ხომ, ცხონებული ნიკო გომელაურისა არ იყოს, ის ქვეყანაა, სადაც „ჯამლელტამ ჯონდო დააორსულა“... ახლა კი ერთი კაცი ვიცი, მთელ ამ ქვეყანას უკვე დააორსულებდა, გაბერწეული რომ არ იყოს.


პროვოკატორი



ახალგორში ლარის მიმოქცევა აიკრძალება

შობა-ახალი წლის დღესასწაულების შემდეგ ახალგორში ლარის მიმოქცევა აიკრძალება. ამ ინფორმაციას ცხინვალის ინფორმაციისა და მასობრივი კომუნიკაციის დე ფაქტო კომიტეტის განცხადებაზე დაყრდნობით, „რია ნოვოსტი“ ავრცელებს. „ლენინგორის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება ქართული ლარის მიმოქცევიდან ამოღების შესახებ“, — აღნიშნა ახალგორის რაიონის ადმინისტრაციის თანამშემემ, სერგეი გაგლოვემა. კომიტეტის განმარტებით, ამ გადაწყვეტილების შესახებ ადგილობრივ მოსახლეობას უკვე შეატყობინეს. დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებით, სიახლე მოსახლეობაში განსაკუთრებულ რეზონანსს არ გამოიწვევს. რუსული რუბლი, ჩვეულებრივად, ძირითად ვალუტად დარჩება.

„ვიკილიქსის“ შეუიღდა



„ამერიკა ცდილობს დაადგინოს, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ „ვიკილიქსმა“ მეტი დოკუმენტი აღარ გამოაქვეყნოს“. ეს განცხადება ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა გააკეთა. ჯო ბაიდენის თქმით, „ვიკილიქსი“ ისეთივე საფრთხეს წარმოადგენს, როგორც თავის დროზე პენტაგონის მიერ ფარული დოკუმენტების გამოქვეყნება იყო (ლაპარაკია 1971 წლის ინციდენტზე, როდესაც ვიეტნამში ამერიკის საბრძოლო ოპერაციები პრესამ გამოაქვეყნა).

ისრაელში ახალი აფროდიტა გამოჩნდა



ძლიერი ნვიმების შედეგად, ქალაქ აშკელონში ერთ-ერთი მთის ფერდობი გადაირეცხა და პლაჟზე ქანდაკება გამოჩნდა, რომელიც დაახლოებით ორი ათასი წლისაა. ქანდაკება გვიანდელი რომაული პერიოდისაა და ქალი იმდროინდელ სამოსშია „გამოწყობილი“. მისი სიმაღლე 120 სმ-ია, სოლო წონა — 90 კგ. არქეოლოგები არ გამოირიცხავენ, რომ ეს ხელოვნების ნიმუში ქალმერთ აფროდიტეს ქანდაკება იყო. გადარეცხილ ქვიშაში აბანოსა და ანტიკური მოზაიკის ფრაგმენტებიც აღმოაჩინეს. სიძველეთა სამმართველო ვარაუდობს, რომ აშკელონის რაიონში მინა კიდევ ბევრ სიძველეს მალავს.

აზუ-დაბიში ყველაზე ძვირფასი ნაძვის ხე დადგეს

13-მეტრიანი ნაძვის ხე, რომელიც თვალისმომჭრელადაა განათებული, ტრადიციული სათამაშოების ნაცვლად, იანტის სათამაშოებითაა მორთული. ნაძვის ხის ტოტებზე სამაჯურები, მძივები და ექსკლუზიური საათები კიდია. ზღაპრული ნაძვის ხის ღირებულება 11 მლნ დოლარია. მას დღე-ღამის განმავლობაში რამდენიმე მცველი და სათვალთვალო კამერა იცავს. დიდებული ნაძვის ხე, რომელსაც ყველა პირობა აქვს, რომ გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს, სასტუმრო Emirates Palace-ის ჰოლში დგას. ეს ის სასტუმროა, სადაც ოქროს ზოდების გასაყიდი ავტომატია დამონტაჟებული.



ალექსანდრე ლუკაშენკოს თავშეაპყვისკენ მოუწოდებენ

ბელორუსიის ახლარჩეული პრეზიდენტის, ალექსანდრე ლუკაშენკოს ინაუგურაცია 19 თებერვალს გაიმართება. როგორც უკვე ცნობილია, ბელორუსიაში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 90,66%-მა მიიღო. მათგან ხმა მოქმედ პრეზიდენტს 79,67%-მა მისცა. არჩევნების შედეგები ოპოზიციონერმა ლიდერებმა გააპროტესტეს და მხარდამჭერებთან (ხუთი ათასამდე ადამიანი) ერთად დამოუკიდებლობის მოედანზე შეიკრიბნენ. მათ მინისტრთა კაბინეტის შენობის შტურმით ალუბაც სცადეს, მაგრამ მიტინგი მილიციამ ძალის გამოყენებით დაშალა. შედეგად — პრეზიდენტობის ოთხი კანდიდატი დაშავდა. არეულობის დროს 600-მდე მოქალაქე, მათ შორის — პრეზიდენტობის 7 კანდიდატი დააკავეს. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მასობრივი არეულობის ორგანიზების მუხლით.

აშშ-მა და ევროპარლამენტმა ოპოზიციის წინააღმდეგ ძალის გამოყენება დაგმეს და ხელისუფლებას თავშეკავებისა და დამნაშავეების დადგენისკენ მოუწოდეს.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



ქვეყანა

ჭორი, სკანდალი თუ კიდეც ერთი დარბჟმა ოპოზიციას...

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში საზოგადოების ყურადღების ცენტრში ნინო ბურჯანაძის მეუღლის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ბადრი ბინაძის მიერ აგორებული სკანდალი მოექცა. მან „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, ლევან გაჩეჩილაძე პრეზიდენტ სააკაშვილთან გაროგებაში დაადანაშაულა. „დროებით, 6 თვით დამნიშნე პრემიერად. მინდა სუთი მილიონი... ასევე, ილია ჭავჭავაძის საადგილმამულო ბანკის შესაქმნელად მჭირდება სანყისი კაპიტალი — 10-12 მილიონი“ — თუ ბადრი ბინაძეს დავუფერებთ, მან ეს მოთხოვნები მიხეილ სააკაშვილს შვენაბადის რეზიდენციაში საიდუმლო შეხვედრისას, მას შემდეგ ჩამოუნერა და დაუტოვა(?), რაც დაარწმუნა, რომ „ქუჩაში უამრავი ხალხის გამოყვანა და მისი სკამიდან გადმოყუდება“ შეეძლო.

სათუნა პასტურიძე

ბინაძის თქმითვე, ლევან გაჩეჩილაძეს პრეზიდენტისთვის თინა ხიდაშელის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა მოუთხოვია, რაზეც სააკაშვილმა უპასუხა, რომ ხიდაშელი არის გიგა ბოკერია კაბაში და ის ტყუილად ჰგონიათ ფრთიანი ანგელოზი... საბოლოოდ, სააკაშვილმა გაჩეჩილაძეს ავანსად ორი მილიონი გადაურიცხა, დანარჩენზე კი უარი უთხრა. გაჩეჩილაძემ რომ ბრძოლა გააგრძელა, ამის მოტივად ბურჯანაძის მეუღლე პრეზიდენტის მიერ მის „გადაგდებას“ ასახელებს და ამბობს, რომ ვაჭრობის საგანი მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის მშვიდად ჩატარება იყო. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი იმასაც ირწმუნება, რომ ბურჯანაძის ჩაძირვისთვის ხელისუფლებამ ეროსი კინშარიშვილს ფული 2010 წლის აგვისტოს ბოლოს მისცა. „ეროსი ბათუმში შეხვდა სააკაშვილს, „ჩერებ“ ეროსი ხელისუფლებამ 2 მლნ მისცა გრეჩიხას. თვითონ ეროსიმ რა მიიღო, ამას ვერ გეტყვით, მე რაც ვიცი, იმას გეუბნებით“; — ეს ინფორმაცია ბურჯანაძის მეუღლემ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტს მიაწოდა. ბინაძე ირაკლი ოქრუაშვილზეც ლაპარაკობს და ამბობს, რომ ის დაბნეულია, მას ეროსი კინშარიშვილი მართავს. „მქონდა მე ოქრუაშვილთან შეხვედრა და

ოქრუაშვილი მეუბნება, ეროსის სახელის გაგონებაზე ტანში ჟრუანტელი მივლისო, შენ არ იცი, ეგ რა ტიპიაო, და მომიყვა როგორ გადააგდო, როგორ რა ფული აიღო და რაღაც სასწაულები. მე ვარწმუნებ, — კი, შეიძლება ეგრე იყოს, მაგრამ იქნებ დაეხმარო, „მაესტრო“ უნდა ამუშავდეს-მეთქი. ახლა კი დავურეკე ოქრუაშვილს და ვუთხარი: ირაკლი, სწორი ყოფილხარ ეროსიზე-მეთქი. არაო, მაგის გამოყენება შეიძლებაო! ეტყობა, ამან „შეკერა“ და ფულიც წამოიღო იქიდან“; — ამბობს ბინაძე, რომლის ბრალდებას პასუხი უკვე გასცეს ლევან გაჩეჩილაძემ და ეროსი კინშარიშვილმა.

ლევან ბაჩიჩილაძე:

— ჩემსა და ჩემი პარტიის წინააღმდეგ ბინძური, ავადმყოფური კამპანია ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე მიმდინარეობს და მას ბურჯანაძის ოჯახი, ხელისუფლების ინტერესები-

სთვის ახორციელებს. ჩემ წინააღმდეგ დაწყებული კამპანია პოლიტიკურ დაპირისპირებას სცილდება, ეს ზღვარს გადასული უსინდისობაა. ყველანაირად ვცდილობდი, ბურჯანაძის ოჯახი ოპოზიციის რიგებში ჩამეყენებინა. სამწუხაროდ, ისინი ისეთებადვე დარჩნენ, როგორებიც ხელისუფლებაში ყოფნისას იყვნენ. ბოლომდე მივყვები, ვიბრძობ და თუ სიმართლეს სიცოცხლეშივე ვერ დავამტკიცებ, ანდერძად დავტოვებ, რომ ეს საქმე ოდესმე მაინც გაირკვეს. ყველგან, მსოფლიოს ყველა ნერტილში მივალ სიმართლის დასამტკიცებლად! ბადრი ბინაძეს მანამ არ მოვასვენებ, ვიდრე მტკიცებულებებს არ დადებს. მივმართავ საზოგადოებას, ყველაფერს დაარქვას თავისი სახელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამარჯვების მიღწევა ძნელი იქნება.

ეროსი კინშარიშვილი, „ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი:

— „ქართული პარტიის“ დაფუძნებიდან დღემდე, ცალკეულ მედიასაშუალებებში მიმდინარეობს სააკაშვილის რეჟიმის მიერ დაკვეთილი ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც საზოგადოების დეზორიენტაციას და ოპოზიციის ლიდერების გაერთიანებით მოსახლეობაში შექმნილი მოლოდინის გაცრუებას ისახავს მიზნად. ბადრი ბინაძე ხელისუფლების დაკვეთით უს-

ქოლესტერინის საზომი აპარატი **გლუკოზომეტრები**

69 ლარი **35** ლარიდან

მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

ნააზარა ძველი, დაახლოებით 27 ლარი და მიიღე ახალი გლუკოზომეტრი



აფუძვლად გვედებს ბრალს და უნდა, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს. პრეზიდენტის რეზიდენციაში ნამდვილად გაიმართა შეხვედრა, რომელსაც სააკაშვილი-გაჩეჩილაძის გარდა, იმ დროს მოქმედი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე და მაშინდელი გავრთიანებული ოპოზიციის — „ეროვნული საბჭოს“ წევრი დავით უსუფაშვილი ესწრებოდნენ და მერნშუნეთ, იქ მსგავს გარიგებებზე ლაპარაკი არ ყოფილა. ბინაძის ბრალდებები იმდენად უსუსური და ბინძური, იმდენად არარეალური ამბავს ჰყვება, რომ ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. რეალურად, ამ ყველაფრის ავტორი ნინო ბურჯანაძეა, რომელიც ცდილობს, საზოგადოება დააბნოს. ბურჯანაძემ და მისმა მეუღლემ ეს აბსურდული ბრალდებები საკუთარი წარუმატებლობის გადასაფარავად გამოიყენეს.

იმის გასარკვევად, თუ რას ფიქრობს ხალხი ამ სკანდალის შესახებ და რა გავლენას მოახდენს ეს ფაქტი ოპოზიციის იმიჯზე, საკუთარი აზრის დაფიქსირება საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს ვთხოვე.

ოტია იოსელიანი, მწერალი:

— ამ პოლიტიკოსების საერთოდ არ მჯერა, ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია; არც ის გამიკვირდება, გაჩეჩილაძეს ფული რომ აედო და არც ის, ბადრი ბინაძე რომ იტყუებოდეს. ისე, ასეთ ბრალდებას სერიოზული არგუმენტი სჭირდება.

ნოდარ ნათაძე, პოლიტიკოსი:

— ამ სკანდალის მონაწილეები ერთმანეთზე უარსებენ არიან. მე მათ ოპოზიციონერებსაც არ ვუნდებ, უფრო — ფსევდოოპოზიციონერები გახლავან და ამას ყოველდღიურად გვიმტკიცებენ.

ირმა სოსაძე, მომღერალი:

— წარმოდგენა არა მაქვს, ვინაა მართალი და ვინ — მტყუანი. სიმართლე გითხრათ, ეს არც მაინტერესებს... პოლიტიკურ პროცესებზე ფიქრსა და მსჯელობას აწელი შევალე. მინდოდა, რამე კარგი გამეკეთებინა, მაგრამ მივხვდი, რომ ხალხი არავის აინტერესებს.

ზურა მანჯაშიძე, მომღერალი:

— არ მინდა დავიჯერო, რომ ლევან გაჩეჩილაძემ ხელისუფლებისგან ფული აიღო. ეს რომ დამტკიცდეს, ოპოზიციანზე გული საბოლოოდ ამიცრუვდება. ბადრი ბინაძეს თუ რაიმეს დამტკიცება უნდა, მყარი არგუმენტები უნდა წარმოადგინოს. აბა, სიტყვაზე რატომ უნდა ვწდეთ? ის საკუთარი საქციელით ოპოზიციის დისკრედიტაციას ახდენს. მერნშუნეთ, ეს სკანდალი მხოლოდ

გაჩეჩილაძეს ან ბურჯანაძე-ბინაძის ოჯახს კი არა, მთელ ოპოზიციას დააზარალებს.

დავით ზურაბიშვილი, პოლიტიკოსი:

— ამ ამბავზე მსჯელობა ცოტა რთულია მანამ, ვიდრე არ გავიგებთ, სინამდვილეში არსებობს თუ არა ის ხელნაწერები. ხომ ამბობენ, რომ არსებობს? — ჰოდა, ადგენენ მაშინ და ჩვენც გვიჩვენონ. შექმნილ სიტუაციაში ვინ რა მოიგო? ხალხიც დაიბნა — ვერ-



ავინ მიხვდა, რა ხდებოდა სინამდვილეში იმ შეხვედრაზე...

გაიგო თუ არა ხალხმა რაიმე და რა დასკვნები გამოიტანა ბინაძის მიერ აგორებული სკანდალიდან, ამის გარკვევას რიგითი მოქალაქეებთან საუბრისას შევეცადე.

ზურაბ რაჟაყვილი, იურისტი:

— ადრე ყველანი მიხილ სააკაშვილის გუნდში იყვნენ, ახლა კი არსებობს ოპოზიცია და არსებობს უმუშევრად დარჩენილ ადამიანთა მასა, რომელიც ოპოზიციას მიეგმასნა. აბა, გადახედეთ ოპოზიციის რიგებს: ზურაბ ნოლაიდელი — სააკაშვილის მთავრობაში პრემიერ-მინისტრად მუშაობდა, ირაკლი ოქრუაშვილი — ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ექსტრემალური პროკურორი გახლავთ, სალომე ზურაბიშვილი — ექსსაგარეო საქმეთა მინისტრია, ნინო ბურჯანაძე — პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ბადრი ბინაძე — საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი. ლევან გაჩეჩილაძე სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის ყოფილი ხელმძღვანელი და ის ბიზნესმენი გახლდათ, რომელიც სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“ აფინანსებდა. ჰოდა, მე არ ვწნდობი იმ ადამიანებს, რომლებიც ოპოზიციონერთა რიგებში მას შემდეგ განევრდნენ, რაც უმუშევრად დარჩნენ.

ზურაბა გვახალია, ექიმი:

— ძმებ გაჩეჩილაძეებს არასდროს ვწნდობოდი. მიუხედავად იმისა, რომ

საკაშვილის ხელისუფლება არ მომწონდა, ოპოზიციამ პრეზიდენტობის კანდიდატად ლევან გაჩეჩილაძე წარადგინა თუ არა, საპროტესტო აქციებზე სიარული მაშინვე შევწყვიტე. ჩემი თვითმზანი პრეზიდენტის სავარძლიდან სააკაშვილის გადმოგდება ნამდვილად არ არის. უბრალოდ, ქვეყნის სათავეში დემოკრატი, სამშობლოზე შეყვარებული და გამოცდილი პოლიტიკოსის ხელვა მინდა, რომელიც საქართველოს ამ ურთულესი სიტუაციიდან გამოიყვანს.

ნონა ბაჩიტიძე, დიასახლისი:

— რით ვერ დარწმუნდით, რომ ბურჯანაძე და ნოლაიდელიც გაჩეჩილაძის „სასტავში“ და საერთოდ, ოპოზიციის შეგზავნილები არიან?! ოპოზიციის მათმა გადაბარებამ გრეჩისას რეიტინგი საგრძობლად დააგდო. როგორ გგონიათ, „მიშისტები“ რომ არ იყვნენ, ახლა თავისუფლად ივლიდნენ? არა, ბატონო, ციხეში იქნებოდნენ გამომწყვდეულები. რაც ბურჯანაძემ და ნოლაიდელმა ხალხის ფულები ჭამეს, ნეტავ, როგორ ერგებათ?..

ლალი ალავიშვილი, პროგრამისტი:

— გუშინ ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე ერთი პატარა და ორიგინალური ლექსი იყო დადებული. მსატყურელი ლირებულების არ გახლავთ, მაგრამ ჩემს აზრს ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს: ბურჯანაძე... სანიკიძე.../ გამყრელიძე მიშისტი/ გრეჩისები... ოქრო ბიჭ/ თორთლამე ხომ მიშისტია.../ ჩვენთან კაცი არ არსებობს/ ჩუმად ყველა მიშისტია... ამ ოპოზიციონერების თითოეული ნაბიჯი, მათი ყველა განცხადება იმაზე მეტყველებს, რომ სააკაშვილი დიდხანს და ბედნიერად იქნება ხელისუფლებაში, ხოლო პრეზიდენტის სავარძელში იჯდება თუ პრემიერ-მინისტრის, ეს უკვე მის ხასიათსა და განწყობილებზე იქნება დამოკიდებული.

საზოგადოების მიერ ოპოზიციის მიმართული ატეხილ სკანდალთან დაკავშირებით გამოხატულ კრიტიკულ მოსაზრებებს ლოგიკურად მიიჩნევს ექსპერტთა ერთი ნაწილი. ისინი სკანდალის მიზეზად ოპოზიციონერების ჩამოუყალიბებელი მსოფლმხედველობას ასახელებენ და ამბობენ, რომ ოპოზიციამ ფუნქცია დაკარგა. მათივე აზრით, დღეს ქვეყანაში პოლიტიკოსებს შორის რეალური, პოლიტიკური ოპონირება აღარ მიმდინარეობს და როგორც საზოგადოების, ისე მასმედიის ყურადღება ჭორებსა და სკანდალებზე გადატანილი.




7 იანვრიდან,
 ყურნად „საბავშვო
 ხარუსელთან“ ერთად
 თქვენთვის და
 თქვენი ბავშვებისთვის!



- 1 ადქანდე მახონელი
- 2 ალბერტ აინმსაინი
- 3 მარყო პოლო
- 4 ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
- 5 გალილეო გალილეი
- 6 მიგელ დე სერვანტესი
- 7 მაკსიმ განდი
- 8 უოლტ დისნეი
- 9 ნიკოლაი კოპერნიკი
- 10 ფრედერიკ შოპენი
- 11 ლეონარდო და ვინჩი
- 12 ლუი პასკერი
- 13 ნაპოლეონ ბონაპარტი
- 14 ისაკ ნიუტონი
- 15 პუტაონი
- 16 ტომას ალვა ედისონი
- 17 ქრისტეფორე კოლუმბი

ბავშვური კვანძების ბიბლიოთეკა

წიგნების სერია ბავშვებისთვის





ქველმოქმედების სახელით „დარაკლამებული“ ტოტალიზატორები და სახალწლოდ დანიშნული სამუშაო აქცია

საქველმოქმედო ფონდი „ერთობა“ ახალი წლის დღესასწაულისთვის „მშვიდობის აქციის“ მონაწილას გვგზავს. აქციის მონაწილეებთან ერთად, „ერთობა“ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიასთან მდებარე ქართულ სოფლებს ესტუმრება...



ერთობისათვის

ბიორგი დარასელია, ფონდის დამფუძნებელი:

— გვინდა, სახალწლოდ, ოკუპირებულ ტერიტორიასთან ახლოს ხეები დაფრგოთ. ამ აქციის სპონსორობის სურვილი გარკვეულმა ადამიანებმა უკვე გამოთქვეს.

— **აქციაში მონაწილეობას ვინ მიიღებს?**

— ვცდილობთ, ხეების დასარგავად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები წავიყვანოთ, მათ შორის — რუსებიც. შარშანწინ, ეს ბავშვები ნიქოზის ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობდნენ. რუსი ოკუპანტების მიერ დანგრეულს პატარები აშენებდნენ. ტაძარს კიდევ ბევრი რამ სჭირდება, რადგან ომის დროს ძალიან დაზიანდა. კარგი იქნება, თუ მის მშენებლობაში სხვებიც ჩაებმებიან... მოგეხსენებათ, ნიქოზსა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს დღეს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ. იქაურ თანატოლებს თბილისელმა ბავშვებმა საჩუქრები ჩაუტანეს, ერთმანეთს დაუმეგობრდნენ კიდევ და დღესაც ურთიერთობენ. ამ აქციით იმის თქმა გვსურდა, რომ ტაძრების დანგრევა არ შეიძლება: უფროსი ასაკის ოკუპანტებმა ტაძარი დაანგრეს, ბავშვები კი აშენებენ...

— **თქვენ ფონდის საქმიანობას ვინ განსაზღვრავს?**

— თავდაპირველად, როცა ფონდი შექვემნიშობდა, მასში სასულიერო პირები

გავერთიანეთ, რომ შეცდომა არ დაგვეშვა, მაგალითად — ფონდის საქმიანობა პოლიტიკურ ამბებში არ გადაზრდილიყო. ამის ყველაზე კარგი საშუალებაა, როცა სასულიერო პირები ტაძრიდან კურთხევას გაძლევენ და საქმიანობის მიმართულელებს გირჩევენ. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დღეს უფლისათვის მიუღებელი ბევრი რამ კეთდება: საზოგადოებას პირდაპირ ტელეეთერიდან მოუწოდებენ, — ტოტალიზატორში დადეთ ფსონი და გაჭირვებულებს დავეხმარებით!.. იმაზე რატომ არ ფიქრობენ, რომ ბავშვების ნაწილი მატერიალურად გაჭირვებული იმიტომ ხდება, რომ მისი მშობელი ტოტალიზატორში თამაშობს?! კაზინოს, ტოტალიზატორის შემოსავლით იმდენ ადამიანს ვერ ეხმარებიან, რამდენსაც ლუპავენ. კეთილი საქმე უფალს უკავშირდება; „ემმაკის ფულით“ კეთილ საქმეს ვერ გააკეთებ. მოგეხსენებათ, აზარტული თამაშები ეკლესიურად მიუღებელია. როცა ქართველი კაცი საქართველოში კაზინოს ხსნის, ის ქართველი აღარ არის, რადგან არ შეიძლება, მცირერიცხიანი ერის ხარჯზე, 2-3 კაცი კარგად იყოს, დანარჩენი კი — დაიღუპოს.

— **ტელეეთერი ასხენეთ. იქნებ, გარკვეული გადაცემებიდან თუ ინტერნეტპორტალებიდან ქველმოქმედების მიზნით ფსონის დასადებად იმ ადამიანებს მოუწოდებენ, რომლებსთვისაც „დადებულნი“ თანხა უმნიშვნელოა?**

— სამწუხარო ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში, ტოტალიზატორით გაჭირვებული ადამიანები ინტერესდებიან. მათ იმედი აქვთ, რომ დიდ თანხას მოიგებენ და ამის გამო, ოჯახს უკანასკნელ ლუკმას ართმევენ. ჩვენი ფონდის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, რომ უკვე ზრდასრულმა ახალგაზრდამ ცუდი არჩევანი არ გააკეთოს. ვცდილობთ, ადამიანები ბავშვობიდანვე ტაძრებში ვატაროთ, ღვთის სიყვარული ჩაუწეროთ.

მომავალში ეს ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს. სამწუხაროდ, ზოგიერთი გაჭირვებული ადამიანი სექტაში წევრდება. ეს სირცხვილია! ბორჯომში სექტანტებმა საკმოდ დიდი შენობა დაიკავეს; ხალხი იქ საკვების გამო მიდიოდა... პოლიტიკაში არ ვერევი, მაგრამ სექტანტების მომრავლება სახელმწიფოსაც ზიანს აყენებს. ზოგიერთი სექტის წარმომადგენელს ჯარში სამსახური ეკრძალება; მოსახლეობის 80% ასეთი სექტის წევრი რომ იყოს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნება?! მეუფე სერაფიმმა ბორჯომის გაჭირვებულ მოსახლეობას დაანახა, რომ სექტანტები მცდარ გზას ადგენენ...

— **თქვენ მიერ მონაწილე აქციაში მონაწილეობის საშუალება რამდენ ბავშვს აქვს ხოლმე?**

— ეს სპონსორებზეა დამოკიდებული. ვცდილობთ, აქციაში ბევრი ბავშვი (მხოლოდ მიუსაფრები — არა) ჩაერთოს და ტაძრების მშენებლობაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. პატარები ტაძარში ხშირად დადიან, ნირვას ესწრებიან. როცა ბავშვი თავიდანვე სასულიერო პირებთან ურთიერთობს, სწორ გზას ადგას; მომავალში ის ცუდ არჩევანს არ გააკეთებს... აგვისტოს ომის პერიოდში, ოკუპირებულ ტერიტორიასთან მდებარე ერთ-ერთი სოფლის გზაზე შეგვხვდა ქალი, რომელიც გზის პირას ახლობელი ბიჭის საფლავს დასტიროდა. თურმე რუს ოკუპანტებს ბიჭისთვის რუსული დროშისათვის კოცნა უბრძანებიათ, ბიჭი მათ არ დაპირილია, ოკუპანტებს მისთვის პირში ლულა ჩაუდევიათ და ასე მოუკლავთ. ამ ქართველი ბიჭის მიერ ჩადენილი გმირული საქციელის მსგავსად ის ადამიანები ვერასოდეს ჩაიდენენ, ვინც ქველმოქმედების სახელით, ტოტალიზატორებს „არეკლამებენ“. ვინმეს კაზინოში ხომ არ შევუვარდები — რას აკეთებთ-მეთქი?! მაღლობა თქვენს ჟურნალს, რომ ამის თქმის საშუალება მომცა. ■





ლალი პაპასკირი

„დომოდედოვოსა“ და „ვნუკოვოს“ აეროპორტები, წითელი მოედანი, პუშკინის პროსპექტი და ცენტრალური პარკი, სმოლენსკის მოედანი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია, შს სამინისტრო, ყველა ცენტრალური მეტროს სადგური და ქუჩა რუსული მილიციის ავტობუსების, სპეცრაზმისა და „ომონის“ მიერ იყო ბლოკირებული... 5-მილიონიანი ქალაქი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ცენტრალური ქუჩები პარალელურად გახლდათ, შედარებით მშვიდ ადგილებში — გარეუბნებში კი ხალხი ჩვეული რიტმით ცხოვრებას ცდილობდა. დაახლოებით იგივე ვითარება იყო რუსეთის სხვა ქალაქებშიც...

ადგილობრივთა განცხადებით, ისინი ქუჩაში გამოსვლას ერიდებოდნენ, რადგან შესაძლოა, გალიზიანებული ეთნიკური უმცირესობის ან ადგილობრივი, რუსი ნაციისტების მსხვერპლნი გახდნენ...

არეულობის მიზეზად უამრავი ვერსია სახელდება. ამბობენ, რომ ეს შეტაკება ვლადიმირ პუტინის ინტერესებში შედის — იგი მოსახლეობის თვალში ავტორიტეტის ამაღლებას ცდილობს. ლაპარაკია იმაზეც, რომ რუსეთში ეკონომიკური და სოციალური კრიზისია და ეს არეულობა მთავრობის მიერ ყურადღების სხვა პრობლემაზე გადატანას ემსახურება. ერთ-ერთი ვერსიით, მთელი მოსკოვის ფინანსებს 500-მდე სხვადასხვა ეროვნების, რელიგიური მრწამსისა და აზროვნების კავკასიელი მართავდა (დღემდე ასეა) და მათ ხელისუფლება, „კაგებე“ და „ფსბ“ ხელს აღარ უშლიდა, ვინაიდან მათთან კორუფციულ გარიგებაში იყვნენ. „შავი მმართველობის“ (ასე მოიხსენიებენ რუსეთში კავკასიურ კლანს) ეპოქა რუსეთში ელცინის დროიდან დამკვიდრდა და თანდათან ფეხიც მოიკიდა...

ერთი სიტყვით, რუსეთის დედაქალაქში სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან სამსახურის საშოვნელად ჩასული, ასიათასობით ადამიანი დეპორტაციის შიშმა შეიპყრო...

ექსპერტთა ერთი ნაწილი რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყებას ვარაუდობს, თუმცა სხვები მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში რეალური ოპოზიცია არ არსებობს; ჩვეულებრივი ადამიანები კი რევოლუციას ვერ მოახდენენ... ასეა თუ ისე, მოსკოვსა და რუსეთის რამდენიმე ქალაქში საპროტესტო გამოსვლები არ წყდება. მარტო მოსკოვში

არეულობა რუსეთში — პროლაზმის მიჩქარების მსდროება თუ რევანში პატარა ერებს?

„რუს საზოგადოებას სამოქალაქო კულტურა ჯერ კიდევ ვერ ჩამოუყალიბდა“



1300-ზე მეტი ადამიანია დაკავებულნი; შეტაკებისას მოკლულია რამდენიმე ადამიანი; არიან დაჭრილებიც... ადგილობრივები არარუსებისგან თავიანთი სამშობლოს დატოვებას ითხოვენ. 17 დეკემბერს მოსკოვის ქუჩებში სკინჰედების მონადეებზე გაისმა. ისინი ყველა „სლაგ მძას“ არარუსების წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მოუწოდებდნენ...

მეზობელ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით არაერთი ვერსია ვრცელდება.

ვადიმ იოროვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი (ეროვნებით აზერბაიჯანელი):

— ჩვენს უნივერსიტეტში კავკასიური წარმომავლობის ბევრი სტუდენტია. 18 დეკემბერს ჩვენთან სპეცრაზმი შემოიჭრა. ლექციები ჩაიშალა... დერეფანში ნიღბიანი სპეცრაზმელები ყვიროდნენ, აქ უმეტესობა „შავები“ არიან და დაცხოთო... თავიდან ვერაფერს მივხვდით; როგორც შემდეგ შევითხვეთ, სპეცრაზმს აქციებში მონაწილე სტუდენტები უნდა დაეკავებინა, რომლებიც ამ დღეებში უფრო მწვავე და მასშტაბურ აქციას გეგმავდნენ... ამბობენ, რომ სპე-

ცრაზმელებს წინააღმდეგობა პირველად ჩეჩენმა სტუდენტებმა გაუწიეს, რომლებიც გავრცელებული ინფორმაციით, სასწავლებელში იარაღით დადიოდნენ... შეტაკების დროს 1 აზერბაიჯანელი, 1 ჩეჩენი და 1 ქართველი სტუდენტი დაიჭრნენ. იმ დღეს 150-ზე მეტი სტუდენტი აიყვანეს. აუდიტორიის ფანჯრიდან ვხედავდი, თუ როგორ უმოწყალოდ ურტყამდნენ სპეცრაზმელები სტუდენტებს. შემდეგ შეტაკებამ ქუჩაში გადაინაცვლა და სტუდენტებისგან გავიგე, რომ ამ დროს სკოლიდან მომავალი 8 წლის გოგონაც დაიღუპა.

— **სპეცრაზმს იარაღი ჰქონდა?**

— დიახ. კი ამბობენ, ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონდათო, მაგრამ ვიცი, რომ ჰქონდათ. თუმცა ის უნივერსიტეტზე შეტევის დროს არ გამოუყენებიათ. ჩვენთან მოსულებს ხელკეტები და ე.წ. „შტიკნოჟები“ ჰქონდათ.

— **მაშ, საიდან იცით, რომ იარაღიც ჰქონდათ?**

— ქუჩაში სროლის ხმა ისმოდა... აქამდე აქციებში მონაწილეობას ვერიდებოდი, ახლა კი კულისებში დგომას არ ვაპირებ; მეც აქტიურად ჩავერთვები საპროტესტო აქციებში.



ილიან ბალაშოვა, მოსკოვის მკვიდრი:

— 16 დეკემბერს, მოსკოვში, ლუბლინსკო-დემიტროვის მეტროს ხაზზე აფეთქება მოხდა. ხალხით სავსე მატარებელი 4 საათის განმავლობაში გვირაბში იყო გაჩერებული. საბედნიეროდ, ყველა გადაარჩა, მაგრამ რამდენიმე ადამიანი უჭავრობისა და ფსიქოლოგიური სტრესის გამო პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს... ამბობენ, აფეთქებაში კავკასიელების ხელი ურევიაო. მესმის, რომ მათთვის ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცუდი, თითქმის საშინელი პირობებია ცხოვრებისთვის, მაგრამ არც ჩვეულებრივი რუსები ვსარგებლობთ პრივილეგიებით და როცა პუტინზე გაბოროტებული ადამიანები ტერაქტებს აწყობენ, ამით ჩვენს გალიზიანებასაც ინვევენ, რასაც შესაბამისი აგრესიით ვპასუხობთ. რუსეთში ყველამ იცის, რომ სკინჰედები ხელისუფლების მიერ იმართებიან და მათ ქმედებას გამართლება არა აქვს, მაგრამ მათზე გაბოროტებული არარუსი მოქალაქეები ჩვენს ხალხს დაერივნენ... მესმის, რომ ხელისუფლება თავის საქმეს ვერ აკეთებს, მაგრამ ჩვენ მათ მიმართ, სხვაზე, არარუსებზე მეტი პრეტენზია გვაქვს... გარდა ამისა, თუ არ მოსწონთ აქ ცხოვრება, კი, ბატონო, მიბრძანდნენ თავიანთ ქვეყნებში... ბოლო დროს მოსკოვი „თავკომბალად“ გადაიქცა და ეს მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების ბრალია. აქ შემოსვლა და ბიზნესის დანეგება ყველასთვის იოლია... ჩვენი ხელისუფლება უკვე დიდი ხანია, აღარ აქცევს ყურადღებას იმ ნაცისტური თუ ფაშისტური ჯგუფების ქმედებებს, რომლებიც არარუსი მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიან. რუსეთში სერიოზული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემებია, რაც ყველა სახის ურთიერთობაში აისახება.



კონსტანტინ ბოროვოი

ანატოლი ვარინინი, 21 წლის, რუსი სტუდენტი:

— ამოვიდა ყელში ამათი საქციელი... პარაზიტებივით ჩვენს ხარჯზე ცხოვრობენ და თავს გვამადლიან... მე არც ერთი კავკასიელი მეგობარი არ მყავს და სხვა რუსებსაც იმავეს ვურჩევ. ისინი სანდონი არ არიან. მარტო როცა ვართ, ძმობას გვეფიცებიან, მაგრამ როგორც კი ორი კავკასიელის პირისპირ დავრჩებით, მაშინვე ჩაგვრას გვიწყებენ... ეს არ ეხება სომხებს — მათ ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლიათ ლავირება. დიახ, საკმაოდ წარმატებული ბიზნესი აქვთ, მაგრამ არიან თავისთვის, არც „სისხლს გვწოვენ“ და არც გვამცირებენ.

ქართველები გამცირებენ?

— ქართველს ერთ ნაბიჯზეც არ ვენდობი, არც აფხაზის მჯერა. ისინი ერთმანეთს ხოცავდნენ, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგ მაინც ერთიანდებიან... ვინც კი აქ ჩამოვიდა — აზერბაიჯანელი, ჩეჩენი, სომეხი თუ ქართველი, ცდილობენ, სამუდამოდ აქ დაიმკვიდრონ თავი... ჩვენ რომ არ გვავდეთ, რა გემუვლებოდათ? ჰოდა, ახლა მათ ჩვენი ქვეყნიდან გაყვრით და შორიდან გვიყურონ, რაც გვემუვლება... ყველა მათგანი იმიტომ წავიდა ჩვენი ქვეყნიდან, რომ ჩვენთან ყოფნა არ უნდოდათ, ზურგს უკან ღორებს გვეძახიან, მაგრამ ჩვენ გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ... თქვენს მთავრობას ვურჩევ, უკან გაიწვიოს თავისი ქურდბაცაცა მოქალაქეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ყველანაირი ბოროტების სათავედ გვევლინებიან. უკან დახევას არ ვაპირებთ.

ნატალია შილკინა, 25 წლის, მოსკოვის მკვიდრი:

— რამდენიმე წლის წინ ჩემი მშობლები მუშაობდნენ, ნორმალური ოჯახი და შემოსავალი გვექონდა. შემდეგ ყველაფერი აირია, ისინი უმუშევრები დარჩნენ. მალე ერთმანეთს გამოვრდნენ და ორივე გალოთდა... ამ ქვეყანაში რუსებისთვის ადგილი აღარ დარჩა. უმუშევრობის გამო უამრავი ადამიანი ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას... ჩემს ჯგუფში რამდენიმე ქართველი იყო. ერთმანეთთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვექონდა, მაგრამ ჩვენს შორის განსხვავება ნებისმიერ დღესასწაულზე იკვეთებოდა. ქართველების მედიდურობა თავხედობაში გადადიოდა. ისინი გონებაგახსნილობით გამოირჩეოდნენ და მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცეოდნენ, რის გამოც დანარჩენებს ზემოდან გვიყურებდნენ... კავკასიელებს გენ-

ში აქვთ თავმომწონეობა, მუდმივად პირველობისკენ ისწრაფვიან, ჩვენი ხალხი კი უბრალო და დამთმობია, რითაც ისინი ბოროტად სარგებლობენ. თუმცა მორჩა! ახლა ყველაფერს წერტილი უნდა დაესვას — რუსეთი მხოლოდ რუსებისთვის!

ირინა შილკინა, სანქტ-პეტერბურგის მკვიდრი:

— ასე მგონია, სხვა ქალაქში ვცხოვრობ. ამდენი წელი კავკასიელებისა და სხვა ეროვნების ადამიანების გარემოცვაში ვიცხოვრეთ და მცირე კონფლიქტებს თუ არ ჩავთვლით, სერიოზული პრობლემები არ შეგვექმნია... სამწუხაროა, მაგრამ როგორც ჩანს, რუს საზოგადოებას სამოქალაქო კულტურა ჯერ კიდევ ვერ ჩამოუყალიბდა. რუსმა ახალგაზრდებმა შეიძლება არ იცოდნენ, მაგრამ რუსეთი ჩამოსულების მიერ არის შექმნილი და ეს რეალობაა...

რუსი ექსპერტი, კონსტანტინ ბოროვოი რუსეთში დანეგებული არეულობის მიზეზად სხვადასხვა წინა პირობას ასახელებს:

— საქმე ის არის, რომ რუსეთში ჯერ კიდევ საბჭოთა დროინდელი ეკონომიკური სისტემა ფუნქციონირებს, არადა, ჩვენში დღემდე ცოცხალია ნახევრად ცარილსტული და ველურ-ბურჟუაზიული სისტემა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამდენმილიონიან ქვეყანაში საშუალო ფენა თითქმის არ არსებობს... ამ ყველაფერს დომინანტურ საექსპორტო პროდუქტებზე ფასების ვარდნა, გასაღების ბაზრის ჩაკეტვა (ხორბალი, ხეტყე, ნავთობი, გაზი) ემატება... ბოლოდროინდელ რუსეთში ამ ყველაფერს კავკასიელები და ებრაელები აკონტროლებენ და წილში ხელისუფლების წარმომადგენლები ჰყავთ. სწორედ მათი დახმარებით ხდება „შავი ფულის“ გათეთრება... მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა, მოსკოვის გარეუბნებში ადამიანები უკიდურეს სიღატაკში ცხოვრობენ. ერთ დღესაც, მოსახლეობას ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა და ქუჩაში გამოვიდა, „გენიოსმა“ პუტინმა კი გამოსავალი იპოვა და გადანყვიტა, „კაგებეს“ დახმარებით „შავ ფულს“ კავკასიელები ჩამოაცილეს. თუმცა, აღმოჩნდა, რომ „ჭკვიან შავებს“ თავად „კაგებეც“ და „ომონიც“ კი მოსყიდული ჰყოლიათ. ამის გამო პუტინმა საქმეში მის მიერ დაფინანსებული სკინჰედები ჩართო და შედეგიც სახეზეა — სკინჰედებს აქამდე ჩუმად მყოფი რუსებიც აჰყვნენ — აი, თურმე ჩვენი უბედურების მიზეზი ვინ

გაგრძელება იხ. გვ. 16



ვისას ხალხური სიმღერა უყვარს, შეუძლებელია, დიდი პატრიოტი არ იყოს

„ამ გზით გვირის ოჯახში შვეა ჰამლეტი“

მისი მოსმენის შემდეგ წერდნენ: დახუჭე თვალები, მოუსმინე ხმას და სხვადასხვა ფერს დაინახავო. ბელგიის გაზეთს კი დაუწერია: „რუსთავს“ ჰყავს სოლისტი, რომელიც უშვებს ისეთ ხმას, რომელსაც საოცარი თვისება აქვს — ტალღასავით გადადის მსმენელზე, კედელს „ეჯახება“ და მერე ისევ სოლისტს უბრუნდება... უსმენდნენ და წერდნენ. კვლავ დანერგნენ, თუკი მოუსმენენ, — სამწუხაროდ, უკვე მხოლოდ ჩანანერს და ის ხმა, მგონია, მუდამ ივლის ტალღასავით, ოღონდ ჩვენს სხეულსა და სულში შევა და იქ დაიბუდებს. მთავარია, ერთხელ მოუსმინო...

ირმა ხარშილაძე

„პალიტრა მედიის“ კიდევ ერთი საინტერესო პროექტი „ჩვენი ხმების საგანძური“, რომელიც, წიგნებისა არ იყოს, ყოველი „ნაკითხვით“ ოდნავ უკეთესს მაინც გაგზავნის, ვიდრე იყავი, „პრესასთან ერთად წიგნების გამოცემის“ ერთგვარი გაგრძელებაა. თვეში ერთხელ, ყურნალ „ბომონდთან“ ერთად, საშუალება გეძლევათ, მხოლოდ 5 ლარად შეიძინოთ უნიჭიერესი ქართველების შესრულებული სიმღერები — დისკების მართლაც საგანძური. ამჯერად, გასაოცარი, უჩვეულო, უცნაური და დაუფინყარი ხმის მქონე ჰამლეტ გონაშვილის სიმღერების ნაკრები შევთავაზებთ საზოგადოებას, მასზე სასაუბროდ კი ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელს, ლოტბარს, ბატონ **ანზორ არაშვილი**ს ვენვით.

— „რუსთავამდე“ ჰამლეტი მღეროდა სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ანზორ კავსაძე ხელმძღვანელობდა. კონცერტზე რომ მოვუსმინე (მასსოვს, „დაიგვიანეს“ შეასრულა), გავოცდი — განსაკუთრებული ხმა ჰქონდა, უცნაური — და მისი გაცნობა მოვიწადინე. იმხანად ანსამბლი „რუსთავი“ არც არსებობდა. ჰამლეტი მომღერალმა ირაკლი მათიკაშვილმა გამაცნო. ძალიან მშვიდი, დინჯი და თბილი კაცი აღმოჩნდა. მალე ოჯახშიც ვენვით, ვემინის ქუჩაზე, კონსერვატორიის ზემოთ. პატარა სუფრა გაგვიშალა, გვესაუბრა, — არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო. აღმოჩნდა, რომ „გორდელადან“ მიცნობდა. რას წარმოვიდგენდი, თუ მოგვიანებით ერთად მოგვინევდა მუშაობა?! მერე „რუსთავიც“ ჩამოყალიბდა და ჰამლეტი რომ შემოგვიერთდა, უკვე პოპულარული ანსამბლი იყო... ჰამ-

ლეტი მრავალმხრივად განათლებული კაცი იყო, ენაწელიანი და ბევრი ლაპარაკიც უყვარდა. ომარ კელაპტრიშვილი კი ენამოსწრებული, ონავარი კაცი გახლდათ და მასსოვს, ჰამლეტს ამაზე ექსპრომტიც მიუძღვნა: „...შენ, მომღერალო არაკო, სჯობია, ბევრი იმღერო და ცოტა ილაპარაკო“ (იცინის)... მასსოვს, დიდი სამამულო ომის დანაშაულის 30 წლისთავზე ჩემ მიერ დამუშავებული სიმღერისთვის — „შინმოუსვლელი, სადა ხარ?“ — რომლის შესრულებითაც მთელი საქართველო შეძრა, ჰამლეტ გონაშვილი წლის საუკეთესო მომღერლად აღიარეს. სხვათა შორის, თვით სიმღერასაც „საუკეთესო სიმღერის“ პრიზი მიენიჭა. ფაქტობრი-



ვად, ჰამლეტის სიმღერასა და ხმას შევეუწყვე, მოვარგე „რუსთავის“ საუკეთესო რეპერტუარი: „შენ, ბიჭო, ანაგურელო“, „წინწყარო“, „დაიგვიანეს“, „ხოხობის ყელივით ლამაზი“ და კიდევ მრავალი, რამაც ჰამლეტ-

<p>მუშის მაგიდა - სკამები</p> <p>1680 ლარი</p>	<p>საძინებელი</p> <p>1360 ლარიდან</p>
<p>ავეჯის სალონი „კლასიკა“ იტალიური ავეჯის და ტექსტილის დიდი არჩევანი</p>	
<p>სანახევარი</p> <p>740 ლარი</p> <p>420 ლარი</p> <p>გასაშლელი დივან-საწოლი</p>	<p>ფანჯაქლება</p> <p>880 ლარი</p> <p>370 ლარი</p> <p>გასაშლელი დივან-საწოლი</p>
<p>აღ. ყაზაგის გამზ.14 ☎ 38 88 11 კლასიკა</p> <p>პაჟა-ფშაველას გამზ.25 ☎ 37 11 11 Classica</p>	



ისეთი პატრიოტი იყო, მთელი ქვეყანა რომ გეჩუქებინა, არსად დარჩებოდა. საქართველოს გარეშე წუთსაც ვერ იცხოვრებდა...

საც და ანსამბლსაც უდიდესი პოპულარობა მოუტანა. „ოროველას“ ჰამლეტი ისე მღეროდა, უკეთესად ვერც ვერავინ შეასრულებდა! ძალიან თავმდაბალი იყო, უშუალო. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა (ჩვენზე 10-15 წლით უფროსი იყო), საკმაოდ შეხუმრებული ვიყავით. დაგვიანება უყვარდა. თავისუფალი ბუნება ჰქონდა და თითქოს დროსა და სივრცეს ვერც გრძნობდა. რუსეთში ერთ-ერთი გასტროლისას 2 ვერტმფრენით უნდა გადავფრენილიყავით რომელიღაც ქალაქში, ჰამლეტმა კი ამჯერადაც დაიგვიანა. ერთი ვერტმფრენი შევაფერხეთ. ამასობაში, აუჩქარებლად მომავალი ჰამლეტიც შევნიშნეთ. მფრინავი არყით „მოვისყიდეთ“ და ომარმა 3-4 მეტრით აანეწინა ვერტმფრენი, — ცოტათი ვანერვიულეთო... ჰამლეტს არც აუჩქარებია ფეხი... მერე თოკით ამოვიყვანეთ... ერთ კვირაში ნავედით მორიგ გასტროლზე საფრანგეთში და ამჯერად პარიზიდან ნიცისკენ გასამგზავრებელ ავტობუსზე დაავიანა. ძალიან გავბრაზდით. თანმხლებ რუს უშიშროების თანამშრომელს გული გაუსკდა, — ალბათ დარჩაო. ვამშვიდებდი, — გამორიცხულია-მეთქი: ისეთი პატრიოტი იყო, მთელი ქვეყანა რომ გეჩუქებინა, არსად დარჩებოდა. საქართველოს გარეშე წუთსაც ვერ იცხოვრებდა... მოკლედ, კვლავ დინჯი ნაბიჯით დაგვიბრუნდა. კელაპტრიშვილს რა გააჩუმებდა და ავტობუსში ჰამლეტს, მისი ამოსვლისთანავე, ექსპრომტი „გამოუცხო“: „თვით კარუზოს და ტიტო გობის შემურდებოდა შენი ხმის ტემბრი და სილამაზე./ კაცო, კაცურო, ტკბილმოუბარო, სიტყვაძვირო და გასაოცარო./ — ნეტავი ერთი, დამ-

ანია და, — ამბობს ჰამლეტი, არაგვიანი./ ვით ჭიანჭველამ თავის ძმობილსა, ისე ჩაუგდეს თოკი, ტიალი./“ — და ამის შემდეგ ამის ჩამდენი ჰამლეტი მოსვლას კვლავ იგვიანებს./ ახლა კი მივხვდი, თუ ასე ტკბილად ის რატომ მღერის „დაიგვიანეს“/ (იცინის)... ასეთი ლექსი ხშირი იყო და ამას „ავტობუსის პოეზია“ დავარქვით.

— **ოდესმე ბრაზდებოდა?**

— ასეთ ხუმრობაზე — არასდროს. მხოლოდ მაშინ ბრაზობდა, თანაც გვარიანად, ვინმე საქართველოსა და მის კულტურას თუ შეურაცხყოფდა. ყოველმხრივ უნესიერესი კაცი იყო. რუსეთში გას-

ტროლისას ბევრი საცდუნებელი გვხვდებოდა — ახალგაზრდები ვიყავით, ნაცნობი გოგონებიც თავს გვეხვივნენ და არც ჩვენ ვიკლებდით აქეთ-იქით სირბილს. ჰამლეტიც ბევრ ქალს იცნობდა, მაგრამ ყველას „პლატონურად“ ექცეოდა. ამჩატებული არასდროს გვინახავს. ორაზროვნად გვეტყოდა ხოლმე: თქვენს ოჯახში, საკუთარ ბაღჩაში დათესეთ მცენარეო.

— **ყოველმხრივ გამორჩეული რომ იყო, ალბათ ამიტომაც უყვარდათ გამორჩეულად... ბატონო ანზორ, თქვენი აზრით, „პალიტრა მედიის“ პროექტი „ჩვენი ხმების საგანძურო“ და კონკრეტულად, ჟურნალ „ბომონდთან“ ერთად ჰამლეტ გონაშვილის დისკის გამოცემა რით არის მნიშვნელოვანი სხვადასხვა თაობის ადამიანებისთვის?**

— დღეს მთელი მსოფლიო თითქოს ხელისგულზე გვაქვს — ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ახალგაზრდობასაც დიდი არჩევანი აქვს: გემოვნების მიხედვით აირჩიოს და მოისმინოს ესა თუ ის მუსიკალური მიმდინარეობა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ჩემთვის ძალზე მტკივნეული რამ მაინც უნდა გითხრათ: ქართველი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ჰამლეტ გონაშვილს,

როგორც მომღერალს, სამწუხაროდ, არ ცნობს: გლესურად არ მღერისო. მინდა იცოდეთ, რომ ჰამლეტი რასაც აკეთებდა, მისი ბუნების გამომხატველი იყო, მისი ხმიდან გამომდინარე, ამიტომ ასე გაკილვა არ შეიძლება. გინდ მოიწონე, გინდ — არა, არავის ვაკრიტიკებ, მაგრამ არ არის სასურველი, როდესაც თანამედროვე ახალგაზრდა 100 წლის წინანდელ ჩანაწერებში მოსმენილი მოხუცების ნამღერს ჰბაძავს. რა ხმაც გაქვს, ისე უნდა იმღერო, კბილნაკლულ კაცს კი არ უნდა მიჰბაძო! თუ არ გინდა ჰამლეტის მოსმენა, ნუ მოისმენ, მაგრამ დემაგოგიას მაინც ნუ დაინყებ, — არ ვარგაო. თუ არ მოგწონს, შენთვის შეინახე ეგ აზრი, თუ არა და, დანერე დასაბუთებულად და ვინმე გიპასუხებს, გამოგეხმაურება. ჰამლეტ გონაშვილი გამორჩეული კაცი რომ არ ყოფილიყო, ერი ასე არ შეიყვარებდა... თქვენი პროექტი კი ძალიან საინტერესოა, რადგან თუნდაც ამ გზით, ბევრის ოჯახში შევა ჰამლეტი, ბევრი გაიგებს მის ბუნებას, ხმას, თვისებებს და შესაძლებლობაც ექნება, სხვა მომღერლებს შეადაროს. ეს არა მარტო ჰამლეტის უკვდავებაა, არამედ ქართული სიმღერის უკვდავებაცაა, ქართველი ხალხის სიმღერისადმი დამოკიდებულებაა. ხოლო ვისაც ხალხური სიმღერა უყვარს, შეუძლებელია, დიდი პატრიოტი არ იყოს. ამ მხრივაც ძალიან მნიშვნელოვანია ეს დისკი და ფიქრობ, კარგი საქმე კეთდება, როდესაც ასეთ დისკებს ოჯახებში „შეიყვანთ“, ასეთ მომღერლებს ასტუმრებთ ოჯახებს.



ჰამლეტიც ბევრ ქალს იცნობდა, მაგრამ ყველას „პლატონურად“ ექცეოდა. ამჩატებული არასდროს გვინახავს. ორაზროვნად გვეტყოდა ხოლმე: თქვენს ოჯახში, საკუთარ ბაღჩაში დათესეთ მცენარეო

„ვისოლი“ „სმარტის“ განვითარებას იწყებს



„ყველაფერი ერთ ადგილას“

– დიღომში ახალი სუპერმარკეტი გაიხსნა

ლიიდან და გერმანიიდან მოვხადენთ. ჩვენი ორიენტირი ადგილობრივი წარმოების პროდუქტებზე იქნება. ყველანაირად ხელს შევუწყობთ ქართულ წარმოებასა და მომხმარებელს, ჯანსაღ პროდუქტებს და ყველა საჭირო ნივთს ერთ ადგილზე შევთავაზებთ. უპირველესად, ყურადღებას ხარისხობრივ მახასიათებელს მივაქცევთ; „სმარტი“ სწორედ ამით იქნება გამორჩეული. პროდუქციის წარმოშობა, ვადიანობა და

ნენ. ცოტა ხანში, ვაზისუბანში, „სმარტის“ მეორე სუპერმარკეტი გაიხსნება. იქ 50 ადამიანი ჩვენი რეკომენდაციით დასაქმდება. ბიუროკრატიული აპარატების გაზრდის ხარჯზე, ახალ სამუშაო ადგილებს ვერ შევქმნით, ეს არ იქნება სწორი ქმედება ჩვენი მხრიდან. ასეთი დასაქმების სისტემისთვის მაშინ ფული უნდა მოვაკლოთ გრძელვადიან პროგრამებს, რომელიც საზოგადოებას სჭირდება. ამიტომაც უნდა შევქმნათ გრძელვადიანი სამუშაო ადგილები სწორედ კერძო სფეროში და მივხმაროთ მათ. ასეთი კარგი წამოწყებები იმის მანიშნებელია, რომ ნელ-ნელა ეკონომიკა ვითარდება, ფეხზე დგება. პრობლემები, რომელიც ომი და კრიზისით იყო გამოწვეული, ჯერ ბოლომდე არაა, მაგრამ ნელ-ნელა ლაგდება და ვფიქრობ, ეკონომიკური მდგომარეობა თბილისში და არა მარტო აქ, მომავალი წლისთვის ბევრად უკეთესი იქნება.

ამერიიდან კომპანია „ვისოლ ჯგუფი“ მხოლოდ ავტომობილების მფლობელებზე არ იზრუნებს. ცოტა ხნის წინ, ევროპის 10 საუკეთესო კომპანიას შორის დასახელებულმა ქართულმა ბიზნესჯგუფმა ქართველ მომხმარებელს სიურპრიზი წარუდგინა. ნავთობკომპანია ახალ ბაზარზე შემოდის, თანაც სერიოზული განაცხადით. „ვისოლ ჯგუფი“ ბიზნესსაქმიანობის დივერსიფიკაციას აგრძელებს და სუპერმარკეტების ქსელის განვითარებას იწყებს.

14 დეკემბერს პირველი სუპერმარკეტი ალმაშენების ხეივანის მე-13 კილომეტრზე „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურთან თბილისის მერმა გიგი უგულავამ და იტალიის საელჩოს წარმომადგენელმა გახსნეს. სუპერმარკეტების ქსელი, რომელიც ახალი წლიდან მთელ საქართველოს მოიცავს, „სმარტის“ ბრენდის ნიშნის ქვეშ გაერთიანდება.

ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების ხარისხი, ფართო არჩევანი და ზომიერი ფასები, კომფორტული კაფე სრული მომსახურებით (take away), ინტერნეტზონა (WIFI), აფთიაქი, სწრაფი გადახდის აპარატი, ბანკომატი, უნიქარდით ქულების დაგროვების საშუალება, სასიამოვნო გარემო და უმაღლესი ხარისხის მომსახურება 24 საათის განმავლობაში — ეს ყველაფერი ერთ ადგილას მომხმარებელს სრულ კომფორტს შეუქმნის.

სოსო ფხააძე, „ვისოლის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: — მოხარულები ვართ, რომ ჩვენს მომხმარებელს ყველანაირ კომფორტს შევუქმნით. „სმარტი“ მაღალტექნოლოგიური სუპერმარკეტების ქსელი იქნება. სუპერმარკეტისათვის, სავაჭრო აღჭურვილობა იტალიიდან ჩამოვიტანეთ. პროდუქტების იმპორტს იტა-

ა.შ. ეს უმკაცრესად გაკონტროლდება. ამიტომაც გადაამწყვეტი, პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის ყოველთვის იქნება ხარისხი.

ჩვენ არასოდეს არ შევალთ იმ სფეროში, რომელიც არ გვესმის. ესაა ჩვენი მთავარი სტრატეგია. ეს სფერო, რომელშიც ახლა ვინყებთ მუშაობას, საცალო ქსელია. ამ კუთხით, 15 წლის განმავლობაში დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა და კვლავაც ვცდილობთ საცალო ქსელისა და მისი მენეჯმენტის განვითარებას.

გიგი უგულავა, თბილისის მერი:

— ახალი სუპერმარკეტების ქსელი თბილისში და არა მარტო თბილისში დასაქმებისთვის ძალიან კარგი საშუალებაა. შეიქმნება რამდენიმე ათეული სამუშაო ადგილი, რაც კარგი მაგალითია კერძო ბიზნესისა და სახელმწიფოს პარტნიორული თანამშრომლობის, რადგანაც ჩვენ გვაქვს დასაქმების ბაზა, რომელიც დიდ რესურსს მოიცავს. სამსახურის შოვნის რიგში მდგომ ადამიანებს საშუალება ექნებათ, დასაქმდ-

მომავალი წლის ბოლომდე „სმარტის“ სუპერმარკეტები გლდანის, ვაზისუბნის, ვარკეთილის, წყნეთის, ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, გორის, მარნეულის, სამტრედიის, ზუგდიდისა და ახალციხის მოსახლეობასაც მოემსახურება. სუპერმარკეტების ქსელი სხვადასხვა ფორმატის იქნება. „სმარტის“ პირველ სუპერმარკეტში 50-მდე ადამიანი დასაქმდა. მომავალი 3 წლის მანძილზე, „ვისოლ ჯგუფი“ „სმარტის“ სუპერმარკეტების ქსელის მნიშვნელოვან გაფართოებას გეგმავს და სამი ათასამდე ადამიანს დასაქმებს. „სმარტის“ 1-ელ სუპერმარკეტში დასაქმებული ყველა თანამშრომელი დაზღვევით, უფასო კვებითა და ტრანსპორტით ისარგებლებს. R





ყოფილაო და სოციალურ ფონზე დაწყებული დაძაბულობა ქსენოფობიაში გადაიზარდა... ახლა კი თავიანთი უმწეო მდგომარეობა, უკიდურესი სიღატაკე და ყველანაირი უბედურება ჩამოსულებისადმი ზიზღში გამოვლინდა. ამით ეს საწყალი ხალხი გულს იოხებს... მართალია, ჩამოსულებმა ადგილობრივებს სამუშაო ადგილები პრაქტიკულად წაართვეს, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ადგილობრივ ღარიბებს მუშაობას იაფფასიანი არყის დაღვევა ურჩევნიათ.

— **სინამდვილეში, რუს საზოგადოებაში კავკასოელების მიმართ ფობია არ არსებობს?**

— რუს საზოგადოებაში გაუნათლებლობის პრობლემა არსებობს. ჩვენთან საბჭოთა იდეოლოგია იმდენად აქვთ გამჟღადარი ადამიანებს, მათი მსჯელობა რომ მოისმინოთ, შეგძრავთ... პუტინი ბევრს ეცადა, მაგრამ ვეღარც პოლიციური სახელმწიფო ჩამოაყალიბა და საბოლოოდ, რუსეთი რაღაც „კაგებეშნიკურ-საბჭოურ-რეპრესიული“ მანქანის გადმონაშთად დარჩა, რომელიც სხვადასხვა გარემოების გამო ვეღარ ვითარდება...

— **გამოსავალს რაში ხედავთ?**

— გამოსავალი?! ეს ის სიტყვაა, რომელზეც ამ არეულობამდე რამდენიმე წლით ადრე ვფიქრობდი, მაგრამ ჩემი და ჩემი მეგობრების მიერ მოფიქრებული გამოსავალი რუსეთის ხელისუფლებისთვის და მთლიანად, რუსი საზოგადოებისთვის იმდენად წარმოუდგენელია, როგორც ქართველისთვის მწვადისა და ხინკლის გარეშე ცხოვრება...

— **მაინც, რა არის ასეთი?**

— დემოკრატია...

— **რით ახსნით, რომ ამ აქციებში უფრო მეტად ახალგაზრდები აქტიურობენ?**

— მათი უსაქმურობით. ისინი ამ გზით თვითრეალიზებას ცდილობენ. XXI საუკუნის თაობაში ასეთი იდეოლოგია, რბილად რომ ვთქვა, იმედისმომცემი არ უნდა იყოს... ეროვნება — „რუსი“, მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების მოსახლეობაში სიმპათიას არ იწვევს და ამას ჩვენი ხალხი გრძნობს, რის გამოც დანარჩენი სამყაროს მიმართ აგრესია უჩნდება. სამწუხაროდ, რუსეთი მსოფლიო ცივილიზებული საზოგადოებისთვის, უზარმაზარი ქვეყნის გარდა, არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს... ეს დაბოლმელი ადამიანები ახლა მათთან მცხოვრებ, პატარა ერებზე რეკანსს იღებენ.

„დიდი მადლობა თქვენ და თქვენს მკითხველებს!“

„გზის“ №49-ში, „ერუდიტის“ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიას — „სახელმძღვანელოები არ მაქვს, მაგრამ ყველა საგანს 10-იანებზე ვსწავლობ“ — დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შეგახსენებთ — **ნინო ეფრემიძე, რომელმაც ტელეგრაფში — „ყველაზე ქვიანი“ გაიმარჯვა, გვიყვებოდა, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახში იზრდება, სკოლის სახელმძღვანელოებიც კი არა აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა საგანში ფრადი აქვს. ნინო „ერუდიტში“ დასმულ კითხვებსაც ღირსეულად გაართვა თავი.**



თაშუნა კვიციანი

„გზის“ აღნიშნული ნომრის გამოცხადების დღიდანვე, რედაქციაში არაერთმა მკითხველმა დარეკა და გოგონასათვის დახმარების სურვილი გამოთქვა. მათგან პირველი — საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, სპორტული კომენტატორი გახლდათ, რომლის ვინაობასაც, მისივე თხოვნით, არ ვასახელებთ: არ გინდათ, ნუ გაახმაურებთ, სიკეთე ჩუმად უნდა აკეთოთ, — გვითხრა შეხვედრისას და ნინოსთვის საჩუქრად, გარკვეული თანხა გადმოგვცა. ქალბატონი დალილა როყვა კი რედაქციაში გვესტუმრა:

— თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. „ერუდიტი“ ძალიან მომწონს. ნინოს ინტერვიუმ ჩემზე ძალიან იმოქმედა. გული დამწყდა, ნინოსნაირი, გონიერი და მონდობილი ბავშვი ასეთ პირობებში რომ იმყოფება. არ შემეძლო, მისდამი გულგრილი დავრჩენილიყავი; რედაქციაში ამიტომ მოვედი — მინდა, მატერიალურად დავეხმარო.

— **ამით რას ძალიან გაახარებთ. დღეს რედაქციაში ნინოსაც ველოდებით. რას ეტყვით მას?**

— ჩემი აზრით, ნინო განსაკუთრებული ბავშვია. ვეტიყვი, რომ ფარხმალი არ უნდა დაყაროს, ბოლომდე ასე ისწავლოს, ამ მდგომარეობის გამო არ დაითრგუნოს. ღმერთი მოწყალეა და ხელს მოუმართავს; მჯერა, მას დიდი მომავალი ექნება.

— **დიდი მადლობა „გზის“ ერთგულებისა და ჩვენი რესპონდენტის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის!**

— მადლობა თქვენ, რომ ასეთ საინტერესო სტატიებს გვთავაზობთ.

მოგვიანებით რედაქციაში ნინო ეფრემიძეც გვესტუმრა.

— დიდი მადლობა თქვენ და ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამ სტატიას გამოუხმაურა. მკითხველთა ნაწილია ჩემს

სკოლაშიც დარეკა. მათ შორის, სხვა სკოლების ბავშვებიც იყვნენ: ზოგს ჩემი ახლოს გაცნობა უნდა, ზოგი მთხოვს, რომ სწავლაში დავეხმარო.

— **ელოდი ასეთ გამოხმაურებას?**

— ასეთი დიდი გამოხმაურება თუ იქნებოდა, მართლა არ მეგონა. თითოეული ადამიანის ყურადღება ჩემთვის დიდი სტიმულის მომცემია. ძალიან მიხარია, ყველას უღრმეს მადლობას ვუთხვები თქვენი ჟურნალის საშუალებით. არ ვიცი, რა გითხრათ, სიტყვებიც არ მყოფნის. აი (ფურცელს მიჩვენებს), იმ ადამიანების სახელები და გვარები მინერია, ვინც ამ სტატიას გამოეხმაურა და დაემხმარა. ამას არასდროს დავვიწყებ.

— **შენ სკოლა „ქორალის“ დამფუძნებელიც დაგიკავშირდა და იქ სწავლა შემოგთავაზა. ამ სკოლაში ხომ არ გადასულხარ?**

— ჯერჯერობით — არა. ამ სკოლაში მივედი და ძალიან მომეწონა. ძვირად ღირებული სასწავლებელია. მთავაზობენ, რომ მათთან ყოველგვარი გადასახადის გარეშე ვისწავლო. ისევ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ პრობლემას ნავანყდით. გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია.

— **განათლების სამინისტროდან არავინ გამოგხმაურებია?**

— არა. სახელმძღვანელოები ისევ არა მაქვს, სკოლაში ჯერ კიდევ არ მოუტანიათ...

— **ნინო, იმ თანხით, რომლითაც ჩვენი მკითხველები დაგემარნენ, რის შექმნას აპირებ?**

— მშობლები არ ხარჯავენ, კომპიუტერისთვის მიგრძობენ.

— **ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებ!**

— დიდი მადლობა თქვენ და თქვენს მკითხველებს!

P.S. თუ ნინოსთან დაკავშირების სურვილი გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ დაურეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 898-77-00-53 ან 898 12-20-97.

ჩვენ გრუპნით წიგნებს!

მხოლოდ 31 დეკემბრამდე

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“
+ „პალიტრა მედიის“ კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ
საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის წიგნ-ბესტსელერი:

„ვიზუალური ლექსიკონი“

ან

„ცხოველების ენციკლოპედია

ან

„დედამინს ენციკლოპედია



„პალიტრა მედიის“ გამოცემები

დასახელება	1 ეგზე ფანი	ეგზ. რაოდენობა 1 წლის განმავლობაში	ფანი 1 წლით
კვირის კალიტრა	1.00	52	52.00
სიტყვა და საძვ	1.00	260	260.00
სიტყვა და საძვ (კატალოგი)	2.00	52	104.00
ყველა სიასზე	1.00	52	52.00
გზა	1.00	52	52.00
რეიტინგი	1.00	52	52.00
არსენალი	1.50	26	39.00
კარიბჭე	1.00	26	26.00
ოჯახის მკურნალი	1.00	26	26.00
კარუსელი	0.60	52	31.20
საბავშვო კარუსელი	1.00	52	52.00
გოგონები	5.00	12	60.00
ლელო	0.60	312	187.20
ლიტერატურული პალიტრა	2.00	12	24.00
Georgian Journal	2.00	52	104.00

**2500 ფრადი ილუსტრაცია,
12 დეტალურად განხილული
კატეგორია,
608 გვერდი**

დაგვიკავშირდით პრესისა და
წიგნების გავრცელების
სააგენტო „ელვა.ჯი“

☎ 38-26-73; 38-26-74;

www.elva.ge

ეს წიგნები მალაჩივში 33 ლარი ღირს



სახე

„მონადირეც“ ვარ, „მესაკუთრეც“. აჭვიანობის რა მოგახსენოთ?..“



ნინო გვახვიანი

— საინტერესოა, როგორ მუსიკას უსმენთ?

— სერიოზულს. მაგალითად, მოცარტს, ჩაიკოვსკის. მიყვარს ოპერები.

— როკი?

— კარგად შესრულებული ყველაფერი კარგია. თუმცა ძალიან ჩახლავფორთებულ ჯაზს ვერ ვუსმენ.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— მარტოობა მომწონს, კითხვას და მუსიკით ტრფობას მეტ დროს ვუთმობ, ვიდრე ხალხმრავალ ადგილებში სიარულს. მეგობრები ვიკრიბებით კვირაში ერთხელ მაინც, ერთმანეთს დაგროვილ შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ სოლოზე.

— ეს სუფრასთან ხდება?

— საქართველოში აბა, სხვაგან სად მოხდება?! ჩვენს საძმოს ჩვენი კანონები გვაქვს, კარგა ხნის წინ მივიღეთ და მას მერე ვემორჩილებით.

— როგორა ეს კანონები?

— არდაგვიანება, პირველ რიგში...

„მე საქართველოში ფეხზე დამაყენა, ჩემი ქვეყანა გვერდში დამიდგა, მაშინაც, როცა ძალიან მიჭირდა. საქართველოს შვილი ვარ, მას ვეკუთვნი და არა მაქვს უფლება, სადაც დამიძახებენ, არ მივიდე, არ ვიმღერო. არავინ გვეკითხება, გინდა თუ არ გინდა, გემღერება თუ არ გემღერება. „ივეროა“ ხალხის საკუთრებაა და მისი წევრებიც ვალდებული ვართ, ხალხის სამსახურში ვიყოთ“, — მითხრა ინტერვიუს დასასრულს ბატონმა თემურ ნიკლაურმა. ცოტა ხნის წინ საპატიო თბილისელის ნოდება მიანიჭეს, რისთვისაც მადლობას უხდის ქალაქს მერს. ამბობს, რომ ეს უდიდესი ტვირთია მისთვის. ამ ტვირთის საზიდად, კიდევ ბევრი შრომა მოუწევს...

— არაბუნქტუალობაში ალბათ ვერ ვერობით არ გამოუჭერხართ მეგობრებს.

— (იკინის) არა, ამას ჩემს დაავადებად მივიჩნევ. კონცერტების დროს არ შეიძლება დამეგვიანა — მე ვინცები და მე ვამთავრებდი. ამიტომ ეს პასუხისმგებლობა თავისთავად გამომიშემა. ჩვენს „კანონებში“ ისიც შედის, რომ ბევრი არ უნდა დავლიოთ. ჩვენთან მიღებულია, იმდენი ალკოჰოლის მიღება, რამდენიც სასარგებლო იქნება გონისთვის, გულსა და ორგანიზმისთვის. სხვა „კანონებს“ ვერ გაგიმხელთ, თორემ გადაიღებენ მერე ჩვენგან (ილიმის).

— სიმღერა ალბათ აუცილებელი პირობა თქვენს „კანონებში“.

— აუცილებელი. ლექსიც. მყავს მეგობარი, ვასილ ბოლანშვილი, რომელმაც თითქმის მთელი „ვეფხისტყაოსანი“ იცის ზეპირად. წარმოიდგინეთ ქეიფი, სადაც სადღეგრძელოს ლექსით ამბობენ, თანაც — რუსთაველის ლექსით! ანდაც — პუშკინი, ლერმონტოვი, ვაჟა რომ ალაამაზებს სუფრას!..

— თქვენც გეწებათ საყვარელი ლექსი, რომელსაც სადღეგრძელოებში იყენებთ, ასეა?

— მე ვცდილობ, თამადა არ ვიყო. თან იმღერო და თან ითამადაო — ცოტა რთულია. ორივე ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ვუკიდები. სიმღერა კონკრეტულია და ამიტომ არის საქმე. თამადაობაში „კონკრეტულობა“ სმში გამოიხატება; კიდევ — დიდი პასუხისმგებლობა: თამადა ფილოსოფოსი, მჭევრმეტყვე-

ლი უნდა იყო.

— ამაზე პრეტენზია არ გაქვთ?

— მე (ასე მგონია) უპრეტენზიო აღამიანი ვარ.

— „ჭიქის მოპარვას“ რომ ეძახდა, ეგ ჩაგიდგნათ?

— არა. თუ სუფრასთან დაჯდები, არ უნდა „იქურდო“ და საერთოდ არ უნდა იქურდო.

— წამალი დალიე მაშინ, არა?..

— (იკინის) ჰო. ხმოვანი რომ იყო ჩვენი ინტერვიუ, რა კარგი იქნებოდა: რამდენს ვკისკისებთ?!

— უპრეტენზიო ადამიანი ვარო, მითხაროთ. ოჯახშიც ასეთი ხარო — მშვიდი, წყნარო?

— ახლა, მთლად მშვიდი... მკვდარი კი არა ვარ?!

— რა გალიზანებთ?

— შინ იქნება თუ გარეთ — ვერ ვიტან უპასუხისმგებლობას და უმადურობას.

— ოჯახში რა უფრო მეტად გალიზანებთ — ძალაგებული სანოლი, გასარეცხი ჭურჭელი თუ ის, რომ კერძი არ არის მომზადებული?

— რა გითხრათ?.. არ დავფიქრებულვარ ამაზე. თუ არ არის ყველაფერი წესრიგში, მიზეზზეც უნდა იფიქრო: ალბათ არ შეეძლო ადამიანს, დრო არ ჰქონდა ამისთვის. შენ თუ გაქვს — გააკეთე.

— გაგიკეთებთ?

— საქმელი — იშვიათად. მე ჩემ-ბურად ვიცი, გემრიელად მინდა ვჭამო. ჩემს ქალიშვილს ქეთოს და მუუღლესაც მოსწონთ ჩემი მომზადებული კერძი.



— კონკურენტის უწევთ მეუღლეს, როგორც მიხვდები. გამორეალად ვაკეთებო, — რომ ამბობთ, მეუღლეს არ ეწყინება? ის გამორეალ კერძებს არ ამზადებს?

— როგორ გვეადრებათ (ილიძის) — მთელი ცხოვრება ის არ აკეთებს?! რომ არ გამოსდიოდეს... არ მათქმევინოთ.

— როგორი ქმარი თემურ ნიკლაური?

— ეს ცოლს ჰკითხეთ. მე როგორ უნდა გითხრათ?!

— როგორ ფიქრობთ?

— ლოიალური, ალბათ, ყურადღებიანი; პასუხისმგებლობიანი.

— ყველა დადებითი თვისება ჩამოთვალეთ.

— მერე — ცუდი?

— არაფერს გასაყვედურობთ ცოლი?

— რა გითხრათ?... რა უცნაურ კითხვებს მისვამთ! ისეთი კითხვებია, საზოგადოებისთვის არ უნდა იყოს საინტერესო. როგორ ვებანაობ და რა შამპუნს ვხმარობ — ვის რაში აინტერესებს?!

— ეგ არ მიკითხავს. გავიმეორებ: რას გასაყვედურობთ მეუღლეს?

— არაფერს. ჩვენი ურთიერთობა თვითშეგნებაზეა აგებული. ყვირილი და ჭურჭლის მტკვრევა არ არის საჭირო იმიტისთვის, რომ მიხვდე, რა შეიძლება და რა — არა. გამახსენდა: მთხვავ იმას, რომ ბევრი და ხშირად არ დავლიო. ჩემი ჯანმრთელობა ადარდებს, — პატარა ბიჭი აღარ ხარო, — მეუბნება.

— თქვენ თუ შეგაძვთ კორექტივები თუნდაც მის ჩაცმის სტილში ან სასათაში?

— როგორ გითხრათ?... ძალიან უბრეტენზიოდ ვცხოვრობთ. ჩვენ ჩვენი ფილოსოფიური შეხედულებები გვაქვს — სამყაროზე, სხვა ადამიანებზე და, პირველ რიგში, საკუთარ თავზე. იმის დაძალება, — მე რასაც ვფიქრობ, შენც ის იფიქრე აუცილებლადო, — წარმოუდგენელია. ამას რომ მიხვდება ოჯახი, სინყარე ისადგურებს ხოლმე. თუმცა არსებობს საერთო ვალდებულებები, რომლებიც ორივემ უნდა გაითავისოს. რაც შეეხება ჩაცმის სტილს, იმდენს ვფიქრობდით ამ წლების განმავლობაში, რა ჩაგვეცვა სცენაზე, იმდენი პრანჭვა-გრეხა გვიწევდა, დავილაღეთ და ახლა უბრეტენზიო ჩაცმას ვანიჭებთ უპირატესობას. თან, ჩემი მეუღლე ბევრ დროს სახლში ბატარებს, დიასახლისის როლი მთლიანად მორიგო. გვივლის ყველას.

— ეი. თავი მოგიდუნათ!

— რა არის ამაში ცუდი?! ბიჭოს! მე რომ ვუძღვნი მთელ ჩემს ცხოვრებას, ცუდია?!

— შორიდან — მკაცრო, ბრაზიანი მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებთ; სონამდვილეში როგორი ხართ?

— (იციანის) ხომ ამწევთ, როგორი რბილი, დამყოლი, მოსიყვარულე, პატივ-

ისმცემელი, თავზიანი ადამიანი ვარ. შეხედულება მაქვს ასეთი, რა ვქნა?! ბავშვობიდან „არნივად“ „ვშუშაობდი“ (იციანის).

— როდის ბრაზდებით?

— როცა სიმღერა არ გამოდის.

— ასეც ხდება?

— ხდება, როცა სიმღერა „ჩემი“ არ არის: სიმღერა ჩემმა სულმა და გონებამ უნდა მიიღოს, სხვა შემთხვევაში მას ხელი არ უნდა მოგვიდოდ.

— როგორია გაბრაზებული თქმური?

— ფინთი (იციანის)... როგორ ვთქვა, არ ვიცი. ცუდ ტონალობაში ვლაპარაკობ, ოღონდ — არ ვყვირი. სუსტი კაცის პოზიციაა მტვრევა, ჩხუბი, ბილნსიტყვაობა. თუმცა ამ უკანასკნელს ზოგჯერ მეც ჩავდივარ.

— მართლა?

— ვაიმე, თავი აღსარებაზე მგონია! ქალი მღვდელი? პირველად ვნახე (იციანის).

— ჰობი გაქვთ?

— ჰობი ვინ არის (იციანის)?.. ძლიერ გამოკვეთილი სურვილი, ალბათ.

— ასე იქნება განმარტებული ლექსიკონში.

— თავგადაკვლილი მონადირე ვიყავი ერთ დროს. 25 წელია, შევეშვი ამ საქმიანობას: მიხვდით, რომ ცოდვაა; დიდი ხანია, ველარ ვკლავ. ადრე ნადირობდნენ იმიტომ, რომ საჭმელი ეშოვათ და ოჯახი ერჩინათ. სანყალი შველი დადის, შვილი ჰყავს, სიცოცხლე უხარია და შენ, ჩასაფრებული, დურბინდით, იარაღით, გარშემო ძაღლებით... სამინელება. მიუღებელია ჩემთვის.

— ზოგადად „მონადირე“, „მქსაკუთრე“ ხართ?

— „მონადირეც“ ვარ, „მქსაკუთრეც“. ეჭვიანობის რა მოგახსენოთ?... ქალი მთლად უნდა გადაირიოს, მე რომ ვიქვიანო... ახლა არ მკითხოთ, „გადარევა“ რა არისო (იციანის)!? ახალგაზრდობაში კი ვეჭვიანობდი, სულ რაღვა დავმუხვდებოდი. სცენაზე დგომამ ფსიქოლოგობა მასწავლა, ბევრ რამეს ვხედავ ადამიანებში, მათ თავლებში; ახლა შემიძლია, არაფერი ვთქვა და თვალებით ვილაპარაკო.

— ეჭვიანობაზე ვსაუბრობდით.

— ეჭვს ძალიან დაბლა ჩამოჰყავს ადამიანი. არასრულფასოვნების კომპლექსია და სხვა არაფერი. რაზე უნდა ვიეჭვიანო? — სხვას მეტი ტაში დაუკრეს, უკეთესი სიმღერა იმღერა თუ რა?! სისულელეა! „ივერია“ ყოველთვის გამარჯვებული იყო. ხმაშალალი სიტყვებია, მაგრამ ჩვენ დამარცხება არ გვიგემია.

— რამდენად ერთგული ხართ?

— საკუთარი თავის?

— არა, მეუღლის.

— 43 წლის ოჯახი გვაქვს და ესაა პასუხი. ორგულობის შემთხვევაში, ან მე წავიდოდი სახლიდან, ან — ის, ეი. ლილი.

— თვალს არ გაგაცვივათ გვერდით?

— როგორ არა?!

— მეუღლის თანდასწრებით?

— ასე ჩაკირკიტებას და დაწვრილმანებას დაანებეთ თავი! ადამიანი ცოდვილია. არც მე ვარ ფრთიანი ანგელოზი.

— როდის წითლდებით?

— წვერი მაქვს და ვერ ვხედავ (იციანის)... დიდი ხანია, წვერი მაქვს. ისე კი ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს, — ცხოველებს შორის მხოლოდ ადამიანი წითლდება!

— გულწილი ხართ? რაზე შეიძლება იტროს თემურ ნიკლაურმა?

— ყოველგვარი სიკეთის გამოვლინებაზე.

— დეპრესია გქონათ?

— მქონია. სამინელება; დეპრესიით გამოწვეული განცდის აღწერა შეუძლებელია. ამ დროს გონი არ მუშაობს, აბსოლუტურად არაფერზე ფიქრობ, ერთი რამის გარდა — რამაც ამ მდგომარეობაში ჩაგაგდო და გამოსავალს ვერ ხედავ.

— შეიძლება გკითხოთ, რამ მიგიყვანათ ამ მდგომარეობამდე?

— ჩემი ბიჭის, გიორგის გარდაცვალებამ. არ ვიცი, როგორ გამიგებს მკითხველი, მაგრამ ალბათ ეს უნდა მომხდარიყო, რომ ჩაწვდომოდი იმას, რისთვის მოვდივართ ადამიანები დედამიწაზე; რომ სიყვარული და სიკეთე — ყოვლისშემძლეა; რომ შენ, პირველ რიგში, მართლმადიდებელი ქრისტიანი ხარ; რომ საჭიროა, ხშირად ჩაიხედო საკუთარ გულში და მონახო საყრდენი შენი სულიერი მდგომარეობისთვის; რომ სხვის სულში ფათურს თავი უნდა დაანებო — და ბევრი სხვა „რომ“, რომელიც ურნის გადამრუნების შემდეგ გამოჩნდება ხოლმე... „გსჯი, რამეთუ მიყვარხარ, რომ ჭკმარიტება ვინრო და ეკლიანი გზით მიიღწევა“ — ეს ფორმულა შეიძლება მიუსადაგო ჩემს მდგომარეობას. ამ დიდი განსაცდელის შემდეგ, ცხოვრებას სხვა ფერებში ვხედავ, უფრო რეალურ ფერებში, ვიდრე მანამდე ვხედავდი.

— დღეს რა ფერია თქვენი ცხოვრება, ოცნებები?

— ვარდისფერია ჩემი შვილის, ქეთევანის და შვილიშვილის ანდრიას წყალობით. ლილი, შენ არ გეწყინოს! ჩემი შვილიშვილის ქორწინის მინდა მოქსნრო. 14 წლის არის ანდრია. ვოცნებობ, ჩემი ქალიშვილი დამშვიდებული, დაწყნარებული, ფეხზე მყარად მდგარი ვნახო, რომ როდესაც წავალ, ხელს დაგიქნევთ ყველას, იგი იდგეს ამავად, არ დაუცეს არც სულიერად, არც ფიზიკურად და არც მატერიალურად. კიდეც, სოლო კონცერტს ვეგმავ აპრილში და ვნახოთ (ილიძის)..

— საიმიწევით დავესწრებით და გაფაშუქებთ თქვენს კონცერტს, თუ ნებას დაგვრთავთ.

— უკვე დაპატივებული ხართ! ■



ანი გიუნტარი — „დაქირავებული“ მეკლა

„ალბათ, ახლა გოგონებს წელიწადში ორჯერ ბავატიხვებ“

„რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი — ანი გიუნტარი ცხნიდან გადმოვარდნის შემდეგ „გამხიარულებული“, მკურნალობის კურსს გადის. იმედი აქვს, რომ მოტყეილი თითის ოპერაციას გადაურჩება და ახალი წლის დღესასწაულს საბოლოოდ გამოჯანმრთელებული შეხვდება.

ათო ყორღანაშვილი

— ჩემთვის და ჩემი ახლობლები-სთვის 2010 წელი ძალიან მძიმე იყო: ყველას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა შეგვექმნა. ერთადერთი ნათელი მოვლენა — ჩემი შვილის დაბადება გახლდათ...

— იდეა, 2011 წელი შენ ოჯახისთვის წარმატებული იქნება დღესასწაულისათვის მზადება უკვე დაიწყო?

— სადღესასწაულო განწყობილება 31 დეკემბერს მეუფლება ხოლმე... ალბათ, შინ პატარა ნაძვის ხე გვექნება, რადგან ჩემი შვილი ისეთ ასაკშია, რომ დიდ ნაძვის ხეს 2 საათში „დააპატარავებს“.

— ნაძვის ხეს თავად ხშირად აფორმებ?

— კი. „წვიმები“ არ მიყვარს. საერთოდ, სათამაშოებით დატვირთული ნაძვის ხე არ მომწონს. წინა წელს ნაძვის ხე თეთრი ბაფთებით, სადად გავაფორმე. ერთხელ ნაძვის ხეზე მხოლოდ ერთი სათამაშო დავკიდე, რაც ძალიან მომეწონა. რა თქმა უნდა, მერე სხვა სათამაშოებიც შევმატე...

— მეუღლესთან ერთად, ახალ წელს პირველად როგორ შეხვდით?

— მაშინ, ცხოვრებაში პირველად შეხვდი ახალ წელს ოჯახის გარეთ. მეგობრებთან ერთად, რესტორანში ვიყავით. მასხოვს, 31 დეკემბერს ძალიან კარგი გადაცემა გამოვივიდა, მაგრამ სამსუხაროდ, ქმრის მიერ ნაჩუქარი ჩემი საყვარელი საყურე (შავი მარგალიტებით) დავკარგე. ამ ფაქტმა ძალიან დამწყვიტა გული, მაგრამ უსიამოვნება ძველ წელს „ჩავაბარე“. იმავე დღეს, მეუღლისაგან არანაკლებ კარგი საჩუქარი მივიღე. ძალიან ბედნიერი ვიყავი! თან, ამ დროს უკვე ბავშვს ველოდებოდი... მიმაჩნია, რომ „ახალი წელი“ საოჯახო დღესასწაულია, რომელსაც წელს, ჩემს ოჯახთან ერთად, შინ შეხვდები. ჩემი პატარისათვის ფიფქიას კოსტიუმი (თოვლის ბაბუის კოსტიუმის ფერებში) უკვე შევარჩიე. ახლობლები გავაფრთხილე: არ თქვათ, რომ თოვლის ბაბუა არ არსებობს-მეთქი! მე მისი არსებობის მჯერა (ილიმის). 26 წლის



განმავლობაში, „თოვლის ბაბუა“ ბალიშის ქვეშ საჩუქარს მიტოვებდა. მასხოვს, როცა მამა გარდაამცვალა, უკვე ისეთ ასაკში ვიყავი, რომ ვიცოდი — თოვლის ბაბუა არ არსებობდა. სამინელი ტრადიციის მიუხედავად, ახალი წლის დღესასწაულზე ბალიშის ქვეშ სიმბოლური საჩუქარი მაინც დამხვდა. ამას არც ველოდი, რადგან უკვე საკმარისად მოზრდილი ვიყავი საიმისოდ, რომ მცოდნოდა — ჩვენს ოჯახში მთავარი „თოვლის ბაბუა“ გარდაცვლილი იყო. საჩუქრის დანახვისას ვიტორე... დედაჩემის საქციელს ვერ ვივინყებ: ბავშვს ზღაპარი არ „დაშიკარგა“ და ბალიშის ქვეშ დატოვებული საჩუქრით მიმანიშნა, რომ მზრუნველობას არ მომაკლებდა...

— საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებული, განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვს?

— მაგიდის ქვეშ არ ვძვრები, ფანჯრიდან წყალს არ ვასხამ (თურმე ასეთი ტრადიციაც არსებობს)... ახალ წელს საკუთარ თავს პირობას ვაძლევ, რომ რაღაც ცუდ ჩვევაზე უარს ვიტყვი, მაგალითად — სიზარმაცზე. ჩემი მეუღლის თვალში, ძალიან შრომისმოყვარე ვარ, მაგრამ საკუთარი თავისგან მეტს ვითხოვ. ახალი წლის დღესასწაული ერთ-ერთი კარგი მიზეზია საიმისოდ, რომ უფრო კეთილი გახდე, საყვარელი ადამიანი კიდევ უფრო მეტად შეიყვარო...

— ბედობის გვერა?

— წელს საავადმყოფოებში სიარული დამეხებდა, მაგრამ ყურნალისტიც „დავიბდე“ (ინტერვიუ ჩანერილია ბარბარობის დღეს. — ავტ.)... მიმაჩნია, რომ ადამიანს საკუთარი ბედის წარმართვა თავად შეუძლია, რა თქმა უნდა — ღმერთის დახმარებით.

— მეკვლე თუ ყოფილხარ?

— კი, ყოველთვის „დაქირავებული“ მეკვლე ვიყავი (თავს ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ — ჩემგან დადებითი ენერჯია იფრქვევა). გოგონებს „ვათხოვბდი“. თან, მაშინ გასათხოვარი ვიყავი. ახლა გათხოვილი ვარ და უფრო წარმატებული მეკვლე ვიქნები: ალბათ, გოგონებს წელიწადში ორჯერ გავათხოვებ (იციინის).

— ტრადიციული ქართული საახალწლო სუფრის რომელი კერძი გიყვარს განსაკუთრებულად?

— ახალი წლის დღესასწაულზე შანსი გაქვს, ყველა ახლობლის მიერ მომზადებული საცივი გასინჯო. ამ პერიოდში მინიმუმ, 4-5 კილოგრამს იმატებ წონაში. საცივი ჩემს მეუღლესაც ძალიან უყვარს. ჩემი დედამთილი ძალიან გემრიელ საცივს ამზადებს. იმის ფუფუნების უფლებას ვაძლევთ თავს, რომ მისი მომზადებული ეს უგემრიელესი კერძი წელიწადის სხვა დროსაც მივირთვათ.

— თავად არ ამზადებ?

— დედამთილს ვერ შევედრები... მე ალბათ, რაიმე ეგზოტიკურ კერძს მოვამზადებ, ოღონდ კურდღლის ხორცისაგან — არა (ილიმის).

— დღესასწაულის შემდეგ, ზემეტ კილოგრამებს როგორ „ებრძვი“?

— ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო.

— იცავ?

— არა. ახალი წლის დღესასწაულზე ზომა-წონაზე ზრუნვას ვერ დავიწყებ. ეს პერიოდი დიეტის დასაცავად საუკეთესო ნამდვილად არ არის. წონაში თავისთავად ვიკლებ. მაგალითად, შვილის გაჩენის შემდეგ, როგორც კი სამსახურს დაფურუნდი, შემეცყო — წონაში საგრძნობლად დავიკვლი. საკვების მიღებასთან დაკავშირებით, თავშეკავება კარგია, მაგრამ ეს „ცხოვრების ტრადიციად“ არ უნდა იქცეს.

— სადღესასწაულო სამოსის რაც შეეხება?

— (მანყვეტინებს) ოოო, ეს რა გამახსენე! ამ საკითხს ყოველთვის განსაკუთრებულად ვევიდებოდი — სადღესასწაულო სამოსი წინასწარ შერჩეული მქონდა ხოლმე. წელსაც ვფიქრობ, კაბა შევიკერო.

— სამოსის შერჩევისას, შენს გემოვნებას ენდობი თუ დიზაინერების რჩევებს ითვისებ?

— ახალი წლის დღესასწაულს რა მოუხდება?

— რა თქმა უნდა, დიზაინერების რჩევებსაც ვითვალისწინებ. ალბათ რაიმე ორიგინალურს მოვიფიქრებ, თუმცა მაქვს ერთი კაბა, რომლის „კარგად“ ჩაცმა ჯერ ვერ მოვახერხე. შეიძლება, ახალი წლის დღესასწაულზე სწორედ ის კაბა ჩავიცვა...



„ჩვენი სიყვარული დღითი დღე ქლიერდება!“

„მანიკას ყველა სამსახური მეზიზღება“ ...

მოდელი და ტელენამყვანი — მანიკა ასათიანი და კალათბურთელი — ბეკა ნიჟნოვსკი ცოლ-ქმრის ამბულაში ახალი წლის დღესასწაულს პირველად სვდებიან. აღმოჩნდა, რომ მანიკა დიასახლისად თავს საერთოდ ვერ გრძნობს. თუ რა არის ამის მიზეზი, ოჯახისათვის რა შეუფერებელ საქციელს არ ჩაიდენს და ერთმანეთზე თავდავიწყებით შეყვარებული ცოლ-ქმრის „მცირე ჩხუბები“ როგორ მთავრდება — ამ ყველაფერზე თავად წყვილი გვესაუბრა...



გოგონებზე დამოკიდებული, სიყვარულის გამო ეიფორიაში მყოფი, „დადებილებული“ ბიჭები არასოდეს მიზიდავდა

— ითო ყორღანაშვილი

მანიკა:
— ახალი წლის დღესასწაულს სახლში შევხვდებით. შარშან ჩემი მეკვლე ბექა იყო. კარგი ფეხი ჰქონდა...

ბეკა:
— მანიკამ თავად მიტხრა: ჩემი მეკვლე შენ უნდა იყო. ასეც მოვიქეცი და ორივე და „გავათხოვე“ (იციინის).

— თქვენ სიყვარულის ამბავი როგორ დაიწყო?
— მოდების ჩვენებიდან, „ჯეოსტარიდან“ მანიკამ ჩემი ყურადღება მიიქცია. შემდეგ, ერთ-ერთ სოციალურ საიტზე მისი ფოტოები ვნახე, მომეწონა და გადავწყვიტე, როგორმე დავახლოებოდი.

მანიკა:
— ინტერნეტით მეკონტაქტობოდა, მაგრამ რადგან ჩემთვის უცნობი პიროვნება იყო, მას სერიოზულად არ აღვიქვამდი. უბრალოდ, მცირე მიმოწერა გვექონდა. აღმოჩნდა, რომ ჩემი დაქალი (ახლა უკვე მეჯვარე) ბექას იცნობდა. ერთ-ერთ ჩვენებაზე, ბექამ სწორედ დაქალის მეშვეობით გამიცნო. ჩვენი ურთიერთობა მაშინვე არ აენყო. დაახლოებით, თვე-ნახევარი ერთმანეთი „დავასვენეთ“. ბექა ჩემგან იმას ვერ გრძნობდა, რაც სურდა, რომ ეგრძნო. ასე ვთქვათ, „თავი დამანება“ და პოლონეთში გაემგზავრა. იმ თვე-ნახევარში გავაცნობიერე, რომ ეს ადამიანი უკვე მიყვარდა. მენტატრებოდა... საქართველოში ბექას დაბრუნების დღიდან ერთად ვართ... დაქალის გარდა, კიდევ ბევრი საერთო ნაცნობი აღმოვაჩინეთ, რადგან კალათბურთთან ჩემი ოჯახის წევრები „ახლოს არიან“ — 2 ბიძა კალათბურთელი მყავს. მეუბნებოდნენ, — ბექა ნიჟნივსკი კარგი ბიჭია, კარ-

გი ოჯახიდანაა; თუკი რამე დაისახა მიზნად, აუცილებლად მიიღწევს. მე მხოლოდ მხრებს ვიჩეჩდი (იციინის). საბოლოოდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ყველა კმაყოფილი დარჩა.

— ეი. თქვენმა მშობლებმა თქვენი ურთიერთობის შესახებ თავიდანვე იცოდნენ?
ბეკა:

— როცა ადამიანს სერიოზულად უყურებ, მისი ოჯახითაც ინტერესდები. მანიკას მშობლებიც დაინტერესდნენ, თუ ვინ „აწუხებდა“ მათ შვილს.

— შენს მშობლებს მანიკა როგორ წარუდგინე?

— ერთ-ერთ ჩვენებას, რომელშიც მანიკა მონაწილეობდა, დედაჩემიც ესწრებოდა. დედას ვუთხარი, — ეს გოგო მომწონს-მეთქი. მან არჩევანი მომიწონა და აღნიშნა, — ეს გოგონა „ჯეოსტარში“ მონაწილეობდაო... შარშან ისრაელის გუნდში სათამაშოდ მივიდიოდი, სავარაუდოდ — ერთი წლით. აეროპორტში მანიკამ გამაცნობა. ჩემი უპყვარებული ჩემს მშობლებს სწორედ იქ გავაცანი. გარკვეული მიზეზების (ერთ-ერთი მიზეზი მანიკაც იყო) გამო, საქართველოში 2 კვირაში დავბრუნდი. ასე რომ არ მომხდარიყო, ცოლ-ქმარი ჯერ არ ვიქნებოდი. შეყვარებულობის პერიოდი რამდენ ხანს გასტანდა, ღმერთმა იცის...

მანიკა:
— გაცნობიდან 2 თვეში უკვე ერთად ყოფნა გვინდოდა...

ბეკა:
— არასოდეს გვიჩხუბია...

მანიკა:
— კინკლაობის გარეშე, 2 ადამიანის ურთიერთობა წარმოუდგენელია — როცა არ კამათობენ, ეი. ერთმანეთი არ აინტერესებთ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ გვეჩხუბოს და ამის გამო, თუნდაც ერთი კვირით ერთმანეთს დავშორებოდი. გავბრაზებულვართ, მაგრამ სიბრაზე განვლულვართ.

— თქვენი კამათის მიზეზი რა არის ხოლმე?

ბეკა:
— რაღაც სისულელეზე ვკამათობთ.
მანიკა:
— ორივენი ჯიუტები ვართ. ჩვე-



ნი „ჩხუბი“ ისტერიკული სიცილით მთავრდება.

ბამბ:

— ამის შემდეგ, ერთმანეთი კიდევ უფრო მეტად გვიყვარდება.

— **გარეგნობის გარდა, გაცნობისას ერთმანეთში ყველაზე მეტად რამ მოგხიბლათ?**

მანიკა:

— გოგონებზე დამოკიდებული, სიყვარულის გამო ეიფორიაში მყოფი, „დადებილებული“ ბიჭები არასოდეს მიზიდავდა. ბიჭი თავმოყვარე, ვაჟკაცური, ძლიერი პიროვნება უნდა იყოს. ეს ყველაფერი ბექაში დავინახე და ამიტომ შემეყვარდა.



უბედნიერესი ვარ! დილით რომ ვიღვიძებ და მანიკას ვხედავ, საოცარი გრძნობა მეუფლება...

ბამბ:

— მანიკა თბილი, დადებითი ხასიათის მქონე ადამიანია. ყოველთვის ცდილობს, კარგ გუნებაზე დაგაყენოს. მას ყველა ის დადებითი თვისება აქვს, რაც შეიძლება, ადამიანს ჰქონდეს.

— **სიყვარულში როგორ გამოუტყდი?**

— გრძნობა პირველად მე გამიჩინდა, მერე — მანიკასაც... ვუთხარი, — მანიკა, ძალიან მიყვარხარ-მეთქი!

მანიკა:

— სიყვარულში რომანტიკულ საღამოზე არ გამომტყდომია. ასეთი რაღა-

ცები დიდად არც მიზიდავს. „მიყვარხარ“ რომ არ ეთქვა, ისედაც ყველაფერი ნათელი იყო — ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა და გვესმის. ოჯახის შექმნის გადანყვებილებაც მალე მივიღეთ. შეყვარებულობის პერიოდში მე და ბექა დილიდან დაღამებამდე ერთად ვიყავით. ღამით სახლამდე მიმაცილებდა, მერე კი დილაზე „ვმესიჯობდი“. ბექა სპორტსმენია, მისთვის ხშირი ღამისთევა არ შეიძლება. ორივესთვის უკეთესი იყო, რომ ოჯახი შეგვექმნა და ერთად გვეცხოვრა.

— **ცოლ-ქმრის აპლუაში თავს როგორ გრძნობ?**

ბამბ:

— უბედნიერესი ვარ! დილით რომ ვიღვიძებ და მანიკას ვხედავ, საოცარი გრძნობა მეუფლება... ვარჯიშიდან რომ ვბრუნდები, მინდა, რომ მანიკა შინ დამხვდეს.

მანიკა:

— მეგობრები ძირითადად, ჩვენთან ვიკრიბებით. ყველა გვეუბნება, — რაც დაოჯახდით, სულ სახლში ხართო. შინ ყოფნა გვიყვარს. ერთმანეთი 2 საათი რომ ვერ ვნახოთ, მაშინაც კი „ვმესიჯობთ“. დაოჯახებული წყვილების ურთიერთობებს რომ ვაკვირდებით, ვხვდებით — ჩვენ სხვანაირი ურთიერთობა გვაქვს, ან იქნებ გვეჩვენება, რომ ერთმანეთი ასე ძალიან გვიყვარს. ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებთ. ჩვენი სიყვარული დღითი დღე ძლიერდება! ვხუმრობთ ხოლმე, — ბოლოს არ გავგიჟდეთოქო (იციინის).

— **ერთმანეთის საქმიანობის მიმართ როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

ბამბ:

— დადებითი. კარგია, როცა წარმატებული მეუღლე გყავს. სამოდელო სფეროს რაც შეეხება, მანიკა ჩვენი ოჯახებისათვის შეუფერებელს არაფერს აკეთებს და დარწმუნებული ვარ, ამას არც არასდროს გააკეთებს. ჩემი მეუღლე ამიტომაცაა.

— **„შეუფერებელ“ საქციელში რას გულისხმობ? მაგალითად, შენმა მოდელმა მეუღლემ „თამამი“ ფოტოები არ უნდა გადაიღოს?**

— ერთი სიტყვით, ქართული ტრადიციების მიმდევარი ადამიანი ვარ!

მანიკა:

— თავად ისეთი ტიპი ვარ, რომ არც პოდიუმზე და არც ცხოვრებაში ვულგარულად ჩაცმა და ამით საზოგადოების ყურადღების მოპყრობა არ მიყვარს. როცა ქალი ლამაზია, მას სხეულის კონკრეტული ნაწილების გამოჩენა არ სჭირდება — მის სილამაზეს ისედაც დაინახავენ... ბექა არაფერს მიკრძალავს, მთავარია, სამოსი მიხედვით. ვულგარულად არ უნდა გამოვიყურებოდე... ბექას საქმიანობას რაც შეეხება, დადებითად ვეკიდები. ჩემი მეუღლე საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული კალათბურთელია. ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო წარმატებული გახდება. მინდა, ამაში ხელი შევეწყო. მისარია, როცა მოედანზე ბექა თამაშობს. ვგულშემამტკიცვრობ, რადგან ის საუკეთესოა! მის პროფესიონალიზმს ვაფასებ.

— **ერთმანეთის საქმიანობის გამო, გარკვეული ხნით განშორება რომ მოგიხდეთ?**

ბამბ:

— ეს არასოდეს მოხდება! თუკი უცხოეთის რომელიმე კარგ გუნდთან კონტრაქტს გავაფორმებ, მანიკასაც თან წავიყვან და ვეცდები, მან უცხოეთშიც გაიკვლიოს გზა. სიმართლე გითხრათ, მანიკას ყველა სამსახური მეზიზღება, რადგან შინ რომ ვბრუნდები, მინდა, მეუღლე დამხვდეს!

მანიკა:

— ბექას ძალიან ვუყვარვარ. უნდა, რომ სულ ერთად ვიყოთ, მაგრამ ისიც არ უნდა, რომ „სახლში ვიჯდე“. ამიტომ, მონატრებას ვუძლებთ.

— **პირიქით რომ მოხდეს და საქმიანობის გასაგრძელებლად უცხოეთში გამგზავრება შენ მოგიხდეს?**

ბამბ:

— მანიკას „მენეჯერი“ მე ვარ! მას ოჯახი აქვს და საქმიანი შეთავაზებები შეთავაზებებად დარჩება...

მანიკა:

— ...და დარჩენილა კიდევ. უცხოეთში მარტოს გამგზავრება წინათაც არ მსურდა, ახლა — მით უმეტეს. ჩემი თავი ბექას გარეშე ვერ წარმოიდგენია! პირველ ადგილზე ოჯახს ვაყენებთ. შვილიც ძალიან გვინდა, გყავდეს. ბუნებრივია, ბავშვი მეტ პასუხისმგებლობას დაგვაკისრებს. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ღმერთს სურს...

— **ბექა, მანიკას დილით ადრე ადგომა არ უჭირს?**

— მალვიძარას ხმაც არ ესმის! როცა საათი დარეკავს, მანიკა მთხოვს, — 5 წუთით უკან გადასწიე, ცოტას კიდევ დავიძინებო; 5 წუთის შემდეგ კიდევ 5 წუთით გადამანევიანებს ხოლმე და



ასე „ავდივართ“ ნახევარ საათამდე. ვურჩევ, რომ მალვიძარა პირდაპირ ნახევარი საათით უკან დააყენოს, მაგრამ ასე არ იქცევა. როცა მუშაობს, მეც არ მიინახვს, — დილის ტელეპროგრამას ვუყურებ.

მანიკა:

— პასუხისმგებლობის გრძნობა რომ არ მქონდეს, დილით ადრე ვერ ავდგებოდი. ძილი ჩემთვის „ცალკე სამყაროა“ — ისე მიყვარს, რომ ბალიშიდან თავს ვერ ვწევ.

— დილის ეთერში არ დაგგვიანებია?

— ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთხელ იყო. მალვიძარამ არ დარეკა.

პამა:

— მალვიძარამ დარეკა, მაგრამ წინააღმდეგ მანიკამ შეცდომით, ერთი საათით უკან დააყენა. შეიძლება ითქვას, რომ მეუღლისთვის მალვიძარა — მე ვარ. სხვათა შორის, ერთხელ მანიკამ პირდაპირი ეთერიდან თვალის ჩამიკრა...

მანიკა:

— ტელეფონით მელაპარაკა. მითხრა, — არ მეძინება, გიყურებო. ვუპასუხე, — პირდაპირ ეთერში რამეს განიშნებ-მეთქი. ამინდის პროგნოზის კითხვა რომ დავასრულე, თვალი ჩავუკარი და გავჩერდი. ბექა ამას არ ელოდა (იციინის)...

— მანიკა, დიასახლისის ამპლუა როგორ შეითვისე?

— ამ ამპლუაში თავს საერთოდ ვერ ვგრძნობ, რადგან დედამთილი არაფერს მაკეთებინებს.

პამა:

— ცალკე ცხოვრებას ჯერჯერობით არ ვაპირებთ: ახალგაზრდები ვართ, რალაცები უნდა ვისწავლოთ...

მანიკა:

— ზოგადად, სამზარეულოში ტრიპალი მიყვარს და მეხერხება კიდევ. როცა რაიმე კერძი მომიმზადებია, ბექაც და მისი მეგობრებიც კმაყოფილი დარჩენილან.

პამა:

— სხვათა შორის, მის მიერ მომზადებული კერძით ხშირად მოვწამლულვარ (იციინის)... ვხუმრობ, რა თქმა უნდა. მანიკა ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებს!

— მანიკა, საახალწლო სუფრისათვის რაიმეს მომზადებას



მანიკა მეუღლესთან და დასთან ერთად

ბექას ძალიან ვუყვარვარ. უნდა, რომ სულ ერთად ვიყოთ, მაგრამ ისიც არ უნდა, რომ „სახლში ვიჯდე“. ამიტომ, მონატრებას ვუძლებთ

სომ არ აპირებ?

— ამაზე ჯერჯერობით არ მიფიქრია.

პამა:

— 2 იანვარს მოიფიქრებს (იციინიან).

მანიკა:

— ახალი წლის დღესასწაულისათვის სამზარეულოში ფუსფუსი სასიამოვნოა, მაგრამ ყველაფერს საკუთარ თავზე ვერ ავიღებ, თუმცა შეიძლება, მაგალითად, გოზინაყის მომზადებაში მივიღო მონაწილეობა.

— მომღერლები ახალი წლის დღესასწაულზე დატვირთული რეჟიმით მუშაობენ. ამ მხრივ, შენც რაიმეს სომ არ გავმაგ?

— არა. თავს მომღერლად არც მივიჩნევ. „ჯეოსტარში“ მონაწილეობა იმას არ ნიშნავს, რომ მომღერალი ვარ. საქართველოში ბევრი ადამიანი მღერის. ყველა შოუბიზნესს სომ არ „შეერევა“?!

პამა:

— არადა, ძალიან მაგრად მღერის! სხვათა შორის, მსახიობური ნიჭიც აქვს.

მანიკა:

— მსახიობობა ყოველთვის მინდოდა. მონაცემებიც მქონდა (ამას რეჟისორებიც აღნიშნავდნენ). უნივერსიტეტში

მისაღები გამოცდები რომ ჩავაბარე, უკვე ბექას მეუღლე ვიყავი. მსახიობობას განსაკუთრებულად ბევრი დრო სჭირდება. ამიტომ ჟურნალისტობა გადავწყვიტე. ეს სფეროც ძალიან მომწონს... ფილმში მონაწილეობისათვის აუცილებელი არ არის, პროფესიით მსახიობი იყო.

— ბექა, წელს ვის მეკვლეობას აპირებ?

— არ ვიცი. ვისაც გათხოვება უნდა, დამიკავშირდეს (იციინიან).

— მანიკა, შენ როგორ ფეხი გაქვს?

— სომ ამბობენ, „რიჟები“ ან „თარსები“ არიან, ან — პირიქითო? მიმაჩნია, რომ „თარსების“ კატეგორიას არ მივეკუთვნები: 4 წლის განმავლობაში, ბიძაჩემისთვის ფანტასტიკური მეკვლე ვიყავი!

— ვისთან ერთად აპირებთ ახალი წლის დღესასწაულის გატარებას?

პამა:

— ახალ წელს ჩემს მეგობრებთან ერთად შევხვდებით. მათ შორის, „ცნობილი“ პიროვნებები — „ზუგდიდელი სიგარეტა“, „საჩხერელი გუგლიკა“, „შენერელი გატუზო“ და „ტიბაანელი რეზოც“ იქნებიან (იციინის).

მანიკა:

— ასევე — ჩემი მოდელი დაქალებიც. ძალიან კარგ დროს გავატარებთ ერთად!




სკარლეთ იოჰანსონი ჰოლანდიის ყველაზე სექსუალურ მამაკაცს შორდება

სკარლეთ იოჰანსონმა და მისმა მეუღლემ, კანადელმა მსახიობმა რაიან რეინოლდსმა განქორწინების შესახებ განაცხადეს. 26 წლის მსახიობმა ქალმა ჟურნალისტებს აცნო-

ბა, რომ წყვილის ურთიერთობაზე უარყოფითად იმოქმედა გადატვირთულმა საქმიანობამ... მეუღლეებმა საზგასმით აღნიშნეს, რომ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, ურთიერთობას „მშვიდად, კეთილად“ უსვამენ წერტილს. ამასთანავე დასძინეს, რომ ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ რთვის წინ მიიღეს, განქორწინების ინიციატორი კი სკარლეთ იოჰანსონი იყო, რომელმაც ნიუ-იორკში ბინის ძებნა მაშინვე დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის ნოემბერში ჟურნალმა People რეინოლდსი მსოფლიოში ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დაასახელა. სკარ-



ლეთ იოჰანსონმა და რაიან რეინოლდსმა 2008 წლის სექტემბერში იქორწინეს. საქორწინო ცერემონიას მხოლოდ წყვილის უახლოესი მეგობრები და ნათესავები ესწრებოდნენ. ■



ჯონ ბონ ჯოვი ობამას ადმინისტრაციის საბჭოში შევიდა

ამერიკული პრესის ცნობით, ცნობილი მომღერალი შეიყვანეს აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ახალი საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც 14 დეკემბერს შეიქმნა. მთავრობის ჩანაფიქრით, თეთრი სახლის სოციალურ-თემური პრობლემების საბჭო მოქალაქეებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, საწარმოებსა და ჩინოვიკებს სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიებაში დაეხმარება. 25 წევრისგან შემდგარ ამ ორგანოში ბონ ჯოვისთან ერთად, რამდენიმე მსხვილი კომპანიის ტოპმენეჯერები არიან წარმოდგენილი. ჯონ ბონ ჯოვი დემოკრატიული პარტიისადმი სიმპათიით არის ცნობილი. მომღერალი ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე ბარაკ ობამას კანდიდატურის მხარდამჭერი მონაწილეებით გამოდიოდა. ამასთან, მუსიკოსმა სილარიბესთან ბრძოლის ფონდი დააარსა და აქტიურ საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწევა.

ცნობილია, რომ მსგავს საქმიანობას სხვა ამერიკელი ვარსკვლავებიც ეწევიან. მაგალითად, ვიოლონჩლისტი იო-იო მა (Yo-Yo Ma) და მსახიობი სარა ჯესიკა პარკერი პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებულ, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კომიტეტში მსახურობენ. ■



კინოაკადემიამ რჩეულთა სია გამოაქვეყნა

ამერიკის კინოაკადემიამ გამოაქვეყნა „ოსკარების“ დაჯილდოების ცერემონიის იმ მონაწილეთა სია, რომლებიც გამარჯვებულებს მოოქრულ ქანდაკებებს გადასცემენ. რჩეულთა შორის, რომელთა შერჩევა ცერემონიის პროდიუსერებს — ბრიუს კოენსა და დონ მისერს ევალებოდათ, ჰოლი ბერი, ჯეფ ბრიჯესი, სანდრა ბალოკი, მარისა ტომეი და ოპრა უინფრი აღმოჩნდნენ. თითოეული მათგანი „ოსკაროსანი“ ან „ოსკარის“ ნომინაციაზე წარდგენილი ვარსკვლავია. ჰოლი ბერიმ აკადემიის ჯილდო „საუკეთესო მსახიობი ქალის“ ნომინაციით 2001 წელს მიიღო, სანდრა ბალოკი ამავე კატეგორიაში 2009 წელს დაჯილდოვდა, იმავე წელს ჯეფ ბრიჯესის ნამუშევარი აღინიშნა მოოქრული ქანდაკებით; მარისა ტომეიმ სანუკვარი ჯილდო ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის მიიღო; ამავე ნომინაციით 1986 წელს დასახლებული ოპრა უინფრი კი „ოსკარის“ გარეშე დარჩა, სამაგიეროდ, შარშან დაჯილდოების ცერემონიის მთავარი მოვლენის — ფილმ „განძის“ თანაპროდიუსერია.

ამერიკის კინოაკადემიის მთავარი პრიზის ნომინანტთა საბოლოო სია 2011 წლის იანვარში გახდება ცნობილი. დაჯილდოების ცერემონია 2011 წლის 27 თებერვალს ლოს-ანჯელესის კინოთეატრ „კოდაკში“ შედგება. ■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

თითრი დათვიებისა და თოვლის ბუბის ყველაზე უთამბაჟდავი სამყარო!

რატომ სჩაკვან პინგვინები წელიწადში ერთხელ?

ბაიბაი უფრო გეძი ! 27 დამბრძან - 3 ინაბრძან

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

სამბანაოილებიანი (3D) გამოსასულებები

შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმძღვანელთა საყურადღებოდ! ნიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდით „ელეკტი“-ს

ტელ.: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ!



* - მალე

ტომი №11

სერია „ეს სამყარო“-ს ნიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9 და №10 იყიდება ნიგნის მაღაზიებში



ცხოვრება

სულის მწყაობსი ანუ „თეთრი ანგელოზის ძიებაში“

„მართლმადიდებლობა არის და იქნება უდიდესი განძი, რომელიც ჩვენს ერს ოდესმე ჰქონია. ამ განძისთვის მსხვერპლად ეწირებოდნენ ჩვენი წინაპრები. მართლმადიდებლობა არის ღირებულება — მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის ღირს ცხოვრება და სიკვდილიც“, — ამბობდა გრიგოლ ფერაძე, რომელმაც თავადაც ამისთვის იცხოვრა და 1942 წლის 6 დეკემბერს აღესრულა. უცნაური ბედისწერა კი ჰქონია: სამშობლოდან წასული სწორედ იმ ქვეყანაში ჩაიყვანა, რომლის მსხვერპლაც იქცა... 6 დეკემბერს წმინდა მღვდელმონაქვე გრიგოლის (ფერაძე) ხსენების დღე იყო. ამ გასაოცარ ადამიანზე მისი ძმისშვილი, წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ბატონი რომანოზ ფერაძე გვიამბობს.

ირმა ხარშილაძე

— ბაბუაჩემი, რომლის სახელიც დამარქვეს, მღვდელი გახლდათ — რომანოზ ფერაძე; დედის — მარიამ სამადალაშვილის მამაც თბილისის პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესიის მღვდელი, მამა ბესარიონი იყო. რომანოზს თურმე, გორის საოსტატო სასწავლებელი ვაჟაფშაველასთან ერთად დაუმთავრებია. მას სამი ვაჟი ჰყავდა: უფროსი არჩილი, შუათანა გრიგოლი, რომელიც 1899 წლის 31 აგვისტოს სოფელ ბაკურციხეში დაიბადა და უმცროსი — ვასილი, მამაჩემი, რომელიც 1903 წელს დაბადებულა. საერთოდ, ჩვენი გვარი სამღვდლო გვარი ყოფილა.

მამა გრიგოლი ერთ-ერთ თავის მოთხოვნაში ასეთ ლეგენდას ჰყვება: „ჩემი წინაპრები იყვნენ მწყემსები, წლიდან წლამდე რამდენიმე თვით ისინი იმყოფებოდნენ ოჯახიდან შორს, მწყემსავდნენ თავიანთ საქონელს უდაბნოში, რომელიც მწვანდებოდა მხოლოდ ზამთარში და ადრე გაზაფხულზე. ერთ საღამოს (შესაძლებელია, ეს მოხდა შობის ღამეს...) მწყემსები კოცონის მოელვარე ენის ცქერისას საუბრობდნენ თავიანთ დიდებულ წინამორბედებზე... გამთენიისას, იმ დროს, როდესაც ეკლესიის ზარები

ჩვეულებრივ აღვიძებენ დალილ ბერებს და მოუწოდებენ მათ დილის ლოცვისაკენ, უეცრად გაისმა ზარების სასწაული მელოდია. მწყემსები ადამიანთა საცხოვრებლებისაგან შორს იმყოფებოდნენ. უახლოესი ეკლესია მათგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იყო. ეს კი ანგელოზთა ზარები რეკდნენ... ზებუნებრივმა სიხ-



წმ. მღვდელმონაქვე
გრიგოლი (ფერაძე)

არულმა ალავსო ორივე მწყემსის გული... ერთი მათგანი სასწრაფოდ დაემშვიდობა მეგობარს და გაემართა იმავე უდაბნოს მონასტრის ნანგრევებისკენ, რათა მიწიერი ამოების ხმაურს არ ჩაეხშო მასში ანგელოზთა ზარების სასწაულებრივი მელოდები. ხოლო მეორემ — ვისაც სოფელში დარჩა ცოლი და ვაჟი, სასწაულებრივი მელოდის ბგერებში მან შეიმეცნა ნიშანი თავისი შთამომავლობისთვის, რომ ისინი ქვეუღიყვნენ ადამიანური სულის მწყემსებად. მან მშობლიურ სოფელში დაბრუნებულმა, შეიყვანა თავისი ვაჟი სკოლაში... ამ დროიდან იწყება ახალი ჟამი ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში. ცხვრის მწყემსები სულთა მწყემსებად გადაიქცნენ...“

— ბაბუის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს ძალიან გასჭირვებია და მამაჩემის ბიძის, ყვარლის მღვდლის — გიორგის რჩევით, ბებიას გრიგოლი მამის კვალზე დაუყენებია. გრიგოლმა ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, 5 წლის შემდეგ კი — სასულიერო სემინარია, რომელსაც იმხანად კორნელი კეკელიძე რექტორობდა; შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების განყოფილებაზე განაგრძო სწავლა, პარალელურად კი სოფელ ხანდაკის სკოლაში მასწავლებლობდა... ამასობაში „სამხედრო ბეგარის“ დრომაც მოუწია და იძულებული გახდა, სწავლა დროებით შეწყვიტა. სამივე ძმა მე-11 არმიის წინააღმდეგ იბრძოდა. ანექსიის შემდეგ, ჯარიდან დაბრუნებულ გრიგოლს დაპატიმრება ემუქრებოდა, ამიტომ კორნელი კეკელიძემ სოფელ მანავში, მასწავლებლად გაგზავნა. მანავში გატარებულ დღეებზე თავის დღიურებში ბევრს წერდა. ჰყვებოდა, რომ უსახსრობის გამო, თავისუფალ დროს ერთ სომეხსაც ედგა მოჯამაგირედ... 1921 წლის ნოემბრის დამდეგს საკათალიკოსო საბჭოს, უწმინდესსა და უნეტარეს ამბროსის, კორნელი კეკელიძესა და ივანე ჯავახიშვილს სრულფასოვანი თეოლოგიური განათლების მისაღებად



გარდა ნაწერებისა, შინ ივერის ღვთისმშობლის საგვარეულო სატი გვეჩინა

გრიგოლი არტურ ლაისტის დახმარებით, ბერლინში გაუგზავნიათ.

ასე იწყება გრიგოლ ფერაძის უცხოეთში მოღვაწეობა. ბერლინის ბონის უნივერსიტეტი მოჰყვა, სწავლას — აქტიური სამეცნიერო მუშაობა, სამეცნიერო ხარისხები და სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივი ცხოვრება. გრიგოლ ფერაძის პარიზელ ქართველებთან ურთიერთობა უკვე 1929 წელს იწყება. პარიზში, რომელიც იმ დროს ქართული ემიგრაციის ცენტრია, მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა წმინდა ნინოს ქართული, მართლმადიდებელი ეკლესია. შობის დღეებში, უცნაური ხილვის შემდეგ, უძღურებამი მყოფი მამა გრიგოლი ქართული ემიგრაციის სულიერ მოძღვრობასაც თანხმდება. 1931 წლის 18 აპრილს, 32 წლის ასაკში ლონდონის ბერძნულ ეკლესიაში ბერად აღიკვეცება, მეორე დღეს კი დიაკვნადაც აკურთხებენ, ხოლო ამავე წლის 25 მაისს პარიზის წმინდა სტეფანეს სახელობის ბერძნულ ეკლესიაში, მსოფლიო საპატრიარქო საყდრის ეგზარქოსი გერმანოზი მას მღვდლად აკურთხებს. 1931 წლის 31 მაისს მამა გრიგოლი პარიზის წმინდა ნინოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის მღვდელმსახურად ინიშნება და იმავე დღეს პირველად წირავს. მიუხედავად ამისა, მეცნიერულ მოღვაწეობას მაინც არ წყვეტს, სწავლობს ძველ ქართულ ხელნაწერებს, ლიტერატურულ წყაროებს; ხანდახან ლექციებს კითხულობს. მამა გრიგოლთან თანამშრომლობენ ქართული ემიგრაციის რჩეული წარმომადგენლები: ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, მიხეილ წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, გიორგი გვაზავა, კალისტრატე და ნინო სალიები, ვიქტორ ნოზაძე, გიორგი ნაკაშიძე და სხვანი.

— ალბათ ბევრმა არც იცის, რომ უცხოეთში გატანილი ეროვნული საგანძურის გადამრჩენელი ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, გრიგოლ ფერაძეც იყო, რომელსაც საგანძურის შეფასება დაევალა. გრიგოლმა ყველაფერი აღწუსდა და ასეთი საექსპერტო დასკვნა დაწერა: „ეს ნივთები მატერიალურად ნაკლებად ფასეულია, მათ მხოლოდ ქართველი ერისთვის აქვს ისტორიული მნიშვნელობა“. ფაშისტები გამოჩენილ მეცნიერს ენდვნენ და განძზე ფიქრს თავი დაანებეს... 1933 წელს სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტმა, დიონისე ვალედინსკიმ ვარშავაში, უნივერსიტეტის მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე პატროლოგიის პროფესორის მოადგილის და ამავე საგნის სემინარის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მიიწვია. ვინაიდან მუდმივი ხელფასი ექნებოდა, ამ წინადადებას დათანხმდა. ალბათ, ასეთი იყო მისი ბედისწერა. ცხოვრობდა ვარშავაში, ბრუკოვის ქუჩაზე, პატარა ოთახში და წელიწადში რამდენჯერმე ჩადიოდა თავის მრევლთან, პარიზში. ვარშავა-

წმინდა მიწაზე, შეისწავლა იქაური ხელნაწერები. ერთ მნიშვნელოვან ამბავს გეტყვით: მამა გრიგოლს წმინდა მიწაზე შეუძენია ძველი ქართული გარდამოსხნა და როგორც შალვა მაღლაკელიძე წერს, თურმე ძალიან უფრთხილდებოდა: ძილის დროს ბალიშის ქვეშ ამოიდებდა ხოლმეო. ამ გარდამოსხნის ამბავი გაუგია ირანის მაშინდელ შაჰს — ის გახლდათ მამა ირანის უკანასკნელი შაჰისა, 70-იან წლებში რომ განდევნეს ქვეყნიდან. თურმე, შაჰი ათასობით წითელ ოქროს სთავაზობდა გარდამოსხნაში. ერთხელ შალვა მაღლაკელიძესა და ვიქტორ ნოზაძეს გრიგოლი პარიზის ქუჩაში შეხვედრია. ვიქტორს უხუმრია: კაცო, იქნებ დაგეთმო რიზეხანისთვის, აქ რამე არ მოუვიდეს, არ დაკარგო, იქ ის უფრო შეინახავს და თანაც — ამდენ ფულს გთავაზობსო. გაბრაზებულ გრიგოლს უპასუხია: როგორ გეკადრება, შაჰს უარი შევუთვალე, ეს საქართველოს ეკლესიას უნდა დავუბრუნოო. — ქრისტესმეორე იყო და ვერაფერმა აცდუნა. მისთვის ღმერთი იყო უპირველესი, მერე სამშობლო და პატიოსნება... შალვა მაღლაკელიძე იხ-



რომანოზ ფერაძე უმცროს ვაჟთან, ვასილთან და მის ოჯახთან ერთად

ში ცხოვრობდნენ ე.წ. კონტრაქტის ოფიცრები, რომლებმაც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლონეთის ჯარში დაიწყეს კონტრაქტით მუშაობა. მათი მეთაური ზაქარიაძე იყო. იქ იყვნენ დიმიტრი ბაქრაძე და ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის მამაც. სხვათა შორის, შალიკაშვილი გრიგოლ ფერაძემ მონათლა. ვერმანის ლეგიონერებიდან მამა გრიგოლს ურთიერთობა გენერალ შალვა მაღლაკელიძესთან ჰქონდა. მოკლედ, ის პოლონეთში დაფუძნდა და თავის მეორე სამშობლოსაც კი უწოდებდა. 1934 წელს არქიმანდრიტის ხარისხში ამაღლდა. დადიოდა

სენებდა: როდესაც გერმანელებმა ვარშავა დაიპყრეს, ქუჩებში ჭურვები სკდებოდა, ყველა იმალებოდა, გრიგოლი კი ისეთი უშიშარი იყო, ამ დროს გამოდიოდა და დაჭრილებს უვლიდა, მიცვალებულებს აპატიონებდაო. ერთხელ, ქუჩაში შესწრება, თუ როგორ სცემდა გერმანელი ოფიცერი ხელკეტით მოხუცებულ ქალს. გრიგოლი მისულა და ხელში სწვდომია: თქვენ ამ კულტურით, ამ ცივილიზაციით გინდათ მსოფლიოს დაპყრობა? ასე ბარბაროსებიც არ მოიქცევიანო. ამ სიტუაციით ისარგებლეს გერმანიის გესტაპოში მომუშავე ქართველებმა და თავიანთი პა-



ტრონებისთვის რომ ესამოვნებინათ, — აი, როგორი ერთგულები ვართ, თვისტომსაც კი ვწირავთო, — დაუბეზლებიათ: ებრაელებისთვის ვალუტას ინახავსო. პოლონელმა მეგობრებმა ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარეს და დაადგინეს, რომ გრიგოლის ქართველ მდივანს „ჩაუდევს“ მისთვის დოლარები და ბინის გასაჩხრეკად მისულ გერმანელებს სწორედ ის ფული უნახავთ. უშედეგო აღმოჩნდა გიორგი ნაკაშიძისა და მიტროპოლიტ დიონისეს მცდელობა, ეხსნათ არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. სამწუხაროდ, ვერც შალვა მალაქველიძემ გადაარჩინა დაპატიმრებას... მისი უნიკალური ბიბ-

ლელობა საკუთარ თავზე აუღია გრიგოლ ფერაძეს. იგი ჯერ ძაღლებს დააგლეჯინეს, შემდეგ ბენზინი გადაასხეს და ტყვეების თვალნი დაწვესო. ისტორიული სიმართლის სრული უტყუარობით აღდგენა ალბათ, შეუძლებელია, ერთი კი ცხადია: გერმანელები იმით არიან ცნობილი, რომ ვთქვათ, დააშავეს რალაც, არა? — იმ ნგრევის, განადგურების დოკუმენტს ტოვებენ, კა-გე-ზე კი კვალს ყოველთვის შლიდა. ოსვენციმის ბანაკის ჟურნალში, რომელიც შემდეგ კა-გე-ებს არქივში მოხვდა, 1942 წლის ნ დეკემბრის ჩანაწერი ამოხეულია, — ეს მითხრა ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა, დასკვნა კი თავად გააკეთეთ...

— უცხოეთში ყოფნისას მამა გრიგოლი ოჯახთან სომ ურთიერთობდა?

— წერილებით ურთიერთობდა მხოლოდ 1936 წლამდე, ვიდრე დედა ცოცხალი ჰყავდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ძმას — მამაჩემს მოსწერა: შეეწყვიტოთ მიმწერა. ვიცი, მანდ რაც ხდება და სახიფათო არის თქვენთვისო. მამა მიამბობდა, ძმასთან კავშირის განწყვეტას ვერაფრით ვეგუებოდით, მაგრამ 1936 წელს მოუწერია: მორჩა, მეტს აღარ მოგწერ, ეს ბოლო წერილიაო და აღარც გამოჩენილა... მამას ბევრჯერ უთქვამს: გიგო (ასე ეძახდნენ მამა გრიგოლს ოჯახში) არა მარტო ხორციელი, სულიერი ძმაც იყო ჩემთვის და მამობასაც ის მიწვედაო...

— მისი დღიურები, ნაშრომები როგორ შეინარჩუნეთ?

— დღიურები ოჯახში გვქონდა. მამასგან ვიცი, რომ ბევრჯერ გაუჩხრეკიათ სახლი, მაგრამ ეტყობა, ამ ხელნაწერებისთვის ყურადღება არც მიუქცევიათ. გარდა ნაწერებისა, შინ ივერიის ღვთისმშობლის საგვარეულო ხატი გვქონდა. მამა გვიყვებოდა: ეკლესიაში წავიდე, რადგან ვიფიქრე, იქ უფრო უსაფრთხოდ იქნებოდა, გრიგოლს კი ეს ამბავი წერილში მივწერე; იქიდან განრისხებულმა მომწერა: სასწრაფოდ დააბრუნე შინ, ეგ ოჯახის მფარველი ხატიაო! დღეს ეს ხატი ჩემს უფროს ვაჟთან, გიგასთანაა. მამას სიტყვიერი ანდერძით, რაკი ბიძის სენია იყო, სწორედ გრიგოლს დარჩა... 70-იან წლებში უწმინდესმა და უნეტარესმა ეფრემ მეორემ (სხვათა შორის, ჩვენს ოჯახ-

ში ინახება „ლექსთა კრებული“ სა-მახსოვრო წარწერით: „სოფლის მოღვაწეს გრიგოლ ფერაძეს გ. სიღამონიძისაგან“. ეს პატარა წიგნი ეფრემ მეორის ნაწუქარია) პოლონეთის მიტროპოლიტისგან წერილი და მამა გრიგოლის ფოტო მიიღო: მამა გრიგოლის წმინდანად შერაცხვას ითხოვდნენ — თქვენ რომ შერაცხავთ წმინდანად, ჩვენ დავადასტურებთ და ორი — ქართული და პოლონური მართლმადიდებლური ეკლესიების წმინდანი იქნებაო. პოლონელებთან დაკავშირებას მეც ვცდილობდი, მაგრამ ამაოდ, წლების შემდეგ კი... 1995 წელს მცხეთაში, სვეტიცხოველში მამა გრიგოლის კანონიზაციის შემდეგ დეკანოზ ჰენრიკ პაპროცკის, პროფესორს, თეოლოგსა და მამა გრიგოლის ბიოგრაფს შევხვდი. მართალია, იმ დღეს სვეტიცხოველში არ ვყოფილვარ, მაგრამ დეკანოზმა ჰენრიკ პაპროცკიმ თავად ისურვა ჩემთან შეხვედრა და იმავე საღამოს, 10-ის ნახევრისთვის დამანა მელიქიშვილმა შინ მომიყვანა პოლონელი სტუმრები. მახსოვს, ჩემი ვაჟი, მამა გრიგოლის სენია გიგა (გრიგოლი) რომ დაინახეს, გაგიჟდნენ: ვაიმე, როგორ ჰგავსო. ეჟი ლუბახისა და თამარ დულარიძის ფილმის — „თეთრი ანგელოზის ძიებაში“, რომელსაც საფუძვლად მამა გრიგოლის მოთხრობა — „ბედისწერა“ — დაედო და რომლის მთავარი კონსულტანტიც მამა ჰენრიკია, მთხრობელის როლს სწორედ უმცროსი გრიგოლ ფერაძე ასრულებს... ყოველ ნ დეკემბერს, წმინდა გრიგოლის მონაშენივი აღსასრულის დღეს პოლონელები გვიწვევენ ხოლმე და ძალიან თბილად გვხვდებიან. გიგა შარშან იყო პოლონეთში, წელს ვედარ წავიდა. ახლა ვარშავის შემოგარენში, ბელოსტოკში შენდება წმინდა გრიგოლის სახელობის ეკლესია, რომელიც შარშან აკურთხეს; ასევე წელს, ვარშავის უნივერსიტეტში პოლონურად გამოიცა წმინდა გრიგოლის ნაშრომების სხუთთომეულის 8 ტომი, რომელსაც შემდგომში დავით ყოლბაია ქართულად თარგმნის.

— ბატონო რომანოზ, წინაპართა უმრავლესობა სამღვდლო პირი იყო, თქვენი შვილებიდან მსგავს მონოდებას რომელიმეს ატყობთ?

— ჯერჯერობით, ყველანი სამოქალაქო ცხოვრებით ვცხოვრობთ და მერე რა მოხდება, ეს ღვთის ნებაზე დამოკიდებული. მთავარია, ჩემი შვილებიც ისევე ინტერესდებიან ოჯახის წარსულით, როგორც მე. ვიმედოვნებ, შვილიშვილებსაც დავაინტერესებთ და ასე გაგრძელდება სამომავლოდაც.



უმცროსი გრიგოლ (გიგა) ფერაძე შვილებთან ერთად

ლიოთეკის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გადარჩა, ხატები დაიკარგა, გაქრა გარდამოსხნაც, რომელიც მისივე ანდერძით, ხატებთან ერთად, ქართულ ეკლესიას უნდა გადასცემოდა. მეექვსეა, გარდამოსხნა სადმე გამოჩნდეს... მამა გრიგოლი ვარშავის პავიაკის ციხიდან 1942 წლის ნოემბერში, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს, სადაც იგი 1942 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა. გარდაცვალების ორი ვერსიაა ცნობილი: პირველი — მამა გრიგოლი გაზის „კამერაში“ ნებაცოფლობით, მრავალშვილიანი პატიმრის ნაცვლად შევიდა, მერე ამ პატიმარს გამოუტანია მამა გრიგოლის ჯვარი და მარიამ მაგდალინის ეკლესიისთვის გადაუტია; მეორე — ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გერმანელი ოფიცერი მოუკლავთ. ბანაკის ადმინისტრაციას მკვლეელი ვერ უპოვია, ამიტომ მთელი ბანაკი მოედანზე, საშინელ ყინვაში შიშველი გაუყვანია და დაშუქრებია: ასე დედიშობილა იდგებით ყინულზე, ვიდრე მკვლელს არ ჩავგაბარებთო. მაშინ მკვ-





ქართული პრესის საგანგებო

ჟურნალ „გზასთან“ ერთად
30 ღამეებრილად

„ტყუარა ქართული საზოგადოებრივი კრიტიკა“

ლთარ ჭილაძე

ტომი 44-45-46 (სამ ნაწილად)





სუროგატი დედის აღსარება

„ვსდილოვდი, მუსლადმყოფი არ შეგყვარებოდა, მაგრამ ვერ შევქალი...“

რამდენიმე დღის წინ სულ რაღაც ოცდახუთიოდე წლის გოგონა დამიკავშირდა და მითხრა, რომ საოცრად საინტერესო თავგადასავალი გადახდა და უნდოდა, თავისი მონათხრობი „გზის“ ფურცლებზე ეხილა. მოვეუსმინე და მისმა სულის სიმტკიცემ გამაოგნა — იცის, რომ შვილი, რომელიც 9 თვე მის სხეულში იზრდებოდა, სხვისია, მაგრამ პატარა, საკუთარ ვაჟებზე მეტადაც კი უყვარს...

ლიკა ქავაია

19 წლის იყო, როცა გათხოვდა, 22 წლის ასაკში კი უკვე ორი შვილი ჰყავდა. მისი მეუღლე, ისევე, როგორც ბევრი ქართველი ახალგაზრდა, უმუშევარი გახლდათ; მშობლები სოფელში ცხოვრობდნენ და თვეში ერთხელ, მხოლოდ პროდუქტებს თუ უგზავნიდნენ... მართალია, მშვიდები არ იხოცებოდნენ, მაგრამ წყვილს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სურვილი კლავდა და გადაწყვიტეს, გოგონას ახალგაზრდა სხეული „გაეჭირავებინათ“. ნიკამ (წინოს ქმარმა) ინტერნეტში შემდეგი შინაარსის განცხადება განათავსა: „გახლავართ 25 წლის მამაკაცი; მყავს არაჩვეულებრივი გარეგნობის მეუღლე და 2 შვილი. გაჭირვებამ გვაიძულა, თქვენთვის მოგვემართა ანუ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ჩემი მეუღლე მზადაა, სუროგატი დედა გახდეს და მე მის ამ გადაწყვეტილებას დიდად ვაფასებ. ეს არა მარტო მისი, არამედ ჩემი მხრიდანაც ნამდვილი თავგანწირვაა, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს... მსურველები დაგვიკავშირდით...“ განცხადებას უამრავი ადამიანი გამოეხმაურა, მაგრამ სახარბიელო წინადადებით ნიკასა და წინოს არავინ მიმართა; მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოჩნდა პიროვნება, რომელიც წყვილის მოთხოვნებს

სავსებით აკმაყოფილებდა: ერთხელ ნიკას ტელეფონი აწკარუნდა და ვილაცამ რუსული აქცენტით იკითხა, — ნიკა ბრძანდებით? მინდა, შეგხვდეთ. მაინტერესებს, ვინ იქნება ჩემი შვილისთვის სუროგატი დედა, ფულზე კი ნუ იდარდებთ, რამდენიც საჭიროა, იმდენს გადაგიხდითო...

9 თვის განმავლობაში წინოს საკუთარი საშვილოსნო „გაეჭირავებულ“ ჰქონდა. ის თავს იმ ჭურჭელს ეძახდა, რომელშიც არაჩვეულებრივი ჩვილი იზრდებოდა. მართალია, ცდილობდა, მუცლადმყოფი არ შეეყვარებოდა, მაგრამ ეს ვერ შეძლო — მისი ყოველი განძრევა თუ გულისცემა დედობრივ სითბოს უღვრიდა გულში, თუმცა — ამას მეუღლესაც არ უშეხვდა...

წინა:

— უშუალოდ დაორსულების წინ გამოიკვლიეს, ჯანმრთელი ვიყავი თუ არა და გამოვიტხეს, ვცხოვრობდი თუ არა ჯანსაღი ცხოვრების წესით. ეტყობა, ჩემმა პასუხებმა ყველა დააკმაყოფილა და უფლება მომცეს, სუროგატი დედა გავმხდარიყავი. ჩემს საშვილოსნოში რუსი მამაკაცისა და იტალიელი ქალბატონის განაყოფიერებული კვერცხუჯრედი მოათავსეს, მერე კი ფსიქოლოგიც მომამარგეს, რომელიც მიმტკიცებდა, რომ ვიყავი ერთგვარი ინუბატორი, რომ მუცლადმყოფ პატარას ჩემგან გენეტიკურად არაფერი გადაეცემოდა, დედობრივი ინსტინქტები არ უნდა აღმოვჩნოდა და მზად ვყოფილიყავი, რომ 9 თვის შემდეგ, უკვე ამქვეყნად მოვლენილ ჩვილს ბიოლოგიური მშობლები წაიყვანდნენ...

— **შენი ფეხმძიმობის ამბავი მშობლებმა, ნათესავებმა თუ იცოდნენ?**

— არა, მხოლოდ ნიკამ იცოდა. ბავშვები პატარები იყვნენ და ვერ ხვდებოდნენ, რატომ გაეზარდა დედას მუცელი, მეზობლებს და ახლობლებს კი არ ვენახვებოდი — მას შემდეგ, რაც ჩემი ორსულობა შესამჩნევი გახდა, საცხოვრებლად სხვაგან,



ქირით გადავედით... მოკლედ, როცა მუცლადმყოფი პატარა პირველად იძრა, სიხარულისგან შევხტი, მისი გულისცემა ვიგრძენი. იმ ვიქცეოდი, თითქოს ჩემთვის პირველი ორსულობა იყო და მეშინოდა, ბავშვი არ დაიკარგა. პატარაზე იმდენს ვლაპარაკობდი, ნიკამ მითხრა: იცოდე, არ უნდა შეგიყვარდეს, თორემ მასთან განშორება გაგიჭირდებაო. სხვათა შორის, ჩემს მეუღლეს პატარები ძალიან უყვარს და მასაც ეშინოდა, სხვისი შვილის მიმართ მამობრივი გრძნობა არ გასჩენოდა... 3 თვის ორსული ვიყავი, როცა მისი სქესი შევიტყვეთ — გოგონა გახლდათ და მის მშობლებს სურდათ, მისთვის ანამარია დაერქმიათ. როცა ბავშვის სქესი შევიტყვეთ, ეგოიზმის გრძნობა გამიჩნდა — ორი ვაჟი მყავს და ჩემში მყოფი გოგონა უცხოებისთვის თითქოს არ მემეტებოდა; იმ იტალიელი ქალბატონის მიმართ საშინელ აგრესიას ვგრძნობდი და როცა ის მუცელზე მეფერებოდა, ერთი სული მქონდა, როდის მომამშორებდა ხელს, როდის წავიდოდა ჩემი სახლიდან.

— **სწორად გსტუმრობდათ?**

— თუ ყოველდღე არა, ყოველ მეორე დღეს მაინც მოდიოდა ქმართან ერთად; ჩემს ამბავს კითხულობდნენ, ხილი, ნატურალური წვენი მოჰქონდათ და თან — მამონმებდნენ, რაიმე წესს ხომ არ ვარღვევდი.

შალე!
PALITRA
TV-RADIO
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



სხვათა შორის, იმ ადამიანებს არც ჩემი ვაჟები ავიწყდებოდათ, მათთვისაც მოჰქონდათ ტკბილეული, საჩუქრები... მადლობის მეტი რა მეთქმოდა, მაგრამ... მშობიარობის დრო რომ დადგა, გული მენურებოდა, პატარასთან განშორება არ მინდოდა და ლამლამობით ვტიროდი. ნიკას ეს არ გამორჩენია და მამშვიდებდა: ნუ დარდობ, ხომ იცი, ეს ბავშვი ჩვენი არ არის; ამას რომ გააჩენ, მერე გოგონაზე ჩვენც ვიფიქროთო... მშობიარობას მისი ბიოლოგიური დედაც ესწრებოდა და უკვე დაბადებული პირველად მან ჩაიკრა გულში. ძალიან მინდოდა, წამოემხტარიყავი და იმ ქალბატონს თმაში ვწვდენოდი, მაგრამ თავის შეკავება შევძელი... როცა ჩვილთან ერთად მარტო დავრჩი და პატარა ხელში ავიყვანე, ამქვეყნად თავი უბედნიერეს ქალად ვიგრძენი. ანამარია მხოლოდ ჩემი იყო, მის სითბოსა და ალერსში არავინ მეცილებოდა. სამაგიეროდ, მეორე დღეს დედამისი გვერდიდან აღარ მომცილებია და ისევ მტანჯველი ეჭვიანობა მბურღავდა. მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი თავს კარგად, როცა პატარას ძუძუს ვანოვებდი. ანამარიას ბიოლოგიურმა მშობლებმა იფიქრეს და გადანყვიტეს, — ნინოს ბავშვს ნუ მოვაცილებთ, რამდენიმე თვე ბუნებრივ კვებაზე იყოს და მერე წავიყვანოთო. ეს მეც მაძლევდა ხელს და მათ წინადადებას სიხარულით დავთანხმდი. ამასობაში იმ ადამიანებმა პირობა შეასრულეს — 7.000 დოლარი გადამიხადეს და ანგელოზის ამქვეყნად მოვლინებისთვის დამატებით, 5.000 მაჩუქეს, თან შემპირდნენ, — ბავშვს ძუძუს თუ მოანოვებ, მისთვის რძე თუ არ დაგეგნება, ფულს კიდევ მოგცემთო... მივირდა: მე ეჭვიანობ და ეს ქალი ნუთუ ვერაფერს გრძნობს-მეთქი?! ჰოდა, ერთხელ პირდაპირ ვკითხე: ეს ბავშვი გიყვართ-მეთქი? გაეცინა და მიბასუხა: რომ არ მიყვარდეს, ხელოვნური საკვებით გავზრდიდი; იმდენად მიყვარს, რომ მისთვის ყველაფერი საუკეთესო მინდა და ცოტა ხნით ამიტომაც გაძლევ უფლებას, შენთან იყოსო. მერე გამომიტყდა, რომ ისიც ეჭვიანობდა ჩემზე და ლამით ტიროდა კიდევ... ერთხელ ნიკას ვუთხარი: მოდი, ამ ხალხს თავისი ფული დავუბრუნოთ და

ანამარია არ გავატანოთ-მეთქი. — ხომ არ გაგიჟდი, დაგვიჭერენ და ფულსაც წაგვართმევენო.

შიშით ველოდი იმ დღეს, როცა პატარას მომავორებდნენ. ჩემს ვაჟებს ყურადღებასაც აღარ ვაქცევდი, რის გამოც, ნიკა მსაყვედურობდა კიდევ — სხვის შვილზე გადაერთე და საკუთარი აღარ გახსოვსო, — მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო...

ერთხელ ანამარიას მშობლებმა მითხრეს: რუსეთში უნდა წავიდეთ, რაღაც სასწრაფო საქმე გვაქვს; 2 კვირაში დავბრუნდებით და ბავშვსაც წავიყვანთო. ამ ახალმა ამბავმა ძალიან გამახარა და გავიფიქრე: თუ გინდათ, საერთოდაც ნუ დაბრუნდებით-მეთქი. მათი წასვლიდან დაახლოებით 5 დღეც არ იყო გასული, როცა მიხაილმა (ასე ჰქვია ანამარიას მამას) აღელვებულმა დაგვირიგა; ტიროდა, სიტყვებს თავს ვერ უყრიდა, ბოლოს კი, როგორც იქნა, შეძლო იმის თქმა, რომ მისი მეუღლე ავტოავარიამი მოყვდა და დაიღუპა. გვთხოვა: ბავშვს მიმიხედეთ, მე რაღაც პერიოდის შემდეგ აუცილებლად ჩამოვალ. იმის ნაცვლად, რომ ეს ამბავი მწყენოდა, ძალიან მრცხვენია, მაგრამ სხვისმა უბედურებამ გამახარა, რადგან უკვე ვიცოდი, რომ ანამარიასთან ყოფნა უფრო დიდხანს მომიწევდა. ამის ხმა მაღლა თქმა მეუღლესთანაც ვერ გავბედე — ის ჩვენი შვილის ნამდვილი მშობლების ტრაგედიას განიცდიდა და ამბობდა: ისეთი ღვთისნიერი ქალი, როგორც ელენა იყო, ამას არ იმსახურებდაო...

მიხაილი თვე-ნახევრის შემდეგ ჩამოვიდა, შვილი ინახულა და ისევ წავიდა, პატარა კი ვითომ დროებით, დაგვიტოვა: ელენას თავს მახსენებს, მასთან ერთად ყოფნა არ შემიძლია, ამას ვერ გადავიტანო. წასვლამდე ფული დაგვიტოვა, გოგ-

ონას არაფერი მოაკლოთო. მართალია, ნიკა ეუბნებოდა, ისედაც ბევრი მოგვეცით, ანამარიას არაფერი მოაკლდებაო, მაგრამ გოგონას მამამ არაფრის გაგონება არ ისურვა, შვილს დოლარები „კალიასკაში“ ჩაუტენა... მას შემდეგ ანამარიას მამა საქართველოში აღარ ჩამოსულა, მხოლოდ გვირეკავს და ზოგჯერ, ფულს გვიგზავნის. ახლა ზუსტად ვიცი, რომ გოგონას თავს ვერავინ წამართმევს. მას ისე ვზრდით, როგორც საკუთარ შვილს. ნიკასაც მზე და მთვარე ამ ბავშვზე ამოსდის. ანამარია საოცრად გონიერი ბავშვია... მართალია, მამამისი ვერ ნახულობს, მაგრამ მასზე ზრუნავს და როცა გაიზრდება, სიმართლეს აუცილებლად ვეტიყვი.

— გოგონას არსებობის შესახებ ალბათ უკვე ყველამ შეიტყო...

— ჰო, მაგრამ ეჭვიც არავის გასჩენია იმაში, რომ ბავშვი ჩემი არ არის. ხალხს ჰგონია, ანამარია ჩემი და ნიკას ღვიძლი შვილია და ახლობლები სიმართლეს ვერასდროს გაიგებენ. მხოლოდ მე, ანამარიას, მამამისსა და ნიკას გვეცოდინება სიმართლე. ამ საიდუმლოს სამარეში ჩავიტანთ, თუ, რა თქმა უნდა, უკვე ზრდასრულ გოგონას არ გაუჩნდება ყველაფრის გამომზეურების სურვილი. მადლობა უფალს, რომ ჩემი გოგონა არ წამართვა... ჰო, ამას წინათ ელენა დამესიზმრა. მითხრა: ვიცი, ჩემზე ეჭვიანობდი, არ გინდოდა, ჩემთვის შვილი დაგეთმო და ამაში არ გამტყუნებ, შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდიო, — მერე კი მადლობა გადამიხადა ანამარიაზე მზრუნველობის გამო და დასძინა: თქვენი კეთილდღეობისთვის ვილოცებო...

— თანხა, რომელიც სხვისი შვილის საკუთარ სხეულში გამოზრდისთვის მიიღე, რაში დახარჯეთ?

— რაღაც ბიზნესი წამოვიწყეთ და ახლა სწორედ იმ ფულის წყალობით ვმოულობთ იმდენ თანხას, რომ პატარებს არაფერი მოვაკლოთ. მერწმუნეთ, ანამარიას არასდროს ექნება იმაზე ნაკლები, ვიდრე ჩემს ვაჟებს. პირიქით, მასზე განსაკუთრებულად ვზრუნავთ და ვეფოფინებით, ამიტომაც გვითხრა მიხაილმა: თქვენზე უკეთ, გოგონას ვერავინ მოუვლის, ჩემთვის კი მხოლოდ მისი კეთილდღეობაა მთავარიო.





პორტრეტები მოსუსებულთა თავშესაფრიდან

წერილი მერკე

(დასაწყისი იხ. „გზა“, №44)

„ჩემი შვილის აფხაზი მებობარი მესტუმრა...“

სოსუმის თეატრის მსახიობის, მიხეილ ჩუბინიძის მეუღლე — 87 წლის ნელი გაიდამაპი უკვე 4 წელია თემქაზე, ხანდაზმულთა პანსიონატში ცხოვრობს. სამწუხაროდ, იგი სარეცელს მიჯაჭვულია. ჭალარა, თბილი, მოსიყვარულე მოხუცი სოსუმიდან დევნილი გახლავთ. ის 8 წელიწადი თბილისში, მეუღლესთან და შვილიშვილებთან ერთად მეგობრის, ნუნუ სალინაძის ბინაში ცხოვრობდა, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კი პანსიონატს მიაკეთა.

თბა სურსილაკა

ნელი გაიდამაპი:

— უკრაინული გვარი მაქვს. ბაბუაჩემი — ანდრია გაიდამაპი მეფის რუსეთის სამხედრო ოფიცერი იყო. იმ პერიოდში, როცა მათი სამხედრო ნაწილი ქუთაისში მდგარა, წყლის პრობლემა ყოფილა და თურმე, ჯარისკაცები იქვე მცხოვრები ამირეჯიბის (ბებიაჩემის ბიძის) ჭით სარგებლობდნენ. ბებია, ნატალია ამირეჯიბი ულამაზესი ქალი იყო. მას წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და ქუთაისში, ბიძასთან ცხოვრობდა. სწორედ იქ გაიცნო უკრაინელი ოფიცერი, ერთმანეთი შეუყვარდათ და დაოჯახდნენ კიდევ. ბებია გვიყვებოდა ხოლმე, — ჩვენს ქორწილში რუსი სამხედროების „დუხავოი“ ორკესტრი, მთელი სამი დღე უკრავდაო. დაქორწინების შემდეგ საცხოვრებლად უკრაინაში წასულან, მაგრამ ვინაიდან ბებიას ნათესავები გარეშე მოუწყენია, ქმარს მისთვის უთქვამს: — ნატაშა, ძალიან მიყვარხარ. ვხედავ, აქ ცხოვრება გიჭირს და შენს სამშობლოში წავიდეთ, იქ ვიცხოვროთო... ბაბუას საგზაო-საინჟინრო ჰქონდა დამთავრებული და საქართველოში სამსახ-

ური ადვილად იშოვა — მაშინ ჭიათურაში რკინიგზის გაყვანა დაიწყეს და ბაბუა ინჟინრად დაინიშნა... ჭიათურაში ჩვენი სახლი გორაზე დგას. ბაბუამ სახლის მისასვლელამდე ულამაზესი ტერასები გააკეთა, სადაც სხვადასხვა ფერის ვარდი და ქრიზანთემა იყო დარგული. ჩემი მეგობრები ამ სილამაზით აღფრთოვანებულები გახლდნენ და ხშირ-ხშირად მეუბნებოდნენ, — ძალიან ბედნიერი ხარო! სახლში ყველანაირი ხილი გვექონდა, ვაზაში კი ყოველთვის, ახალდაკრეფილი ვარდები ეწყო... დღეს იმ სახლში ჩემი ბიძაშვილები ცხოვრობენ.

ჭიათურაში დავიბადე და გავიზარდე. სკოლის დამთავრების შემდეგ ლომონოსოვის უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა; მერე განაწილებით აფხაზეთში მოვხვდი, სადაც ჯერ სკოლაში, მასწავლებლად ვმუშაობდი, შემდეგ სოსუმის პედაგოგიური ინსტიტუტში ვკითხულობდი ლექციებს, ბოლოს კი სანატორიუმის ტიპის საბავშვო ბაღის გამგე გახლდით. სხვათა შორის, სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის საკითხებში სამეცნიერო შრომებისთვის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით ვარ დაჯილდოებული.



— თქვენს მეუღლეზეც გვიამბეთ რამე...

— მიშა სოსუმის დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. მას 100-ზე მეტი როლი აქვს ნათამაშები; ძირითადად, მთავარი როლები ჰქონდა და მერნმუნეთ, თეატრში ბევრი მისი სიყვარულით დადიოდა. ის ერთადერთი მსახიობი იყო საქართველოში, ვისაც სამი საპატიო — საბჭოთა კავშირის, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტის — ნოდება ჰქონდა, გახლდათ ლირსების ორდენის კავალერი და რუსულ ფილმებშიც აქტიურად მონაწილეობდა. მასხოვს, საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრმა, დემიჩევმა მაჯიდან ოქროს საათი მოიხსნა და ჩემს მეუღლეს უსახსოვრა... ჩვენს ოჯახთან ბევრი სახელოვანი ადამიანი მეგობრობდა. დიდმა რუსმა მსახიობმა — მიხეილ ულიანოვმა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ რომ შეიტყო, ძალიან შეწუხდა და ბოლო ფილმში აღებული ჰონორარი ჩვენ გამოგვიგზავნა... როცა სოსუმში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე ჩამოვიდა, სახსოვრად ჯვარი და „ბიბლია“ გადმომცა, რამაც ძალიან გამახარა.

— მეუღლე როგორ გაიცანით?

— ის თავდაპირველად გრიბოდოვის თეატრში მუშაობდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო, ექიმებმა ზღვისპირეთში წასვლა ურჩიეს და მიშა საცხოვრებლად სოსუმში გადავიდა... ერთხელ ახლობელთან ერთად, სოსუმის თეატრში მის სპექტაკლს დავესწარი. ახლაც მახსოვს, როგორ დამაჯერებლად და შთაბეჭქდავად შეასრულა ოდიპოსის როლი. წარმოდგენის დასრულების შემდეგ ახლობელმა იმდენი მოახერხა, რომ მიშა გამაცნო, მან კი მომდევნო სპექტაკლზე დაგვპატიჟა... ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო, მაგრამ საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა, კარგი იუმორი ჰქონდა და თავი შემაყვარა... ერთი ვაჟი გვყავდა, რომელმაც სოსუმში ბიზნესი ააწყო, ცოლი შეერთო, შვილები შეეძინათ და ყველანი ერთად ბედნიერად ვცხოვ-

ლომონოსოვის უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა; მერე განაწილებით აფხაზეთში მოვხვდი, სადაც ჯერ სკოლაში, მასწავლებლად ვმუშაობდი, შემდეგ სოსუმის პედაგოგიური ინსტიტუტში



ოვრობდით, მაგრამ ომმა ცხოვრება აგვირია, დევნილები გავხდით; მე, მუღლე და შვილიშვილები თბილისში წამოვედით, ჩემი შვილი კი მოსკოვში წავიდა და იქ მომიკვლეს (ამ სიტყვების თქმის შემდეგ, ქალბატონ ნელის მთელი სხეული აუცახცახდა, ცრემლები ვეღარ შეიკავა და აქვითინდა)... ერთადერთი შვილი გვყავდა და მისმა გარდაცვალებამ გაგვანადგურა. მახსოვს, დიმა ჯაიანი და სხვა მსახიობები მიშას როგორ ეხვეწებოდნენ, სცენაზე დამდგარიყო, მაგრამ უარი თქვა, — შვილის სიკვდილის შემდეგ სცენაზე რა მიწადა?! სოსუმთან დევნილებს მეგობარმა, ნუნუ სალინაძემ 3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა უფასოდ დაგვითმო და მ ნელი იქ ვცხოვრობდით. შემოვევლე, ნუნუ არც აქ მიმატოვა, ხშირად მაკითხავს... შვილის — გიას მაგივრობას მისი მეგობარი, გიორგი კავთელიშვილი მიწევს; ის ყველანაირად მხარში მიდგას, პანსიონატში ხშირად მოდის და რაღაცები მოაქვს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, მისი ნახვისას როგორი სითბო მეღვრება სულში. ხშირად ფულსაც მჩუქნის, ამას წინათ კი ტელეფონიც მომიტანა. ღმერთმა სიკეთე სიკეთითვე გადაუხადოს... მოკვლე, აღარ ვიცი, ამ ადამიანების მიმართ მადლიერება როგორ გამოვხატო. ცოტა ხნის წინ იცით, ვინ მესტუმრა? — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, ადღეიბას ვაჟი — თემურ ადღეიბა, რომელიც ასევე, ჩემი გიას მეგობარი იყო. მას გაუგია, თავშესაფარში რომ ვიყავი და თბილისში ჩამოსული თურმე, ჯერ „კათარზისში“ მექებდა, ბოლოს აქ მომავნო. საოცარი იყო ჩვენი შეხვედრა — მკოცნიდა, მეფერებოდა. თემური ჩვენს სახლში ხშირად მოდიოდა და ძველი წლები გაიხსენა. სხვათა შორის, მას ქართველი ცოლი ჰყავს და დღემდე სოსუმში ცხოვრობენ... თემური თბილისიდან მოსკოვში მიფრინავდა, იქიდან კი ამერიკაში უნდა წასულიყო. თვალცრემლიანი დავემზვიდობე, მან კი ძალიან მაგრად ჩამიხუტა. მოგვიანებით ვიგრძენი, რომ სანოლში რაღაც ეგდო და მომვლელს ვუთხარი, — ნახე, რაღაც ქალაქია და გადაადგე-მეთქი. ქალმა მითხრა, — 300 ლარიაო. ასე აღმოვაჩინე ჩემს სანოლში თემურის ნაჩუქარი 300 ლარი...

— გადაადგილებას ვერ ახერხებთ, არა?

— ჩემი მეუღლე ცოცხალი იყო, როცა ცუდად გავხდი — უეცრად საშინელი ტკივილი ვიგრძენი და ჩაკვიციე. შოდა, მას მერე გავლა ვეღარ

შევიძელი, მოძრაობა არ შემიძლია. მეგობრებმა ეტლი მომიტანეს, მაგრამ გადაადგილებას ვერც ამით ვახერხებ. ოპერაცია მჭირდება, მაგრამ ამ ასაკში ნამდვილად არ გავიკეთებ... ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი, მეუღლე რომ გარდამეცვალა. ძალიან მოსიყვარულე, უპრობლემო ადამიანი იყო და ამ ცხოვრებიდანაც ისე წავიდა, არავინ შეუნუხებია. ქმრის ცხედარს მთელი ღამე არ მოვშორებივარ, მის გვერდით ვინეკი და ვეფერებოდი; დილის 7 საათზე გაცივდა... მიშა მსახიობთა სახლიდან გაასვენეს და დიდუბის პანთეონშია დაკრძალული. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ აქ მოვედი, რადგან მოვლა მჭირდებოდა. პანსიონატში ყურადღება ნამდვილად არ მაკლია და ყველას მადლობას ვუხდის... პერიოდულად ჭიათურიდან ბიძაშვილებიც მაკითხავენ, რამდენიმე დღის წინ კი მამამო მახიარა... აი, ასე ვცხოვრობ.

— თქვენი რძალი და შვილიშ-

ვილები სად ცხოვრობენ?

— ჩემი რძალი აფხაზია. ომის დაწყებამდე კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ მერე რძალი სოსუმში დარჩა, გია, როგორც გითხარით, რუსეთში წავიდა, შვილიშვილები კი ჩემთან და მიშასთან ერთად, თბილისში წამოვიდნენ. თავიდან რძალი ჩვენს სანახავად ჩამოდიოდა ხოლმე. რაღაც პერიოდის შემდეგ მან ბინის გაყიდვა გადაწყვიტა და სახლი აფხაზს, გვარად ანქვაბს მიჰყიდა. ის აფხაზი არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ და ვიდრე ფულს მისცემდა, მოსკოვიდან დაგვირეკავა, გაგვაფრთხილა: — თქვენი რძალი ბინას ყიდის და წინააღმდეგი ხომ არ ხართ ან ხომ არ გასურთ, რომ თანხა თქვენს ანგარიშზე გადმოერიცხოთ? ვუპასუხე: — არა, რაც მაქვს, ისიც მეყოფა, მაგას მიეცით-მეთქი. ბოლოს, როცა ჩემი რძალი თბილისში ჩამოვიდა, იმ ბინის ფულიდან 300 დოლარი მომცა...



ვინ მანიპულირებს გულუბრყვილო და საშუაოს დანატრებული ადამიანებით?



როგორც ამბობენ, მიმტანების, მალაზიის კონსულტანტებისა და საერთოდ, მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ხელფასი მათ მიერ გაწეული შრომის შესაბამისი არ არის. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ არ არსებობს შრომითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, როგორც დასაქმებულის, ასევე დამსაქმებლის უფლებები იქნება დაცული; როგორც წესი, დამსაქმებელსა და დასაქმების მსურველს შორის თანამშრომლობა სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ხდება... დღესდღეობით, ამ სფეროში მომუშავე ადამიანების საშუალო ხელფასი 200-450 ლარია. მუშაობის დაწყების მსურველები რამდენიმე აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდნენ: კარგი გარეგნობა, უცხო ენების ცოდნა, სამუშაო გამოცდილება და ა.შ. ამასთანავე, მათი ასაკი 35 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

ელენე ბასილიძე

ქათათო, 24 წლის:

— უნივერსიტეტი დავამთავრე, მაგრამ ვინაიდან სამუშაო ვერ ვიპოვე, მეგობარმა სამკერვალოში მიმიყვანა, სადაც ხელფასს გამომუშავების მიხედვით მაძლევდნენ. იქ გამუდმებით, წელში მოხრილს მიწევდა მუშაობა, ამიტომ ხერხემალი დამიზიანდა და იძულებული გავხდი, სამკერვალოდან წამოვსულიყავი. რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ გადავწყვიტე, სამსახური ისევ მეშოვა, მაგრამ გამოცდილების არქონის გამო, პროდუქტების მალაზიაშიც კი უარს მეუბნებოდნენ. ბოლოს, ისევ ნაცნობობამ მიშველა — მეგობრის მამიდაშვილის ახლობელს რესტორანი ჰქონდა და იქ დამასაქმეს.

— სამუშაოს დაწყებამდე შენთან კონტრაქტი თუ გააფორმეს?

— არა, მუშაობა სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე დავიწყე, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ დამსაქმებლის სიტყვას არ უნდა ენდო — მიუხედავად იმისა, რომ რესტორანი ნაცნობის იყო, იქიდანაც მალევე წამოვედი და უკვე მეოთხე სამუშაო ადგილი გამოვიცვალე. დღესდღეობით ჩემი ხელფასი 600 ლარია, რაც დამეთანხმებით, ნორმალური თანხაა, მაგრამ მერწმუნე, სამსახურის სხვაგან დაწყების საშუალება რომ მქონდეს, აქედანაც დაუფიქრებლად წავიდოდი.

— რატომ?

— საკმაოდ რთულ პირობებში

გვინევს მუშაობა. ხშირად კლიენტები რესტორნიდან იპარებიან და მათი დანახარჯის ანაზღაურება საკუთარი ხელფასიდან გვინევს, მთვრალ და შარიან კლიენტებთან ურთიერთობაზე ხომ აღარაფერს ვამბობ... იმედია, მალე ჩემი პროფესიით ვიშოვი სამუშაოს და ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყებ ამ საძულველ სამსახურს.

ნინო, 22 წლის:

— როგორც იქნა, ისეთი სამსახური ვიშოვე, სადაც უაზრო მოთხოვნები არა აქვთ და რაც მთავარია, დამსაქმებლებს ადამიანად მივაჩნევენ. ვიდრე ამ მალაზიაში მოვიდოდი, უამრავი სამუშაო ადგილი გამოვიცვალე და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ სუპერმარკეტის კონსულტანტობაზე დაუფასებელი და რთული სამუშაო არ არსებობს, თანაც — ამ ადამიანების უფლებებს უხეზად არღვევენ... 18 წლის ვიყავი, როცა ერთ-ერთ მარკეტში გასაუბრებლად მივედი და იცით, რა მითხრეს? — მინიმუმ, 2-წლიანი გამოცდილება უნდა გქონდეს, რომ კონსულტანტად იმუშაო და მათივე მარკეტში ერთვნიანი სტაჟირების გავლა მომთხოვეს. სხვა რა გზა მქონდა, დავთანხმდი. ყველა მძიმე სამუშაოს სტაჟირების ვასრულებდით. სხვათა შორის, ჩემთან ერთად სტაჟირებას ის გოგონებიც გადიოდნენ, რომლებსაც მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, 2 კვირის განმავლობაში მათაც უხ-

ელფასოდ ამუშავედნენ; რაც მთავარია, დასაქმების გარანტია არავისთვის მიუციათ. გვითხრეს, — იმ შემთხვევაში დაგასაქმებთ, თუ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში თავს გამოიჩინებთ. მალე მივხვდი, რომ ეს სუპერმარკეტი გულუბრყვილო გოგონებით მანიპულირებდა და წამოვედი, სხვებმა კი ბედი ბოლომდე სცადეს, მაგრამ გამოსაცდელი ვადის ამონურვის შემდეგ დამირეკეს და მითხრეს, — მართალი ყოფილხარ, უფასოდ გვამუშავეს და არ აგვიყვანესო... რალაც პერიოდის შემდეგ საცხოპში დავიწყე მუშაობა, სადაც ინგლისურის ცოდნა მომთხოვეს. წესით, ანაზღაურება დღეში 10 ლარი უნდა მქონოდა. საცხოპი კარგად მუშაობდა, მთელი დღის განმავლობაში დაჯდომასაც ვერ ვახერხებდი, მაგრამ მეპატრონე მეტისმეტად ძუნწი აღმოჩნდა — იმ 10 ლარის მოცემაც არ სურდა და ხშირად მეუბნებოდა: ხელფასის მაგივრად, ხაჭაპური და ღვეზელი წაიღეო. ერთხელაც, გავბრაზდი და წამოვედი... რაც შეეხება ჩემს ამჟამინდელ სამუშაოს, ის ჩემი გარეგნული მონაცემების წყალობით ვიშოვე და როგორც აღვნიშნე, ბედს წამდვილად არ ვემდური. რაც მთავარია, სამუშაო საათების დროს დაჯდომა შემიძლია. არის მალაზიები, სადაც გოგონებს არათუ ჯდომის, არამედ წელში მოხრის უფლებაც კი არა აქვთ...

ქათი, 23 წლის:

— უნივერსიტეტის გადასახადი რომ დამეფარა, იძულებული გავხდი სუპერმარკეტში, ღამის მოლარედ დამენყო მუშაობა — ღამის 10 საათიდან დღის 9 საათამდე ვმორიგეობდი ხოლმე. ერთ დღეს დაცვის თანამშრომელმა სალაროდან



100 ლარი მომპარა. მართალია, ქურდის ვინაობა მალევე დადგინდა და მოპარული თანხა ხელფასიდან დაუქვითეს, მაგრამ მანამდე, 100 ლარი მეც „ამახიეს“; ხმა რომ ამომელო, ვიცოდი, სამსახურიდან დამითხოვდნენ და გაეჩუმდი. ეგ არაფერი — ზოგიერთი თანამშრომელი სასურველ პროდუქტს დახლიდან უკითხავად იღებდა და როცა მაღაზიაში ამ დანაკლისს აღმოაჩენდნენ, ყველაფერი უდანაშაულო კონსულტანტს პბრალდებოდა, მას ხელფასიდან თანხას აჭრიდნენ... ჩემი მოთმინების ფიალა ერთ-ერთი მოლარის თაღლითურმა საქციელმა აავსო: ის მარკეტის უფროსობასთან მეტისმეტად დაახლოებული პირი გახლდათ და ფულს თავისუფლად „ტეხდა“. ეს ამბავი რომ გავიგე, იმ დღესვე დავანებე თავი მუშაობას... რალაც პერიოდის შემდეგ აფთიაქში დავსაქმდი. მიუხედავად იმისა, რომ აქაც ლამის ცვლაში ვმუშაობ, ჩემი სამსახურით კმაყოფილი ვარ, არაადამიანურ პირობებში მანაც არ მიწევს ყოფნა.

ლენუკა, 26 წლის:

— მას მერე, რაც უნივერსიტეტი დავამთავრე, სად აღარ ვიმუშავე: მარკეტში, ყვავილების მაღაზიაში, სარეკლამო კომპანიაში, სლოტ-კლუბსა და საცხოვრებელი კი. ჩამოთვლილი სამსახურებიდან კონტრაქტი მხოლოდ ორთან — სარეკლამო სააგენტოსა და სლოტ-კლუბთან გავაფორმე. ორივე სამსახური ძალიან მომწონდა, მაგრამ სამწუხაროდ, რალაც პერიოდის შემდეგ ეს დანებებულებები გაუქმდა. სხვათა შორის, იმ კონტრაქტში ეწერა, რომ მანამ, ვიდრე იქ ვიმუშავებდი, გათხოვების უფლება არ მქონდა. სარეკლამო კომპანიაში კონტრაქტის პირობა იმასაც ითვალისწინებდა, რომ ხელფასი ყოველთვე, დაგვიანების გარეშე დაგვერიცხებოდა და კადრების შემცირება-გადანაცვლებაც არ უნდა გაგვეკვირვებოდა...

ერთი პერიოდი მარკეტში, გამყიდველად ვმუშაობდი. მიუხედავად იმისა, რომ გამოუცდელი ვიყავი, საქმეს თითქოს კარგად ვართმევდი თავს, მაგრამ თვის ბოლოს მაღაზიის მეპატრონემ 1.000-ლარიანი დანაკლისი აღმომიჩინა. ერთი შეხედვით, ყველაფერი სწორად მქონდა, მაგრამ პროდუქტი გვაკლდა... ცხადია, თანხის გადახდა მე დამაპისრეს. საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულმა, პოლიცია გამოვიძახე.

საქმეს მთელი 2 თვე იძიებდნენ და ბოლოს გაირკვა, რომ მაღაზიის მეპატრონემ გამწირა. თურმე, ის ყოველ საღამოს, მაღაზიას ჩუმად ალებდა და პროდუქტი გაჰქონდა... მოკლედ, დღეს ველარავის ენდობი.

გივი, 35 წლის, რამდენიმე რესტორნისა და სლოტ-კლუბის მფლობელი:

— უკვე დიდი ხანია, რაც რესტორნებისა და სლოტ-კლუბების ბიზნესი მაქვს. წლების განმავლობაში დაგროვილმა გამოცდილებამ მიჩვენა: თუ გინდა, საქმე ხარისხიანად გაკეთდეს, თავად უნდა გააკეთო (ილიმის). ჩემს ბიზნესს მენეჯერები მართავენ, კადრების შერ-



ჩევაში კი თავად ვმონაწილეობ.

— მომსახურე პერსონალს რა კრიტერიუმებით არჩევ?

— მთავარი კრიტერიუმი — სასიამოვნო გარეგნობა და კლიენტთან ურთიერთობის უნარია. არის


შემთხვევები, როცა გასაუბრებზე ანგელოზივით გოგონა მოდის, მაგრამ კლიენტთან ურთიერთობა არ შეუძლია. სასურველია, ადამიანს მუშაობის გამოცდილებაც ჰქონდეს, მაგრამ თუ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, გამოუცდელსაც მივიღებთ და საქმეს თავად შევასწავლით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვიდრე ყველაფერს კარგად არ აითვისებს, მისი მუშაობა არ ანაზღაურდება — ეს ერთგვარი სტიმულიცაა საიმისოდ, რომ საქმე კარგად და სწრაფად შეისწავლოს. ჩვენთან დასაქმება სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ხდება... მომსახურე პერსონალის კარგად მესმის. მუშაკები ხშირად, ისე იღლები-

— და მიუხედავად ამისა, განაწყნებული თანამშრომლებიც გეყოლებათ...

— ერთი ამბავი გამახსენდა: რამდენიმე წლის წინ რესტორნიდან გასული კლიენტი მობრუნდა და შემოგვივილა: — თქვენს რესტორანში საფულე დამრჩაო. ოფიცინტს დავუძახეთ, მან კი იუარა, — საფულე არ მინახავსო. მიუხედავად ამისა, კლიენტი მიმტანს ქურდობაში დაჭინებით ადანაშაულებდა და ვინაიდან სიმართლის დადგენა შეუძლებელი იყო, გადავწყვიტე, გოგონა სამსახურიდან დამეთხოვა. სწორედ ამ დროს იმ კაცს მეუღლემ დაურეკა, — საფულე მანქანაში დაგრჩენიაო... მას შემდეგ თანამშრომლების დანაგვირის უფლებას არავის ვაძლევ, მათ ყოველთვის აქვთ ჩემი იმედი, მე კი — მათი...

P.S. ალბათ, ყველა მიმტანი ან კონსულტანტი ინატრებდა გივისნაირ უფროსს, მაგრამ როგორც ჩანს, შეგნებული ხელმძღვანელი — დიდი იშვიათობაა. ასე რომ, აჯობებს, თუ მუშაობის დაწყებამდე დამსაქმებელს დაელაპარაკებით და სამუშაო პირობებში წინასწარ გაერკვევით. ნურავის მისცემთ თქვენით მანიპულირების უფლებას!

PALITRA
TV-RADIO
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრას!



სამყარო

2011 წლის მოდის ტენდენციები — სუნამო, პარსხნილობა, აქსესუარი

ახალი წელი თავისთავად, სიახლესთან ასოცირდება. ჩვენც უფრო მეტად ვცდილობთ, ამ სიახლეებს არ ჩამოვრჩეთ და შეძლებისდაგვარად, ფუნდამენტურ მიყვებით მოდის სფეროში გაბატონებულ ტენდენციებს. სუნამო, სამკაულები, სათვალე და ვარცხნილობა ყველა ქალბატონის (და არა მარტო...) დიდი ინტერესის ობიექტია. ამჯერად იმ ინოვაციებს გაგაცნობთ, რასაც 2011 წელს გვპირდებიან.

თამაზ დაღვალი

სუნამო

სახია ჯაფარიძე, პარფიუმერიული კომპანიის მარკეტინგისა და PR დეპარტამენტის მენეჯერი:

— 2011 წელი იმდენი პარფიუმერიული სიახლითაა დახუნძლული, რომ მსურველებს შეიძლება თავბრუ დაეხვეთ. ამჯერად, მარკ ჯაკობსმა მამაკაცებს საკმაოდ ორიგინალური სიახლე შესთავაზა. ეს არის სუნამო Bang — დარტყმა. მისი დიზაინი საინტერესოა — ფლაკონი მეტალისაა და ისეთი ფორმა აქვს, თითქოს ჩაქუჩი ჩაარტყესო. დავიდოვის „ჩემპიონის“ ბოთლი კი სავარჯიშო ჰანტელის ფორმისაა. თავს მოხსნი და შიგნით სუნამოა მოთავსებული. ქალბატონებისთვის სიახლეა GUCCI-ს „გილთი“, საახალწლო, სადღესასწაულო სუნამო — ექსტრავაგანტური,

ლამაზი, ოქროსფერი ფლაკონი იმ ქალბატონებისთვისაა განკუთვნილი, რომელთაც ირგვლივ ყველას „დაშოკვა“ უნდათ. კლასიკური სუნამოა CLOE, რომელმაც გამოუშვა „ლოვე“ და მას აბსოლუტურად განსხვავებული სურნელი აქვს. „ჰელენ კლანის“ სუნამოებზე რაოდენობრივად მსოფლიოში ყველაზე მეტი მოთხოვნაა. მისი კლასიკური ხაზია ახალი Beauty. „ჰიტად“ მიიჩნევა კაროლინა ჰერერას „VIP“, რომელიც ენერჯიული ცხოვრების სტილსა და VIP ადამიანებზეა გათვლილი. „როკო ბაროკო“ და „დოქტორ გლამურ“ კვლავაც მოდურია. რაც შეეხება დეკორატიულ მაკიაჟსა და კოსმეტიკას, რადგან კურდღლის წელიწადი მოდის, უფრო აქტუალური ნაცრისფერი, შავი და ვერცხლისფერი იქნება. თუმცა, ახალ პროდუქციაზე დაყრდნობით შემოიღია გითხრათ, რომ ფერთა გამა მრავალფეროვანია და შეზღუდვა არ ვრცელდება. მსოფლიოში პოპულარულია ე.წ. SMOUKI AIZ. ფერადი მაკიაჟი ცისფერი და მწვანე თვალების მქონე, თეთრი პირისაღის ქალბატონებს უფრო უხდება. ტუჩის საცხიც ინდივიდუალურია. მაგალითად, მზზინავი, წითელი პომადო სასურველია, თეთრმა და „მარგალიტის“ კბილების მქონე ქალბატონებმა



წაისვან, რადგან უფრო გამოკვეთილად და ლამაზად ჩანს. მინდა აღვნიშნო, რომ სიახლეა თმის საღებავებშიც, რომელიც სპეციალურად ფეხმძიმე ქალბატონებისთვისაა — ამიაკის გარეშე.

სათვალე

ადამიანის სახის ფორმასთან სწორად შერჩეული სათვალე ყოველთვის დადებითად აისახება ქალბატონისა თუ მამაკაცის იმიჯზე და მას მეტ თავდაჯერებულობასა და ხიბლს მატებს.

როლანდ ჯაფარიძე, ოპტიკური კომპანიის გენერალური დირექტორი: — ოქტომბერში პარიზში ოპტიკის მსოფლიო გამოფენა ჩატარდა — EYE WEAR, რომლის ნიმუშები, რა თქმა უნდა, უკვე თბილისშია. მოდური მრგვალი ფორმის სათვალე იქნება — ე.წ. „ლენონები“, რომლებიც თითქმის ყველა ნამყვანმა ბრუნდმა გამოუშვა. მინის ფერი ფუნქციონალურად სხვადასხვაგვარია; არჩევანი დიდია. ერთი მოდული შეიძლება 50 სხვადასხვა ფერ-





ისაც კი იყოს. ბოლო 3 წელია, ძალიან მოდურია „ავიატორის“ სტილის სათვალე. ეს ტენდენცია გაგრძელდება და „ლენონი“ დაემატება. ასევე, მოდაშია კომბინირებული სათვალე, სადაც ერთმანეთთან რამდენიმე მასალაა შერწყმული — აცეტატი, მეტალი ან ორივე ერთად; ამას დამატებული ქვები, კრისტალები, ტყავი ან სხვა ელემენტები. მაგალითად, თუ მთაში ხართ, სარკისებური მინები უკეთესია... გამოფენაზე ყველანაირი სტილის სათვალე იყო წარმოდგენილი. „შანელის“, „ბულგარის“, „პრადას“, „რალფ ლორუენის“ სათვალე ყოველთვის მოდაშია. ზოგიერთი ბრენდი, რომელიც ადრე ძალიან პოპულარული იყო, ახლა ცოტა უკანა პლანზე გადადის. მაგალითად — „ვერსაჟი“. ამას დიზაინერების პასიურობა განაპირობებს — მომხმარებელს ნაკლებ სიახლეს სთავაზობენ. ე.წ. სახალხო ბრენდები, რომელთაც ზემოთ ჩამოთვლილ ბრენდებთან შედარებით ნაკლები ფასი აქვს, გახლავთ „ჯემინი“, „ჯორჯ ფირალი“, „ჯოპიტო“, „ეშენბახი“ და ა.შ.

სათვალისთვის მინას ახლა ცოტა კომპანია იყენებს. ძირითადად ორგანული მინა — „პლასტიკი“ და პოლიკარბონატი. მათ წამყვანი, მწარ-

მოებელი ფირმები და დიზაინერები აქტიურად იყენებენ. „შოპარდი“ და „კარტიე“ საუკეთესო საიუველირო ბრენდებია. დიდი მნიშვნელობა სათვალის წონასა და უსაფრთხოებას ენიჭება. 2011 წელს ასევე სიახლე იქნება „დიზელის“ ფირმის სათვალე.

ჩანთა

რაც შეეხება ჩანთებს, ოთხკუთხა ფორმებია აქტუალური, რომელიც ბექდის მსგავსი, მრგვალი მეტალითაა განწყობილი. „თითქოს ყველა დიზაინერმა გადაწყვიტა, რომ მისი ჩანთა ბირკინის ჩანთას უნდა ჰგავდეს. ამ სტილმა თავიდან არ აღმაფრთოვანა, მაგრამ ახლა უფრო მომწონს. თუმცა ჩემი აზრით, ფენდის ჩანთა ვიზუალურად ბირკინისასაც კი სჯობს“, — აღნიშნა ავთო ცქვიტინიძემ ჩემთან საუბრისას.

სამკაულები და აქსესუარები ყოველთვის გემოვნებით უნდა იყოს შერჩეული. 2010 წელს ლითონის ჯაჭვები და მასიური ფორმები იყო მოდაში. ეს ტენდენცია გაისადაც გაგრძელდება.

პაპ ჩანჩიზაძე, დიზაინერი:

— წელს კვლავ „სვაროვსკისა“ და სხვა ძვირფასი თვლებით განწყობილი სამკაულებია აქტუალური. ვინაიდან კურდღლის წელი მოდის, ბროში შეიძლება ბენვით, თვლებით ან ლენტეხით იყოს განწყობილი და გულის ფორმა ჰქონდეს. აქსესუარი ყოველთვის იმის მიხედვით უნდა შეარჩიოთ, თუ რა გაცვიათ და სად მიდიხართ. სწორად მორგებული და გემოვნებიანი აქსესუარი სადა და უბრალო კაბასაც კი ეფექტურად წარმოაჩენს. რაც შეეხება მძივებს, ფერადი ბურთულები აქტუალურია. შეიძლება რამდენიმეც კი გაიკეთოს ადამიანმა, ოღონდ — გემოვნებით შერჩეული. ასევე

მოდაშია მასიური სამკაულები. ფერები: თეთრი, მოყვითალო, შამპანურისფერი, ნაცრისფერი. ბექდებიც მასიური ფორმის უნდა შეარჩიოთ. ლითონის ჯაჭვები კვლავაც მოდურია. აუცილებელი არ არის, სამკაული ძვირფასი ლითონის იყოს. ზოგჯერ უბრალო მასალისგან დამზადებულიც შთამბეჭდავ ეფექტს ახდენს.

პარსხნილობა

ქალბატონების უმეტესობა ყველაზე მეტ ყურადღებასა და დროს თმის მოვლასა და სასურველი ვარცხნილობის შერჩევას უთმობს. ლამაზი თმა ყველა ქალის სავიზიტო ბარათია და ის არც მამაკაცებს რჩებათ ყურადღების მიღმა. მოდა ამ მხრივაც სეზონურად იცვლება, თუმცა ძირითადი ტენდენციები მთელი წლის მანძილზე რჩება.

ლია ფანცულაია, სტილისტი:

— 2011 წლის ვარცხნილობის ახალი ტენდენციები საბოლოო სახეს იანვარში მიიღებს. თუმცა, ამ ეტაპზე შემოიღია გითხრათ, რომ მოდაში ძალიან ნაზი და ჰაეროვანი ვარცხნილობები შემოვა, რომელიც ქალურობას გაუსვამს საზს. თუ წელს „ქერა ბოჰემის“ წელი იყო, გაისად „რომანტიკული“ სტილი იქნება დომინანტი. კვლავ მოდაშია ლია ფერის, მელირებული თმა, თუმცა აუცილებელი არ არის, ქერა იყოს. ახალ კატალოგში ასეთი ვარცხნილობებია მოცემული: თმის ძირები მუქი ფერისაა, ბოლოები კი ლია, რაც შეღებვის ახალი ტექნოლოგიების საშუალებით მიიღწევა. ზამთარს სპილენძისფერი და ოქროსფერი თმა უხდება. მართალია, ვარცხნილობის შერჩევა ყოველთვის ადამიანის სახის ფორმის მიხედვით ხდება, მაგრამ ქალებს ვურჩევ, არასდროს შეუმინდნენ სიახლეებს; იყვნენ გაბედულები და თავდაჯერებულები.





მანდარინის „ბილიკი“ და მსხლის „ლაპიონი“ ანუ იდეები საახალწლო სუფრისთვის

ქალბატონი ნინა ნოზაძე სუფრის დიზაინერია. მის მიერ მომზადებული ხლისა თუ ხორცის ტორტები და ლამაზად გაფორმებული ბოსტნეულის კალათები ნებისმიერი ადამიანის ყურადღებას იქცევს. 62 წლის ქალბატონმა სუფრის დიზაინზე მუშაობა 2 წლის წინ დაიწყო და რამდენიმე კონკურსშიც მონაწილეობდა, სადაც მისმა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ელენე ბასილიძე

— ყოველთვის მომწონდა ლამაზად გაფორმებული სუფრები, ინტერიერი... ჩემი შვილები „აზიზი“ მჭამელები იყვნენ და ყველანი ვცდილობდი, მათთვის ისეთი ლამაზი კერძი მომეზადებინა, რომ ჭამის სურვილი გასჩენოდათ. წვნიანში ჩვეულებრივი კომბოსტოს ნაცვლად, ყვავილოვან კომბოსტოს ვანაცვლებდი, რომ ლამაზი გამოსულიყო და ამით მიმეზიდა პატარები (ილიმის).

— თქვენი სადღესასწაულო სუფრა ალბათ ყოველთვის გამოირჩეოდა.

— ვერ ვიტყვი, რომ ჩემი საახალწლო ან სადღესასწაულო სუფრა ყოველთვის ულამაზესი იყო. გადატვირთული დღის რეჟიმის გამო, საკუთარი სუფრის გალამაზებისთვის არც დრო მრჩებოდა და აღარც ენერჯია. ჩემს მეგობრებსა თუ ახლობლებს, ვისაც სუფრის განწყობაში ვეხმარებოდი, ყოველთვის ულამაზესი სუფრა ჰქონდათ (ილიმის).

— პროფესიით დიზაინერი ბრძანდებით?


— არა, მუსიკოსი გახლავართ. დიდი ხნის განმავლობაში ვასწავლიდი მუსიკალურ სკოლაში, იქიდან წამოსვლის შემდეგ კი საბავშვო ბაღში, მუსიკის მასწავლებლად დავინიშნე მუშაობა. დროთა განმავლობაში ჰობი პროფესიად ვაქციე. ჩემი საქმიანობით ბედნიერი ვარ; ამა თუ იმ წვეულების გაფორმებისას დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ვიღებ. ჩემი გაფორმებული მაგიდა მსახველებს ისე მოსწონთ, მათი აღფრთოვანებული სახეები დადებით მუხტს მაძლევს. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ყველა მსახველი აღფრთოვანებას აშკარად გამოხატავს. ზოგს ჩემი საქმიანობის მიმართ ძალიან გულგრილი დამოკიდებულება აქვს. მთავარია, საჭმელი იყოს და რა სახით იქნება მიწოდებული, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს.

— თუ გახსოვთ, პირველად როდის დაიწყეთ სუფრის გაფორმებაზე მუშაობა?

— სადაც კი სტუმრად ვყოფილვარ



— დაბადების დღე იყო თუ ქორწილი, ვცდილობდი, ჩემი ახლობლებისათვის ულამაზესი სუფრა გამეწყობა. საბოლოოდ ისე ვიღებოდი, მოლხენის თავი აღარ მქონდა... დროთა განმავლობაში, წყნეთში, ერთ-ერთი რესტორნის დიზაინერად მიმინვიეს და გადავწყვიტე, ამ წინადადებას დავთანხმებოდი. რესტორანში მუშაობის დაწყებიდან თვე-ნახევარი იყო გასული, როცა მოსკოველი რესტორატორი, მარინა ნაუმოვა ჩამოვიდა და მითხრა, — მალე სუფრის დიზაინერთა შორის კონკურსი გაიმართება და მინდა, მონაწილეობა მიიღოთ... სიმართლე გითხრათ, ძალიან შემეშინდა, მაგრამ უარი არ გამივიდა და დავთანხმდი. გადავწყვიტე, ციკნის „პრეზენტი“ გამეკეთებინა. შემწ-





ვარ ციკანს მაიონები ნაფუსვი, ზემოდან მსხვილ სახეზე გახებილი, მოხარული კვერცხის ცილა მოვაყარე, ალაგ-ალაგ შავი პილპილით „ხალები“ გამოვკვეთე და ასე გავიტანე შემფასებლების „სამსჯავროზე“. გრან-პრი მივიღე (ილიმის). მეორე კონკურსზე კი მასსოვს, დიდი ზუთხი შევწვი, ზემოდან ბადე გადავფარე, ალაგ-ალაგ კიბორჩხალები და ხახვის „ლილიები“ შემოვუწყვე და „ზუთხი ბადეში“ დავარქე, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

— კონკურსში ხშირად მონაწილეობთ?

— სიმართლე გითხრათ — არა. მხოლოდ სამ კონკურსში მივიღე მონაწილეობა. სხვათა შორის, როცა ჟურის წევრებმა ჩემი ნამუშევრები ნახეს, ავსტრიასა და ისრაელში მიმიწვიეს, მაგრამ დედა მყავდა ავად და ამ შემთავაზებზე უარი ვთქვი.

— თქვენს საქმიანობაში ყველაზე დიდ მნიშვნელობას რას ანიჭებთ?

— ჩემს საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს ყველაზე რთული ფერთა შესამებაა. როცა ხილის ასორტის ვამზადებ, რთულია, სხვადასხვა ფერის ხილი ისე შევუხამო ერთმანეთს, რომ მეტისმეტი სიჭრელით მსახველს თვალი არ მოსჭრას. ვცდილობ, „სადა სიჭრელე“ შევქმნა. ბოსტნეულის სალათის გაკეთებისასაც კი, ვცდილობ, სუფრა ძალიან არ გადავტვიროთ. სტაფილოთი, ხახვით, პრასით შექმნილი ყვავილებით, კიტრითა და წითელი ბულგარული წინაკით იმდენად ლამაზი სუფრის განწყობა შესაძლებელია, მსახველების აღფრთოვანებასაც კი იწვევს. ხომ იცით, ჩვენთან როგორაა მიღებული? ყველაფერი ბევრი და დახვეწილი უნდა იყოს სუფრაზე. მივიჩნევ, რომ სადად განწყობილი სუფრა გაცილებით ლამაზია. ჯობს, მაგიდაზე ადგილი დარჩეს, ვიდრე ყველაფერი ერთმანეთზე ეყაროს და ულამაზოდ იყოს გაფორმებული. დღეს მე „პრეზენტებს“ ვაკეთებ — ესაა თევზულის, ქათმის და გოჭის ხორცისგან მომზადებული გემრიელი და ლამაზი კერძები.

— გოგროს, საზამთროსა და სხვადასხვა ბოსტნეულისგან დამზადებული ლამაზ-ლამაზი ნამუშევრები გაქვთ. რთულია მათი შექმნა?

— თუ მოინდობებთ, არაფერია რთული. მსგავს ლამაზ რაღაცებს საკმაოდ ბევრი ადამიანი აკეთებს.

— გამოსათლელად სპეციალური დანა საჭირო?

— თავდაპირველად ყველაფერს ჩვეულებრივი დანით ვაკეთებდი. შემდეგ კი მარინა ნაუმოვამ უცხოეთიდან სპეციალური დანები ჩამომიტანა. სიმართლე რომ გითხრათ, იმ ხელსაწყოებს ისევ დანა მერჩინა. დღეს მთავარ სამუშაოს მაინც

ჩვეულებრივი დანით ვასრულებ.

— ბევრი ხილი სეზონურია. ალბათ, ზამთარში საზამთროს ყვავილებს ვერ აკეთებთ.

— ზამთარში ვცდილობ, საზამთრო გოგროთ ჩავანაცვლო, მაგრამ თუ მაინცდამაინც საზამთროა საჭირო, მისი ჩამოტანა თურქეთიდანაც შეიძლება. თუმცა, თურქული საზამთროს განსხვავებული ფორმის გამო ყვავილების გაკეთება ხშირად არ ხერხდება. „ყვავილ-საზამთროებს“ საჭმელად ვერ იმეტებენ. მაცივარში ინახავენ, ხანდახან გამოიღებენ და თვალს ახარებენ (იციინის). რაც შეეხება ხილისა და ხორცისა ტორტებს, მათ ყურებას ჭამა სჯობს. გემოც სილამაზის შესაბამისი აქვს.

— რომელიმე განსაკუთრებული „ნამუშევარი“ თუ გასწენდებოდა?

— ერთი ქალბატონი კვიპროსიდან დამეკონტაქტა, — ბავშვის ნათლობა გვაქვს და იქნებ, რაიმე განსაკუთრებული მოგვიზადოთ, რომელიც პატარას ძალიან გაახარებსო. ბევრი ვიფიქრე, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა. ბოლოს, მე და ჩემმა ვაჟმა გადავწყვიტეთ, გოგორისკაბიანი თოჯინა გაგვეკეთებინა, რომელსაც მანდარინებით მოკირწყლულ „ბილიკზე“ დავაყენებდით. ბილიკი კვითა და მსხლის „ლამპიონებით“ მოვრთეთ და აღფრთოვანებული კლიენტები დიდი ხნის განმავლობაში გვიხიდა და მადლობას. პატარაც აღტაცებული იყო. მასსოვს კვით გაკეთებული ნაძვის ხეც, რომელიც ისეთი ლამაზი გამოვიდა, რომ შესაჭმელად ვერ იმეტებდნენ.

— საფორმო კერძი თუ გაქვთ?


— ხორცისა და მჭადის ტორტს ვამზადებ. სხვათა შორის, ხორცის ტორტი დიდ მონონებს იმსახურებს. მას ფარშით ვამზადებ, რომლის შუაშიც მოხარულ კვერცხებს ვდებ... კერძმა ჯერ თვალი უნდა მიიზიდოს, რომ მერე ადამიანს გასინჯვის სურვილი გაუჩნდეს.

— როგორც ვხვდებით, თქვენ სამუშაო საკმაოდ შრომატევადია.

— კი, ბაზარში დიდი ხნის განმავლობაში დავდივარ, რომ სასურველი ფორმისა და ზომის ხილ-ბოსტნეული ავარჩიო... ხშირად მთავაზობენ დახმარებას, მაგრამ მირჩევნია, თავად ვიარო, რადგან ამ დროს ისეთი ხილი შეიძლება დავიწახო, რომელიც თავად მიკარნახებს, რა უნდა შევქმნა მისგან. მას შემდეგ, რაც საჭირო ხილს მოვიმარაგებთ, მე და ჩემი ვაჟი მუშაობას ვიწყებთ. ხილის ტორტის ტრანსპორტირება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ხილი კონტეინერებით მიგვაქვს დარბაზში და მერე „ვასხამთ ხორცს“.

— თქვენ და თქვენს ვაჟს ფუნქციები განაწილებული გაქვთ?

— კი, რა თქმა უნდა. ჩემი ვაჟი სადგამებსა და სპეციალურ ლანგრებს



მიმზადებს, რომელზეც გამზადებულ ტორტს ვათავსებთ. ერთნაირი გემოვნება გვაქვს, რაიმეს კეთებას რომ დავინყებ, ნიკუმას შეუძლია ჩემი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს და ეს ძალიან მახარებს.

— როცა კლიენტი შეკვეთას გაძლევთ, მის გემოვნებას თუ ითვალისწინებთ?

— სიმართლე გითხრათ, როცა კლიენტები ჩემს ნამუშევრებს ნახულობენ, თავად ითვალისწინებენ ჩემს გემოვნებას და მენდობიან.

— რესტორნის სუფრების გაფორმებაზე ისევ მუშაობთ?

— არა, რესტორნის მომსახურე პერსონალს (მზარეულებს ვგულისხმობ) დინაიერის სამზარეულოში ყოფნა გულზე არ ესაბება. როცა ჩემ მიერ გაფორმებულ კერძებს ხედავენ, — უჰ, მაგას ხომ ჩვენც გავაკეთებდითო, აღნიშნავენ ხოლმე (ილიმის).

— ალბათ ძალიან ბევრი ადამიანი მოგმართავთ თხოვნით, რომ სელობა ასწავლოთ.

— კი, მაგრამ ჯერ ლამაზი გამოყენის მონეობა მინდა, ამის შემდეგ კი მოსწავლეებსაც ავიყვან. იმედია, სურვილის ახდენას მალე შეეძლება.



სომელია — თქვენი გზამკვლევი ღვინის სამყაროში



ეს პროფესია პირველად საფრანგეთში, ნაპოლეონის ეპოქაში გაჩნდა. სომელიე ღვინის ექსპერტია, რომელიც მომხმარებლისთვის ამ სასმლის მოხდენილად და სწორად მირთმევაზე პასუხისმგებელი. ამასთანავე, სხვა ალკოჰოლური სასმელების ცოდნაც ევალდება. საქართველოში მის წინამორბედს ჭაშნაგირი ერქვა, ოღონდ მას უსაფრთხოების დასადგენად ასინჯებდნენ ღვინოს — ჭაშნაგირის სუფრის წევრები მონამღვლი საკვებისა და სასმლისგან უნდა დაეცვა. სომელიეს პროფესია თანამედროვე ქართულ გასტრონომიაში რამდენიმე წელია, არსებობს, მაგრამ მრავალი ქართველისთვის ჯერ ისევ უცხო ხელია. რას ნიშნავს სომელიე თანამედროვე ქართულ სინამდვილეში და რით არის ეს პროფესია მიმზიდველი? როგორ დაეიცვათ თავი ნაბახუსევებისგან და როგორ შევარჩიოთ ღვინო სწორად? — ამის შესახებ სომელიე ნათია ხუტაშვილი გაიამბობთ.

სოფო ბინაშვილი

— სომელიე არის ადამიანი, რომელიც რესტორანში სასმელების მირთმევაზე აგებს პასუხს, კლიენტს ღვინის ან სხვა სასმლის შერჩევაში ეხმარება და იმ წუთამდე ემსახურება, ვიდრე ის დარბაზს არ დატოვებს. რესტორნის გარდა, სომელიე ღვინის სახლებში, სასტუმროებსა და ღვინის კომპანიებში მუშაობს. ამ პროფესიის ადამიანს რესტორანში ღვინის ბარათის შედგენა და მისი გათვალისწინებით, სასმლის მარაგის გაკონტროლება ევალება. მოგესხენებათ, ღვინოს სპეციფიკური მოვლა ესაჭიროება. თუ დაწესებულებას ღვინის სარდაფი აქვს, სომელიე მასზე ზრუნავს და ხშირად, ღვინის შესყიდვამდე მონაწილეობს. სომელიესგან განსხვავებით, დეგუსტატორი ლაბორატორიაში მუშაობს. როდესაც ღვინო საექსპორტოდ მზადდება, დეგუსტატორი ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა ის შესაბამის ხარისხს და აუგებს, გაყალბებულია თუ არა პროდუქტი, სომელიე კი უფრო ხელოვანია, რომელიც კლიენტისა და ღვინის „ურთიერთობას“ ნამდვილ ცერემონიად აქცევს. კარგი სომელიე ფსიქოლოგისა და მსახიობის თვისებებს უნდა ფლობდეს, მას ხშირად კლიენტის განწყობილების, მისი სოციალური სტატუსისა და წარმომავლობის გამოცნობაც უხდება. ასევე, იუმორის გრძნობა, სხარტი აზროვნება და ვითარებაში სწრაფად გარკვევის უნარი მოეთხოვება. სომელიემ შეიძლება, გახსნილ ბოთლში ღვინის დაავადება აღმოაჩინოს, მაგრამ ამ დროს ისე უნდა მოიქცეს, რომ კლიენტი ვერაფერს მიხვდეს და ბოთლი გამოცვალოს. ღვინის გარდა, სომელიეს სხვა ალკოჰოლური სასმელების, ჩაის, ყველისა და სიგარის ცოდ-

ნაც ევალდება. ის ყოველთვის პირველი მიდის მაგიდასთან და კლიენტს ღვინის დაგემოვნებას სთავაზობს, კერძის შეკვეთის შემდეგ კი შესაბამისი ღვინის შერჩევაში ეხმარება.

— განვითარებულ ქვეყნებში პროფესიონალ სომელიეებზე რესტორატორები „ნადირობენ“. საინტერესოა, ჩვენში რამდენად აფასებენ ამ პროფესიის ადამიანებს?

— საქართველოში სომელიეს პროფესია სულ ახალგაზრდაა, დამკვიდრებულს ვერ ვუნოდებ, რადგან ჩვენში ძალიან ცოტაა ისეთი დაწესებულება, სადაც სომელიე ჰყავთ. როდესაც რესტორანს, სასტუმროს ან თუნდაც ღვინის კომპანიას აქვს იმის პრეტენზია, რომ კლიენტს მაღალი დონის მომსახურებას სთავაზობს, მის ინტერესებში სომელიესა და ზოგადად, პროფესიონალი მომსახურე პერსონალის ყოლა უნდა შედიოდეს. ჩვენში სომელიე რესტორნების უმრავლესობას რომ ჰყავდეს, მათზე მოთხოვნა მომხმარებლის მხრიდანაც გაიზრდება, შემდეგ კი მცოდნე და პროფესიონალ სომელიეებს შორის კონკურენცია გაჩნდება. თუ მომხმარებელს სიახლეს არ შესთავაზებ, ის თავისით ვერასდროს მიხვდება, რა აკლია. სომელიე ძირითადად, ღვინის სახლებში ჰყავთ, რადგან ამ სასმელთან დაკავშირებით რჩევა ყველას სჭირდება. როდესაც ღვინის სახლში შევდივარ, ყოველთვის ვმერყეობ და კონსულტანტს ვეკითხები, — რომელი ღვინო ჯობია-მეთქი? ძალიან გამაღიზიანებელია, როცა ის უფიცობას ავლენს, რადგან დარწმუნებული ვარ, კლიენტს იმ ღვინის სახლში მეორედ შესვლა აღარ მოუხდება. ასევე გამაღიზიანებელია, როდესაც ისეთ რესტორანში, სადაც სომელიე არ ჰყავთ, მიმტანს ეკითხები, რა ღვინო აქვთ, ის კი გარ-

ბის და ამას კომპიუტერში არკვევს: ეს რესტორნის დაბალ დონეზე მტყვევებს. მფლობელის ინტერესებშია, რომ მომსახურე პერსონალი განათლებული იყოს. მისასალმებელია, რომ მიმტანებისა და მენეჯერების ცოდნის ასამაღლებლად, სხვადასხვა ქართული ღვინის კომპანია ხშირად, უფასო ტრენინგებს ატარებს.

— თქვენ როგორ გახდით სომელიე? რთი მიგიზიდათ ამ პროფესიამ?

— ასეთი არჩევანი იმიტომ გავაკეთე, რომ ბავშვობიდან მიწოდდა, იშვიათი პროფესია მქონოდა და განსხვავებული ადამიანი ვყოფილიყავი. მოდელირების ფაკულტეტი იმ დროს დავამთავრე, როდესაც ეს ჩვენში გავრცელებული პროფესია არ იყო. მოგვიანებით, ერთ-ერთ ღვინის კომპანიაში პრომოუტერად დავინიჭე მუშაობა, მაგრამ თავიდან ღვინის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი. ჩემი ცოდნის გაღრმავებაზე თვით კომპანია იზრუნა — სომელიეს კურსი გავიარე და უკვე 4 წელია, ამ პროფესიას ვემსახურები, თუმცა საკუთარ თავს ისევ დამწყებს ვუნოდებ, რადგან ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს შესასწავლი. სომელიეს, ცოდნასთან ერთად, გამოცდილება სჭირდება. უშუალოდ სომელიედ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვმუშაობდი, შემდეგ დამანინაურეს და ამჟამად იმავე ღვინის კომპანიის მარკეტინგის განყოფილებაში მთავარი მერჩენდაიზერი ვარ. როდესაც ჩვენი კომპანიის მიერ დამზადებული ღვინო საბოლოო სახეს იღებს და ბოთლში ასხამენ, დეგუსტაციას ვუკეთებ და ვუთითებ, რა არის გამოსასწორებელი. მყავს ასევე ასისტენტი, რომელიც თბილისის ერთ-ერთ რესტორანში სომელიედ მუშაობს. იმის გათვალისწინებით, რომ სომელიეს ხშირად



უნვეს ურთიერთობა უცხოელებთან, უცხო ენის ცოდნა აუცილებელია — ჯერჯერობით სპარსული, ინგლისური და რუსული ვიცი, ვცდილობ, სხვა ენებსაც დავეუფლო.

— ქართველ მომხმარებელს როგორი დამოკიდებულება აქვს სომელიე ქალის მიმართ?

— საზღვარგარეთ ამ პროფესიით გოგონებიც და ბიჭებიც თანაბარი წარმატებით მუშაობენ, იქ მათ ცოდნასა და პროფესიონალიზმს აქცევენ ყურადღებას. ქალი სომელიეები ძირითადად, ღვინის სახლებში ჰყავთ. ჩვენთან ღვინოს უმეტესად, მამაკაცები სვამენ, ამიტომ ვფიქრობ, მომავალში არჩევანს მდებარეობითი სქესის სომელიეებზე გააკეთებენ — მარკეტინგული თვალსაზრისით, ეს უფრო მომგებიანია. როდესაც კლიენტთან მოდიმარი, მომხიბვლელი გოგონა მიდის, ის უარს ვეღარ ამბობს, თუმცა მთავარი მაინც პროფესიონალიზმია. ქართველ მომხმარებელს სომელიე ქალის დანახვა ძალიან აკვირვებს, განსაკუთრებით — ასაკოვან, მოქვიფე მამაკაცებს. მათ ჰგონიათ, რომ რჩევა არ სჭირდებათ, რადგან თავად ყველაფერი უკეთ იციან. ეს ალბათ, ჩვენი ამაყი ხასიათის ბრალია. სშირად ჰგონიათ, რომ რომელიმე ღვინის კომპანიის წარმომადგენელი ვარ და მისი პროდუქციის გასაღებას ვცდილობ. ერთი შემთხვევა განსაკუთრებით დამამახსოვრდა: ერთ-ერთ ღვინის სახლში ვმუშაობდი. კარი გაიღო და მეგობრებთან ერთად ასაკოვანი ქართველი კაცი შემოვიდა. როდესაც მივუახლოვდი და ვკითხე, — რით შემოიძლია დაგეხმაროთ-მეთქი? — სიცილით მიპასუხა, — შენ რა უნდა მირჩიო?! ყველამ სიცილი დაიწყო.

ეს არც გამკვირვებია და არც გაგბრაზებულვარ, ისედაც ვიცოდი, რომ ასეთი წინააღმდეგობა შემხვდებოდა. იმ კლიენტთან ჩემი ცოდნა გამოვაჯობინე და დავუმტკიცე, რომ ღვინის შესახებ ბევრი არაფერი იცოდა. ამის შემდეგ დავმეგობრდით და ღვინის შესახებ რჩევას სშირად მეკითხებოდნენ.

— როგორც აღნიშნეთ, ღვინოს შეიძლება, დაავადება გაუჩნდეს. რას ნიშნავს ეს და როგორ უნდა დაიცვათ ღვინო დაავადებისგან?

— 60 დასახელების ღვინის დაავადება არსებობს; მათგან ზოგი ვაზიდან მოჰყვება, ზოგი ქარხანაში შეიძლება გაუჩნდეს, ზოგი კი — ბოთლში ჩამოსხმის შემდეგ. თითოეულზე ორიოდ სიტყვით

გიაგებოთ: დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახის შენამვლას. თუ შესაწამლი ჯანსაღი არ არის, ის ღვინის დუღილის პროცესში არომატს გამოყოფს, რაც დაავადებას იწვევს. ქარხანაში, როგორც იცით, ღვინოს მუხის კასრებში აძველებენ. ერთი კასრის გამოყენება 2-ჯერ ან 3-ჯერ შეიძლება, მაგრამ როდესაც ერთსა და იმავე კასრს 5-ჯერ იყენებენ, ეს ღვინის დაავადების წარმოქმნის მიზეზი ხდება. მნიშვნელოვანია, მუხის კასრი როგორი წნეხით ირეცხება და ა.შ. მოკლედ, ხარისხის მიღება საკმაოდ რთული პროცესია. ბოთლში ჩამოსხმის შემდეგ ღვინოს სწორად შენახვა ესაჭიროება. ბოთლები უნდა ინახებოდეს ისეთ სივრცეში, სადაც ნესტიანობისა და განათების შესაბამისი დონე იქნება დაცული. მაგალითად, განათება 70%-ს არ უნდა აღემატებოდეს. საქართველოში ღვინის ბოთლებს რესტორნების მარნებში ან საწყობებში, ვერტიკალურ მდგომარეობაში ინახავენ, რაც სტანდარტების დარღვევაა. ღვინის ბოთლი აუცილებლად ჰორიზონტალურად, 45 გრადუსით დახრილ მდგომარეობაში უნდა ინახებოდეს — სითხე საცობს უნდა ეხებოდეს, რათა არ გამოშრეს და ღვინო არ დაიჟანგოს. როდესაც მალახიის ვიტრინაში გამოდგმულ ღვინის ბოთლს მზის სხივი ხვდება, ამ დროს ღვინოში შესაძლოა, მეორადი დუღილი წავიდეს, რის შედეგადაც, გახსნის დროს ღვინო აფეთქდება. ყველაზე გავრცელებული დაავადება — ვერტიკალურ მდგომარეობაში ბოთლის შენახვის შემდეგ ღვინის დაჟანგვაა. ასეთ ღვინოს ჰაერზე დაჟანგული ვაშლის სუნი, დამახასიათებელი ფერი და გემო აქვს;

ამის სიტყვით გადმოცემა ძალიან რთულია, ეს უნდა ნახო. საზღვარგარეთ ღვინო ძირითადად, ღვინის სახლებში ინახება, სადაც შესაბამისი სტანდარტებია დაცული. ღვინის ძირითადი მარაგი მარანში აქვთ, თაროებზე კი რამდენიმე ბოთლი ღვინო უდევთ, რაც ერთ დღეში იყიდება... ჩვენთან ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე ღვინის სახლი ნამდვილად არის, რომლებიც მაღალი დონის სტანდარტებს აკმაყოფილებს.

— ღვინოს რომელი ხილის არომატი შეიძლება ჰქონდეს და როგორ უნდა მივანიჭოთ ის მას?

— ეს საინტერესო შეკითხვაა, რადგან ყველას ჰგონია, რომ არომატულ ღვინოს აუცილებლად ხელოვნურ არომატიზატორებს უკეთებენ. როდესაც ბუნებაში ხილის დამტვერვის პროცესი მიმდინარეობს, ქარის დაბერვის შედეგად ერთი ხილის არომატი მეორეზე ხვდება. ჰოდა, თუ ამ პერიოდში ყურძენზე რომელიმე ხილის მტვერი აღმოჩნდება, დუღილის პროცესში ღვინო ამ ხილის არომატს შეიძენს ანუ ეს ბუნებრივი მოვლენაა. მაგალითად, ნითელ ღვინოს ძირითადად, ნითელი ხილის არომატები ახასიათებს, როგორცაა: ალუბალი, ბრონეული, ჟოლო და ა.შ. მევენახეობა და მეღვინეობა ძალზე რთული დარგებია. კახეთში რომ გაიაროთ, დარწმუნდებით, ყოველ მეორეს თავი მღვინე ჰგონია, არადა, ჩემი აზრით, საქართველოში ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომლებსაც ღვინის ხარისხიანად დაყენება შეუძლიათ.

— როგორ დავიცვათ თავი ნაბახუსევისგან და რომელ კერძს რა ღვინო უხდება?

— დიდი მნიშვნელობა აქვს, ამა თუ იმ საკვებთან რომელ ღვინოს მიირთმევ. შესაძლოა, მიღებული საკვები და ღვინო ერთმანეთს არ შეეთავსოს, რაც შემდეგ თავის ტკივილს, არითმიას და არტერიული წნევის მატებას იწვევს. ბოსტნეულთან და მსუბუქ საკვებთან თეთრ, მშრალ ღვინოებს მიირთმევენ, შემწვარ თევზთან, მაგალითად, მწვანე და ცოლიკოური კარგი, შემწვარ ძროხის ხორცთან კი — ნითელი მშრალი ღვინო, თუმცა შეგიძლიათ, თეთრიც მიირთვათ. დესერტთან ერთად ნახევრად ტკბილი ღვინოების დალევის გირჩევთ. თეთრი ღვინო მოხარშულ თეთრ ხორცსაც უხდება, თუმცა ყველაფერი მაინც, მომხმარებლის გემოვნებაზეა დამოკიდებული.



გზაში საკითხავი კოლაჟი

ჰელენი ჟეკი ივანიძე

1. ნატარაჯა ცეკვის ღმერთია ინდურ მითოლოგიაში.
2. ტოკოფობია ორსულობისა და მშობიარობის შიშია.
3. ცივი ომი ამერიკელებს 13 ტრილიონი დოლარი დაუჯდათ.
4. „ვლასტ დავიტ ტეხ, უ კავო ევო ნეტ“, — ამბობენ რუსები.
5. შამილის იმამატიში სახელმწიფო ენად არაბული მიიჩნეოდა.
6. ინგლისურ ენას თანამედროვე მეცნიერები ლათინურს ეძახიან.
7. სისხლის ჯგუფის აღმომიწველ ჟეტონს სპეცრაზმელები ჩექმაზე იმაგრებენ.
8. ფაბულინი ბავშვის პირველი ტიკტიკის მფარველი ღმერთია, რომაულ მითოლოგიაში.
9. სინტოიზმი იაპონელთა უძველესი რელიგიაა. 1868 წლიდან 1946 წლამდე იგი სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა და იმპერატორს აღმერთებდა.
10. ლონდონში კერძო შეკვეთით დაზადებული სანადირო თოფები 0,2 მილიმეტრის სიზუსტით იზარხება. საკუთარი ნახელავის სადემონსტრაციოდ, ლონდონელი ხელოსნები გახსნილ თოფში ფულის კუპიურას განივად დებენ და ისე ცდილობენ დაკეტვას. თოფი აღარ იკეტება. „ეს იწინერის შედეგია, მაგრამ ჯერ არ არის ხელოვნების შედეგი“, — ამბობენ ლონდონელი მეიარაღეები, როცა თოფის მექანიზმის დაზადებას ასრულებენ და კაკლის ხისგან კონდახის კეთებას იწყებენ. ლაქგადამსულმა კონდახმა ხელში რომ არ ისრიალოს, მას 9 ათასი ნაჭდევი უკეთდება.
11. მოტომობილები თავიანთი მოტოციკლების საბურავებს ელექტროსადენებიან სარჩულებს აცემენ და 80 გრადუსამდე ათბობენ, რათა სტარტის დროს ასფალტთან მაქსიმალური მოჭიდება უზრუნველყონ.
12. კაუჩუკის მოსაგროვებლად კერუას ტომის ინდიელები კაუჩუკის ხეზე V-ს ფორმის ნაჭდევს აკეთებენ, რათა წვენი ერთ ნერტილში ჩამოიწიროს. მოპოვებული კაუჩუკისგან ინდიელები პონჩოს, ფეხსაცმლის ძირებსა და ქამრებს ამზადებენ.
13. პირველ მსოფლიო ომში მფრინავებს პარაშუტებს არ აძლევდნენ, რომ ძვირად ღირებული საბრძოლო მანქანის მიტოვებისა და გადმოსტუმრის ცდუნებას არ აპყობოდნენ. მტრის მიერ დაზიანებული თვითმფრინავის პილოტი სასიკვდილოდ იყო განწირული.
14. „რუსეთში მხოლოდ ერთი ამომრჩეველია — ვლადიმირ პუტინი. სხვა ამომრჩეველები ჩვენში არ არსებობენ“, — ამბობდა ერთ-ერთი გადაცემის დროს ჟურნალისტი, იულია ლატინინა.

„რადიკალის“ სიახლე

კომპანია „რადიკალ სპორტსკარმა“, რომლის ავტომობილებმაც ნიურბურგრინგის ტრასაზე აბსოლუტური რეკორდი ორჯერ დაამყარეს, ახალი მოდელი შეიმუშავა. იგი მომავალი წლის იანვრის შუა პერიოდში, დიდ ბრიტანეთში, „აუტოსპორტ ინტერნეიშენალის“ საავტომობილო გამოფენაზე იქნება წარმოდგენილი. როგორც ოფიციალურ პრესრელიზშია ნათქვამი, მანქანას SR3 SL დაერქმევა და მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება, როგორც ტრეკ-დლებში, ასევე საერთო მოხმარების გზებზე. გარდა ამისა, „რადიკალის“ ისტორიაში სიახლე „ტექნოლოგიურად ყველაზე წინ წასულ“ სპორტავტოდ იქცევა. იგი „ფორდის“ EcoBoost-ის ოჯახის 2-ლიტრიანი ბენზინის ძრავით აღიჭურვება. მოტორი 300 ცხძ-ს ავითარებს და „ევრო-5“-ის ეკოლოგიურ ნორმებს შეესაბამება. აგრეთვე სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი, სეკვენციალური კოლოფით მუშაობა შეუძლია. ამასთან, ავტომობილს გაზის „ელექტრონული“ სატერფული და მოტორის მართვის განსაკუთრებული პროგრამაც ექნება, რომელიც სპეციალურად Radical SR3 SL-ისთვის შეიმუშავეს. მანქანის მასა



675 კგ-ია, ხოლო სპორტავტოს დინამიკური მაჩვენებლების შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი. აგრეთვე, ახალი მოდელისთვის კომპანია „რადიკალი“ კლიენტებს „სარბოლო პაკეტსაც“ შესთავაზებს. მის შემადგენლობაში გათვალისწინებულია ძრავას მართვის გადამრთველი (მძლოლს რეჟიმების — „გზა“, „სველი გზა“ ან „რბოლა“ — ამორჩევა შეეძლება), სარბოლო საბურავები და სპეციალური, უკანა ანტიფურთა. SR3 SL-ის გარდა, „აუტოსპორტ ინტერნეიშენალის“ გამოფენაზე ასევე 2011 წლის სამოდულო ვერსიით, სატრეკო სპორტავტო SR3 RS და 2,7-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი ძრავას მქონე ახალი ავტომობილი, SR8 RX იქნება წარმოდგენილი. გერმანული ნიურბურგრინგის პირველი აბსოლუტური რეკორდი სპორტავტო „რადიკალის“ მიერ 2005 წელს დამყარდა. მაშინ 300 ცხძ-ის სიმძლავრის Radical SR8-მ წრე 6 წუთსა და 56 წამში დაფარა.

„აბოშური“ Ariel Motor

ბრიტანული კომპანია Ariel Motor სპორტული ავტომობილის, — Atom, — გამოშვებიდან 10 წლის გასვლის შემდეგ, ამ მოდელის სპეციალურ მოდიფიკაციას აანჯობს. იგი ფირმა Mugen-თან ერთად შეიქმნება, რომელიც „ჰონდას“ ტიუნინგ-ატელიეა. სიახლე კომპანია „ჰონდას“ 2-ლიტრიანი ატმოსფერული ძრავით აღიჭურვება, რომელიც „არიელ ატომის“ სპორტულ ავტომობილებზე 2007 წლიდან გამოიყენება. Mugen-ის სპეციალისტთა მიერ განუთხარი სამუშაოების შედეგად, მისი სიმძლავრე 270 ცხძ-მდე გაიზრდება. გარდა ამისა, ამ ვერსიას ექსტერიერის ექსკლუზიური გაფორმება ექნება. სულ სპორტავტო „ატომის“ სპეცვერსიის 10 ეგზემპლარის გამოშვება იგეგმება. ამასთან, ავტომობილის დეტალური ტექნიკური მაჩვენებლები და ფასები პრეზენტაციისას გახდება ცნობილი, რომელიც მონაწილე წლის იანვარში, დიდ ბრიტანეთში, Autosport Show-ს გამოფენაზე გაიმართება. ყველაზე მძლავრ „ატომს“ 0-დან 100 კმ/სთ

სიჩქარის განვითარება 2,5 წამში შეუძლია, ხოლო 160 კმ/სთ სიჩქარის მიღწევა — 6 წამში. მისი მაქსიმალური სიჩქარე 320 კმ/სთ-ია.





ელექტროავტოები გაჩირავებით

პარიზის მერიამ „აუტოლიბის“ გაჩირავების შესახებ დაწერილებითი ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომელიც 2011 წლის შემოდგომიდან ამუშავდება. მის ფარგლებში, პარიზში „ბლუკარის“ 4-ადგილიანი ავტომობილების და-ჩირავება იქნება შესაძლებელი. აღნიშნული მანქანა ფრანგულმა კომპანია Bolloré-მ და იტალიურმა ატელიე Pininfarina-მ შეიმუშავეს. „აუტოლიბის“ პროექტის ფარგლებში ქალაქის ხელისუფლება 3 ათასი გასაჩირავებელი ელექტროავტოს შექმნას გეგმავს. ეს მანქანები პარიზისა და მისი შემოგარენის 1000 სადგომზე განთავსდება, მათი მოხმარებისთვის კი ქალაქის მცხოვრებლებმა ყოველთვიურად სააბონენტო, 12 ევრო უნდა იხადონ. დაჩირავებული ელექტროავტოთი პირველი ნახევარი საათის გავლა მსურველს 5 ევრო დაუჯდება, ხოლო მეორე ნახევარი საათი — 4 ევრო. ყველა შემდგომი 30 წუთისთვის კი მსურველებმა 6 ევრო უნდა გადაიხადონ. ქალაქის ხელისუფლების აზრით, ელექტროავტოების დაჩირავება პარიზელებში პოპულარული იქნება, რადგან მათ 58%-ს საკუთარი მანქანა არ გააჩნია. ამჟამად, საფრანგეთის დე-

დაქალაქში ანალოგიური სისტემა ველოსიპედების გაჩირავებასთან დაკავშირებით მოქმედებს და მას Velolib ჰქვია. იგი მომხმარებელს მთელი ქალაქის მასშტაბით განთავსებულ დასაჩირავებელ ველოსიპედებს სთავაზობს. ამასთან, სატრანსპორტო საშუალების დაბრუნება ქალაქის ნებისმიერ ნაწილშია შესაძლებელი, სადაც პარკირებისთვის სპეციალური ტერიტორიებია გამოყოფილი. ეს თვითმომსახურების პრინციპით ხორციელდება. კონცეპტუალური ავტომობილი „ბლუკარი“ პირველად 2005 წელს წარმოადგინეს. სერიული ვერსიის პრემიერა კი პარიზის ავტოსალონზე 2005 წელს შედგა. მისი გაბარიტული ზომა 3,65 მეტრია, სიგანე — 1,72 მ და სიმაღლე — 1,6 მ. მანქანა 50 კილოვატის სიმძლავრის ძრავათა ალტურვილი, რომელიც მას 0-დან 60 კმ/სთ სიჩქარის 6,5 წამში განვითარების შესაძლებლობას აძლევს. ავტოს მაქსიმალური სიჩქარე 130 კმ/სთ-ია. „ბლუკარის“ მანქანების წარმოება 2011 წლის იანვრიდან იგეგმება. კომპანია „ბოლერო“ 30 ათასი ასეთი ავტომობილის გამოშვებას გეგმავს.

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქეპტერელი თქუბ ივანიძე

15. კუნძულ იამაიკაზე, შაქრის პლანტაციებში მონებს დღე-ღამეში 12 საათს ამუშავებდნენ. მოსავლის აღების შემდეგ მონები ღერნამს სპეციალურ წნეხში ატარებდნენ და იყო შემთხვევები, როცა დადლილობისგან ჩაძინებულებს წნეხში ხელი ჰყვებოდათ. მის გამოსათავისუფლებლად კი მხოლოდ ერთი გზა — ნაჯახი არსებობდა.



16. ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე აღმართულ კვარცხლბეკზე მდგარი ჰორაციო ნელსონის ქანდაკება მადლიერ ლონდონელთა შენაწირი ფულით არის აგებული. ინგლისელი ადმირალის ქანდაკების მზერა სამხრეთით არის მიმართული, სადაც ტრაფალგარის ბრძოლა მოხდა.

17. „სტალინი რომ გარდაიცვალა, პატარა ვიყავი. ბავშვები სცენაზე ვიდევით და ლექსებს ვამბობდით, როცა დარბაზში ჩურჩული ატყდა. ალაგ-ალაგ უცნაური, ბრაუნის ხმა ისმოდა — მომხდარის გამო შოკირებული მაყურებელი იატაკზე გულნასული ცვიოდა. გულწრფელად უნდა გითხრათ, მთელი ცხოვრების მანძილზე სცენიდან ამგვარი ეფექტისათვის აღარასოდეს მიმიღწევია“, — ჰყვებოდა მსახიობი, ოლეგ ტაბაკოვი.

18. ფრანგი ისტორიკოსის, ჟან ფრანსუა შამპოლიონის განცხადებამ, ეგვიპტური ეროგლიფები გავშიფრეო, ყველაზე მეტად კათოლიკური ეკლესია შეაშფოთდა, რადგან რელიგიური მამები წარღვნას ქრისტეს დაბადებამდე 2300 წლით ათარილებდნენ. ეროგლიფების გამოფრის შედეგად კი მეცნიერებს შეეძლოთ, ანტიკური სამყაროს მრავალი საიდუმლოსთვის ფარდა აეხადათ და ცნობილი გამხდარიყო, რომ ფარაონები წარღვნამდეც და წარღვნის შემდეგაც წარმატებით განაგებდნენ ეგვიპტეს.

19. იოჰან სებასტიან ბახი 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. კომპოზიტორი უსახელო საფლაკში დაკრძალეს და მისთვის საფლავის ქვის დასამზადებლად თავი არავის შეუწუხებია. მოგვიანებით, მისი ცხედრის საპოვნელად 47 საფლავი გადათხარეს და წმინდა თომას ტაძარში გადაასვენეს, სადაც ბახი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მოღვაწეობდა.

20. დიდუბის პანთეონში დაკრძალული ნინო მყაშვილის საფლავის ქვაზე აღნიშნულია, რომ იგი ტიცციან ტაბიძის მეუღლე გახლდათ და რადგანაც ქართველი პოეტის საფლავი დაკარგულია, ეს საფლავი სიმბოლურად ტიცციან ტაბიძის საფლავად მოიზრება.

ახალი სპორტული „კრაისლერი“

ერთ-ერთმა ინტერნეტსაიტმა სედან „კრაისლერ 200“-ის სპორტული მოდი-

ფიკაციის ფოტოები გაავრცელა, რომელიც სავარაუდოდ, ამერიკული დილერების სალონებში მომავალი წლის შუა პერიოდიდან გამოჩნდება. თუ რითი იქნება სედან „კრაისლერ 200“-ის სპორტული ვერსია (ასეთი ავტომობილის სახელწოდებას ინდექსი — S დაემატება) სტანდარტული მანქანისგან განსხვავებული, ჯერჯერობით უცნობია. წინასწარი ინფორმაციით, სიახლეს ძარას დამატებითი აეროდინამიკური ელემენტები, ახალი დიზაინის ბორბლების დისკები და უფრო მეტი მოჭიდების მქონე საბურავები ექნება. ადრე გავრცელებული ცნობით, „კრაისლერი“ არა მარტო მოდელ 200-ისთვის ამზადებს სპორტ-პაკეტს, არამედ „კაბრიოლეტის“ ძარიანი მანქანისთვისაც. სედანი „კრაისლერ 200“ პირველად მიმდინარე წლის ოქტომბერში წარმოადგინეს. ეს ავტომობილი მოდელ Sebring-ის შემცვლელია და მისგან უფრო უხეში ძარათი, გაუმჯობესებული ხმის იზოლაციითა და ძრავათა ახალი ხაზით განსხვავდება. მანქანისთვის ორი ბენზინის აგრეგატია გათვალისწინებული: 2,4-ლიტრიანი, 4-ცილინდრიანი მოტორი და „პენტასტარის“



ოჯახის წარმომადგენელი, 3,6-ლიტრიანი, 283 ცხპ-ის სიმძლავრის მქონე „ექსპანსიანი“. ავტომობილის წარმოება ქალაქ სტერლინგ ჰაიტსში (მიჩიგანი) მდებარე „კრაისლერის“ ქარხანაში უკვე დაწყებულია.



რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიავიძემ



„იგავი ტალანტებზე“

რატომ არიგებს უფალი ნიჭსა და უნარს არათანაბრად?

შორენა მერკვილაძე

უფლის „იგავი ტალანტებზე“ მოთხრობილია მათეს სახარების 25-ე თავში. იგავი შემდეგი შინაარსისაა: ბატონმა გამგზავრების წინ თავისი მონები იხმო და მათ საკუთარი ქონება ჩააბარა. ერთს 5 ტალანტი მისცა, მეორეს — 2, მესამეს კი — ერთი, თითოეულს — თავისი უნარისდა მიხედვით და წავიდა.

5 ტალანტის მიმღები მაშინვე წავიდა, იგაჭრა და კიდევ 5 მოიგო. ასევე მოიქცა 2 ტალანტის მიმღებიც და მანაც 2 ტალანტი მოიგო. იმან კი, ვინც ერთი ტალანტი მიიღო, წავიდა, ამოთხარა მიწა და ბატონის მიცემული ვერცხლი დაფლა.

როდესაც ბატონი დაბრუნდა, მონებს ანგარიში მოსთხოვა. მასთან ჯერ პირველი მონა მივიდა, მოგებულ 5 ტალანტიც მიუტანა. ბატონმა მიუგო: კეთილო და ერთგულო მონავ, მცირედზე ერთგული იყავ, მრავალზე დაგაყენებ, შედი შენი ბატონის სამსახურში. 2 ტალანტის მქონე მონის შემთხვევაშიც იგივე გამეორდა. ბოლოს, 1 ტალანტის მქონე მონა წარდგა ბატონის წინაშე და უთხრა: ბატონო, ვიცოდი, რომ სასტიკი კაცი ხარ: იმე, სადაც არ დაგიტესტავს და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია; შემეშინდა, წავედი და მიწაში ჩავმარხე შენი მოცემული ტალანტი. აჰა, შენი შენვე გკონდესო. — ბოროტო და ზარმაციო მონავ! იცოდი, რომ ვიმე, სადაც არ დამითესავს და ვკრეფ, სადაც არ დამიბნევია; ამიტომ ჩემი ვერცხლი მოვაჭრეთათვის უნდა მიგეცა და მევე ჩემსას სარგებლითურთ მივიღებდიო, — მიუგო ბატონმა, ბრძანა, მონისთვის ის ერთი ტალანტიც წაერთმიათ და 10-ის მქონე მონისთვის მიეცათ, რადგან მქონებელს ყველას მიეცემა და დაუხვავდება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს. ეს უვარგისი მონა ქვესკნელის ბნელში გადააგდეთო...

იგავის შესახებ გვესაუბრება არქიმანდრიტი, **მაქარი** (აბესაძე): — იგავში მოხსენიებულ „ბატონში“ უფალი იგულისხმება, „მონებ-

ში“ — ადამიანები, „ტალანტებში“ კი ღვთისგან ბოძებული ნიჭი და უნარი. იგავის დასაწყისიდან ჩანს, რომ უფალი ყველა ადამიანს სხვადასხვა ოდენობის ნიჭს აძლევს. რატომ არიგებს უფალი ასე არათანაბრად ნიჭს და რა მიზნით ეძლევათ ადამიანებს ესა თუ ის ნიჭი? უფალი ყველაფერს მრავალფეროვნად იქმს. ამის ნიმუში მთელი სამყაროა. ორი ერთნაირი რამ სამყაროში, ფაქტობრივად, არ არსებობს. ადამიანებიც განსაკუთრებული, კონკრეტული ნიჭით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. გარდა ამისა, ვიცით, რომ ქრისტეს ეკლესიის წევრები ქრისტეს სხეულს წარმოადგენენ. ისევე, როგორც ადამიანის სხეული შედგება სხვადასხვა ნაწილისგან, ყველა ნაწილს კი თავისი დანიშნულება აქვს, ასევე ქრისტეს მისტიკური სხეულის ნაწილებს, ეკლესიის წევრებსაც აქვთ თავთავიანთი დანიშნულება. უფალს სურს, ეკლესიის წევრი ყველა ადამიანი იყოს, მას წარწყმედისთვის არავინ შეუქმნია, ყველას სიკეთისა და ცხონებისთვის მოავლენს ამქვეყნიად. ამიტომ ყველას აძლევს შესაბამის, კონკრეტულ ნიჭს, რათა ქრისტეს მისტიკურ სხეულში — ეკლესიაში ყველამ თავისი ადგილი დაიკავოს და დედამიწაზე თავისი საქმე აკეთოს, რათა ადვილად აღესრულოს ცხონების საქმე. ყველაზე ჭკვიანი ადამიანიც კი ვერ შეძლებს იმას, რასაც დედამიწის ყველა მცხოვრები — ერთად.

ამასთან, უფალი წინასწარ ჭკრეტს ყოველი ჩვენგანის უნარს და შესაძლებლობას და შესაბამისად, გვაძლევს კონკრეტულ ნიჭს. მეორე საკითხია, თავად ადამიანი, საკუთარი თავისუფალი ნებიდან გამომდინარე, როგორ გამოიყენებს ღვთისგან ბოძებულ ნიჭს. უნდა ვიცოდეთ, რომ უფალი თითოეულისთვის იმ გარემოსა და იმ დროს არჩევს, სადაც ყველაზე ადვილად შეიძლება მისი ცხონება. მაგრამ საკითხავია, იყენებს თუ არა ადამიანი ამ პირობებს.

იგავის მომდევნო ნაწილიდან ჩანს, რომ ადამიანმა ღვთისგან ბოძებული ტალანტის გასამდიდრებლად უნდა იღვანოს, ღვთის სადიდებ-

ლი საქმეები ამრავლოს და შემდგომ, მონაგებითურთ ჩააბაროს უფალს. მნიშვნელობა არა აქვს — მწირი ტალანტი მოგვეცემა თუ ბევრი. მთავარია, რამდენად მართებულად და ერთგულად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას.

ადამიანს არ უნდა დაავინყდეს, რომ ღვთისგან ბოძებული ნიჭი მისი კუთვნილება არ არის და თუ გონივრულად არ გამოიყენებს, შესაძლოა, წაერთვას კიდევ. თუკი თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით რაიმე წარმატებას მიაღწევს — კეთილად, ღვთის სათნოდ გამოიყენებს, წარმატებაც უფალს უნდა მიანეროს და არა საკუთარ თავს. მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით, უფლის შეწვევის გარეშე ვერანაირ სულიერ წარმატებას ვერ მივაღწევთ. როდესაც რაიმე სიკეთეს აღვასრულებთ, ვთქვათ, — მონანი ვართ უხმარნიო, — ბრძანებს უფალი. არასოდეს აჯილდოებენ დარაჯს იმის გამო, რომ თავისი სადარაჯოდან არაფერი დაჰკარგვია, რადგან ეს მისი მოვალეობაა, მაგრამ თუ რაიმე დაეკარგება — სჯიან. ასევე, თუ ღვთისგან ბოძებულ ნიჭს მართებულად — ღვთის სადიდებლად გამოვიყენებთ, ჩვენი სულის სასარგებლოდ წავაგდებთ და სასუფეველს დავიმკვიდრებთ, მაგრამ თუ არ გამოვიყენებთ, — დავისჯებით, ისევე, როგორც ერთი ტალანტის მქონე მონა დაისჯა, რომელმაც საკუთარი ტალანტი მიწაში დაფლა და მის გამრავლებზე ზრუნვა არც უცდია.

„ტალანტებზე იგავის“ განმარტებისას წმინდა მამები ბრძანებენ: „ღვთისგან ბოძებული მადლი შეიძლება ჩვენს განსასჯელად იქცეს, რადგან მადლის მიმცემი არის ყოველთვის მხედველი და უკიდურესი მოწყალეების შემდგომ სრულიად სამართლიანი მსაჯული. იგი არ უშვებს, რომ მისი მადლი უნაყოფოდ იქნეს გაბნეული, ართმევს გამოუსადეგარ მონას და ტოვებს წყვიდასა და სატანჯველში“.

გავისხნოთ, რას ეუბნება უკან დაბრუნებული ბატონი მონას, რომელსაც ერთი ტალანტი მისცა: შენი ვერცხლი სავაჭროზე უნდა დაგედო და დაბრუნებისას ჩემსას სარგებლითურთ მივიღებდიო, — ე.ი. შენი გასაკეთებელი გაგეკეთებინა, მოსამკვლს კი მე მოვიმკიდი, მე ვიზრუნებდი ამაზეო. ანუ — თუ სხვა ადამიანების მიზეზით დაეკარგებოდა მას ეს ტალანტი, არ მოუკითხებოდა, მაგრამ მან ტალანტი ფუჭად დაკარგა, ამიტომაც მოუკითხა და წყალობაც წაერთვა.



როდესაც წმინდა მამები ერთი ტალანტის მქონე მონის შესახებ საუბრობენ, ასევე ბრძანებენ, რომ ერთი ტალანტი მაინც ყველა ქრისტიანს აქვს. შეიძლება, არ იცოდეს ღვთისმეტყველება, არ იყო დიდი მოღვაწე, მაგრამ ქრისტიანობა — უკვე ტალანტია. სავაჭროზე დადება რალას ნიშნავს? — გექადაგა და თუ არ მოგიხმენდნენ, მათ მოვთხოვდი; ახლა კი შენ გთხოვ, რომ ფუჭად დაკარგე, არ გამოიყენე, არ იქადაგეო... ქრისტიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს ქრისტიანობის გავრცელებას, სხვებს უნდა უქადაგოს ქრისტიანობა. ქადაგება კი ორგვარია — სიტყვითა და საქმით. წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) ბრძანებს: „უფალმა იმისთვის კი არ დაგვირიგა ნიჭი (გონება, გული, სიმდიდრე), რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში ან მიწაში დავმალეთ. არამედ უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რაიმე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვეკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულმართალი ეს სიტყვები: „რასაცა გასცემ — შენია, რაც არა — დაკარგულია“. ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცს თავდაპირველად ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ“.

— **ბოროტ სულს თუ შესწევს ძალა, ბოროტების კეთების ნიჭი მისცეს ადამიანს?**

— ბოროტი სული ვერანაირ ნიჭს ვერ მისცემს ადამიანს, მას ამის ძალა არ შესწევს. ადამიანს ნიჭი მხოლოდ ღვთისგან ეძლევა. უფალი კი ყველა ადამიანს კეთილად ქმნის, ამიტომ არ შეიძლება, ბოროტების კეთების ნიჭი მისცეს. ნიჭის კეთილად ან ბოროტად გამოყენება, რაც ნებისმიერ ნიჭთან მიმართებაში შეიძლება მოხდეს, ადამიანის თავისუფალი ბუნებიდან მომდინარეობს. არსებობენ ფსიქიკურად აშლილი ადამიანები — ეშმაკისგან შეპყრობილები. ასეთ ადამიანებს ყველაფრის ნიჭი ერთმევათ და არც თავისუფალი ნება აქვთ. როგორც წმინდა მამები ბრძანებენ, ადამიანს მრისხანების, სიძულვილისა და სხვა მსგავს თვისებათა ნიჭიც ღვთისგან ეძლევა, მაგრამ იმისათვის, რომ სძულდეს საკუთარი ცოდვები და ბოროტი სული, მრისხანებდეს მის მიმართ. ხოლო თუ მოყვასზე მრისხანებს და სძულს იგი, გამოდის, რომ მრისხანებისა და სიძულვილის ნიჭს ბოროტად იყენებს.

უმთავრესი ნიჭი, რომელიც

უფალმა ადამიანს მისცა, არის თავისუფალი ნება და მხოლოდ ამის შემდგომ ეძლევა ყველა სხვა ნიჭი.

— **საინტერესოა, თვითონ ადამიანმა თუ შეიძლება ითხოვოს ღვთისგან რაიმე გამორჩეული ნიჭის მიმადლება?**

— როდესაც წმინდა მამებს ღვთისგან რაიმე განსაკუთრებული გამორჩეული ნიჭი ეძლეოდათ (წინასწარმეტყველების, კურნების), უფალს იმას სთხოვდნენ, რომ განეშორებინა ეს ნიჭი, რადგან ასეთ შემთხვევაში სულიერი საბრძოლველიც ემატებოდათ და ამპარტავნება უნდა დაეთრგუნათ, რომელიც ამ ნიჭის ხორცშესხმის — შესაბამისი საქმეების აღსრულების შემდეგ იჩენდა თავს... თუ ადამიანი ღვთის წინაშე დგას და რალაცის ნიჭს ითხოვს, ის მას ღვთის სა-

დიდებლად კი არა, საკუთარი თავის განსაღიღებლად ითხოვს. უფლის სწავლების თანახმად კი ადამიანმა უპირველესად, სულიერი უნდა ითხოვოს და მინიერი თავისთავად მიეცემა.

რაც შეეხება წმინდა მამებს, წმინდა და მართალი, ჭეშმარიტად ღვთისათნო ცხოვრებით სულიერების უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდნენ. სწორედ მაღალი სულიერების გამო ეძლეოდათ გამორჩეული ნიჭი, რათა ღვთის სადიდებლად და მოყვასის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამ შემთხვევაში, იმის საშიშროება არ არსებობდა, რომ ესა თუ ის ნიჭი სულის საზიანოდ ექცეოდათ, რადგან იცოდნენ, როგორ უნდა ებრძოლათ საცდურთან და ამპარტავნებასთან.





იაპონური დიეტა

სანამ ამ მასალას გაეცნობოდეთ, რჩევის სახით გეტყვით, რომ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე ყოველთვის მიირთვით ერთი ჭიქა მწვანე ჩაი. იაპონური დიეტის მთავარი წესის მიხედვით დღის მანძილზე ერთი ლიტრი მწვანე ჩაი მაინც უნდა მიიღოთ. შუალედებში წყურვილი შეგიძლიათ უბრალოდ მინერალური წყლით მოიკლათ. არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ საჭმელი დიეტით დადგენილ კვებათა შუალედებში.

ბალჩეულიდან გამორიცხეთ პომიდორი, ხილიდან კი ყურძენი და ბანანი.

ორი თვის შემდეგ, როცა წონას საგრძნობლად დაიკლებთ, შეგიძლიათ გადახვიდეთ კვების ჩვეულებრივ, ძველებურ რეჟიმზე. მაგრამ ყოველდღიურად მაინც უნდა მიიღოთ ერთი ჭიქა მწვანე ჩაი. ამგვარად წონაში ნელ-ნელა, ეტაპობრივად დაიკლებთ, რაც თავიდან აგარიდებთ „ფორთოხლის ქერქისებურ“ და „ჩამოკიდებულ“ კანს.

ორი კვირის მენიუ

1-ელი და 8-14 დღე

საუზმე: ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და 100 გ უცხიმო ხაჭო.

სადილი: ორი ცალი მაგრად მოხარშული კვერცხი, 250 გ მოშუშული კომბოსტო და ერთი ჭიქა ვაშლის წვენი.

ვახშამი: 250 გ ორთქლზე მოხარშული თევზის ფილე, ახალ მწვანე ხილთან და ბოსტნეულის სალათასთან ერთად.

მე-2 და მე-13 დღე

საუზმე: ერთი ჭიქა მწვანე ჩაი, რამდენიმე ნაჭერი მაგარი ყველი, კრეკერი ან ორცხობილა.

სადილი: 250 გ მოხარშული თევზი, უმი კომბოსტოს სალათა



მცენარეული ზეთით და ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

ვახშამი: 2 მაგრად მოხარშული კვერცხი, 250 გ მოხარშული ძროხის ხორცი, კიტრის ან უმი კომბოსტოს სალათა მცენარეული ზეთით და ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

მე-3 და მე-12 დღე

საუზმე: ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და 2-3 ნაჭერი დიეტური პური ან ნამცხვარი.

სადილი: მოხარშული ყვავილღვანი კომბოსტო ან ყაბაყი, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და 2 ვაშლი.

ვახშამი: ორი მაგრად მოხარშული კვერცხი, 250 გ ძროხის მოხარშული ხორცი, ბოსტნეულის სალათა მწვანე ხილთან და მცენარეული ზეთით, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

მე-4 და მე-11 დღე

საუზმე: ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და 100 გ უცხიმო ხაჭო.

სადილი: თოხლოდ მოხარშული კვერცხი, სამი მოხარშული სტაფილოს, მცენარეული ზეთისა და ერთი ს/კ ყველისაგან მომზადებული სალათა, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

ვახშამი: ხილის სალათა (უმჯობესია ვაშლისა და ციტრუსის), ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

მე-5 მე-10 დღე

საუზმე: ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და ორი ტოსტი ჯემით.

სადილი: მოხარშული თევზი, ერთი ჭიქა ტომატის წვენი.

ვახშამი: ბოსტნეულისა და კუბურებად დაჭრილი მაგარი ყველის სალათა, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

მე-6 და მე-9 დღე

საუზმე: ერთი ჭიქა მწვანე ჩაი და 2-3 დიეტური პური ან ორცხობილა.

სადილი: მოხარშული, ნახევარი ქათამი, ცოცხალი კომბოსტოს სალათა, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

ვახშამი: ორი მაგრად მოხარშული კვერცხი, უმი, გახეხილი სტაფილოსა და მცენარეული ზეთის სალათა, ერთი ჭიქა მწვანე ჩაი.

მე-7 და მე-8 დღე

საუზმე: ერთი ჭიქა მწვანე ჩაი, რამდენიმე ნაჭერი მაგარი ყველი, კრეკერი ან ორცხობილა.

სადილი: 250 გრამი მოხარშული ძროხის ხორცი ბოსტნეულთან ერთად, მწვანე ჩაი და ხილი.

ვახშამი: ნებისმიერი ვახშამი ზემოთ ჩამოთვლილთაგან, გარდა მესამე დღისა. ■

აიღეთ 4 კვერცხი, 110 გ შავი შოკოლადი და 1 ფორთოხლის წვენი (ცოტაოდენი გახეხილი კანიც). ათქვეფილ ცილას შეურიეთ ფორთოხლის წვენი და გახეხილი კანი. მეორე ჯამში ცალკე ათქვიფეთ კვერცხის გულეები და შეურიეთ ორთქლზე გამდნარი შოკოლადი. ეს ორი, ცალ-ცალკე მომზადებული მასა ერთმანეთში აურიეთ და ჭიქებში გადაანაწილეთ. დესერტი მაცივარში რამდენიმე საათით მაინც (უმჯობესია, მთელი ღამე) გააჩერეთ. ბოლოს ჭიქებშივე დაუმატეთ თქვენთვის სასურველი ხილი (კენკრა) ან ციტრუსი.

თუმცა გემოვნებაზე არ დაობენ და შესაძლებელია, სახლში მომზადებულ ნუგბარს, საკონდიტრო სექციებში მზა, მრავალფეროვანი შოკოლადის ფილების შექმნა ამჯობინოთ. მაგრამ იცით კი, რომელი სახეობის შოკოლადი რა და რა პროდუქტებს შეიცავს?



ხელების სწორი მოვლა

ყველა ქალს სურს ლამაზი, მოვლილი ხელები და ჯანმრთელი ფრჩხილები ჰქონდეს. თანამედროვე სილამაზის სალონები მომსახურების ფართო სპექტრს გვთავაზობენ, თუმცა ეფექტურობის მიღწევა შინაურ პირობებშიც შეიძლება. იმისათვის, რომ ხელების კანი იყოს მუდამ ნაზი და ხავერდოვანი, დაცავით შემდეგი წესები:



თუ ამ პროცედურის შემდეგ ბამბის ხელთათმანებსაც გაიკეთებთ და 2 საათით გაიჩერებთ, ეფექტი ალფრთოვანებული დარჩებით. კრემი უმჯობესია სამასაჟო მოძრაობებით შეიზილოთ — თითებიდან ხელის ზურგამდე, თითოეულ თითს ყოველი მხრიდან უნდა წაუსვათ კრემი. ხელისგულზე კრემის წასმას არ არის აუცილებელი. ძალიან კარგ შედეგს იძლევა საღამოობით ხელებს თბილი წყლის ნაკადის ქვეშ ჯაგრისით გახეხვა და შემდეგ ხელის კრემის შეხველა.

- კანი რომ გამოშრობოს, დასკდომისა და გაუხეშებისგან დაცვათ, მოერიდეთ ცხელ და ძალიან ცივ წყალს. გამოიყენეთ მხოლოდ თბილი წყალი;
- ყინვისას გარეთ თბილი ხელთათმანების გარეშე ნუ გახვალთ;
- ულტრაიისფერი სხივები აზიანებს და აბერებს კანს, ამიტომ არ დაგავიწყდეთ მზისგან დამცავი კრემების სმარება;
- იმისათვის, რომ იდაყვებთან კანი არ გაუხეშდეს, გაიკეთეთ თბილი მცენარეული ზეთის აბაზანები. ჩაასხით ზეთი პატარა ლამბაქებში და ჩაყავით იდაყვები 5 წუთით, შემდეგ გაიხეხეთ პემზით და წაისვით ნებისმიერი მკვებავი კრემი; შხაპის მიღების დროს კი იდაყვები ქისით გაიხეხეთ, კარგად გაიმშრალეთ და კრემი წაისვით.
- თუკი ხელებზე ბებერები გაგიჩნდათ, საპნისა და სოდის აბაზანები მოგიხდებათ: ერთმანეთს შეურიეთ ერთად 1 ჩ/კ სასმელი სოდა, 2 ჩ/კ ნიშადურის სპირტი, 1 ჩ/კ გახეხილი საპონი და 1 ლ წყალი. გააჩერეთ ამ ნარევეში ხელები 15-20 წუთით, შემდეგ გაიმშრა-

- ლეთ და პემზის ქვით გაიხეხეთ.
 - არ გამოიყენოთ იაფფასიანი და მკვეთრი სუნის მქონე საპონი.
 - არ დაგავიწყდეთ ხელის დაბანის შემდეგ კრემის წასმა, საღამოს კი — კონტრასტული აბაზანა.
- კვირაში ერთხელ ან ორჯერ აუცილებელია ხელების პილინგის გაკეთება. ამით მოცილებთ მკვდარ უჯრედებს და ამდენად, კრემი უკეთ შეიწოვება კანში. ამავე მიზნით სახის „სკრაბის“ ან პილინგის სხვა საშუალებების გამოყენებაც შეგიძლიათ. მაგალითად, 1 ჩ/კ შაქრის ფხვნილი აურიეთ 2 ჩ/კ მცენარეულ ზეთში. ნარევი ხელებში იზილეთ ორი წუთის განმავლობაში, შემდეგ თბილი წყლითა და საპნით ჩამოიბანეთ. პილინგის შემდეგ აუცილებელია რომელიმე კრემის წასმა. ეს შეიძლება იყოს როგორც ხელის, ასევე მალაღი ცხიმინანობის მქონე სახის კრემი.

შინაურ პირობებში დამზადებული ხელის კრემის რეცეპტები

- ✓ 1 ს/კ ნებისმიერ ბალახს (გვირილა, ორკვილა და ა.შ.) დაასხით 1 ჩ/კ მდულარე წყალი და 8-9 საათით თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ. 50 გ კარაქი გააღნეთ 1 ჩ/კ თაფლთან ერთად, დაუმატეთ 1 ჩ/კ ბალახეული ნაყენი და კარგად აურიეთ.
- ✓ ნახევარი ჩ/კ არაჟანი კარგად ათქვიფეთ 2 კვერცხის გულთან ერთად. დაუმატეთ ნახევარი ლიმონის წვენი და 2 ს/კ სპირტი ან კონიაკი.
- ✓ ასევე შეგიძლიათ ერთმანეთს შეურიოთ 50 გ გლიცერინი, 50 გრამი ნაღები და რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი.

დესერტი შოკოლადის მოყვარულთათვის

შავ (მუქ) შოკოლადში მინიმუმ 45%-ს კაკაოს პროდუქტები შეადგენს (კაკოს ფხვნილი და კაკაოს ცხიმი); „მწარე“ შოკოლადში კაკაოს პროდუქტების შემცველობა 45-დან 87%-მდეა; ნაღების შოკოლადის შემადგენლობაში 60%-ზე მეტი მშრალი რძე (რძის ფხვნილი) შედის, ხოლო კაკაოს ხვედრითი წილი მასში 35%-ია.



„დესერტის“ შოკოლადი ძალზე ნაზია, ვინაიდან მასში კაკაოს მარცვლები ყველაზე წმინდადაა დაფუჭული. შესაბამისად, შოკოლადის ეს სახეობა უმაღლესი ხარისხისაა და მის დასამზადებლად, ყველაზე მეტი დრო იხარჯება. ფორებიანი შოკოლადი შემადგენლობის მიხედვით, აბსოლუტურად იგივეა, რაც მისი შესაბამისი ნაღების (მუქი თუ თეთრი) უფრო სახეობა. მათ შორის მხოლოდ ერთი განსხვავებაა: დამზადების ბოლო ეტაპზე, ფორებიანი შოკოლადს დიდი წნევის ქვეშ „ბერავენ“; თეთრი შოკოლადი კაკაოს ფხვნილს არ შეიცავს. სამაგიეროდ, მასში ბევრია კაკაოს ცხიმი, შაქრის პუდრა, რძე და ვანილი; არსებობს აგრეთვე ქიშმიშიანი, ალკოჰოლის შემცველი, ნაღების, თხილის და ვინ მოთვლის, კიდევ რამ-

დენი სახეობის შოკოლადი. თითოეულ მათგანზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ამიტომ მოგახსენებთ სპეციალისტების ზოგად აზრს შოკოლადის ხარისხთან დაკავშირებით: რაც უფრო წვრილადაა დაფუჭული კაკაოს მარცვლები, მით უფრო მაღალხარისხიანი და გემრიელი შოკოლადი მზადდება მისგან. მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ შოკოლადი საკმაოდ მაღალკალორიულია და მისი ჭარბად მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია, წონასთან დაკავშირებული პრობლემები შეგქმნათ. თუმცა ამ ვერსიას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს: ისინი ამბობენ, რომ 100 გ შოკოლადი დაახლოებით 550 კალორიას შეიცავს — ანუ იმდენივეს, რამდენსაც ხორცი ან ყველი და ზედმეტი წონის პრობლემა მხოლოდ უმოძრაობითა და არასწორი კვებით აისხნება.



დეკანოზ ჩუღესკის მკვლელობა — პირველი ტერაქტი თბილისში

მიხეილ ლაბაქა

რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ, როდესაც რუსეთში მემარცხენე-რადიკალური მოძრაობა უკიდურესად გაძლიერდა, ტერორიზმი პოლიტიკურ ბრძოლაშიც „წარმატებით“ დაინერგა. 1881 წლის 1-ელ (13) მარტს, მემარცხენე-რადიკალმა ტერორისტმა, ორგანიზაცია „ნაროდნაია ვოლიას“ წევრმა, იგნატი გრინევიცკიმ თავით იმპერატორი ალექსანდრე II მოკლა. აღსანიშნავია, რომ იმ დროს, სხენებული ახალი იდეოლოგიის გავრცელების ძირითად კერად, რამდენად დაუფერებლადაც უნდა აღვნიშნავთ, სასულიერო სასწავლებლები იქცა. ცხადია, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა: ჯერ ერთი, რუსული კოლონიური უღლის სიმძიმეს ქართველები უფრო მეტად მაინც რელიგიურ სფეროში აღიქვამდნენ და მეორეც — იმხანად სასულიერო სასწავლებელი იყო ის ერთადერთი დაწესებულება, სადაც მაღალი დონის განათლების მიღება შეიძლებოდა და ქართული ენა ისწავლებოდა.

თბილისის ჟანდარმერიაში სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა შორის „მეფისა და ღვთის სანინაღმდეგო“ იდეების გავრცელების თაობაზე პირველი საქმე 1873 წელს შედგა. ახლანდელ ალექსანდრეს ბაღში მოსეირნე მეფისნაცვალს გზად სამი სემინარიელი შეხვდა. ოფიციალური ეტიკეტის თანახმად, მათ ქუდები უნდა მოეხადათ და მეფისნაცვალს თავის მდებლად დაკვრით უნდა მისალმებოდნენ, მაგრამ თავი არც შეუწუხებიათ. ბიჭებმა მეფისნაცვალს ირონიული ღიმილით გადახედეს და უსიტყვოდ გაეცალნენ. ამას, ცხადია, უკვალოდ არ ჩაუვლია და სამივე დააპატიმრეს; ორ მათგანს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს, მესამე — შემდგომში ცნობილი ჟურნალისტი, დავით კეხელი სულაც ციმბირში გადაასახლეს და საქართველოში ცხოვრება საერთოდ აუკრძალეს.

ყოველივე ამის შემდეგ, „არასაიმედო ელემენტების“ გამოვლენის მიზნით, სანქტ-პეტერბურგიდან სპეციალური „სამოსწავლო კომიტეტის“ ჩინოვნიკი, ვინმე კერსკი გამოგზავნეს. მან წინასწარი მოკვლევის შედეგად სასულიერო სემინარიიდან რამდენიმე პედაგოგი დაითხოვა. ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, იაკობ გოგებაშვილმა, რომელიც მაშინ სემინარიაში ასწავლიდა, წასვლის თაობაზე განცხადება თავადვე დაწერა. საბოლოოდ, რევიზიის შედეგად, სემინარიის რექტორიც შეიცვალა და რაც ყველაზე მტკივნეული იყო, ქართული ენის უფლებებიც შეიზღუდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო შეურაცხყოფილმა სემინარიელებმა სასწავლებელში სახარებისა და ჯვრის ნაცვლად, ხანჯლებითა და დამბაჩებით სიარული.

აღსანიშნავია, რომ რექტორი კუშინსკი ბერი იყო; შესაბამისად, ცარისტული რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი სემინარიელები მის ზღვარგადასულ სისასტიკეს და ველიკორუსულ ფანატიზმს რატომღაც, სწორედ ამას უკავშირებდნენ. საბოლოოდ, სემინარიაში ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ მთავრობა იძულებული გახდა, კუშინსკი გადაეყენებინა და მის მაგივრად რექტორად დეკანოზი პავლე ჩუღეცკი დაენიშნა. ჩუღეცკის კანდიდატურა კავკასიის მეფისნაცვალს საქართველოს იმჟამინდელმა ეგზარქოსმა, პავლე ლებედევმა შესთავაზა და ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ რექტორი მართლაც ის გამხდარიყო. თანამედროვეთა გადმოცემით, დეკანოზ ჩუღეცკის ცოლი ეგზარქოსის „ოფიციალური“ საყვარელი იყო. სხვათა შორის, ეს ამბავი თავად ჩუღეცკიმაც იცოდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა.

„რექტორის ცოლი... ამავე დროს ეგზარქოსის ცოლიც იყო. როცა ქუჩაში ხმაურობა მისწყდებოდა, ეგზარქოსის კარგა მოადგებოდა ჩუღეცკის ბინას და ამასაც თავისი ლამაზი ცოლი უნდა ჩაესვა და ეახლებინა ეგზარქო-



დეკანოზ ჩუღეცკის მკვლეელი იოსებ ლალიაშვილი

სისათვის... ჩუღეცკი თავის გულის ვარაშს ჩვენს ზურგზედ იქარვებდა“, — იხსენებდა ცნობილი ქართველი მწერალი, შიო არაგვისპირელი (დედაბრიშვილი), რომელიც იმხანად სემინარიაში სწავლობდა. ასე რომ, პავლე ჩუღეცკიმ მოსწავლეებს იმედები სემინარიაში მისვლის პირველივე დღიდან გაუცრუა. იგი წინამორბედებზე უარესი აღმოჩნდა და რეჟიმი გაცილებით გამკაცრა: სემინარიელებს გაკვეთილების საპატიო მიზეზით გაცდენასაც კი აღარ აპატიებდა; მათ, ვისაც აკრძალულ ლიტერატურას აღმოუჩენდნენ, „მგლის ბილეთით“ ათავისუფლებდა. სასწავლებლიდან ამგვარად გამოშვებულ ადამიანს შემდგომში არც სხვაგან ჩაბარების უფლება ჰქონდა და არც სახელმწიფო სამსახურში მუშაობის დაწყება შეეძლო. ამდენად, „არასაიმედო ელემენტებად“ შერაცხილ სემინარიელებს, ფაქტობრივად, სამომავლოდ ყოველგვარ იმედს უსპობდნენ. ბუნებრივია, რექტორისა და პედაგოგების ასეთი მოპყრობა მათში აგრესიას იწვევდა.

პავლე ჩუღეცკისა და სემინარიელებს შორის ურთიერთობის უკიდურესი დაძაბვა, რაც საბოლოოდ რექტორის გახმაურებული მკვლელობით დასრულდა, მეტად ბანალური მიზეზით დაიწყო: სემინარიის ეზოში ჩუღეცკი სრულიად მოულოდნელად, განმარტოებით ჩამომჯდარ ერთ-ერთ



თელო სახოკია



მოსწავლეს — სილიბისტრო ჯიბლაძეს (შემდგომში — ცნობილი ტერორისტი და პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატი) გადააწყდა, რომელიც წიგნს გატაცებით კითხულობდა და რექტორი არ დაუნახავს. ჩუდეცკი სემინარიელს მიუახლოვდა და თავადვე მიესალმა, მაგრამ ჯიბლაძემ წიგნს თვალი ვერ მოსწვიტა, რამაც ჩუდეცკი გააშმაგა. ის სემინარიელს „მგლის ბილეთით“ გარიცხვით დაემუქრა და სასწრაფოდვე თავის კაბინეტში ავიდა. სილიბისტრო ჯიბლაძე შეეცადა, რექტორისთვის ყველაფერი აეხსნა, მაგრამ ჩუდეცკიმ იგი არ მიიღო. ყმანვილმა გადაწყვიტა, მოეცადა და მეორე დღეს შესულიყო მასთან, თუმცა ვეღარ მოახერხა — იმ საღამოს ფეხზე ძველი ქრილობა გაეხსნა და იძულებული გახდა, სემინარიის საავადმყოფოში დაწოლილიყო, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, გაკვეთილების გაცდენას არ აპატიებდნენ. საავადმყოფოში სილიბისტრო ჯიბლაძე მისვლისთანავე კი დაანვინეს, მაგრამ მხოლოდ მესამე დღესლა გასინჯეს; დაუსვეს შესაბამისი დიაგნოზი და წესისამებრ, სემინარიის რექტორატს დაუკავშირდნენ, მაგრამ იქ გამოირკვა, რომ ჯიბლაძე „აკრძალული ლიტერატურის“ კითხვისთვის უკვე „მგლის ბილეთით“ იყო გარიცხული. საავადმყოფოში დაწოლისა და მკურნალობის ნებართვა კი მხოლოდ სემინარიის მოსწავლეებს ჰქონდათ. ასე რომ, ფეხმტვიან სილიბისტრო ჯიბლაძეს იქაურობის სასწრაფოდ დატოვებამ მოუწია.

გაშმაგებული ყოფილი სემინარიელი მეორე დღითვე ჩუდეცკისთან მივიდა, მაგრამ რექტორი კაბინეტში არ დახვდა. მისი ერთ-ერთი ხელქვეითისაგან ჯიბლაძემ შეიტყო, რომ სემინარიიდან ის სწორედ იმ დღეს გაერიცხათ, როცა საავადმყოფოში დაწვა და შესაბამისად, უკვე არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. ჩუდეცკიზე უკიდურესად გულმოსული სილიბისტრო ჯიბლაძე კიბეზე დაეშვა და სწორედ აქ შეხვდა რექტორი. დეკანოზმა შეაჩერა და ცინიკურად უთხრა: დამშვიდობება მაინც არ დაივინყო. ჯიბლაძის რეაქცია მყისიერი იყო — მან ჩუდეცკის ყბაში ძლიერად შემოჰკრა, კიბეზე თავქვე დააგორა, მერე კი წიხლებით შესდგა. ამ ინციდენტს შემთხვევით რამდენიმე სემინარიელი შეესწრო, რექტორის საშველად თითიც არავის გაუწმრევია. რალა

თქმა უნდა, სილიბისტრო ჯიბლაძე იმ დღესვე პოლიციამ დააპატიმრა. მოგვიანებით, ის გაასამართლეს და სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

მეორე დღეს ჩუდეცკიმ, რომელიც თავს შეუძლოდ გრძნობდა და სახლში იწვა, ფოსტით კარგა მოზრდილი კონვერტი მიიღო. კონვერტი თმანვერის მოზრდილი ბლუჯა იდო, რომელიც მას ჯიბლაძემ ცემისას ააგლიჯა. ამავდროულად, ეს ერთგვარი გამაფრთხილებელი ყესტიც იყო. დეკანოზი ჩუდეცკი უფრო გაშმაგდა: როცა კარგად გახდა და სემინარიის დაბრუნდა, სემინარიელთა დატერორება გაორმაგებული ენერგიით განაგრძო. თავისი უგვანი საქციელით საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მის მოსაკლავად მოსწავლეები თბილისელ მემარცხენე-რადიკალებს ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ — „ანარქისტებს“ დაუკავშირდნენ. გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელებს ჩუდეცკის მოკვლა ადრეც სურდათ, მაგრამ რიგი ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებდნენ. სულ მალე, შედგა ტერორისტთა ენ. „საორგანიზაციო კომიტეტი“ — მისა ჩოდრიშვილის, იოსებ დავითაშვილისა და გოლა ჩიტაძის შემადგენლობით. გადაწყდა, რომ ჩუდეცკისთან ერთად, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, ეგზარქოსი პავლე და კავკასიის სასწავლო ოლქის მთავარი ინსპექტორი, იანოვსკი მოეკლათ.

საინტერესოა, რომ დეკანოზ პავლე ჩუდეცკის მკვლელობა, რომელიც საქართველოში ჩადენილ პირველ ტერაქტად შეიძლება მივიჩნიოთ, ყველა დეტალის გათვალისწინებით დაიგეგმა; ოპერაციისთვის გამოიყო ფული — 12 მანეთი, რომლითაც გოლა ჩიტაძემ სამი ხანჯალი შეიძინა, რადგანაც სამი კაცი ჰყავდათ მოსაკლავი. ჩიტაძე დაუკავშირდა უშუალო შემსრულებლებსაც, რომელთაგან ერთ-ერთი, უდედამამო იოსებ ლალიაშვილი იყო — ჩუდეცკისაგან მეტისმეტად გამწარებული სემინარიელი, რომელიც ამხანაგთაგან თითქმის არაფრით გამოირჩეოდა. სწავლისაგან თავისუფალ დროს ის სიონის ტაძარში სანთლებს ყიდდა და დამლაგებელს



მიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი)

ეხმარებოდა. ჩუდეცკიმ ბიჭი რატომ-ღაც თავიდანვე აითვალწუნა, პროვოკაციაზე წამოაგო, ყოფაქცევაში ოთხიანი დაუნერა და „მგლის ბილეთით“ სემინარიიდან გარიცხა. ლალიაშვილმა რექტორს რამდენჯერმე სთხოვა, ნიშანი მაინც გადამისწორეო, მაგრამ ამაოდ. მისი თხოვნა არც ეგზარქოსმა შეიწყალა.

შეურაცხყოფილმა ლალიაშვილმა შურისძიება გადაწყვიტა და სწორედ ამ დროს ინახულა ის „ანარქისტმა“ გოლა ჩიტაძემაც. აღსანიშნავია, რომ იოსებ ლალიაშვილი არასრულწლოვანი იყო და მკვლელობის ჩადენისთვის ჩამოხრჩობას ვერ მიუსჯიდნენ: „სახელი მაინც არ გაქვს, ახალგაზრდაც ხარ — კატორღა სხვებივით ვერ დაგაძაბუნებს... ციშირიდან გამოქცევა კი არც ისე ძნელია, როგორც ზოგიერთს ჰგონია“, — უთხრა გოლა ჩიტაძემ ლალიაშვილს. იოსებიც უყოყმანოდ დათანხმდა. მან გოლა ჩიტაძისგან მიღებული ხანჯალი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე აიტანა და გადაამალა — ჩუდეცკის მოკვლამდე მისი გამოჩენა არ შეიძლებოდა.

გოლა ჩიტაძის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 1886 წლის 25 მაისს, შუადღისას, ეგზარქოსი პავლე და ინსპექტორი იანოვსკი სასულიერო სემინარიისში, ჩუდეცკისთან უნდა მისულიყვნენ. გარემოების თავისებურებათა გათვალისწინებით გადაწყდა, რომ თითოეულ მათგანზე თავდასხმა ხანმოკლე ინტერვალებით უნდა განხორციელებულიყო. რექტორი ლალიაშვილს უნდა მოეკლა მაშინ, როდესაც ის



თბილისის სასულიერო სემინარია (ამჟამად — ხელოვნების მუზეუმი); 1905 წლის ფოტო



კატორღელები სახალისის მადარობებში; 1890 წლის ფოტო

სტუმრებს გააცილებდა და კაბინეტისკენ წამოვიდოდა; ინსპექტორ იანოვსკის მკვლელი საკუთარ სახლთან, აბანოთუბანში უნდა დახვედროდა, ეგზარქოსს კი სულ ბოლოს მოკლავდნენ — მას ანჩისხატის სიახლოვეს უნდა თავს დასხმოდნენ. სამივე მკვლელობა უნდა მომხდარიყო უხმაუროდ, ხანჯლით. საინტერესოა, რომ ლალიაშვილმა არც იცოდა, თუ ეგზარქოსისა და იანოვსკის მოკვლაც იგეგმებოდა; ამიტომაც მან ვეღარ მოითმინა და მიუხედავად ჩიტაძის გაფრთხილებისა — ტერაქტი ზუსტად დანიშნულ დღეს უნდა მოახდინო — ხანჯლით შეიარაღებული, სემინარიაში 24 მაისს მივიდა.

იოსებ ლალიაშვილი, რომელიც ხანჯალს პალტოს ქვეშ მალავდა, იმ დღეს რექტორ ჩუდეცკის დერეფანში შეხვდა; მაშინვე ზრდილობიანად, კიდევ ერთხელ სთხოვა, ნიშანი გადაესწორებინა — როგორც ითქვა, მას ყოფაქცევაში „ოთხი“ ეწერა და სოფლის სკოლაშიც კი მასწავლებლად არ იღებდნენ. ჩუდეცკიმ ყურით არ ათხოვა ყოფილ მოსწავლეს, ისე გაგზავნა „სამ ასოზე“, რამაც ლალიაშვილი ძლიერ გააშმაგა. მან ხანჯალი უცებ იძრო, მოიქნია და პირველი ჭრილობა რექტორს პირდაპირ საზარდულში მიაყენა. ჩუდეცკი წაბორძიკდა, მაგრამ არ დაცემულა — ჭრილობაზე ხელი მიიჭირა და კაბინეტისკენ გაიქცა. ლალიაშვილი ხანჯლით უკან დაედევნა.

იმ მომენტში რექტორის კაბინეტში მისი მეუღლე, მარია მანუელეი დასთან, კატერინასთან ერთად იმყოფებოდა. დაჭრილი ქმრისა და შეიარაღებული თავდამსხმელის დანახვისთანავე მარია აკივლდა, ჩუდეცკი კაბინეტში შეიყვანა, ხოლო კატერინა კი შეეცადა, ლალიაშვილისთვის შემოსვლის საშუალება არ მიეცა. ყმანვილმა კარი წიხლით შეგლიჯა, კაბინეტი გაირბინა და მეორე ოთახში გასულ ჩუდეცკის ხანჯლით ყელი გამოსჭრა. ამ დროს, კიბეზე უკვე პოლიციელები ამორ-

ბოდნენ, რომლებმაც იოსებ ლალიაშვილი რამდენიმე წუთში დააკავეს.

თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის მკვლელობას მთელ რუსეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თბილისში დამატებით შემოიყვანეს კაზაკთა ქვედანაყოფები და სემინარიის შენობაში საყოველთაო ჩხრეკა მოაწყვეს. ჩუდეცკის


დასაფლავების დღეს ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერიც კი დასწყევლა, როგორც „მკვლელის მშობელი“; ამან ქართველი საზოგადოებრიობა ისე აღაშფოთა, რომ ეგზარქოსი დაცვის გარეშე ტაძრებშიც ვეღარ ჩერდებოდა. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, პუბლიცისტმა და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა მესვეურმა, იმხანად სახელმწიფო მოხელემ — შტატიანმა მრჩეველმა დიმიტრი ყიფიანმა მას ღია წერილით მიმართა, რომელშიც საჯაროდ მონანიებასა და საქართველოდან სამუდამოდ წასვლას სთხოვდა. ამის გამო დიმიტრი ყიფიანი თანამდებობიდან გადააყენეს, ყველა ღირსება ჩამოართვეს და სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც მოგვიანებით, ჟანდარმერიის აგენტურამ სიცოცხლეს გამოასალმა. რაც შეეხება თბილისელ „ანარქისტებს“, მათ ჩუდეცკის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა აღარ აუღიათ, რადგანაც დაგეგმილი აქცია ჩაეშალათ: „ლალიაშვილის უთავობით ორი ხანჯალი გამოუყენებელი დარ-

ჩა“; — იგონებდა მოგვიანებით გოლა ჩიტაძე. ასე რომ, ტერაქტი ყოფით ნიადაგზე მომხდარ, კრიმინალურ შემთხვევად გასაღდა.

თავად იოსებ ლალიაშვილი, რომელმაც „ანარქისტები“ არ გასცა, მაინც პოლიტიკური მუხლით გასამართლეს, რადგანაც ჩხრეკისას „აკრძალული ლიტერატურა“ აღმოუჩინეს და ისიც შეიტყვეს, რომ იგი სემინარიელთა ხელნაწერ ჟურნალ „ყვავილის“ რედაქტორი იყო; სასამართლომ ლალიაშვილს „ყოველივე ღირსების ჩამორთმევა“ და 20 წლით კუნძულ სახალინზე, კატორღაში მუშაობა მიუსაჯა. მას უფლება ჰქონდა, განაჩენი ორი კვირის ვადაში, იმპერატორის სახელზე გაესაჩივრებინა, მაგრამ უარი თქვა.

ტერორისტად ქცეული ყოფილი სემინარიელის ამბავი ამით არ დასრულებულა. 1890 წელს თბილისელმა „ანარქისტებმა“ დაპირება შესარულეს და სახალინის კატორღაში ლალიაშვილს გასაქცევად საჭირო თანხა, 400 მანეთი გაუგზავნეს. ფული სლავურ ენაზე გამოცემული სახარების ყდაში იყო ჩადებული და ცენზურამ ვერ აღმოაჩინა. იოსებ ლალიაშვილმა, რომელიც იმხანად კატორღის უფროსის შვილებს საღვთო სჯულში ამეცადინებდა და შესაბამისად, თავისუფლად გადაადგილება შეეძლო, ამ ფულით სათევზაო ნავი და ანკესები შეიძინა, რამდენიმე პოლიტიკური პატიმარიც შეიამხანაგა და მარტის დასაწყისში, ზღვაში გავიდა. გაქცეულებმა იაპონიის სანაპიროს მშვიდობით მიაღწიეს და ადგილობრივ ხელისუფლებას ჩაჰბარდნენ. ერთხანს იაპონიაში ცხოვრობდნენ, მერე კი ერთი მდიდარი ებრაელის დახმარებით, ფულის შოვნა მოახერხეს და ამერიკაში, ქალაქ სან-ფრანცისკოში ჩავიდნენ. იოსებ ლალიაშვილმა იქ სახელი და გვარი შეიცვალა და გახდა ტომ კოქსი; მალე მიიღო ამერიკის მოქალაქეობაც.

სახალინის კატორღიდან ლალიაშვილის გაქცევის გამო რუსეთში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რომელსაც პოლკოვნიკი დეიბლი იძიებდა. დადგინდა, რომ გაქცეულს კავშირი ჰქონდა თბილისში დარჩენილ თანამოაზრე ახსნაგებთან — შიო დედაბრიშვილთან და თედო სახოკიასთან, რომლებიც არალეგალური პატრიოტული ორგანიზაციის — „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრები იყვნენ. ჟანდარმერიის საზღვარგარეთულმა აგენტურამ ლალიაშვილის ახალი სახელი, გვარი და მისამართიც შეიტყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა აგენტები გამოიფრა, დახოცა და ხოსე ლანტეს სახელით, 1913 წელს თავი მექსიკას შეაფარა, რის შემდეგაც მისი კვალი გაქრა.



დიმიტრი ყიფიანი



სამკურნალო ვარჯიშების კომპლექსი სერხემალუი სვლილაების დროს

1. სიზი

საწყისი მდგომარეობა: ზურგზე დანოლილი, ხელები — სხეულის გასწვრივ, ქუსლები — ერთად, ფეხის წვერები — გაშლილი. (სურ. 1).

ჩასუნთქვისას, ხელები სამ დათვლაში ასწიეთ და თავის უკან დაიწყეთ. მთელი სხეული კარგად დაჭიმეთ (თითქოს ინელებით, ისე) (სურ. 2).

ამოსუნთქვისას, სამ დათვლაში ხელები საწყის მდგომარეობას დაუბრუნეთ. მოდუნდით და ვარჯიში გაიმეორეთ.

ეს ვარჯიში ამავრებს ზურგის კუნთებს, კისრიდან კუდასუნამდე; მოძრაობის დროს ხერხემალში აღმოცენებულ დისკომფორტს ხსნის, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის სწორ მუშაობას ხელს უწყობს.

2. რაპლი

საწყისი მდგომარეობა: ზურგზე დანოლილი, ხელები სხეულის გასწვრივ, ხელისგულებით ქვევით; ქუსლები — ერთად, ფეხის წვერები — გაშლილი (სურ. 1).

ჩასუნთქვისას, წელი და მენჯი მკვეთრი მოძრაობით ასწიეთ, ხელისგულებს დაეყრდენით, მხრები და ქუსლები უმოძრაოდ გქონდეთ (სურ. 3). ამოსუნთქვაზე საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით და მოდუნდით.

ხერხემალი არ არის ლარივით სწორი — მას აქვს ნადრეკები. დაავადების დროს ხერხემალი წელის მიდამოში (განსაკუთრებით წელის პირველი და მეხუთე მალეების დონეზე) ნაკლებად მოძრავი ხდება და შეიძლება ნადრეკი სხვა მხარესაც კი გაკეთდეს. ეს ახლომდებარე, ლიმფური კვანძებისთვის ცუდია; ნაწლავების პერისტალტიკაზე უარყოფითად მოქმედებს; იწვევს რადიკულიტს. ვარჯიში ასეთი გართულებების თავიდან აცილებასა და მის გადალ-

ახვაში (თუ ეს გართულებები უკვე არსებობს) გვეხმარება.

3. იმით-აქით

საწყისი მდგომარეობა: ზურგზე დანოლილი, ხელები — გაშლილი, ხელისგულები — ქვემოთ, ქუსლები — ერთად, ფეხის წვერები — გაშლილი (სურ. 4).

მოაბრუნეთ მენჯი მარჯვნივ. ამ დროს მუშაობს ზურგის კუნთები, ხოლო თავი, მხრები, ქუსლები საწყის მდგომარეობაში რჩება და იატაკს არ სცილდება (სურ. 5). დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, მოდუნდით, შემდეგ მოაბრუნეთ მენჯი მე-

ორე მხარეს — მარცხნივ (სურ. 6).

ამ ვარჯიშის შესრულების დროს ხერხემლის მალეები (დანყებულ კისრის მე-6 მალიდან, წელის პირველ მალამდე) თანამიმდევრულად მოძრაობს.

4. მარცხალი

საწყისი მდგომარეობა: მუცელზე დანოლილი, ხელები — განზე, ხელისგულები — ზევით, თავი მარჯვენა ყურით ქვემოთ დადეთ.

ჩასუნთქვაზე სხეულის ზედა ნაწილი იატაკს მკვეთრი მოძრაობით მოაცილეთ და წელში გაიზნიქეთ. ხელები უკან გადასწიეთ და განზე გაშალეთ. ჩასუნთქვისას საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით, მაგრამ ამჯერად თავი იატაკზე მარცხენა ყურით ქვემოთ დადეთ და მოდუნდით.

ეს ვარჯიში დადებითად მოქმედებს კისრის მალეებზე.

ვარჯიშების ეს კომპლექსი ყოველდღიურად, დღეში 2-ჯერ მაინც უნდა ჩატარდეს; თითოეული ვარჯიში 8-10-ჯერ განმეორდეს და თანდათანობით, 15-მდე გაიზარდოს.

გააკეთებთ რა ოთხივე ვარჯიშს, კვლავ გაიმეორეთ ისინი იმავე თანამიმდევრობით. თუ დაიღლებით, შეისვენეთ. ვარჯიშის ბოლოს 4-6 წუთით ცივი შხაპის მიღება სასარგებლოა.

ვარჯიშები სერხემალის კისრის ნაწილისთვის

საწყისი მდგომარეობა: სკამზე დამჯდარი. ვარჯიში გაიმეორეთ 10-20-ჯერ (სურ. 7).


1. გადახარეთ თავი მარჯვნივ და მარცხნივ;

2. მოაბრუნეთ თავი მარჯვნივ და მარცხნივ;

3. ამოძრავეთ თავი წრიულად, ჯერ საათის ისრის მიმართულებით, შემდეგ — პირიქით;

4. თავი უკან გადასწიეთ და ამ მდგომარეობაში გააკეთეთ მარჯვნივ და მარცხნივ მობრუნებები;

5. ხელის მტევნებით შეეხეთ მხრის სახსარს (მარჯვნივ — მარჯვენას, მარცხნივ — მარცხენას). შეასრულეთ ერთდროული მოძრაობები —





თავი წინ (თითქოს კისერს წინ სწევთ) გასწიეთ, მხრები და ხელები — უკან. შემდეგ — პირიქით: თავი — უკან, ხელები და მხრები — წინ;
7. ხელისგულს 10-15 წამი შუბლით მიანექით.



პარჯიშუბი კისრისა და გულმკერდის ოსტეოქონდროზის დროს

1. „ტივატური ლაგა“

საწყისი მდგომარეობა: დაჯექით; თავი და ხელები ჩამოშვებით; თავი დახარეთ, ნიკაბი გულმკერდთან მაქსიმალურად ახლოს მიიტანეთ და შემდეგ ნელ-ნელა თავი მაღლა ასწიეთ. თან გამუდმებით ზევით იყურეთ. გაიმეორეთ ვარჯიში აუჩქარებლად, 5-10-ჯერ, შემდეგ შეისვენეთ. სულ 40-50 მოხრა-გაშლა უნდა გაკეთდეს;

2. „ვანკა-ვსტანკა“ (სურ. 8)

საწყისი მდგომარეობა: დამჯდარი; ხელები ჩამოშვებული და თითები გადაჯვარედინებული.

ჩასუნთქვაზე თავისა და სხეულის გადახრა გვერდზე, ამოსუნთქვაზე საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით და ვარჯიში მეორე გვერდზე გადახრით გაიმეორეთ.

ეს ვარჯიში კისრისა და ზურგის კუნთებს ამაგრებს და სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს.

პარჯიშუბი წალის

ოსტეოქონდროზის დროს

1. დაანათი მუხლს

საწყისი მდგომარეობა: ზურგზე დანოლილი; ფეხები ოდნავ მოხრილი. მარჯვენა ხელი წინ გასწიეთ, მტევანი მარცხენა მუხლზე დადეთ (მარცხენა ფეხი მუხლში მოხრილი და იატაკიდან ოდნავ წამოწეულია).

8-10 წამის განმავლობაში მტევნით მუხლს დაანექით, მუხლით — მტევანს. შემდეგ დაისვენეთ 10-15 წამი.

გაიმეორეთ ვარჯიში ორივე ფეხისთვის, 5-10-ჯერ. პაუზის დროს ზურგზე იწექით და მოდუნდით.

ეს ვარჯიში ზურგის ჯვარედინ კუნთებს აძლიერებს (სურ. 9).

2. „კვირი“

საწყისი მდგომარეობა:

ზურგზე დანოლილი (სურ. 12). მუხლები გულმკერდთან მიიტანეთ, ხელები შემოხვეით და თავი მუხლებს მაქსიმალურად მიუახლოეთ. ასეთ მდგომარეობაში წინ და უკან მოძრაობები შეასრულეთ (3-5-ჯერ), შემდეგ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით. ვარჯიში 4-5-ჯერ გაიმეორეთ.

ეს ვარჯიში კუნთოვან კორსეტს აძლიერებს, ხერხემლის მალეხის, მენჯისა და წვივის ძვლების სახსრებში მოძრაობას აუმჯობესებს. ვარჯიში რბილ-ზედაპირიან იატაკზე უნდა შესრულდეს.

3. ნახეპარხიდი (სურ. 11)

საწყისი მდგომარეობა:


ზურგზე დანოლილი; ხელები — სხეულის გასწვრივ, ფეხები — მუხლებში მოხრილი.

ასწიეთ მენჯი და თან ჩასუნთქეთ, ჩამოსწიეთ და ამოისუნთქეთ. გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

4. „სპირალი“ (სურ. 10)

საწყისი მდგომარეობა:

ზურგზე დანოლილი; ხელები — სხეულის გასწვრივ; ფეხები — ოდნავ მოხრილი.



გადახარეთ ორივე ფეხი მარჯვენა მხარეს. პარალელურად — თავი და სხეულის ზემოთა ნახევარი მარცხნივ მოაბრუნეთ. ასეთ მდგომარეობაში დარჩით 5 წამი. შეგიძლიათ, ძალიან აკურატულად შეასრულოთ რამდენიმე მსუბუქი მოძრაობა სხეულით (თითქოს აქანავებთ სხეულს), მაგრამ ამან ტკივილი არ უნდა გამოიწვიოს. შემდეგ ფეხები გადახარეთ მარცხნივ, იმავდროულად — თავი და სხეულის ზედა ნაწილი — სანიშნაოდ დეგო მხარეს და კვლავ 5 წამი გაჩერდით. გაიმეორეთ ვარჯიში 7-10-ჯერ. ეს ვარჯიში კუნთოვან კორსეტს აძლიერებს.

ყველა ეს ვარჯიში ყოველდღიურად, გამწვავებებს შორის პერიოდში, მკვეთრი მოძრაობების გარეშე და აუჩქარებლად კეთდება.

ქვემოთ ნაჩვენებია ის სწორი (მუქ ფერში) და არასწორი (ზოლებში)



მდგომარეობები და მოძრაობები, რომლებიც ოსტეოქონდროზის დროსაა გასათვალისწინებელი (სურ. სწორი არასწორი).

პაციენტს სამკურნალო ვარჯიშებმა მაქსიმალური ეფექტი რომ მოუტანოს, საჭიროა:

✓ ექიმთან კონსულტაცია და ვარჯიშების დაწყების წინ სათანადო რჩევების მიღება;

✓ ვარჯიშების ყოველდღიურად ჩატარება;

✓ ვარჯიშების გულდასმით, ნელ ტემპში შესრულება. დატვირთვის მატება უნდა მოხდეს თანდათანობით, რომ ორგანიზმმა ადაპტაცია მოასწოროს;

✓ ვარჯიშების შესრულების დროს აუცილებელია თავისუფალი სუნთქვა. სუნთქვის შეკავება დაუშვებელია;

✓ ვარჯიშების შესრულებისას მხოლოდ მსუბუქი ტკივილის შეგრძნებაა დასაშვები. ძლიერი ტკივილის გაჩენის შემთხვევაში ვარჯიში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს;

✓ პაციენტმა ვარჯიშების კომპლექსი მარტივით უნდა დაიწყოს და თანდათანობით რთულამდე მივიდეს.

✓ უნდა შესრულდეს როგორც სტატიკური, ასევე დინამიკური ვარჯიშები, თანაც მცირე ამპლიტუდით და მრავალჯერადი გამეორებით.

✓ სამკურნალო ვარჯიშების ძირითადი მიზანი კუნთოვანი კორსეტის შექმნა და ხერხემლის ყველა სტრუქტურაში სისხლის მიმოქცევის გაძლიერებაა.

მსანაკაბისგან დაზარალებული სამკურნალო საშუალების რამდენიმე რეცეპტი

ამოსახველებელი საშუალება: 1 ს/კ დაქუცმაცებულ ვირისტერფას ფოთლებს 400 მლ მდუღარე წყალი დაასხით, 1 სთ გააჩერეთ, გაფილტრეთ და მიიღეთ 1 ს/კ 4-6-ჯერ დღეში.

თმის ცვენისა და ქერტლის სანინაალმდეგოდ: აიღეთ 100-100 გ ვირისტერფა და ჭინჭარი, 1,5 ლ მდუღარე წყალი დაასხით, 15 წთ გააჩერეთ, გაფილტრეთ, ცივი წყლით გაანელეთ და თმაზე გადაივლეთ.

კუჭის აშლილობის სანინაალმდეგოდ: 1 ჩ/კ წვრილად დაჭრილ ბრონეულის ქერქს 1/2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი დაასხით, ნელ ცეცხლზე 15 წთ ადუღეთ და დღის განმავლობაში მიიღეთ.

ოფლის მოდენისა და გაცივების დროს, ზემო სასუნთქო გზებიდან შესქელებული სეკრეტის გამოყოფის მიზნით: 2 ჩ/კ დიდგულას ყვავილს 1 ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით, 10 წთ გააჩერეთ, გაფილტრეთ და 2 ჯერზე, ყლუპყლუპობით მიიღეთ.

გაზების დაგროვება: მომინანქრებულ ჭურჭელში 2 ჩ/კ კამის დაქუცმაცებული თესლი ჩაყარეთ, 2 ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით და 10 წუთი თავდახურული გააჩერეთ. შემდეგ გაფილტრეთ და დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიიღეთ.

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თქვენი ოჯახის მკურნალი



www.mkurnall.go

ადამიანი



კონსერტი „გამთბარი“ პატარები და საახალწლო სამზადისი

„ახალ წელს აგზიდის ქვეშ შევხვდით...“



ითო ყორღანაშვილი

— ბუნებით ქველმოქმედი ვარ. „ფე-შენ-ვიკებსა“ და მსგავს ღონისძიებებზე დასწრებას, საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა მირჩევნია. მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ბარბარობის დღესასწაულთან დაკავშირებით, დიღმის ბავშვთა სახლისათვის საჩუქარი გაგვეკეთებინა. იმედა, ეს ჩვენს ტრადიციად იქცევა და სხვადასხვა დღესასწაულზე სხვადასხვა ბავშვთა სახლს დავეხმარებით. ღონისძიება ახალბედა საქველმოქმედო ორგანიზაციასთან — „გავათბოთ ბავშვთა სახლები“ — ერთად მოვანწყვით. მისი დამფუძნებელი გიორგი ლიპარიშვილი გახლავთ. ამ ღონისძიებას ჩემი პოეტი მეგობრებიც ესწრებოდნენ, მათ შორის — თამარ ფოლადაშვილი, რომლის შემოქმედებასაც დიდად ვაფასებ. ერთ-ერთმა გამომცემლობამ მოზარდებს საბავშვო ლიტერატურაც გადასცა, რისთვისაც მის წარმომადგენლებს დიდ მადლობას ვუხდით... პატარების ზეიმზე ჩემი შვილი და დისშვილიც წავიყვანე. ისინი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან ერთად გაერთნენ. გიტარის ჰანგების თანხლებით, პატარებს „ფისუნია კატა“ ვუმღერე.

— მზრუნველობამოკლებული ბავშვების გამოხარულება შექელით?

— კი, ისინი ჩვენმა სტუმრობამ ძალიან გაახარა! ნაძვის ხე ერთად გავაფორმეთ, ბევრი ვიმხიარულეთ, მაგრამ ზეიმზე

მომღერალმა ნინო ბაზრუშმა ახალი წლის დღესასწაულ-სათვის მზადება საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობით დაიწყო: მეგობრებთან ერთად, მზრუნველობამოკლებულ დიღმის ბავშვთა სახლის მკვიდრთ ბარბარობის დღესასწაული მიულოცა...

სევდაც იგრძნობოდა... ყველას მოვუწოდებ, ამ ღამეა და თბილი ბავშვებისათვის სიკეთის კეთება არ დაეზაროთ!

— პატარებს თოვლის ბაბუის არსებობის სჯერათ?

— ჩემთან ერთ-ერთი ბავშვი მოვიდა, რომელსაც ხელში სათამაშო ეჭირა და მითხრა: ფურცელზე სურვილი დანერგე, აქ ჩააგდე და აუცილებლად აგისრულდებაო! მერე ბავშვთა სახლის დირექტორმა ჰკითხა: სურვილები ყველამ დანერგეთ? დადებითად უპასუხეს. ჰოდა, დავსკვნი, რომ პატარებს თოვლის ბაბუის არსებობის სჯერათ.

— თავად რა ასაკამდე გჯეროდა?

— მე დღესაც მჯერა (იციინის!)

— შენი ბიჭუნა — საბა თოვლის ბაბუის არსებობას ეჭვქვეშ ხომ არ აყენებს?

— რა თქმა უნდა, არა! მან ისიც კი იცის, თოვლის ბაბუა წარმოშობით საიდანა და სურვილს გამოთქვამს, რომ ის წელიწადის სხვა დროსაც ესტუმროს.

— თოვლის ბაბუა საბას საჩუქარს პირადად აძლევს თუ ჩუმად უტოვებს ხოლმე?

— საბამ ის სულ ორჯერ ნახა. მინდა, წელს თოვლის ბაბუას დავურეკოთ და შინ მოვიპატიოთ.

— სანტა-კლავსის გამოძახებას აპირებ თუ ნაბდიანი თოვლის ბაბუის?

— ნაბდიანის, რადგან ხევსური ვარ!

— ახალი წლის დღესასწაულს ხევსურეთში თუ შეხვედრიხარ?

— არასოდეს, რადგან ყინვისა და თოვლის გამო, იქ მისასვლელი გზები

ფაქტობრივად, ოქტომბერში იკეტება. მთაში მცხოვრები ხალხი ცივილიზაციისაგან გარიყული დიდხანს იყო და ამიტომაცაა, რომ მათ უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო ტრადიციები აქვთ, ახალი წლის დღესასწაულსაც საინტერესოდ აღნიშნავენ.

— ნინო, საახალწლო სუფრისთვის კერძებს თუ ამზადებ?

— კონცერტების გამო ძალიან დატვირთული ვარ და სათანადო ყურადღებას შვილს ვერ ვაქცევ. რა თქმა უნდა, სუფრის სამზადისში დედა მეხმარება, მაგრამ ვცდილობ, ნამცხვარი მაინც გამოვაცხო.

— საერთოდ, ამ დღესასწაულს როგორ ხედავ?

— შარშან ერთ-ერთ ბარში, ძალიან კარგ ადამიანებთან — სერიალ „შუა ქალაქის“ მსახიობებთან ერთად შევხვდი და მათ ღამეაში კონცერტი მოვუწყვე. ჩემთვის ეს ძალიან მხიარული დღესასწაული იყო! სხვათა შორის, ერთ-ერთ ახალ წელს მაგიდის ქვეშაც შევხვდი (იციინის).

— რატომ, გათხოვება გინდოდა?

— არა! მეზობელმა მომატყუა, — სურვილი უნდა ჩაიფიქრო და მაგიდის ქვეშ შეძვრო. იმდენი მეგობარი შევძვევრით, რომ მზავდა ღამის გადაყირავდა! მერე გავიგეთ, რომ ამ „ტრადიციას“ სხვა დატვირთვა ჰქონია...

— სოლო კონცერტსაც ხომ არ გგმავ?

— კი, სოლო კონცერტს ჩემს დაბადების დღეს — ნინოობის დღესასწაულს ვუმიზნებ, მანამდე კი საახალწლო კონცერტში (ქუთაისში) მივიღებ მონაწილეობას...



„მეფე“ და „ლაპარტი“

უკვე თვეზე მეტია, ჩვენს ჟურნალში ეს რუბრიკა არ გამოჩენილა, მაგრამ მიმავალ წელს ისე ვერ „გავაცლილებდით“, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად და ფიფას კომისიის მიერ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს (ჩვენში ასე დამკვიდრდა, თორემ მის მშობლიურ პორტუგალიურ ენაზე — დუ ნაშიმენტუდ გამოითქმის), იმავე პელეს 70 წლის იუბილე გამოგვეტოვებინა. დიას, „ფეხბურთის მეფე“ 23 ოქტომბერს 70 წლის გახდა (თუმცა, მის „მეფობაში“ ბევრს, კონკრეტულად კი „მარადონისტებს“ ეჭვი ეპარებათ).



ნებელს ერქვა (არცთუ აკადემიურ განათლებამიღებულმა, ალბათ არ იცის, თავად ედსონს რატომ ერქვა ასე) და ამით ვამაყობო. მერე კი ის დღე გაიხსენა, როცა პელე შეარქვეს: როდესაც მამამისის ქუჩის გუნდს გულშემატკვივრობდა, კარს უკან მდგარა და მეკარეს, რომელიც ძალიან უყვარდა, ეძახდა: „მიდი, ბილე; ყოჩაღ, ბილე!“, მაგრამ ამ მარტივ სახელს სწორად ვერ გამოთქვამდა და „პელე“ გამოსდიოდა; მერე თავადვე შერჩა მეტსახელოდა. ფეხბურთელმა ისიც აღიარა: ეს სახელი არასდროს მყვარებია, „პელე“ პორტუგალიურად „არასერიოზულად“ ჟღერსო.

ასე იყო თუ ისე, როდესაც 11 წლის გახდა და ბავშვთა გუნდში ჩარიცხეს, უკვე პელე იყო, ყველას აოცებდა თავისი ნიჭით და არავის გაჰკვირვებია, როდესაც 15 წლის ასაკში პროფესიონალთა შორის მოხვდა.

მართალია, პელეს ბევრი მიღწევა აქვს და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონიც ჯერჯერობით, მხოლოდ ის არის, მაგრამ ოპონენტები ანუ „მარადონისტები“ ამბობენ, — მას გვერდით უდიდესი ვარსკვლავები ჰყავდა და ის დამსახურება მთელ გუნდს მიუძღვის, მარადონამ კი „მარტომ“ მოიგო ჩემპიონობაც და მომდევნო წელს ფინალშიც გავიდაო; ამის არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ პირველ სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე პელე საუკეთესო მოთამაშედ არ დაუსახელებიათ (ერთხელ მისი თანაგუნდელი გარინჩა გამოარჩიეს, ორჯერ კი სხვა ქვეყნის ვარსკვლავები). მარადონა კი უდავოდ, საუკეთესო იყო და

ზვიად გურული

პელეს თამაში ჩვენი ჟურნალის მკითხველთაგან ცოტას თუ ეცნება „ლაივში“ ნანახი, მაგრამ შეუძლებელია, ფეხბურთით დაინტერესებულ ნებისმიერი ასაკის ალამიანს ნანახი არ ჰქონდეს ბრაზილიელი ჯადოქრის კარიერის საუკეთესო მომენტების ჩანაწერები. უმეტესობას ისიც ემასსოვრება, თუ როგორი ვნებათაღელვა და სკანდალი გამოიწვია ამ საუკუნის დასაწყისში ფიფას გადაწყვეტილებამ — „საუკუნის ფეხბურთელად“ პელე ელიარებინა და არა მარადონა.

სხვათა შორის, პელეს დაბადების დღიდან ერთ კვირაში, მარადონასაც იუბილე ჰქონდა — ნახევარი საუკუნისა მოიყარა და თუ პელესთან ერთად მასზეც ვისაუბრებთ, ამ თარიღის გამოც გამართლებული იქნება და იმიტომაც, რომ არგენტინელის

გამოჩენის შემდეგ პელეს „სამეფო ტახტი“ საგრძნობლად მოირყა და როდესაც მის მიღწევებზე, ღირსებებსა თუ ნაკლოვანებებზე ლაპარაკობენ, ძალაუნებურად, მარადონას ადარებენ ხოლმე...

მაშ ასე, 1940 წლის 23 ოქტომბერს (თვითონ ასე ამბობს, თუმცა ოფიციალურ ცნობარებში რატომღაც, 21 ოქტომბერი წერია), ბრაზილიის შტატ მინას ჟერაისის პატარა ქალაქ ტრეს კორასონში დაიბადა ედსონ არანტეს დუ ნაშიმენტუ და არავითარი პელე ჯერ „ჩაფიქრებულიც“ არ იყო... მაგრამ როგორ შეიძლება, ბრაზილიაში, ღარიბ ოჯახში ბიჭი დაიბადოს და მამამ მისი ფეხბურთელად გაზრდა არ გადაწყვიტოს, მით უმეტეს, რომ პატარა ედსონის მამა თავადაც (ოღონდ, მხოლოდ თავისი ქალაქის დონეზე) აგორებდა ბურთს.

სხვათა შორის, თურმე, პელეს ძალიან უყვარს თავისი ნამდვილი სახელი — ედსონი და ახლობლებს გამუდმებით სთხოვს, — პელეს ნუ მემძახით, ედსონი დამიძახეთო, მაგრამ ყურს არავინ უგდებს. ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: ჩემი სახელი (ედსონი) ნათურის გამომგო-



სენატორი რობერტ კენედი პელეს თამაშით ისე აღფრთოვანდა, რომ გასახდელში ჩავიდა და პირდაპირ სამხსაპიდან „გამოათრია“ ფეხბურთელი



თავის ბოლო მუნდიალზეც ნარკოსკ-ანდალს რომ არ გადაწყვიტოდა, იქაც პირველი იქნებოდაო... სხვათა შორის, არგენტინელები მის მიერ გატანილ 1284 გოლზეც ქირქილებენ, — ბრაზილიაში ქვეყნის ჩემპიონატიც კი



მესხმა „მეფეს“ ბურთი ფეხებს შორის გაუტარა, სახტად დარჩენილს შემოვრბინა და მეგოქის კარისკენ განაგრძო ბურთით სვლა

არ ტარდებოდა, შტატის ჩემპიონატში კი „ამოავსო“ სოფლის გუნდების კარები; აბა, მარადონასავით არგენტინის, ესპანეთისა და იტალიის პირველობებზე ეთამაშაო! ისე, ლოგიკას მოკლებული არც ეს მტკიცებაა... ფიფას მიერ საუკეთესოდ აღიარებაზე „მარადონისტებს“ უფრო მყარი არგუმენტები აქვთ: ყველას გვახსოვს, რომ ინტერნეტ-გამოკითხვაში მარადონამ თითქმის ორმაგი უპირატესობით მოიგო და ფიფას სპეციალური კომისიის „გამოგონება“ დასჭირდა, რათა საუკუნის იუბილეს პომპეზურ სცენაზე არა „მორფინისტი“ მარადონა, არამედ რესპექტაბელური პელები ასულიყო.

ასე რომ, შთამბეჭდაობის მიუხედავად, ციფრები მართლაც, ბევრს არაფერს ნიშნავს — უფრო საოცარი ის არის, რომ რამდენიმე მილიონმა უნიგნურმა ბრაზილიელმა და პორტუგალიურენოვანმა აფრიკელმა წერაკითხვა მხოლოდ იმიტომ ისწავლა, რომ ფეხ-

ბურთელის ავტობიოგრაფიული წიგნი — „მე — პელები“ წაეკითხა!.. და კიდევ ის, რომ როდესაც პელები და მისი გუნდი — „სანტოსი“ ორი საჩვენებელი მატჩის გასამართავად ნიგერიაში ჩავიდნენ, ამ ყველაზე მრავალრიცხოვან აფრიკულ ქვეყანაში მძვინვარე სამოქალაქო ომი რამდენიმე დღით შეწყდა!..

დღეს არ გაგვიკვირდებოდა, მაგრამ მაშინ ისიც საოცრება იყო, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი რობერტ კენედი, რომელიც „მარაკანაზე“ ბრაზილია-სსრკ-ის ამხანაგურ მატჩს დაესწრო, პელებს თამაშით ისე აღფრთოვანდა, რომ გასახდელში ჩავიდა და პირდაპირ საშხაპიდან „გამოათრია“ ფეხბურთელი მხოლოდ იმიტომ, რომ გადახვევდა — ქაფიანი პელებსა და სმოკინგიანი კენედის ფოტომ მთელი მსოფლიოს გაზეთები მოიარა. ეს საკვირველი იმიტომ იყო, რომ მაშინ ამერიკელებისთვის ფეხბურთი ის „ხურმა“ გახლდათ, ცნობილ ანდაზაში რომ არის...

რადგან საბჭოთა კავშირის ნაკრები ვახსენეთ, არ შეიძლება არ ითქვას, რომ მაშინდელ ამ სახელმწიფოში და აქედან გამომდინარე საქართველოშიც, პელები და საერთაშორისო ფეხბურთი ერთდროულად შემოიჭრნენ — 1958 წელს 17 წლის პელები მსოფ-

ლიოს ჩემპიონატზე გამოჩნდა, თანაც — საბჭოთა ნაკრებთან ითამაშა და სწორედ იმ წელს დაიწყო ჩვენში ტელემაუწყებლობა (ჰო, კიდევ ერთი „წმ“ — იმ წელს პელები თავისი კლუბის შემადგენლობაში ზუსტად 58 გოლი გაიტანა); ეს პელებსთვისაც პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო და საბჭოთა კავშირისთვისაც. მაშინ ფეხბურთელმა მართლაც გააოცა მსოფლიო — ნახევარფინალში ჯერ ფრანგებს გაუტანა სამი გოლი, ხოლო ფინალში შედეგებთან დუბლი მიითვალა. მიუხედავად ამისა, ზუსტი პასების გამო, საუკეთესო ფეხბურთელად „ბატონ მილიმეტრად“ წოდებული ფრანგი რაიმონ კოპა დაასახელეს.

ქართველ ფეხბურთელებსაც, ცხადია, მხოლოდ საბჭოეთის ნაკრების შემადგენლობაში შეეძლოთ შეხვედროდნენ „ფეხბურთის მეფეს“ — 1958 წლის პირველი მატჩის შემდეგ, პელებს მონაწილეობით, ბრაზილიის ნაკრებმა მხოლოდ 1967 წელს გამართა ორი ამხანაგური მატჩი საბჭოთა კავშირთან და ქართველები ორივეში მონაწილეობდნენ. მართალია, მოსკოვში პელებს საოცარი თამაშის წყალობით ბრაზილიამ 3:0 მოიგო, სამაგიეროდ, რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანაზე“ ვერც 160 ათასი ფანის ყიფინამ უშველა და ფრედ — 2:2 ითამაშა. ჩვენთვის ის მატჩი განსაკუთრებით საინტერესო იმიტომაც არის, რომ მართალია, აღფრთოვანებული კენედი პელებს „წელში შეუვარდა“, მაგრამ თვით ბრაზილიელები მიხეილ მესხის თამაშმა, განსაკუთრებით კი ერთმა მომენტმა გააგიჟა — პელებს პირისპირ აღმოჩენილმა მესხმა „მეფეს“ ბურთი ფეხებს შორის გა-



გიორგი სიჭინავა, სლავა მეგრეველი, პელები, ანზორ კავაშაშვილი, მიხეილ მესხი



დიეგო იმ ნარკოტიკებს ყიდულობდა, რომელსაც პელეს შვილი ყიდდაო

უტარა, სახტად დარჩენილს შემოურბინა და მეტოქის კარისკენ განაგრძო ბურთით სვლა (ასეთი რამ არც მანამდე და არც მერე, „მეფისთვის“ არავის „გაუბედავს“)! პელე გონს მოეგო, მესხს გამოუვიდა, ზურგზე შეახტა(!) (ცხადია, ჯარიმა დაინიშნა) და ასე შეაჩერა, შემდეგ კი ალტაცების ნიშნად გადაეხვიდა...

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართველები საბჭოთა ნაკრებში თამაშისას მარადონასაც შეხვდნენ და მისი პერსონალური მეურვეობა სწორედ ქართველ მცველს — თენგიზ სულაქველიძეს დაევალა. ბრწყინვალე ქართველი ფეხბურთელი ინტერვიუებში დღესაც ამბობს, რომ მარადონა ერთადერთი იყო, ვისაც „ვერ გაუძლო“.

პელეს ბრაზილიაში დღესაც აღმერთებენ. ერთადერთი მომენტი, როდესაც მის სახელსა და ავტორიტეტს ჩრდილი მიადგა, გარინჩას სიკვდილის დღე იყო — მანე გარინჩა, ვისაც „ხალხის სიყვარულს“ ეძახდნენ (ასეც აწერია საფლავის ქვაზე), 40 წელს გადაშორებული სიღარიბეში გარდაიცვალა, პელე კი უკვე მილიონერი იყო. სწორედ მაშინ თქვეს ბრაზილიელებმა, — თავისი ქალაქივით „სამგულაა“ („ტრეს კორასონ“ — სამ გულს ნიშნავს) — ფეხბურთს, ფულს და სახელს მიუძღვნა გული, მეგობრებისთვის კი აღარ დარჩაო... სხვათა შორის, მას ამ საკითხშიც მარადონას ადარებენ — რომელიც უამრავ უსაქმურ მეგობარს დღემდე, სრულიად უანგაროდ არჩენს.

მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ვერ აკნინებს პელეს — როგორც დიდი

ფეხბურთელის ღირსებებს. რაც მთავარია, ის უნივერსალი იყო — ბრწყინვალედ თამაშობდა თავით (რითაც მარადონა ვერ დაიკვებინდა), ერთნაირად ხმარობდა ორივე ფეხს (მარადონას მარცხენა უფრო „ეხერხებოდა“), საოცარი სისწრაფე და უძლიერესი დარტყმა ჰქონდა; ნარმოიდგინეთ — 100 მეტრს 11 ნამზე ნაკლებ დროში ფარავდა, ეს იმ დროისთვის კარგი სპრინტერის შედეგი იყო; სიმაღლეში კი ორ მეტრზე მაღლა ხტებოდა!..

რადგან ორი იუბილარის „შედარებით დახასიათებას“ ვახდენთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მარადონას მიერ „ღმერთის ხელით“ გატანილი გოლი ინგლისის ნაკრების კარში და ამასთან დაკავშირებული და დღემდე ვერდამთავრებულ ლანძღვა „პელესტე-

ის“ მხრიდან. ცხადია, არგენტინელთა კერპი მთლად კარგად ვერ მოიქცა, მაგრამ მაშინვე ამოქექეს პელეს კომპრომატიც, თანაც — დადასტურებული: ერთხელ, როდესაც პელეს „სანტოსი“ მთავარ მეტოქეს — „ბოტაფოგოს“ ვერ უგებდა, კუთხურის მოწოდებისას საჯარიმოში მდგარმა პელემ მეტოქის მცველს თავი ილღიაში ამოუდო, ხელით ხელი ისე დაუჭირა, რომ მსაჯს ჰგონებოდა, მეტოქე კისერში სწვდაო და ყვირილი ატეხა: „მსაჯო, ნახე, რას აკეთებს!“ პელეს ავტორიტეტმა გაჭრა და მსაჯმა ვერც კი წარმოიდგინა, რომ „მეფე“ თაღლითობდა — პენალტი დაინიშნა.

მარადონას ნარკომანობის „კონტრარგუმენტიც“ აქეთ არგენტინელებს: მართალია, დიეგო ნარკომანი იყო, სამაგიეროდ, პელემ ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, რომ ცხოვრებაში პირველი სექსი მამაკაცთან ჰქონდაო! და კიდევ: დიეგო იმ ნარკოტიკებს ყიდულობდა, რომელსაც პელეს შვილი ყიდდაო (მისი ვაჟი ნამდვილად, ნარკოტიკების გასაღებისთვის იყო დაპატიმრებული).

მარადონასგან განსხვავებით, რომელმაც ვერც ბიზნესში ივარგა (არც უცდია) და პოლიტიკაშიც ვერ ერკვევა (მართალია, კასტროსთან და ჩავესთან ძმაკაცობს, კოკოითსაც ჩამოართვა ხელი, მაგრამ ნუ გვეწყინება — აზრზე არ იქნებოდა, ვინ იყო), პელემ სახელმწიფო სამსახურიც მოიხდინა — ის ბრაზილიის სპორტის მინისტრი

იყო, ბიზნესშიც წარმატებულია — ყავა „პელე“ ხომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში იყიდება და რეკლამიდანაც ყოველწლიურად, 15 მილიონ ევროს იღებს; სხვათა შორის, ის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაეროს მშვიდობის ელჩის წოდებითაც მოგზაურობს და კარგ საქმეებსაც აკეთებს (თუმცა, არა თავისი ფულით).

სამაგიეროდ, თაყვანისმცემლების მიერ „ფეხბურთის ღმერთად“ შერაცხილი მარადონა ფეხბურთს ვერ ეშვება — ჯერ საფეხბურთო ტოქშოუ ჰქონდა არგენტინის ტელევიზიაში, მერე კი არგენტინის ნაკრების მწვრთნელობაც გაბედა და თავიც შეირცხვინა. აქ კიდევ ერთხელ მოგიწევს პელეზე აუგის თქმა, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, — მარადონას წარუმატებლობა ძალიან გამიხარდაო.

...ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ დარწმუნებული იყავით, გაივლის კიდევ



მარადონას მიერ „ღმერთის ხელით“ გატანილი გოლი ინგლისის ნაკრების კარში

ნახევარ საუკუნეზე მეტი, ფეხბურთი ისევ იარსებებს, პელე და მარადონა იმ ქვეყნად იქნებიან, თანამედროვე ტექნოლოგიები კი საბედნიეროდ, სამუდამოდ შემოინახავს ამ ორი ჯადოქრის მიერ მწვანე მინდორზე ნაჩვენებ საოცრებებს და აღარავის ემახსოვრება, რამდენ დოზას იკეთებდა ერთ ჯერზე მარადონა ან რამდენი ათასი დოლარი დაენანა პელეს მეგობრობის სიცოცხლის გადასარჩენად...

ისტორია ყველაფერს აპატიებს გენიოსებს!



„ყირამალა მსუქანაო...“

ინგა ჯაყელი

...ასეთ შეუფერებელ ცოლ-ქმარს ვერსად იპოვით, მართლაც სანთლით რომ ექებოთ: 150-კილოგრამიანი, თითქმის ორი მეტრი სიმაღლის მზია და 150-სანტიმეტრიანი დათა, რომლის საუკეთესო წონა არასოდეს გაცილებია 60 კილოგრამს... მაგრამ მთავარი ისაა, რომ ერთმანეთი ძალიან უყვართ, თანაც — ამ სიყვარულს ფესვები შორეულ წარსულში გაუდგამს: გოგო მაშინაც ლოყებდაჟღაჟა და პუტკუნა ყოფილა, ბიჭი — წვრილი და გაკნაჭული; დათას ტვინიც „მოკლე“ ჰქონია და როგორც ახლა თავად ამბობს, მზია რომ არა, შეიძლება, სკოლაც ვერ დაემთავრებინა. ის გვერდით ეჯდა და გამუდმებით ჩასჩინებდა, მეათედ უხსნიდა მასწავლებლის მიერ ასწილ გაკვეთილს და როცა მაინც ვერ გააგებინებდა, დავალებას მის ნაცვლად წერდა, თან — აყვედრიდა: უჩემოდ რა გეშველებოდაო?..

სკოლის დამთავრების შემდეგ მზია საექთანოზე სწავლობდა, მერე კი რაიონის საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა და მთხოვნელებიც გამოუჩნდა, მაგრამ ყველას უარს ეუბნებოდა, რადგან ჯერ კიდევ ბავშვობისას გაჩენილ გრძნობას ვერაფერს უხერხებდა და არც მალავდა, რომ დათას გარდა, ქმრად არავინ უნდოდა. ერთხელ გაბედა და უთხრა კიდევ:

— შენ გარდა არავინ მინდა და თუ სხვაზე არ გიჭირავს თვალი, დროზე ვიქორწინოთ, ამ მოკლე წუთისოფელში უერთმანეთოდ როდემდე ვიაროთ?!

— დამცინი?! სად შენ და სად მე? გინდა, სოფლის სასაცილო გამზადო?! მართალია, შენ გარდა არავინ მინდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაფასების ნაცვლად, ჩემი სიყვარული სალაპარაკო და სამასხარო გახადო! — უთხრა ბიჭმა და ზურგი შეაქცია.

— მოიცა, ბიჭო, არ დაგცინი, მართლა მიყვარხარ! — მიაძახა მზიამ, მაგრამ დათამ არ დაუჯერა...

გადიოდა წლები. 30 წელიწადს მიღწეულ მზიას მთხოვნელებიც შემოაკლდა და ახლა მისი ძმები ემუქრებოდნენ დათას: — მოგკლავთ, თუ დას გაუთხოვრად დაგვიბერებო!..

დათას ოჯახის წევრებიც აუჯანყდნენ, ყველა ეუბნებოდა:

— გიყვარს და უყვარხარ, ერთმანეთის ბედისა ხართ და რას აგვიანებთ, დროზე გვადირსეთ ქორწილი!..

— თქვენ რა გესმით! — ხელს

აიქნევდა ხოლმე დათა და სახლიდან გარბოდა.

ახალი წელი თენდებოდა. დათა დილაადრიანად ადგა, ნაჯახი აიღო და ტყისკენ წავიდა — სტუმრად ქალაქელ დისშვილებს ელოდა და ბავშვების გულის გასახარად ფუმფულა ნაძვის ხის მოტანა განიზრახა...



გზად მზიას სახლთან უნდა ჩაევლო. როცა საყვარელი ქალის სახლს მიუახლოვდა, სიარულიდან ლამის სირბილზე გადავიდა; უნდოდა, იქაურობას სწრაფად გასცლოდა, მაგრამ ტყისკენ მიმავალს მზიამ მოჰკრა თვალი, უკან აედევნა და მალევე დაეწინა. მის დანახვაზე დათა ისე შეკრთა, თითქოს თავად ქალწული იყო, მზია კი — მის მოსატაცებლად მისული დეკაცია...

— გამარჯობა! — მიესალმა მზია, დათა კი აყვირდა:

— რას დამდეგ და არ მასვენებ? გინდა, თავი მომაკვლევიო და ამით დავუსვა ტანჯვას წერტილი?!

— მიყვარხარ! — ხმადაბლა უბასუხა მზიამ. — შენ გარეშე ჩემს ცხოვრებას აზრი არა აქვს და ბარემ, მეც მომკალი...

— არა! — ისევ იყვირა დათამ, შეტრიალდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ ფეხი აუცურდა და ხრამში თავით გადაეშვა.

— ვაიმე! — იწივლა მზიამ, ხრამის პირას მივიდა, დაჯდა და გეგონებოდა, ციგა ამოუდეს ქვემო, უცებ

ჩასრიალდა იმ ადგილამდე, სადაც ხის ტოტს ჩაბლაუჭებული დათა ეკიდა. ის-ის იყო, საყვარელ ადამიანს ხელი გაუნოდა, რომ თავდაც აუცურდა ფეხი და კოტრიალ-კოტრიალით ხრამის ძირას ამოყო თავი.

ახლა დათას ღრიალმა შეძრა ხეობა:

— ვაიმე! — მერე უშვა ტოტს ხელი, ქვემოთ ჩაგორდა და მზიას ზედ დაეცა. ქალს სიამოვნებისგან გაელიმა და ჰკითხა:

— ხომ არაფერი იტკინე, შენ შემოგვევლოს ჩემი სიცოცხლე?!

დათას ლაპარაკის თავიცი აღარ ჰქონდა, ცხვირ-პირი მზიას ჯიშინა მკერდში ჩარგო; ქალის სურნელმა ისე გააბრუა, ფეხმოტეხილს ტკივილიც არ უგრძნია... ცოტა ხნის შემდეგ, როცა გონს მოვიდნენ, მზიამ ზურგზე მოიგდო, ხევიდან ამოათრია და სახლამდეც მიიყვანა...

იმ ახალ წელს მზია და დათა ერთად შეხვდნენ, მერე კი, როცა კაცმა ფეხზე წამოდგომა შეძლო, ბანარგამობმული ბატკანივით გაედევნა ქალს მზაჩის ბიუროში და ხელიც მოაწერეს...

— როგორ შეაბი ეყვანი?! — ეხუმრებოდნენ მზიას.

— არ გამომყვებოდა და ორივე ფეხს მოვამტკვრედი, თანაც ისე, რომ ვერსად გამექცეოდა!..

მზიას და დათას უკვე ოთხი შვილი ჰყავთ; ოთხივე მზიას დაემსგავსა სიმაღლითაც, წონითაც და ცოლ-შვილის გვერდით მდგომი დათა რატომღაც, ძველი პიანინოს ჩავარდნილ კლავიშს მაგონებს... მიყვარს ახალ წელს მათთან სტუმრობა, მათი უცნაური შაირობის მოსმენა:

— ყირამალა-მსუქანაო, რატომ დამდეგ უქანაო?! — იწყებს დათა.

— მიყვარხარ და რომ დავიჭერ, არ თქვან: ბედმა უგანაო! ჩაგისუტებ, გაგაბრუებ, გაგაგიყებ სულ მთლადო! — პასუხობს მზია.

ამ დროს დათას თვალბუბნი მთქმე აუთამამდედა ხოლმე და ამბობს:

— მაშინ მზიას იმიტომ დავნებდი, რომ მის დიდ ძუძუებში ამოვყავი თავი, მისი სხეულის სითბომ და სურნელმა უროსავით დამკრა თავში!..

დათა განსაკუთრებული სასმისით სვამს ახალი წლის სადღეგრძელოს: — ახალ წელს სიყვარული მოეტანოს ყველა ოჯახში, ყველა გაემრავლებინოს ღმერთსო! — მერე კი ბედნიერი ღიმილით გადახედავს ხოლმე თავის ოთხ შვილს და რა თქმა უნდა, ცოლსაც — თავის „ზორბა ბედნიერებას“...



როგორ ემზადებიან სკოლის მოსწავლეები ახალი წლისთვის

„ჩემს ოჯახში თოვლის ბაბუ არ მოვა“

ახალი წლის დღესასწაული რომ ყველას უყვარს, ეს არახალია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მოზარდი 2011-ის დადგომას დიდი ენთუზიაზმით ნამდვილად არ ხვდება. ის კი არა, ბევრმა აღნიშნა, რომ წელს ნაძვის ხის აწყობაშიც არ მისმარებია მშობლებს, რადგან ამის ხალისი არ ჰქონდა... თუ რამ გაუფუჭა მოზარდებს სადღესასწაულო განწყობილება, ამაზე თავად ისაუბრებენ, მე კი იმედს ვიტოვებ, რომ ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, მათ ეს განწყობილება შეეცვლება და 1-ელ იანვარს ისინიც ჩაუთქვამენ სურვილებს, რომლებიც კურდღლის (კატის) წელიწადში აუსრულდებათ.

ქრის შესაძენად შენი თოვლის ბაბუს ხელფასი საკმარისი იქნება?..

— ვატყობ, საამისოდ დიდი ხანია, ფულს აგროვებს და მგონი, სურვილს შემისრულებს კიდეც. ჩემმა დაიკომაც დაწერა წერილი და იცი, მას რა სთხოვა? — ახალი კაბა და ფეხსაცმელი. აბა, მითხარი, არ აკლია? ტანსაცმელს ხომ ისედაც უყიდდნენ, რალაც ისეთი მაინც ჩაეფიქრებინა, რასაც სხვა დროს ვერავის სთხოვს. მოკლედ, გოგონები მართლა მხოლოდ ჭინჭებზე ფიქრობთ, მამა მართალია...

— საახალწლოდ შენს სკოლაში თუ ეწყობა რაიმე ღონისძიება?

— რალაც ზეიმისმაგვარი იგეგმება, ოღონდ — მასში მხოლოდ დანაწილებითი კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ; ჩვენთვის, დიდებისთვის კი მნიშვნელოვანი არაფერი ეწყობა.

— ახალ წელს როგორ გაერთობი? წინასწარ ხომ არაფერი დაგიგეგმავს?

— კლასელებმა გადაწყვიტეთ, ვიქეიფოთ და რესტორანი წინასწარ დავჯავშნეთ. ასე რომ, ჩვენთვის, მშობლების გარეშე გავჯავშნეთ. ეს ჩვენი პირველი ქეიფი იქნება და ამ დღეს მოუთმენლად ველით.

— დათვრები კიდეც?

— ეს პირველი შემთხვევა არ იქნება, როცა დავთვრები. ადრეც დამიღვია — კლასელების დაბადების დღეზე, „მატალოზე“ ყოფინისას, სახლშიც — როცა სტუმრები წავიდოდნენ, ჭურჭელში დარჩენილ ღვინოს ვიპარავდი და ვწრუპავდი (იცინის). ასე რომ, სიმთვრალე ჩემთვის უცხო ხილი არ არის... ამას წინათ სკოლაშიც დავლიეთ ლუდი. მასწავლებლები ვერაფერს მისვდნენ, მაგრამ მანდატურებმა გამოგვიჭირეს და გაგვაფრთხილეს: მეორედ ასე თუ მოიქცევით, დირექტორს ვეტყვით და მკაცრად დაისჯებითო.

— ახალ წელს რომ სურვილები უნ-

ლიკა ქავია

ნიკოლოზი, 15 წლის:

— ახალი წლის მოახლოება ძალიან მახარებს, მაგრამ არ მომწონს, თოვლი რომ არ მოდის. აბა, ამ დღესასწაულს თოვლის გარეშე რა მულამი აქვს?

— შენს სახლში ნაძვის ხე უკვე მორთეს?

— თავად მოვრთე, ბარბარობა დღეს. ჩვენ ნაძვის ხეს ყოველთვის 19-ში ვანყოთ, ასეთი ტრადიცია გვაქვს და ის წელსაც არ დაგვირღვევია. ძალიან მომწონს ნაძვის ხის მორთვის პროცესი. მართალია, წელს ახალი ვერ ვიყიდეთ, მაგრამ ძველიც მშვენივრად გამოიყურება, სამაგიეროდ — ახალი სათამაშოებით გავალამაზეთ. დედაჩემმა და დაიკომ უკვე იყიდეს სათამაშო ფისუნია, მამა კი შეგვიბრდა, — ახალი წლის ღამეს თოვლის ბაბუ ცოცხალ კურდღელს მოგიყვანთო.

— ე.ი. თოვლის ბაბუს არსებობის გჯერა, არა?

— (იცინის) მჯერა იმიტომ, რომ მინდა, მჯეროდეს ანუ მშობლებს „ვაბოლებ“, — მჯერა-მეთქი და ისინიც, საჩუქრების კართან დატოვებით იკლავენ თავს. ვიცი, ყველაფერს თავად ყიდულობენ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ოცნებას ვინ ამისრულებს?!

— რატომღაც მგო-

ნა, რომ შენი მშობლები შეილებთან მეგობრობით ვერ დაიტრაბახებენ.

— აბა, როგორ შეიძლება, 50 წლის კაცი 15 წლის ბავშვთან მეგობრობდეს? მამას იმას ნამდვილად ვერ ვეტყვი, რასაც ძმაცაცებს გავუმხელ; დედას კი მით უმეტეს — ქალია და ვერ გამიგებს. აი, ჩემი დაიკო დედას ყველაფერს უკაკლავს. ჰოდა, ჩემს საიდუმლოს მასაც ვუმალავ.

— წელს რისი მოტანა სთხოვე საჩტა-კლაუსს?

— ჩემს ოჯახში ამ კაცის სახელის გაგონებაც არავის უნდა, ყველანი ქართველ თოვლის ბაბუს ველით. ჰოდა, სწორედ მას ვთხოვე, მომიტანოს კომპიუტერი და იმეღია, ოცნებას ამისრულებს.

— როგორ ფიქრობ, ამ საჩუ-





და ჩაუთქვა, ეს იცი?

— რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ ეს ცრურწმენაა. ბევრჯერ ჩაუთქვი, მაგრამ არაფერი შემისრულდა. ასე რომ, სურვილების ჩაფიქრებით თავს არ შევიწუხებ, უბრალოდ, ზუსტად 12 საათზე გოზინაყს ვეძგერები — მანამდე დედა არ მაკარებს ხოლმე, — ეს საახალწლო ტკბილეულიაო.

მაიკო, 17 წლის:

— ახალი წლის დღესასწაული განსაკუთრებულად მიყვარს, მაგრამ 2011 წლის შემობრძანება დიდად არ მახარებს.

რატომ?

— აბა, რატომ უნდა მიხაროდეს, როცა ზუსტად ვიცი, რომ ისე ვერ გავერთობი, როგორც საჭიროა; ჩემს ოჯახში თოვლის ბაბუ არ მოვა, საჩუქარს არავინ მომიტანს და სავარაუდოდ, დედა გოზინაყსაც ვერ მოამზადებს...

— წინასწარ რატომ დარდობ? იქნებ, თოვლის ბაბუც მოვიდეს, საჩუქრებიც მიიღო და დედამ გოზინაყიც მოგიმზადოს...

— ამის იმედი არ მაქვს. 2 თვის წინ მამა უმუშევარი დარჩა. ის პოლიციელია და შემცირებაში მოყვა, მერე რაღაც შარიც მოსდეს და ახლა შეიძლება, დაიჭირონ კიდევ... დედაც არსად მუშაობს და აბა, რა გვეზიმიება? მშობლებმა გაგაფრთხილეს: შეიძლება, საახალწლოდ ვერაფრით გაგახაროთ და ამისთვის მზად იყავით, თქვენი წუნუნით გულს კიდევ უფრო ნუ დაგვიძიმებთო. ჰოდა, სხვა რა გზა გვაქვს, მე და ჩემი და ვართ ასე, პირში წყალჩაგუბებულები...

— იქნებ, ახალ წლამდე თქვენი ოჯახის პრობლემა მოგვარდეს...

— (მანყვეტიანებს) ღმერთმა ქნას, მაგრამ ამის ნაკლებად მჯერა. რომც მოგვარდეს, იმდენი ფული არ გვექნება, რომ ის ყველაფერი მოვამზა-

დოთ, რასაც სხვა დროს ვახერხებდით ხოლმე...

და სხვა დროს როგორ ხედვოდით ახალ წელს?

— მაგალითად, შარშანდელ ამბავს მოვიყვან: ჯერ ნაძვის ხე ვიყიდეთ, რომელიც მე და ჩემმა დამ ულამაზესი ლენტებიტა და უზარმაზარი ბურთებით მოვრთეთ; სათამაშო ვეფხვებიც შევიძინეთ, ახალი წლის საღამოს კი თოვლის ბაბუმ სურვილი აგვისრულა და კართან დიდი ხურჯინი დაგვხვდა, რომელშიც აიპოდი (ჩემთვის) და კარავი (ჩემი და გამუდმებით კარავზე ოცნებობდა, ნამდვილი მანანწალაა და მეგობრებთან ერთად თითქმის ყოველ სეზონზე, ლაშქრობას აწყობს) აღმოვაჩინეთ. მოკლედ, ძალიან ბედნიერები ვიყავით. საახალწლო სუფრაც ისეთი იყო, როგორც გვინდოდა, — იმდენი ტკბილეული გვექონდა, რომ მწარე სიტყვებს ვეღარ ვამბობდით (ილიმის)... ეჰ, კარგი იყო.

თოკო, 13 წლის:

— თოვლის ბაბუ არა, ის... ახალი წლის დადგომა იმიტომ მიხარია, რომ სოფლიდან ბებო და ბაბუ ჩამოვლენ, ჩემს დეიდაშვილებსაც ჩამოიყვანენ და სახლში ბევრნი ვიქნებით, გავერთობით. თან, იმდენი ტკბილეული იქნება, რომ არავინ მეტყვის: თოკო, ნულარ ჭამ, თორემ ხვალ აღარ გექნებაო. ახალ წელს მშობლები თითქმის ყველაფრის უფლებას მაძლევენ, ქუჩაში სასეირნოდაც ოჯახის წევრებთან ერთად გავალ და გავერთობი.

— სხვა დროს მშობლებთან ერთად სასეირნოდ არ მიდიხარ ხოლმე?

— სხვა დროს ჩემთვის არ სცალიათ, დედაც მუშაობს და მამაც. სკოლიდან რომ მოვიდვარ, იძულებული ვარ, სადილიც თავად გავაცხელო, ვჭამო, გაკვეთილები მოვამზადო და მერე შემიძლია, ტელევიზორს ვუყურო ან კომპიუტერთან დავჯდე. ცხადია, უმეტეს შემთხვევაში, კომპიუტერში თამაშს ვანიჭებ უპირატესობას, სშირად კი უფროს გოგონებს ვეჩათავები. მათ ჰგონიათ, დიდ ბიჭს ელაპარაკებიან დ ისეთ რაღაცებს ამბობენ, მეცინება ხოლმე. დიდი რომ გავიზრდები, ცოლად ისეთ გოგოს არ მოვიყვან, რომელიც ვიღაცებს ეჩათავება.

რატომ?

— ასეთი გოგონები არ მომწონს. დედა ყოველთვის იმას მიჩიჩინებს, — ნამდვილი

ქართველი ვაჟკაცი უნდა იყო და ცოლიც პატიოსანი უნდა გყავდესო. ჰოდა, დედას თანამედროვე გოგო რძლად მოენონება?..

ანუ ცოლის მოყვანას რომ გადაწყვეტ, დედის აზრსაც გაითვალისწინებ?

— რა თქმა უნდა, მან ხომ ჩვენთან ერთად უნდა იცხოვროს და ისეთი ცოლი რად მინდა, რომელიც დედაჩემს წაეჩხუბება? ჩემმა ბიძაშვილმა ცოლი იმის გამო გაუშვა, რომ დედას არ დაუჯერა და უღირსი მოიყვანა. ჰოდა, არ მინდა, ოჯახი მეც დამენგრეს, ჩემი შვილი სხვაგან გაიზარდოს...

როგორც ვხედავ, დედისერთა ხარ, არა?

— მართალი ხარ, დაიკო და ძამიკო არ მყავს და ამიტომაც მიხარია დეიდაშვილების ჩამოსვლა. არა, რომ მყავდეს, მათი ნახვა მაშინაც გამიხარდებოდა, მაგრამ ახლა ორმაგად მიხარია!

დედას საახალწლო სუფრის განწყობაში თუ ესმარები?

— არა, სუფრის განწყობა რა კაცის საქმეა? მე ნაძვის ხის აწყობა მევალება და კიდევ, დედას ბაზარში მიყვები ხოლმე, რაღაც-რაღაცის ნაშობებაში ვეხმარები; მერე მამიკოსთვის საჩუქარსაც ვარჩევთ.

დედიკოსთვის საჩუქარს ვინ ყიდულობ?

— მე და მამა. მოკლედ, წინასწარ ვიცი, ახალ წელს ვის რას აჩუქებენ, სხვები კი ამის ბაიბურშიც არ არიან და ეს ძალიან მახარებს.

ისიც იცი, შენ რა უნდა გაჩუქონ?

— აბა, რა — ჯერ მეკითხებიან, რა გიყიდოთ და საჩუქრის საყიდლად მერე მიდიან. თუმცა, მე ამ საჩუქარს ისევე მოულოდნელად ვედი, როგორც სიურპრიზს დაველოდებოდი.

2011 წელს რა უნდა გაჩუქონ?

— ველოსიპედი. ჰოდა, ზაფხულში სოფელში რომ ჩავალ, მთელ ქუჩებს მოვივლი... ბებო შემპირდა, საახალწლოდ ფულს გაჩუქებ და შენ რაც გინდა, ის იყიდო. ჰოდა, იმ ფულით დედას კედს ვაყიდვინებ — მაღაზიაში ვნახე წითელი კედი და ძალიან მომეწონა. დედასთვის რომ მეთქვა, მიყიდა, მაგრამ მე მინდა, ბებოს ფულით, მის სახელზე ვიყიდო.

ბებოს და ბაბუს თუ უმზადებ საჩუქარს?

— მე ვარ მათი საჩუქარი (ილიმის). ვხუმრობ. საჩუქარს ყველა მიიღებს, ვინც ახალ წელს ჩვენთან





ერთად შეხვდება. ბებო გამუდმებით სათვალეს კარგავს, ტეხს და ამიტომაც ვუყვიდეთ, თავისივე ბუდით; ბაბუს კი მაგარი „სვეტსკური“ ქუდი შევუჩრჩიეთ. დარწმუნებული ვარ, საჩუქარი ორივეს მოეწონება.

წინა, 15 წლის:

— ახალ წელს სახლში შევხვდები, მერე კი დაქალებთან ერთად, ქუჩაში გავალ. იმედია, კონცერტი ჩატარდება და ნავსუცეკვებთ, ვიხალისებთ.

— ლამით დაქალებთან ერთად ქუჩაში გასვლის უფლებას მოგცემენ?

— ახალი წელი ჯადოსნური იმიტომაა, რომ ამ დღეს ყველას ყველაფრის უფლებას აძლევენ.

— თოვლის ბაბუს არსებობის თუ გჯერა?

— დიდი ხანია, მივხვდი, რომ თოვლის ბაბუ ზღაპრის გმირია, რომელსაც პატარების „დასაბოლოებლად“ იყენებენ. მე მშობლების მორთმეული საჩუქარი უფრო მახარებს, ვიდრე თოვლის ბაბუს ძღვენი გამახარებდა.

— მშობლებს წინასწარ უთანხმებ, ახალი წლის ღამეს რა უნდა გაჩუქონ?

— არა, საჩუქრებს დამოუკიდებლად მირჩევენ, მაგრამ ზუსტად ვიცი, იმას მომიტანენ, რაც ძალიან მინდა. ბოლოს და ბოლოს, მათი შვილი ვარ და იციან, რა გამახარებს. აუ, ერთ ამბავს გავიხსენებ, რა: 11 წლის ვიყავი, როცა ბიძაჩემი გვესტუმრა და იცით, რა მაჩუქა? — წითელი წინდები და თოჯინა. ღამის გავიფხრინე სიცილით.

— სასაცილო რა იყო?

— ისევ პატარა ვეგონე. აბა, 11 წლის ბავშვს თოჯინით გაახარებ?

— ამ ასაკში, პირადად მე, თოჯინა ძალიან გამახარებდა.

— ახლა სხვა დროა... იმ წელს კომპიუტერზე ვოცნებობდი, ერთდროულად ორი შეყვარებული მყავდა და თოჯინა რად მინდოდა ან ის წითელი წინდები სად უნდა ჩამეცვა? — ავდექი და კედელზე ჩამოვკვიდე; მერე მშობლებს მთელი წელი ვაიძულებდი, მასში ყოველდღე, ხურდა ფული ჩაეყარათ და წლის ბოლოს რომ ჩამოვხსენი, იცი, რამდენი ლარი იდო? — 126 ლარი და 90 თეთრი. ჰოდა, საახალწლოდ მაგარი „ზმანები“ ვიყიდე. ბიძაჩემს ახლაც ვეუბნები: კარგი ხელი გქო-

ნია და ან წინდები მიყიდე, ან ყულაბა-მეტქი.

— ახალ წელს რა სურვილს ჩაუთქვამ?

— დედა უმუშევარი დარჩა, წელს სამსახურიდან დაითხოვეს და ამ ამბავს ძალიან განიცდის. ჰოდა, მინდა, ისეთი სამუშაო იშოვოს, თავად რომ გაუხარდება...

შოთა, 15 წლის:

— ახალ წელს შინ, მშობლებთან და და-ძმასთან ერთად შევხვდები. სიმართლე გითხრათ, 2011-ის შემობრძანება დიდად არ მახარებს; არ მიყვარს დღესასწაულები, გაუთავებელი ქეიფები და სტუმრები.

— შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც მსგავსი რამ მითხრა...



— მართლა? არადა, ბევრ ჩემნაირს ვიცნობ, უბრალოდ, ისინი სიმართლის აღიარებისგან იკავებენ თავს — ეშინიათ, განსხვავებული აზრის გამო უცნაურ ადამიანად არ მიიჩნიონ.

— რატომ არ გიყვარს დღესასწაულები?

— იმიტომ, რომ ამ დღეებში ყველა მთვრალია, ხალხს ღვინის და არყის სუნი ასდის, ყველა ერთმანეთს კოცნის და პროშნის, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ერთერთი გულზე არც ეხატებოდეთ; სახლში გამუდმებით ვილაც მოდის და მყუდროებას გირღვეს...

— მართლმად გიყვარს?

— მართლმად არასდროს ვარ — მიყვარს მეგობრებისა და ოჯახის წევრების გარემოცვაში ყოფნა, მაგრამ როცა მყუდროებას ვილაც ნახევრად ნაცნობი მირღვევს, ეს ნერვებს მიშლის!

— მაშინ შეგიძლია, მშობლებს სთხოვო და ახალ წელს მათთან ერთად, ქუჩაში შეეგებო, მერე მთელი დღე ისეირნო და სტუმრებიც ვერ შეგანუხებენ.

— სამწუხაროდ, მშობლები ჩემნაირად არ ფიქრობენ, მათ უყვართ სტუმრების მიღება და მათთან თავის გამოჩენა.

— არც ნაძვის ხის მორთვის პროცესი მოგწონს?

— ნაძვის ხეს ჩემი და რთავს და დედა ეხმარება. პირადად მე, ასეთი სისულელეებისთვის არ მცალია. მირჩვენია, წიგნები ვიკითხო და უაზრობებით თავი არ გამოვიჭედო.

— თოვლის ბაბუს არსებობის არასდროს გჯეროდა?

— 8 წლის ვიყავი, როცა მშობლებს გამოვუცხადე: ვიცი, რომ თოვლის პაპა არ არსებობს და ნულარ მომატყუებთ, მირჩვენია, საჩუქრები თავად მომიტანოთ-მეტქი.

— დავიჯერო, არც საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნა გიყვარს?

— იუბილეს აღნიშვნა მიყვარს, მაგრამ მხოლოდ ახლობლების წრეში.

მარიამი, 17 წლის:

— ნეტავ, ახალ წელს ხშირ-ხშირად ვზეიმობდეთ — ასეთ შემთხვევაში, თბილისის სულ ასეთი ღამაზი და ბრჭყვიალა იქნებოდა.

— ახალ წელს რას ისურვებ?

— ძალიან მინდა, ჩემმა შეყვარებულმა მომავალ წელს მაინც ჩააბაროს უნივერსიტეტში და ალბათ, პირველ რიგში, 12 საათზე სწორედ ამ სურვილს ჩავიფიქრო.

— ბევრი ნატრობს, ახალ წელს შეყვარებულთან, საუკეთესო მეგობართან, რომელიმე ნათესავთან ან ყველა საყვარელ ადამიანთან ერთად შეეგებოს...

— მე ახალ წელს სწორედ ჩემთვის უძვირფასეს ადამიანთან, შეყვარებულთან ერთად შევეგებები. დარწმუნებული ვარ, თოვლის ბაბუს სახელით ის არაჩვეულებრივ საჩუქარს მომართმევს. მისთვის უკვე მეც შევარჩიე უღამაზესი საათი, რომელსაც სხვათა შორის, სვაროვსკის თვლები აქვს.

— წინასწარ იცი, შენი თოვლის ბაბუა რას გაჩუქებს?

— არა, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ იმედს არ გამიცრუებს და ისეთ საჩუქარს მომიტანს, რაც გულით გამახარებს...

— მშობლებს არ ეწყინებათ, 2011-ს მათთან ერთად რომ არ შეეგებები?

— შეიძლება, გული დასწყედეთ, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება...




ბიბლუსი

ბიბლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

უცნაური რეცეპტი



მე ავად ვიყავი და მკურნალს ვეძებდი, უცრად მოფრინდა ცისტერი ფერია, რალაც უცნაური გადმომცა რეცეპტი, რომელიც ანთებულ ყაყაჩოს ფერია.

თან მითხრა ჩურჩულით: – ისეთი რამ არის, რომ უნდა მიიღო უმცირეს დოზით, არისო ძალიან ლამაზი წამალი, არ დაიღვევო ის სუფრის ჯოჯობით.

იმედის ნაფლეთი გულს უცებ ეძგერა, ვიფიქრე, იქნება როგორმე მოვრჩე. თვალი გადავაავლე, რეცეპტზე ეწერა: „მანანას ღიმილი, ჯვირაში ორჯერ!“

1949 წელი,
პანუშტი კობახიშვილი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანგარტაბიტი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენალი თეიმურ ივანიძე

ი

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-51

ისხარი — ჩქარი წვიმა ადრე მომდარებელი (საბა).

ილუმენი ბერძნ. — მონასტრის წინამძღვარი.

იშვლეჭს (კუთხ.) — იშიშვლებს (ხმალს).

იშტა არაბ. (საუბ.) — მადა, სურვილი, ნდომა (ფლავი წინ ვის უდგას და იშტა ვისაც აქვსო).

იშხანი — იგივეა, რაც გელაქნური (სევანის ტბის კალმახი).

იჩქთად — უეცრად, მოულოდნელად ანაზდად.

იხანი — ქოხის, საბძლის და მისთ; ზედსარტყელი, კოჭი გადებული კედლების შესაკრავად (კახეთში).

იჯრა — ჭამა ერთ ჯერობაზე, საჭმელი, რასაც ერთ ჯერობაზე ჭამენ.

კ

კაბადონი (ძვ.) — 1. დაწერილი ფურცლის ცალი პირი (საბა) — გვერდი; 2. ცის კაბადონი — ცის კამარა.

კაბაკუბა (საუბ.) — კაბები, ქალის ტანსაცმელი.

კაბაბური — ბავშვის საბანი.

კაბდო — ხელნებიანი ფიცარი, რომელზედაც ფარცხი გამოებმება (კაბდომ იცის სამართალი, მაღალ-დაბალს გაასწორებს).

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ივანე ჯავახიშვილი




„რაკი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, მთელი ჩემი მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შევნიერე“...

დიდი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 აპრილს. ჯავახიშვილებს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდათ და შვილებსაც სამშობლოსა და დედაენისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულიკვეთებით ზრდიდნენ. მან ისტორიის სიყვარული და მისი შესწავლისადმი მიდრეკილება თავიდანვე გამოამჟღავნა — გიმნაზიაში სწავლისასვე წერდა პატარა შრომებს. ივანეს მამა პედაგოგი ჰყავდა და ცდილობდა, შვილები დაეინტერესებინა სწავლით და ყოველნაირად უწყობდა ხელს. ერთხელ პატარა ივანე მან

თეძამის ხეობაში, რკონის მონასტრის შესასწავლად და არქეოლოგიური მასალების შესაგროვებლად წაიყვანა. ივანეს ხატვა ესერხებოდა და რკონში მრავალი ჩუქურთმა ჩაიხატა... ამ ექსპედიციამ ბავშვზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და კიდევ უფრო განუმტკიცა ისტორიის ღრმად შესწავლის სურვილი.

მოგვიანებით, ივანე პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე შევიდა, სადაც განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთის ისტორიას სწავლობდა. გარდა ამისა, ლექციებს იურიდიულ ფაკულტეტზეც ისმენდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მას იქ დარჩენა შესთავაზეს... ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიის სამეცნიერო დარგები — ქართველი ერის ისტორია, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, მუსიკის ისტორია, სამშენებლო საქმე და სხვა. მის სახელს უკავშირდება ქართული უნივერსიტეტის დაარსება. ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას დაიწყო მეცნიერმა ამ საქმის განხორციელებისათვის ზრუნვა და მუშაობა, გარშემო ქართველი მეცნიერები შემოიკრიბა და მიუხედავად დიდი სირთულეებისა, 1918 წლის 8 თებერვალს, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს,



ივანე ჯავახიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის ბაღში

„დაბალსა და საშუალო ეროვნულ სკოლას ბუნებრივი და სალი განვითარება არ შეუძლიან, თუ რომ ეროვნულ განათლებას უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი არ აგვირგვინებს“...

პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი — ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა, სადაც პირველი ლექცია მანვე წაიკითხა. ივანე ჯავახიშვილი რამდენიმე წელი (1919-1926) უნივერსიტეტის რექტორიც იყო. ხელმძღვანელობდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ბევრი რამ გააკეთა სამუზეუმო საქმის განვითარებისათვის. მალე საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაინიშნა და მუზეუმში შექმნა ისტორიის განყოფილება, სადაც მეცნიერ-მუშაკებსაც ამზადებდნენ. მეცნიერი დიდი პატივისცემით სარგებლობდა, მის ღვაწლს ყოველთვის აფასებდნენ. ამის დასტურად, მას მინიჭებული ჰქონდა იმ დროისათვის უმაღლესი სახელმწიფო პრემია. 1940 წლის 18 ნოემბერს, ჯავახიშვილი კითხულობდა ლექციას თემაზე — „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები“. მას უამრავი მსმენელი ჰყავდა. ლექცია დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა, რადგან დასრულდა სიცოცხლე ღვაწლმოსილი მეცნიერისა... ქართველმა ხალხმა ცხარედ დაიტირა დიდი მამულიშვილი და მისი ღვაწლისადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად, იგი მისსავე დაარსებულ უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს.

„თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამოამჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგრძნობს, შეუძლიან, იგი თავიდან მოიშოროს“.



გზაზე ერთი კაცი მიდიოდა

ოთარ ჯილაძე (ნაწყობი რომანიდან)

ანიები

ეს იმდროინდელი ამბავია, როცა ვანი ზღვისპირა ქალაქი იყო; როცა კოლხეთის მინაზე პირველმა ბერძენმა დაადგა ფეხი და მორიდებულად ითხოვა თავშესაფარი. ზღვამაც სწორედ იმ დღეს გაბედა და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ პირველი ნაბიჯი გადადგა უკან. მთავარი პირველი ნაბიჯი იყო, მერე ყველაფერი თავისით მოხდებოდა, ან ვინ გაუბედავდა შეჩერებას. ყველა ვანელს, დიდიან-პატარიანად, კალთაზე რომ გამოეხა ზღვა, მანც გაიპარებოდა, რადგან ვერავითარი ძალა ვერ აღუდგებოდა წინ ბუნების ჩანაფიქრს. ადრე თუ გვიან ასე უნდა მომხდარიყო, ზღვა გამბედაობას მოიკრებდა და შეუდგებოდა ამ მართლაც ვერაგული განზრახვის აღსრულებას.

ვანელები ისე დაფრთხნენ, ისე დაიბნენ, მერე აღარც უცდიათ დაკარგულის ძებნა და დაბრუნება. მათი ღრმა რწმენით, რაც დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გაღრმავდა, ზღვამ ისინი რალაც დიდი ცოდვის გამო მიატოვა, დიხს, მიატოვა, როგორც მარჩენალმა — ოჯახი, ქმარმა — ცოლი, რომლის ქარაფშუტობასა და გარე-გარე კურკურს აღარ დაადგა საშველი. ქმარიც ადგა და წავიდა. მაგრამ წასვლამდე ისე ფრთხილად, საზრიანად და მოთმინებით იქცეოდა, ძნელი იყო მისი განზრახვის შეტყობა. ხოლო, როცა ყველაფერი გამომუყავნდა, უკვე შორს იყო.

ზღვისგან მიტოვებული მინა, ახალშობილის კანივით სველი და დაჭმუჭნილი, თანდათან გაიზარდა, გაფართოვდა და სამგლოვიარო არშინასავით გაუყვა მთელ სანაპიროს. მერე ვანსა და ზღვას შუა უზარმაზარი ჭაობი გაჩნდა, ურჩხულის ამონარწყევით მწვანე, დაბუშტული და ლორწოიანი.


ოდესღაც სახელგანთქმული, ქვეყანაში გამოსული ქალაქი, მივარდნილი, მიუვალ და მიყრუებულ ადგილად იქცა. წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა ყველა ვანელის ფანჯრიდან მოჩანდა ზღვა, ყველა ვანელის ჭერქვეშ ისმოდა მისი გაბმული, გაუთავებელი ქშენა. არც ერთ ვანელს არ მოუვიდოდა აზრად, სარკმელი მხოლოდ ზღვის საცქერლად

გამოელო, ანდა ძილი გაეტეხა და ლოგინში წამომჯდარს მისთვის ესმინა. ზღვა ყოველთვის ახლოს ეგულებოდა.

რომელ ქალს სჯერა, ქმარი რომ მიატოვებს? არც ვანს სჯეროდა, ზღვა თუ მიატოვებდა. წითელი, სისხლივით ხასხასა კრამიტით გადახურული, თამამად დასკუპებოდა წინ, როგორც ლამაზი გოგო სიყვარულით გაოგნებულ გოლიათს.

ვანელებს უყვარდათ ნავსადგურში გამოსვლა, უცხო ხალხთან გამოლაპარაკება, ენის მოფხანა და ქვეყნის ავანჩავანის გაგება. ყველაფერი აინტერესებდათ, ყველაფერი იცოდნენ, სად რომელი ხომალდი იდგა, რა მოეტანა, რითი იტვირთებოდა, მიდიოდა თუ მოსულიყო. ნავსადგურიდან ქვეყანა უფრო ჩანდა და უფრო საინტერესო ვანელს. ვანიც ამ ვრცელი და საინტერესო ქვეყნის ნაწილი იყო და აქეთკენაც ხალხით მოისწრაფოდნენ ხომალდები. აქ გატარებული დრო ყველას ერთ უცნაურ, თავბრუსდამხვევ სიზმარივით ამახსოვრდებოდა.

ვინც ღვინის ვაჭარ ბახას ორმოცსაფეხურიან სარდაფში არ იყო



ნამყოფი, მან ნამდვილი ღვინის გემო არ იცოდა. იქ დალეული ერთი ჯამი ღვინო ქვევრებს გადასწონიდა, ერთი ლამის საყვარელივით უცებ და უდროოდ დროს მოგანატრებდა თავს, საქმეს მიგატოვებინებდა და ისევ ვანისკენ გაქნევიანებდა პირს. არც მან იცოდა სიმღერის ფასი, ვისაც შავთვალემა მაღალსა და მისი ექვსი ქალიშვი-

ლისთვის ერთხელ მაინც არ მოესმინა.

შავთვალემა მაღალ ბაბილონელი ქალი გახლდათ და ყველა უცხოელს მის მშობლიურ ენაზე უმღეროდა. „ბაბილონმა გამაჩინა, ვანმა კი გამზარდაო“, — ასე აცნობდა ხოლმე თავს შავთვალემა მაღალ სტუმრებს და რომ გეკითხათ, ალბათ, თვითონაც ვერ გიპასუხებდათ, რომელი უფრო უყვარდა, რომელი ერჩია: ბაბილონი თუ ვანი. ექვსი, ერთნაირად თამადავარცხნილი, ერთნაირ კაბებში გამოწყობილი ქალიშვილი ისე დაემსგავსებინა, გეგონებოდათ, შავთვალემა მაღალ ერთდროულად ექვსი სარკიდან იყურებო. ქალიშვილები თვალემაში შესცივინებდნენ დედას, როგორც კარგი მოწაფეები მასწავლებელს და თუთიყუშისვით იმეორებდნენ, იმეორებდნენ და იზეპირებდნენ მის სიტყვა-პასუხსა და მიხრა-მოხრას.

შავთვალემა მაღალს ნამდვილი თუთიყუშიც ჰყავდა, ბაბილონიდან ჩამოყოლილი, ერთადერთი თანამემამულე და ერთადერთი მოწმე გზადაგზა გაფლანგული ახალგაზრდობისა. თუთიყუშს ისეთი სახე ედო, თითქოს საკუთარ თავს ყარაულობდა, თითქოს ერთდროულად მოწყვნილი ტუსალიც იყო და მისი ფხიზელი მეთვალყურეც. ქვევრისებური ლერწმის გალია გრძელი ჯაჭვით ეკიდა ჭერზე და ვისაც არ უნდა ჩაეგლო გვერდით, უსათუოდ ხელს წაჰკრავდა, თითქოს იმის დარდი აწუხებდა, მეთვალყურეს ტუსალი ძილში არ გაეპაროსო. „მასპინძლო!“ — დაიჩხავლებდა გალიასთან ერთად აქანავებული თუთიყუში, ამოძუებულ კუდს კაუჭა, შავსა და პრიალა ნისკარტთან მიიტანდა და ბორბალივით დატრიალდებოდა ხარიხაზე, მერე ერთხელ კიდევ დაიძახებდა „მასპინძლო!“ და ყვითელ, გვირილისხელა თვალემა ბრა-

ზიანად დაუბრიალებდა ქვეყანას, ყველასა და ყველაფერს, რაც გალიის კედლებს იქით დარჩენილიყო. „მასპინძლო, მასპინძლო“, მაშინვე აჰყვებოდნენ ხოლმე თუთიყუშს შავთვალემა მაღალს სტუმრებიც, უგალიოდ დარჩენილნი და დაბნეულად მოღიბარნი თავისუფლების ტყვეობაში.



მარი ჯაფარიძე

მორიგანი

არხილითა დედოფალი

დასაწყისი ნი. „გზა“ №48-50

გაოგნებულს ყელში ლუკმა აღარ გადამდიოდა. ძალიან შემეცოდა დედა.

— ჰოდა, ამის შემდეგ დედაშენი მუდმივად „ტერორის“ ქვეშ ჰყავდათ, — განაგრძო ვეროჩკამ, — ის კარგა ხანს ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ მერე ბედს შეეგუა, სასმლის მიმართ მოთხოვნილებაც გაუჩნდა და მეძაობა ცხოვრების წესად ექცა. რა თქმა უნდა, შენ ამას გიმაღავდნენ. შინიდან კი იმიტომ გაგაგდო, რომ ბოლო დროს მამინაცვალმა შენ დაგადგა თვალი. თურმე დედაშენს ეუბნებოდა, მარგო უკვე წამოიზარდა, დიდა გოგოა და დროა, მაგანაც ფულის შოვნა დაიწყოსო. რომ გაიქეცი და საქართველოში წახვედი, დედაშენი დამშვიდდა, შენი უკან დაბრუნება აღარ უცდია. ამბობდა, მამამისს თუ იპოვის და მასთან იქნება, მისთვის უკეთესია, გზას მაინც არ ასცდება; აქ რომ დარჩენილიყო, მამინაცვალი მასაც ჩემსავით, სიცოცხლეს გაუმწარებდაო. ასე რომ, დედაშენმა ფაქტობრივად, გადაგარჩინა, — თხრობა დაასრულა და ისე შემომხედდა, მივხვდი, ჩემი რეაქცია აინტერესებდა.

— ღმერთო, ვეროჩკა, მე კიდეც, რას არ ვფიქრობდი; დედას ჩემს სიძულვილს ვაბრალებდი, აღარც კი ვკითხულობდი იმის გამო, რომ საქართველოში გაქცეული აღარც მომიკითხა. თურმე საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა. საკუთარი საქციელის მრცხვენი. ვნანობ, რომ როცა ფეხზე დავდექი და ასე თუ ისე, ცხოვრება ავანყვე, დედა თან არ წავიყვანე. შევძრწუნდი იმის გამო, რაც შენგან მოვისმინე. თურმე, რა უბედური ყოფილა, — ბოლოს როდის ვიტყვი, აღარც კი მახსოვდა,

ახლა კი ცრემლი ღაბაღუბით ჩამომდიოდა. — როგორ მოკვდა დედა? — თავი არ ამინევია, ისე ვკითხე.

— რამდენიმე დღე არ გამოჩნდა, სახლიდან ჩამჩუმად არ ისმოდა, შევშფოთდი, მეზობლები შევეყარე და კარი გავტყუებო. დივანზე შიშველი იწვა, ტანით ნახევრად ქვემოთ იყო გადმონეული. როგორც ჩანს, ინვალია. იმ დღის შემდეგ შენი მამინაცვალი დაიკარგა. გასვენებაშიც კი არ გამოჩნდა. მილიცია გამოვიძახეთ, მერე თქვეს, ქმარს დაკითხვებზე იბარებდნენ, მაგრამ მკვლელობის ფაქტი არ დადასტურდა და არ დააკავესო. სიკვდილის მიზეზად ალკოჰოლური მოწამვლა მიიჩნიეს და საქმე დახურეს. არც არავის გაპკვირვებია და არც არავის შეჰპარვია ეჭვი, რადგან ნადინკა მართლაც, სულ მთვრალი დადიოდა და ნათქვამი სიმართლეს ჰგავდა. თუმცა მე მაინც მგონია, რომ მისი ქმარია ამაში დამნაშავე.

კარგა ხანს ვიჯექი ჩაფიქრებულად.

— სად დასაფლავებთ დედა? — ბუბიაშენის გვერდით, — ვერამ შემწვარი თევზით საესე თეფში მაგიდაზე დადგა. — არ მინდა, ვერ შევჭამ ახლა, — თეფში განზე გავწიე, — ავეჯი რა იქნა? სახლი რატომაც ცარიელი?

— როცა დედაშენი გარდაიცვალა, რაღაც ნივთები სასწრაფოდ გავყიდეთ, რომ დაკრძალვის ხარჯი დაგვეფარა და მიცვალებულისთვის სათანადო პატივი მიგვეგო. დანარჩენი ნივთები კი შენმა მამინაცვალმა წაიღო.

— ვეროჩკა, ცოტა ფულს ხომ ვერ მასესხებ?

— ცოტა მაქვს და შემოძლია, გარკვეული დროით გასესხო. რას აპირებ ახლა?

— საქართველოში უნდა წავიდე, იქ რაღაც საქმეებს მოვაგვარებ და მერე აქ დავბრუნდები. მანამდე კი იქნებ ბინის გაქირავებაში დამეხმარო; ფული მჭირდება და სანამ სამსახურს ვიშოვი, რამეში წამადგება. რა ღირს ახლა მოსკოვში ბინის ქირაობა?

— ჩვენს რაიონში საკმაოდ ძვირი ღირს ღირსად

გააქირავებ ალბათ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ავეჯს შეიტან და ცოტა კედლებსაც ხელს შეავლებ — ახალი შპალერი გააკარი, ჭერი შეათეთრე და საკმარისი იქნება. 2-3 თვის ქირა წინასწარ უნდა გამოართვა, წესია ასეთი. ბინის საბუთები ჩემთანაა, მოვძებნი და მოგცემ. მგონი, დედაშენს ანდერძიც ჰქონდა დანერვილი.

— ანდერძი რომც არ ჰქონოდა, მაინც ერთადერთი მემკვიდრე ვარ, ბინას ვერავინ შემეცილება, ავეჯის გამო კი ალბათ არ ღირს ნერვიულობა — რომ მოვიწოდო, იმ ნაბიჭვარს ყველაფერს წავართმევ, მაგრამ ჭირსაც წაუღია... თანაც, ალბათ უკვე გაყიდულიც ექნება ყველაფერი.

— დედაშენი ამბობდა, ჩემი მარგო საკმაოდ ძლიერი ადვოკატია საქართველოში და ფულსაც ბლომად შოულობსო.

— კი, ასე იყო, სანამ ციხეში მოვხვდებოდი. იმეღია, ადვოკატად მუშაობის უფლებას ისევ მომცემენ და ცოტა ხანში ისევ დავდგები ფეხზე. ვერა, შენ რა თანხის სესხება შეგიძლია?

— 200 დოლარს მოგცემ. — კარგი, ცოტა ხანს მეყოფა, — ვინანე, რომ სანდრო გავუშვი. ფულს მაინც გამოვართმევდი-მეთქი, გავიფიქრე.

ვერას ასანთი გამოვართვი, მადლობა გადავუხადე და ჩემი ბინისკენ გავეშურე.

— ამაღამ ჩემთან დარჩი, მანდ როგორ უნდა დაიძინო? — მითხრა, ვიდრე ჩემი ბინის კარს მიღმა გავუჩინარდებოდი.

— გმადლობ, ვერა, შინ მირჩევნია, — ხელის აწევით დავემშვიდობე.

აირღუმელი ავანთე და ხელები მივუშვირე. სიტბომ სასიამოვნოდ დამიარა სხეულში. კარგა ხანს უაზროდ ვუყურებდი მოციმციმე ალს. მერე იქვე, იატაკზე დავჯექი, ზურგით გაზატურას მივეყრდენი, მკლავები ფეხებს შემოვხვიე და ასე ჩამეძინა. შუალამისას გავიღვიძე. სიცივისგან მაკანკალებდა. ლუმელი ისევ ჩართული იყო, მაგრამ ვერ მათბობდა. წამოვდექი, გავიარ-გამოვიარე, იქნებ მოძრაობაში ცოტა გავმთბარიყავი, მაგრამ სიცივე ძვალსა და



რბილში მქონდა გამჯდარი. აქ ყოფნას ისევ ციხეში სჯობდა-მეთქი, გავიფიქრე.



იმ დღის შემდეგ, რაც დიანას ქორწილი ჩავშალე, მოსვენება დავკარგე და ცხოვრება კოშმარად მექცა. დათო და დიანა მალე დაქორწინებას აპირებდნენ, მე კი ლამის გლოვა გამოვაცხადე ამის გამო. დათო ხანდახან — განსაკუთრებით მაშინ, როცა დიანა არ ახლდა, — ძალიან თბილად მექცეოდა, ცდილობდა, მომხვეოდა, ეკოცნა... ხანდახან კი ყინულივით ცივი იყო და დიანას მეტი არავინ ახსოვდა. მადლობას მიხდიდა იმის გამო, რაც მისთვის გავაკეთე და არც მოცემულ პირობას ივინწყებდა. მპირდებოდა, რომ სულ მალე საკუთარი ბინაც მექნებოდა და იმაშიც დამეხმარებოდა, რომ სტუდენტი გავმხდარიყავი... მისი ასეთი გაორება უცნაურად მეჩვენებოდა. ხშირად ვფიქრობდი, დაველაპარაკები, იქნებ გავარკვიო, მისი ასეთი საქციელის მიზეზი-მეთქი, მაგრამ მის მიმართ გრძნობა რომ არ გამემჟღავნებინა, არაფერს ვეკითხებოდი. ვერც ლალისთან ვბედავდი ხმის ამოღებას — დარწმუნებული ვიყავი, რომ ლალი ყველაფერს ხვდებოდა — დანამდვილებით იცოდა, ჩემს გულში რაც ხდებოდა.

ერთ საღამოს გამბედაობა მოვიკრიბე და მასთან დალაპარაკება გადაწყვიტე.

— ლალი, დათო ცოტა უცნაური ადამიანია, არა?

— რატომ, რა შეატყვევ? — კითხვა შემომიბრუნა.

— აი, უკვე 2 ვკირაა, ვაკვირდები და მასში თითქოს 2 ადამიანია გაერთიანებული. სხვადასხვანაირად მექცევა — ხანდახან, ძალიან თბი-

ლად, ხან კი თითქოს ვერც მამჩნევს. ლალიმ გადაიკისკისა.

— მომდევნო შაბათს ქორწილი აქვს, დაპატიჟებული ხარ, — სიტყვა ბანზე ამიგდო.

— მამაჩემის მოძებნა მინდა, — მეც გავიბუტე და გადავწყვიტე, სასწრაფოდ მამა მომეძებნა, აქედან ავბარგებულისავი და მასთან გადავსულიყავი საცხოვრებლად. მთელ სამყაროზე ვიყავი განაწყენებული.

— ახლა ალბათ ვერ მოიცლის და ქორწილის შემდეგ დათო დაგეხმარება მაგ საქმეში.

— არა, ქორწილამდე ვერ მოვიცდი,

მანამდე უნდა მოვძებნო. დათო თუ ვერ მოიცლის, მე მივხედავ მაგ საქმეს, — გავჯიუტდი.

— კი, ბატონო, ნება შენია, — წინააღმდეგობა არ გაუწევია ლალის.

თითქოს ესეც მეწყინა, ყველაფერზე ვიბუტებოდი, მაგრამ არც ის მინდოდა, რაიმე შემტყობოდა.

— ზეგ მე, დათო და დიანა მოსკოვში მივფრინავთ. რამდენიმე დღის განმავლობაში მარტოს მოგიწევს ყოფნა. იმედია, დიასახლისობას თავს გაართმევ. შენი სკოლის მისამართი უნდა მომცე, რომ საბუთები წამოვიდო და აქაურ სკოლაში შეხვიდე, უსწავლელი და ატესტატის გარეშე ხომ ვერ დარჩები?

— მოსკოვში რატომ მიდიხარ?

— საყიდლებზე — პატარაძალი უნდა გამოვპრანჭო.

ხმა აღარ ამოიღია, ჩემი ოთახისკენ გავემართე და მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ბავშვური ჭკუით, შურისძიების გეგმას ვადგენდი. ვიცოდი, რომ სისრულეში ვერ მოვიყვანდი, მაგრამ გონებაში ხან მათი ქორწილი ჩავშალე, ხან — დიანა მოვიტაცე და ტყეში გადავმალე, რომ დათოს ველარ მიეგნო და ცოლად ვერ მოეყვანა, ხან წარმოვიდგინე, რომ ქორწილის წინადღეს დათომ დამიმარტოხელა, მაცოცხლე და მითხრა, რომ უჩემოდ სიცოცხლე არ შეეძლო, დიანა არ უყვარდა და ჩემთან ერთად გაპარვა გადაწყვიტა. იმ ღამით დარწმუნებული ვიყავი, რომ რასაც ჩავიფიქრებდი, ყველაფერს ავასრულებდი, მაგრამ დილით მივხვდი, რომ ხელსაც ვერ გავანძრევდი

დათოს დასასაკუთრებლად, რადგან დანამდვილებით ვიცოდი, რომ დიანა სიგიჟემდე უყვარდა და არაფერი გამოიმივიდოდა. ჩემ მიერ დაგეგმილი შურისძიების ყველა გეგმა კი ფილმის სიუჟეტად თუ გამოდგებოდა...

ბედს შევეგუე. ვცდილობდი, ამ თემაზე აღარ მეფიქრა.

მომდევნო საღამოს დათომ მანქანით მოაკითხა ლალის. გვერდით დიანა ეჯდა. ისინი აეროპორტში წავიდნენ, მე კი კარი საგულდაგულოდ ჩავრახე და ტელევიზორს მივუჯექი.

ის იყო, დასაძინებლად წასვლას ვაპირებდი, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. გამიკვირდა, ვინ უნდა ყოფილიყო? შიშით მივედი კართან და ხმის კანკალით ვიკითხე:

— ვინ არის?

— მე ვარ, — დათოს ხმა გავიგონე.

საკეტი მაშინვე გადავატრიალე.

ზღურბლთან გაღიებული დათო იდგა და ქარისგან აწვნილ თმას ხელით ისწორებდა.

— შენ რა, არ წახვედი? — ვკითხე გაოცებულმა.

— შემომიშვი, გავიყინე, — კარს ხელით მოანვა და დერეფანში შემოვიდა, — ამხელა სახლში მარტო რომ ხარ, არ გეშინია?

— არა, რატომ უნდა მეშინოდეს? — ოთახში შევუძქნი.

— მარგო, განგებ მოვედი ისეთ დროს, როცა მარტო ხარ, შენთან დალაპარაკება მინდა.

— რასთან დაკავშირებით? — ვცაადე, გულგრილი გამომეტყველება შემენარჩუნებინა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თვალებმა მაინც გამცა, რომ უზომოდ მაინტერესებდა, რა ჰქონდა ჩემთვის სათქმელი.

— ჩვენთან დაკავშირებით.

— ქორწილის შემდეგ მამას თუ მომამძებნინებ, კარგს იზამ. მასთან გადავიდოდი საცხოვრებლად. ხომ შემპირდი, თუ დიანას ქორწილს ჩაშლი...

— აუცილებლად მოგაძებნინებ, მაგრამ მე ახლა სხვა თემაზე მინდა ლაპარაკი.

დათომ სიგარეტს მოუკიდა, ტუჩები მოამრგვალა და კვამლი ისე გამოუშვა.

— გისმენ.

— მაგრამ, მე შენ ძალიან მომწონხარ... კარგი გოგო ხარ...

— მეც მომწონხარ, შენც კარგი ბიჭი ხარ...

— „ნე ვ ტომ სმისლე“ — მე როგორც ქალი, ისე მომწონხარ...

— დიანა აღარ მოგწონს? —



ირიბად შევასხენე, რომ მალე ქორნილი ჰქონდა...

მამაკაცმა არაბუნებრივად გადაიხარხარა. უკვე მეორედ შემეპარა ეჭვი, რომ გიჟი იყო.

— პატარავ, მეგონა, დიდი ხანია, ყველაფერს მიხვდი და უბრალოდ, თამაშობდი...

— რას მივხვდი? რას უნდა მივმხვდარიყავი? — ძალიან დავიბენი.

— მე დიანაზე არ ვქორწინდები...

— კი, მაგრამ 1 საათის წინ, შენი საცოლვე მოსკოვში გაუშვი, საქორნილო კაბის საყიდლად და მეუბნები, რომ მასზე დაქორწინებას არ აპირებ?

მამაკაცმა ისევ უცნაურად ჩაიცივნა და გაჩუმდა...

— დათო... — დუმილი დიდხანს რომ გაუგრძელდა, ვცადე, შემეხსენებინა, რომ იქ ვიყავი...

— მე დათო არა ვარ!

— მგონი, ზედმეტი მოგდის... ალბათ ფიქრობ, რომ ჩემი ასაკით ისარგებლებ და იოლად მომატყუებ?

— მარგო, მე დათო არა ვარ, — ჯიუტად გაიმეორა.

— ჰო, შენ დათო არა ხარ, არც ის ხარ, ვინც თვითმფრინვაში ჩემ გვერდით იჯდა, არც ის, ვისი ქორნილიც ჩავშალე და არც ის, ვინც რამდენიმე დღის შემდეგ დიანაზე ქორწინდება...

— შენ წარმოიდგინე, რომ სწორედ მასეა... მე დათო არა ვარ...

— ჯამბაზობას მოეშვი!

— კარგი, რადგან არ გინდა, დაიჯერო, მაშინ მე წავალ... ჯერ-ჯერობით დავტოვო ყველაფერი ისე, როგორც არის... დრო გვაქვს... — წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

— რისი დრო გვაქვს? — ამდენი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით ისე დავიბენი, რომ ენას ძლივს ვატრიალებდი და კი არ ვლაპარაკობდი, გაურკვევლად ვლულულულებდი. ალბათ ამიტომ დატოვა ჩემი კითხვა უპასუხოდ.

სტუმარი კარამდე მივაცილე. გასვლისას მობრუნდა, ნიკაპზე საჩვენებელი თითი ამომდო, თავი ამაწვეინა, სახე ახლოს მომიტანა და თვალებში ჩამხედა.

— ქორწილამდე, საყვარელო! — თქვა და თვალი ჩამიკრა.

ბევრი ვიფიქრე მის ნათქვამზე. რას ნიშნავდა „ქორწილამდე“? ან ვის ქორწილამდე დამემშვიდობა? რატომ მეუბნებოდა, დათო არა ვარო? კითხვა უამრავი იყო, პასუხი კი არც ერთზე არ მქონდა. რაც დანამდვილებით ვიცოდი, ის იყო, რომ ეს ად-

ამიანი მიყვარდა. ნუთუ 2 კვირა საკმარისია საიმისოდ, რომ მამაკაცი შეგიყვარდეს?! 16 წლის გოგოსთვის ალბათ — კი. თუმცა, ერთი ნახვით შეყვარებაც ხომ არსებობს და რატომ არ შეიძლება, ამდენჯერ ნახვის შემდეგ შემიყვარდეს? — ევკითხებოდი ჩემს თავს და ისევ ჩემს პატარა ასაკს ვაბრალებდი, რომ ამ აბურდული გორგლის გასახსნელად ძაფის წვერს ვერ ვაგნებდი...

„ლალის ასაკის რომ ვიყო...“ გავიფიქრე და ცოტა შემშურდა კიდეც ამ ქალის, რადგან ლამაზიც იყო, მომხიბლავიც, ვგრძნობდი, რომ საკ-

ვგრძნობდი, რომ იმ დღეს ბევრ რამეს აეხდებოდა ფარდა.

როგორც იქნა, გათენდა. წვიმას გადავლო და კაშკაშა მზე გამოვიდა. მზის დანახვამ ჩემი ოთახი გამახსენა. მისი ფანჯრები აღმოსავლეთით გადიოდა და იქიდან კრემლი მოჩანდა. კრემლის გვერდით ნეტარი ვასილის ტაძარი იდგა და წინათ, ყოველ დღით, ფანჯრის რაფაზე შემოსკუბებული, საათობით ვაკვირდებოდი ხოლმე არემარეს. ტაძარი უჩვეულოდ იყო აგებული. მსხვადასხვა სიმაღლის შენობა მეცხრეს — ყველაზე მაღალს ერტყა გარს. თი-

მამაკაცმა არაბუნებრივად გადაიხარხარა. უკვე მეორედ შემეპარა ეჭვი, რომ გიჟი იყო.

მაოდ გავლენიანიც... „მას ვერავინ მოატყუებს, ვერავინ ათამაშებს თავის ჭკუაზე. მაინც, საიდან აქვს ამხელა გავლენა და სიმდიდრე?“ ის კაცი გამახსენდა, სანყობში ტანისამოსს რომ მიორჩევდა. მოწინებისგან ლამის მიწამდე იყო მოხრილი და ერთგული ფინიასავით შეჰყურებდა ქალს. მზად იყო, მისი ფეხსაცმელები აელოკა, თუ ქალბატონი ამას ისურვებდა...


მოკლედ, ჩემ გარშემო ყველაფერი იდუმალებით იყო მოცული... ბოლო 2 კვირის განმავლობაში ყველაფერი ისე ძირფესვიანად შეიცვალა, ამდენი სიახლისგან თავებურ მქონდა დახვეული და ამ ლაბირინთში გზის გაკვლევა მიჭირდა. ყველაფერი ბედს მივანდევ, რაც მოსახდენია, მოხდესმეთქი, — გავიფიქრე და ჩემს თავს ვუბრძანე, რომ ამ თემაზე ქორნილამდე აღარ მეფიქრა. გუმანით

თოეული მათგანი სხვადასხვაჩუქურთმიანი, ფერადი ქონგურით მთავრდებოდა და ისე იყო აშენებული, რომ ნებისმიერი მხრიდან ცხრავე ქონგური ჩანდა. დილაობით, როდესაც მზე ამოდიოდა, ყველაზე მაღალ ქონგურზე ისე შეჩერდებოდა ხოლმე, თითქოს წამოედო და ერთ ადგილზე გაჩერდაო. ამ სურათის ყურება დიდ სიამოვნებას მგვრიდა ყოველთვის. ჩემს ოთახში გავედი და ფანჯარაში გავჩხედე. სულ ცოტა მანძილი ჰქონდა მზეს გასავლელს, რომ ქონგურს „წამოსდებოდა“. ფანჯრის რაფაზე დავეჯექი და დაველოდე... ამ დროს არაფერზე ვფიქრობდი... სულ არაფერზე... მხოლოდ ის მაინტერესებდა, ისევ იმ ტრაექტორიით იმოძრაებდა მზე თუ არა — 18 წელი იყო გასული, რაც ეს „რიტუალი“ არ ჩამიტარებია. ხომ შეიძლებოდა, ამ ხნის განმავლობაში მზესაც შეეცვალა მიმართულება? მე ხომ უამრავჯერ შევიცვალე „ტრაექტორია“ ამ ხნის განმავლობაში? რამდენჯერ შეიცვალა ჩემი ცხოვრება... გამიხარდა, რომ მზე ძველებურად „წამოედო“ მაღალ ქონგურს, ცოტა ხნით შეჩერდა და „გზა განაგრძო“... „ახალი დღე დაიწყო, ჩემთვის კი ახალი ცხოვრებაც... დღეიდან დრო ისევ დაიძრა, საათი და კალენდარი ისევ საჭირო გახდა ჩემთვის. თითოეულ წუთსა და წამს დიდი მნიშვნელობა აქვს“, — გავიფიქრე და ავჩქარდი... „უამრავი საქმე მაქვს“... დიდი ხანია, ეს ფრაზა არც წარმომიტყვამს და არც გამიფიქრებია...

ღმერთო, შენ მიშველე!

გაგრძელება შემდეგ ნომერში





რუსუდან პერიძე

დასაწყისი

„ესეც ასე... — სავარძელში წვალეებით მოეწყობი ფიქრებმომადლებული მარიამ იაშვილი. — მამაჩემის ბოლო სურათიც გაცვიდე და ამით ჩემს წარსულთანაც სამუდამოდ გავწყვიტე კავშირი. სურათები კი არა, მამაჩემის წერილებიც კი, რომლებსაც დედა მთელი ცხოვრება უფრთხილდებოდა, ვიღაც კირკიტა ჟურნალისტმა კაპიკებდა დამტყუა. თუმცა ახლა აღარც ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან ცხოვრება უკვე გავლიე და წინ მხოლოდ სიცარიელე და სიკვდილი მელოდება“.

მარიამი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წასული დამწყები მხატვრის — ერეკლე იაშვილის ერთადერთი ქალიშვილი იყო. მეუღლისა და მარჩენალის გარეშე დარჩენილ დედამის მხოლოდ იმაზე ფიქრიღა აძლებინებდა, რომ ადრე თუ გვიან, საბჭოთა კომპარტი მანაც დასრულდებოდა და მისი ოჯახიც ისევ გამთლიანდებოდა. ამ იმედით ზრდიდა იგი ერთადერთ შვილსაც, რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ უცხოეთში სამუდამოდ დარჩენილი მამის სურათები და წერილებიღა შერჩა ხელში. სიკვდილის წინ დედამ მარიამს მათი ოჯახის მთავარი საიდუმლოც გაანდო, უფრო სწორად კი, რუდუნებით გადასცა მამის ერთ-ერთი წერილი, რომელიც ამ საიდუმლოს მთავარ გასაღებს წარმოადგენდა. მარიამმა მხოლოდ ის წერილი არ გაყიდა, თუმცა არც მისი განადგურება უფიქრია, რადგან ოჯახური საიდუმლოს საფლავში წაღებას არ აპირებ-

და. მიზეზი კი ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც, მისი აზრით, ამ საიდუმლოს გაგებისა და, რაც მთავარია, მისი ყველა სიკეთით სარგებლობის სრული უფლება ჰქონდა.

ეს ადამიანი მარიამის შვილიშვილი — ირაკლი კორძაძე იყო. აბა, რომელ ბებიას არ უყვარს შვილიშვილი, მით უმეტეს, თუ ის ერთადერთიცაა, მაგრამ მარიამი ცხოვრებამ ამ მხრივაც დაჩაგრა. ირაკლის გაჩენას — მარიამის ერთადერთი ქალიშვილის სიცოცხლე შეეწირა და დაბადებიდანვე უდევოდ დარჩენილი ბიჭი ბებიაშვილს მარტო მოიძულა. წლები გადიოდა,

ირაკლი იზრდებოდა, მაგრამ მარიამი მასზე გულს ვერაფრით იბრუნებდა. და მხოლოდ ახლა, სიცოცხლის მინურულს, შვილიშვილისკენ მიბრუნება და მისი გულის მოგება გადანიჭებოდა. „ირაკლის წინ დიდი სიურპრიზი ელის, — ფიქრობდა მარიამი, — მამაჩემის წერილი ხომ სწორედ მას დარჩება ანდერძით, რომელსაც ამ დღეებში გავაფორმებ. მართალია, თავიდან ძალიანაც გააღიზიანებს ასეთი უცნაური ანდერძი, მაგრამ როცა წერილს წაიკითხავს, იმდენად გაიხარებს, რომ შეიძლება, წლების მანძილზე გამოჩენილი უგულობაც კი მაპატიოს. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი მაქვს, რადგან ქონება და სიმდიდრე ცოტა პრობლემას როდი აგვარებს და ზოგჯერ ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ ადამიანებსაც კი არიგებს. ჰოდა, ამ წერილის წყალობით ხომ ირაკლიც ძალიან მდიდარი ადამიანი გახდება, რადგან“...

სწორედ ამ დროს კარზე ზარი დარეკეს და მარიამს ფიქრის ძაფი გაუწყვიტეს.

სანამ მოხუცი სავარძლიდან წამოდგებოდა, ზარი კიდევ რამდენჯერმე განმეორდა.

— მოვდივარ, ჰო, ნუ ჩამოიღებთ კარი! — გაღიზიანდა მარიამი. — ვინ არის?

— „გაზიდან“ ვარ, — მოისმა კარს იქიდან მამაკაცის ხმა.

— საიდან?

— „ვაზტრანსგაზიდან“.

— „გაზიდანო“? — წამით ჩაფიქრდა მარიამი. — კი, მაგრამ მე ხომ ყველაფერი გადახდილი მაქვს?

— ვიცი, ქალბატონო, ეს მხოლოდ

მრიცხველის გეგმური შემონემაა.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მარიამ იაშვილმა შემომონებელს კარი მანაც გაუღო...

საკუთარ კაბინეტში მჯდარი უფროსი გამომძიებელი ოთარ ორდენიძე არცთუ მთლად სასიამოვნო ფიქრებს მისცემოდა, რისი მიზეზიც მისი დაბადების დღე გამხდარიყო. დიახ, სწორედ იმ დღეს ორდენიძეს 50 წელი შეუსრულდა. საკუთარი დაბადების დღე კაცს წესით, უნდა ახარებდეს, მაგრამ აგერ უკვე რამდენი წელი იყო, რაც ამ დღეს ორდენიძისთვის გულის ტკენისა და სევდიანი ფიქრების გარდა აღარაფერი მოჰქონდა და ამიტომაც აღარც აღნიშნავდა. „თუმცა ამჯერად მანაც მომიწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა, — ფიქრობდა იგი, — რაც უნდა იყოს, ნახევარი საუკუნის ხნისა მოვიყარე, თან, თანამშრომლებმა საკმაოდ ძვირფასი უცხოური საათიც მაჩუქეს“.

ოთარი ნივთების მონა არასდროს ყოფილა, მაგრამ ასეთ კარგ საათზე მანაც ყოველთვის ოცნებობდა, ხოლო მისი საყიდელი თანხა არასდროს რჩებოდა. და აი, ახლა კოლეგებმა ოცნება აუსრულეს და ოთარსაც თითქოს ცოტა გულზე მოეშვა. მაგრამ მას შემდეგ, რაც თანამშრომლებს საკმაოდ პრესტიჟულ რესტორანში უმასპინძლა და მათთან გამომშვიდობების შემდეგ თავის ერთოთახიან ბინაში დაბრუნდა, ხასიათი ისევ გაუფუჭდა. იტალიური ეზოს ყველაზე მიკარდნილ კუთხეში შეყუჟული საკუთარი თავშესაფარი ოთარს ამ საღამოს განსაკუთრებით უსახური მოეჩვენა. ამიტომ მამინვე სამზარეულოში გავიდა, განჯინიდან ღვინის ახალგახსნილი ბოთლი გამოიღო, ჭიქა პირთამდე შეივსო, შემდეგ ისევ ოთახში დაბრუნდა, სარკესთან მივიდა და საკუთარ ანარეკლს ჭიქა მიუჭახუნა:

— გაგიმარჯოს, ბიჭო, ოთო! გილოცავ! აი, შენც წამოგვწია სიბერე...

ორდენიძემ ჭიქა ბოლომდე გამოცავა, მაგიდაზე ხმაურით დაეცა და კვლავ ფიქრს მიეცა. 50 წელს მიღწეული ადამიანები, როგორც წესი, განვლილი ცხოვრების შეჯამებას იწყებენ, მაგრამ ოთარი ამის გაკეთებას არ ჩქარობდა, რადგან სასიკეთოს ვერაფერს იხსენებდა. არა — ცოლი, არა — შვილი, არა — ნორმალური ჭერი, — აი, „მიღწევები“, რომელთა ჩამოთვლასაც ყოველთვის მოასწრებდა. ჰო, მართლა, კიდევ — უმადური სამსახური და მხოლოდ მაიორის ჩინი. და ეს მამინ, როცა მის ასაკში უმეტესობა პოლკოვნიკი და გენერალიც კი ხდება! ის კი არა და განყოფილებაში გუშინ მოსულმა ცხვირმოუხოცავებმაც კი (ასე იხსენიებდა ორდენიძე



„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „ორგანოები“ მოზღვავეულ ახალგაზრდებს) უკვე მასზე ბევრად მეტს მიაღწიეს.

ისე, ორდენიძეს მაინც გაუმართლა, რადგან ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, განყოფილებაში „ბებრებიდან“ მხოლოდ ისლა დატოვეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პატიოსანი და საქმისადმი თავდადებული ოპერმუსიკი. „მაგრამ მერე, რა? თავდადებითა და საქმისთვის ერთგულებით ფულის მშოვნელი კაცი ჯერ არ შემხვედრია, — სევდიანად გაიფიქრა მან, — უფულოდ კი ჩემკენ რომელი ქალი გამოიხედავს?“.

როგორც უკვე გითხარით, ორდენიძეს ცოლი არ ჰყავდა და კარგა ხანს ეს ამბავი დიდად არც ადარდებდა, რადგან ქალები არასდროს ჰკლებია. მაგრამ ბოლო 10 წლის მანძილზე ქალების მიმართ მკვეთრად შეიცვალა. თუ ადრე გასათხოვარი ქალების უმეტესობას მამაკაცისკენ სიყვარული, ზოგჯერ კი უბრალოდ, შინაბერად დარჩენის შიში უბიძგებდა, სუსტი სქესის ახლანდელი წარმომადგენლები — რომელთა ერთმა ნაწილმაც მამაკაცებზე არანაკლებ ისწავლა ფულის შოვნა — მხოლოდ ასევე შეძლებული ცხოვრების თანამგზავრს ეძებდნენ. და ამ გამალებული ძებნისას უკვე აღარც მამაკაცის გარეგნობას, აღარც მის ასაკს და ზოგჯერ, სექსუალურ ორიენტაციასაც კი აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან უპირატესობა მხოლოდ სქელ ჯიბებს, დიდ ფულს ენიჭებოდა. გამომძიებლის დაკვირვებით, დღევანდელ ქალებს გამოხედვაც კი სხვანაირი გახდომოდით და მამაკაცებს ისე უყურებდნენ, თითქოს ბაზარში გასაყიდად გატანილ საქონელს.

არადა, ორდენიძეს სწორედ ახლა სურდა დიდი და წრფელი სიყვარული, წმინდა და გულგრილი ურთიერთობა. ძალიან უნდოდა, სახლში მისულს მოლიმარი ცოლი შეჰგებებოდა და ცხელი სადილი დაეხვედრებინა. „მაგრამ ალბათ, ამაზე ფიქრი უკვე ძალიან გვიანია, — წუხდა იგი, — რადგან აღარავინ ისურვებს ჩემს სოროში ცხოვრებას და ვერც ჩემს უპერსპექტივო სამსახურს შეეგუება, თუ, რა თქმა უნდა, სასწაული არ მოხდა და უცბად არ დამანინაურეს“. თუმცა ეს ახლა ყველაზე ნაკლებსავარაუდო იყო, რადგან ახალ ხელმძღვანელობას ძველი თაობის გამომძიებელი გულზე დიდად როდი ეხატებოდა და ვერც

თვითონ მოინონებდა თავს რაიმე განსაკუთრებული წარმატებითა და საქმეების გახსნის კარგი მაჩვენებლით.

არადა, გულხელდაკრეფილი არასდროს მჯდარა და ქურდობის, ყაჩაღობის თუ მკვლელობის თითო-ოროლა გახსნილი საქმე ყოველთვის თავდაუზოგავ შრომად და არაერთ უძილო ღამედ უჯდებოდა. მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთი იყო და სამსახურში წინ წასწავად 2 ვარიანტი რჩებოდა: ან რომელიმე წყალნაღებულ ნარკომანისა თუ ბნელი წარსულის მქონე ტიპისთვის უნდა აეკიდებინა ერთი-ორი გაუხსნელი საქმე, რასაც მისი კოლეგები არცთუ იშვიათად აკეთებდნენ, ან არადა, მართლა თავად გაეხსნა რომელიმე ხმაურიანი დანაშაული, რომელზეც ყველა საინფორმაციო საშუალება უმაღლესაპარაკდებოდა.

წარმატების მიღწევის პირველი გზა ორდენიძემ უმაღლესად უარყო. ოღონდ არა იმიტომ, რომ ზედმინდობით მაღალი პრინციპების მიმდევრად მიაჩნდა თავი. უბრალოდ, მის ასაკში ამის დანყება უკვე ძალიან გვიანი იყო. მეორე ვარიანტის ხორცშესხმა კი კიდევ უფრო დიდ სირთულედ მოეჩვენა: აბა, სად იყო ისეთი ხმაურიანი საქმე, რომელზეც დიდი და პატარა ალაპარაკდებოდა და თუნდაც მსგავსი რამ მართლა გამოჩენილიყო, სწრაფად და ეფექტურად როგორ უნდა გაეხსნა?! ასეთი რამ ხომ მხოლოდ ფილმებში ხდება და გამომძიებლის თავდადებული შრომის შედეგად, ყველა დამნაშავეც საკადრისად ისჯება... მაგრამ ორდენიძეს მაინც გაუმართლა და როცა მეორე დღეს სამსახურში მისულს მაგიდაზე სახელმწიფო დაცვის ყოფილი თანამშრომლის, ვინმე გიგლა გოგიჩაიშვილის განცხადება დახვდა, მაძებრის ყნოსვამ მაშინვე უკარნახა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი იწყებოდა. განცხადებაში გოგ-

ჩაიშვილი მისი ამჟამინდელი კლიენტის — ანტიკვარ არონ ხიმშიაშვილის უცნაური გაუჩინარების შესახებ იტყობინებოდა...

არონ ხიმშიაშვილმა რის ვაი-ვაგლახით გაახილა თვალი და ირგვლივ მიმოიხედა. ინტერიერი თითქოს ეცნო, მაგრამ მზერის შეჩერება რატომღაც ვერაფერზე შეძლო, რადგან ყველა საგანი თითქოს ნისლში გახვეული ცურავდა და ზოგიერთი მათგანი ამ ნისლში ცოცხალივითაც კი მოძრაობდა. „რა მჭირს? — უკმაყოფილოდ გააქნია თავი არონმა, — მგონი, წუხელ არაფერი დამიღვია.“ ნივთები კი მაინც ძველებურად განაგრძობდა ცურვას და ის იყო, შეშინებული ხიმშიაშვილს ხმამაღლა უნდა ეყვირა, რომ მის უცნაურად დაბინდულ ტვინში რომელიღაც ნერტილმა გამოანათა და მოხუცმაც მაშინვე შევებით ამოისუნთქა: „სათვალე, სათვალე არ მიკეთია! მე კი რა აღარ ვიფიქრე. ახლაც მოვებინი, გავიკეთებ და ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდება“. მას შემდეგ, რაც ბუცი თვალები სინათლეს შეაჩვია, ხიმშიაშვილი უკვე უსათვალადაც მიხვდა, რომ საკუთარ სააბაზანოში, ფართო და ძალზე მოხერხებულ ჰიდრომასაჟიან ჯაკუზიში იწვა. არონს ჰიდრომასაჟი ძალიან უყვარდა, რადგან ყოველი ასეთი პროცედურის შემდეგ განსაკუთრებით მხნედ და ახალგაზრდადაც კი გრძნობდა თავს. მაგრამ ამჯერად ჯაკუზი რატომღაც სრულიად ცარიელი იყო და მის ფსკერზე მხოლოდ დედიშობილა მოხუცს ასე ამიტომაც აკანკალებდა. „ეჭვობა, წყლის მოსაშვებად დავიხარე, თავბრუ დამეხვა და ჯაკუზიში ჩავვხე“, — გაიფიქრა ხიმშიაშვილმა და თითქოს ამ აზრის დასტურად, მთელ სხეულში ყრუ ტკივილიც მაშინვე იგრძნო. „სიბერეს რა ვუთხარი, — ამოიოხრა მან, — დროა, მომვლელი ავიყვანო, თორემ ერთხელაც იქნება, კისერს მოვიტყვ“. მალე ხიმშიაშვილი იმასაც მიხვდა, რომ ჯაკუზიში მართლაც შეშველი კი არა, რატომღაც ხელფეხშეკრულიც იწვა და ელდა ეცა. „გამოდის, რომ სახლში მძარცველები არიან შემოსული“, — სიმწრით ამოიკვნესა მან, მაგრამ თავი ხელში მალევე აიყვანა, რადგან გაახსენდა, რომ წუთი-წუთზე მისი პირადი მცველი, ჯან-ლონით სავსე გოჩა უნდა მოსულიყო, რომელიც მძარცველებს მაშინვე კუდიტ ქვას ასროლინებდა. აბა, ტყუილად ხომ არ შეარჩია მცველად ასეთი გოლიათი. „ისე, ნეტავ,





ამდენ ხანს სად არის? — ისევ ჩაფიქრდა მოხუცი. — მოვიდეს, ერთი, ვუჩვენებ, როგორ უნდა კლიენტთან დაგვიანება!.. მაგრამ არა, ახლა რა დროს ნოტაციების კითხვა? ახლა მთავარია, დროზე გამოჩნდეს და როგორმე ამ საშინელებისგან მიხსნას.“ ამის გაფიქრება იყო და არონის საბოლოოდ თავზარიც დაეცა, რადგან უკვე სრულიად გარკვევით გაახსენდა, რომ წინა საღამოს პირადი მცველი მთელი დღით დაითხოვა, ის საღამომდე არ გამოჩნდებოდა.

ხიმშიაშვილს დილიდანვე საკუთარი კოლექციის რევიზია ჰქონდა გადამწყვეტილი და სახლში მარტო დარჩენაც ამიტომ ისურვა. „ჰოდა, დაფრჩი კიდევ! — კიდევ ერთხელ ამოიკვნესა მოხუცმა. — ყველაფერი ჩემი ბრალია! ჩემი შეძლების კაცს ორი მცველი მაინც უნდა ჰყავდეს, მაგრამ საკუთარ სიძუნწეს ვერაფრით ვძლიე და აჰა, შედეგით: ვგდივარ ახლა გაყინული და ხელფეხშეკრული და ველოდები, ვიდაც არამზადები ჩემს ქონებას როგორ გაიტანენ“. ამის გაფიქრება იყო და კარს იქით რალაც გახმაურდა. „მოვიდნენ, — გაიფიქრა მოხუცმა და თვალეები დახუჭა, — რას იზამ, ეს ცხოვრება ხომ აღმართ-დაღმართებისგან შედგება და ეტყობა, ჩემი დაღმა დაშვების დროც დადგა“. ხმაური განმეორდა, მაგრამ სააბაზანოში შესვლას მაინც არავინ ჩქარობდა და ხიმშიაშვილმა უკვე იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ კონკრეტულად რამდენ უძვირფასეს ტილოს, სტატუეტს, ლარნაკს, პანოსა თუ სხვა ძვირად ღირებულ ნივთს უნდა გამომშვიდობებოდა. ნუსხა საკმაოდ შთაბეჭდავი აღმოჩნდა, რასაც ბედს შერიგებულმა არონმა

გამოცდილების კაცი ასე პატარა ბიჭვით რომ უნდა გამოფიქრებინა“, — დასკვნა მან და ამ დროს სააბაზანოს კარიც გაიღო. ხიმშიაშვილმა თვალეები ნელ-ნელა გაახილა და ზღურბლზე მდგარი უცნობი მამაკაცი დაინახა, რომელიც ანტიკვარს გამომცდელად აკვირდებოდა. მამაკაცის ცივმა გამოსხდევამ მოხუცი კიდევ უფრო დააფრთხო და ისიც მოეჩვენა, რომ მას ადამიანი კი არა, მახრჩობელა გველი აკვირდებოდა.

— რა გინდათ ჩემგან? — ჩახრინული ხმით ჰკითხა მან უცნობს.

— ძალიან კარგად იცი, რაც მინდა, — მშვიდად უპასუხა უცნობმა.

— ყველაფერი წაიღეთ და აქედან მოშორდით! — ნაჩიურჩულა ხიმშიაშვილმა, რომელსაც უცნობის მზერა უკვე შიშის ზარს სცემდა.

— ვინ გითხრა, რომ ყველაფერი მჭირდება? — ხმა გაიკაცრა უცნობმა. — მე მხოლოდ იმის ნასაღებად მოვედი, რასაც ასე გულმოდგინედ მალავ.

— ვმალავ?.. მეე?.. კი, მაგრამ რას?.. — აკვნესდა მოხუცი. — რაც ამ სახლშია, იმის მეტი ნამდვილად არაფერი მაქვს...

— ნეტავ, იცოდეთ, რამდენჯერ მაქვს ეს სიტყვები მოსმენილი, — მძიმედ ამოიოხრა უცნობმა და ჯაკუზის კიდეზე ახალთახალი ვერცხლისფერი კეისი დადო.

ამის შემხედვარე ხიმშიაშვილს რატომღაც, თავისი თვალის ექიმი გაახსენდა, რომელიც ასეთ კეისში ნაირნაირი ზონისა და ფორმის სათვალის მინებს ინახავდა.

— ვინ ხართ? — შიშით თვალეები გაუფართოვდა მოხუცს. — ექიმი?

— არა, ანტიკვარი, — კეისიდან ამოღებული რეზინის ხელთათმანების დინჯად მორგება დაიწყო უცნობმა.

— ანტიკვარი? — ყურებს არ დაუჯერა ხიმშიაშვილმა. — ანტიკვარი თქვენ კი არა, მე ვარ.

— ვიცი, — ახლა უკვე ქირურგიული ინსტრუმენტების ამოლაგება დაიწყო უცნობმა, — ეს ჩემი მეტსახელია.

— რას აკეთებთ?..

— ამის მოყოლა შორს ნაგვიყვანს. ძალიან ცოტა დრო მაქვს. ამიტომ მხოლოდ იმას გეტყვი, პირადად შენ რას გიპირებ.

— რას? — ნერწყვი ძლივს გადაყლაპა დაზაფრულმა ხიმშიაშვილმა.

— საფუძვლიანად გაგესაუბრები. იცი, როგორ მიყვარს შენნაირებთან საუბარი?

— ესენი რალაში გჭირდებათ? — ნათურის შუქზე ავისმომასწავებლად ალაპლაპებულ ინსტრუმენტებს შიშით გადახედა მოხუცმა. — ეს ხომ ექიმის... —

— თითქმის გამოიცანი, — სათქმელის დასრულება აღარ აცალა ხიმშიაშვილს უცნობმა, — მეც ექიმი ვარ, ოღონდ...

— მაგრამ ექიმი არაფერში მჭირდება! — ახლა უკვე ხიმშიაშვილმა გაანყვეტინა უცნობს სიტყვა.

— ხომ გითხარი, თითქმის გამოიცანი-მეთქი, — მშვიდად განაგრძო უცნობმა, — ადამიანების სულების, უფრო ზუსტად კი მხოლოდ ცოდვებით დამძიმებული სულების მკურნალი ვარ. მე ასეთებს ცოდვებს ვუმსუბუქებ. ასე რომ, შენთანაც ამაზე მომიწევს საუბარი.

— რა საუბარი, რის საუბარი?! — აკვირდა სასონარკვეთილი მოხუცი. — თქვენთან სასაუბრო არაფერი მაქვს!

— ეს ფრაზაც ათასჯერ მომისმენია, მაგრამ ცდები, რაშიც ახლავ დაგარწმუნებ.

ამ სიტყვების შემდეგ უცნობმა სკალპელი მოიმარჯვა და შიშით მოკრუნჩხული ხიმშიაშვილისკენ დაიხარა...

ორდენიძემ გოგინაშვილის განცხადება რამდენჯერმე გულდასმით წაიკითხა და ჩაფიქრდა. განცხადების თანახმად, ამა და ამ თვის ამა და ამ რიცხვში მოქალაქე — არონ ხიმშიაშვილმა თავისი პირადი მცველი გოჩა გოგინაშვილი საღამოს 8 საათამდე ისე დაითხოვა, რომ მიზეზი არ აუხსენია. დათქმულ დროს სამუშაო ადგილზე გამოცხადებულმა გოგინაშვილმა კი თავისი დაცვის ობიექტი საერთოდ ვეღარ აღმოაჩინა. ხიმშიაშვილი არც მომდევნო დღეებში გამოჩენილა და არც მობილური ტელეფონის ზარზე უპასუხია, რის გამოც, გოგინაშვილმა სამართალდამცავების საქმის კურსში ჩაყენება გადაწყვიტა.

„ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი განცხადება და ასეთივე ჩვეულებრივი შემთხვევაა, — ფიქრობდა ორდენიძე, — მაგრამ მაინც ცოტა უცნაურია: დღისით, მზისით როგორ უნდა გამქრალიყო ადამიანი, რომელსაც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პირადი მცველიც ჯიჰავს დაქირავებული?! როგორც ჩანს, აქ რალაც სხვა მოხდა, მაგრამ რა?.. იქნებ, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ერთი შეხედვით რიგითი ამბის კვალს ხმაურიან დანაშაულამდე მიყვავართ? ასეა თუ ისე, გოგინაშვილი მაინც უნდა დავეითხო“, — დასკვნა გამომძიებელმა და ხიმშიაშვილის პირად მცველს შეხვედრა მეორე დღისთვის დაუნიშნა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ორიოდ დღის წინ, მორიგი შედეგის საყიდლად ბანკიდან გამოტანილი სოლიდური თანხაც დაუმატა და გული იმიტოლა დაიმშვიდა, რომ ბანკიტები საგულდაგულად გადაამალულ მის მთავარ განძეულს მაინც ვერაფრით მიაგნებდნენ. „ისე კი ძალიან სანყენია, ამხელა



რომანტიკა

თუ

დანაშაული?



სვეტა კვარაცხელია

წარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გავგიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-50

მარიკას ტოქსიკოზი გაუძლიერდა. ნიკა იძულებული გახდა, დროებით გაეთავისუფლებინა მდივანი სამსახურიდან და ათდღიანი შვებულება მიეცა. პრეზიდენტი კვლავ უმდივნოდ დარჩა. ამის გამო, თუ რამე დასჭირდებოდა, პირდაპირ უნევდა ჩემთან დაკავშირება, დამირეკავდა და თავისთან მიხმობდა ან ტელეფონშივე მიხსნიდა, რა, როდის, როგორ და სად გამეკეთებინა.

იმ საღამოს მომხდარზე კრინტს არ ძრავდა. უფრო მეტიც, არც კი იმჩნევდა, რომ გაბრაზებული იყო ჩემზე... ან ნაწყენი... ან გულგატეხილი. არც მე ვიმჩნევდი. ეს გარეგნულად, თორემ შიგნით, სულის სიღრმეში, ყველაფერი მიდუღდა. სუნთქვა რომ სუნთქვავა, ისიც არ მემორჩილებოდა, ისიც კი რიტმიდან იყო ამოვარდნილი.

ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. ჩვენი სიჩუმე უფრო და უფრო ჩუმი ხდებოდა. ერთმანეთს უსიტყვოდ ვუთმობდით პირველობას, რომელი გადადგამდა „საოცნებო“ ნაბიჯს შერიგებისკენ. თუმცა ორივე ჯიუტად ვიდექით ჩვენსაზე. ასეთი პირველობა არც ერთს არ გვინდოდა.

ამასობაში რამდენიმე დღე გავიდა. სევდიანი ვიჯექი ჩემს კაბინეტში და ჰოლანდიური გვირილის ყვავილს, რომელიც ნიკუშამ მომართვა წინა დღით, ფურცლებს ვანიწვნიდი, თან გულში ჩემთვის ვიმეორებდი: „შემირიგდება, არ შემირიგდება, შემირიგდება, არ შემირიგდება...“ სწორედ ამ დროს შიდა ტელეფონმა დარეკა. შეფი თავისთან მიხმობდა.

„სულერთიას“ მზერა ავიკარი და კაბინეტის კარი ნელა შევალე.

— შეიძლება?
— შეიძლება, — დახშული ხმით მიპასუხა.

უხმაურად გავიარე მანძილი და გრძელი მაგიდის გარშემო შემოწყობილი სკამებიდან მასთან ყველაზე ახლოს მდგომ ერთ-ერთ მალაზურგთან სკამზე დავჯექი. ერთხანს ხმა არ ამოულია, რაღაცას ჩაჰკირკიტებდა კომპიუტერში. მე გასუსული ველოდებოდი, როდის მოიცლიდა, თითქოს სულაც არ მალეღებდა ჩემდამი მისი გულგრილი დამოკიდებულება.

— მოგერგო? — მოულოდნელად მკითხა.

შეკითხვის არსი მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ დავიდა ჩემს გონებაში. გასაგები იყო, ფხვსაცმელზე მეკითხებოდა, მაგრამ მერე რომ ეთქვა, ეგ არ მიგულისხმიაო? არადა, რომ მეთქვა, რაზე მეკითხები-მეთქი, უარესი გამოვიდოდა. იფიქრებდა, რომ ვიპრანჭებოდი. ჩვენ ხომ ორივემ კარგად ვიცოდით, რაც იგულისხმებოდა მის შეკითხვაში.

— უკეთესად, ვიდრე ნამდვილ კონკრას, — გულწრფელობა ვარჩიე.

— ნამდვილს? — მოულოდნელად მოსწყდა კომპიუტერს, ნახევრად ჩემკენ მოტრიალდა და გამომცდელად მომაჩერდა. — შენ რა, ნამდვილი არ ხარ?

— არა, მე თვითმარქვია ვარ, — ღიმილი ვერ შევიკავე.

— ეგრეც ვიცოდით, — გააგრძელა ბოლო სიტყვა, თან ისეთი სე-

მოგესალმებით!

თქვენი ჟურნალის პატივისცემული და აქტიური მკითხველი ვარ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ქართული პროზის საგანძურის“ გამოცემა დაიწყო. ინტერესით ვკითხულობ ჟურნალში დაბეჭდილ თითქმის ყველა მასალას. მოხიბლული ვარ სვეტა კვარაცხელიას რომანებით. განსაკუთრებით დამაფიქრა რომანმა — „რომანტიკა თუ დანაშაული?!“ ავტორი გულისგულამდე სწვდება ადამიანის სულის სიღრმეებს, მის მიუწვდომელ კუნჭულებსაც კი. საოცარი სინაზით, სისათუთით, გამჭვირვალე სინმინდით ძერწავს თავის გმირებს. სურვილი მიჩნდება, გავიხანგრძლივო მისი ნაკითხვით მოგვრილი სიამოვნება, მაგრამ მოთმინების უნარი სადღაც მეკარგება და ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე დროის გასვლას, საჩუქარს დახარბებული პატარა ბავშვივით ველოდები. რომანის გმირების ცხოვრებას გაფაციცებით ვაღვწევთ თვალს — მტკივა მათი ტკივილი და მისარია მათი სიხარულიც. კარგები ხართ, იცით, როგორ მიხვიდეთ მკითხველის გულამდე! დიდი სურვილი მაქვს, „რომანტიკა თუ დანაშაული?!“ (ასევე კვარაცხელიას სხვა რომანებიც) მალე წიგნად გამოიცეს და საშუალება მომეცეს, მთლიანობაში ნაწიკითხო იგი. იმედს ვიტოვებ, მკითხველთა სურვილებს გაითვალისწინებთ!

პატივისცემით, ნელი ბაბუციძე.

* * *

პატივცემულო რედაქცია! ინტენსიურად ვკითხულობთ თქვენს ჟურნალს. განსაკუთრებულად დაგვაინტერესა სვეტა კვარაცხელიას რომანებმა — „ძლიერი სუსტი ქალი“ და „რომანტიკა თუ დანაშაული?!“ დიდი სურვილი გვაქვს, მალე ვიხილოთ ისინი წიგნად გამოცემული.

პატივისცემით, ლ. ნოზაძე, ი. ქესანაშვილი, თ. ნოზაძე.

* * *

მოგესალმებით, ქალბატონო სვეტა! ძალიან მომწონს თქვენი რომანი — „რომანტიკა თუ დანაშაული?!“ ძალიან მაინტერესებს, თუ არის შესაძლებელი, ნაწიკითხო ეს რომანი რომელიმე ინტერნეტსაიტზე ან ნიგნად თუ არის გამოცემული?..

პატივისცემით, ნატალია ვარდანიძე.

* * *

გამარჯობა! არ ვიცი ახლა, კონკრეტულად ვის ვწერ. საერთოდ, „ყვირელი პრესის“ მკითხველი არ ვარ, თუმცა გზას დღეს არსებული ჟურნალებიდან გამოვარჩევ ერთხელ შემთხვევით, მისი თვალწინების დროს, თვალში მომხვდა ერთი



რომანი... დავინტერესდი და წავიკითხე... მას შემდეგ, ყველა ნომერს ვყიდულობ... სიამოვნებით წავიკითხე სვეტა კვარაცხელიას რომანები. განსაკუთრებით კი ახალი — „რომანტიკა თუ დანაშაული?“ მომწონს... ვფიქრობ, რომ სვეტა კვარაცხელიას რომანები განსხვავებული სტილითაა დაწერილი, საინტერესო სიუჟეტებია, ახალგაზრდული და ვფიქრობ, კომერციულიც. ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველოდები, მხოლოდ იმიტომ, რომ რომანის გაგრძელება წავიკითხო... არ შეიძლება, ერთი გვერდით მეტი რომ დაბეჭდოთ? და კიდევ მაინტერესებს, წიგნად თუ გამოვა რომელიმე მათგანი?

დიდი მადლობა.

პატივისცემით, დიანა ქველაძე.

ბატონებო!

არასოდეს წამიკითხავს ყოველკვირეულ ჟურნალში დაბეჭდილი რომანები, რადგანაც ჩემში ყოველთვის ირონიას იწვევდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ძირითადად ტრანსპორტში, ჟურნალებში რომანების კითხვით გატაცებულნი ვხვდებოდი... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მეც დავინწყე სვეტა კვარაცხელიას — „რომანტიკა თუ დანაშაული?“ კითხვა და საოცრად ჩამითრია. ახლა მას ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველოდები, რომ ლოლას ახალ თავგადასავალს გავეცნო. თანამედროვე ცხოვრებისთვის დამახასიათებელი სიუჟეტია — გარკვეულწილად, ყველა ტიპური შემთხვევა გაანალიზებულია და ერთი გოგონას უფერული ცხოვრება საოცრად ღრმა შინაარსს ატარებს. ასე რომ, ამ რომანზე მსჯელობის სურვილი მაქვს და ელექტრონული წერილის მოწერის სურვილიც გამიჩნდა. დიდი მადლობა სვეტა კვარაცხელიას! ამ რომანმა ხუთშაბათი დღე ჩემს ცხოვრებაში საკმაოდ გაამრავალფეროვნა.

ეს რა თქმა უნდა, კარგია!

პატივისცემით, ნინო ჩუტკერაშვილი.

გამარჯობა!

მას მერე, რაც თქვენმა ჟურნალმა ამ რომანის გამოქვეყნება დაიწყო, აქტიურად ვკითხულობ „გზას“. ძალიან მომწონს და თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს: თუ შესაძლებელი იქნება, უკვე გამოქვეყნებული თავების ელექტრონული ვერსია გამომიგზავნოთ სოლემე. ძალიან მინდა, ისინი ფურცლებზე ამოვბეჭდო და წიგნად ავიცილო, რომ ჩემს ბიბლიოთეკას დარჩეს.

წინასწარ დიდი მადლობა! მოკლედ, ხუთშაბათი დღე იმით მიხარია, რომ ამ რომანს ჟურნალ „გზაში“ წავიკითხავ!

პატივისცემით, მარი ძულიაშვილი.

რიოზული სახე ჰქონდა, ხუმრობის არაფერი ეტყობოდა, — ქალებს ადვილად ვშიფრავ ხოლმე. შენც გაგშიფრე, სომ ხედავ.

— ყველა ქალის გაშიფვრა ასე ადვილად შეგიძლია? — მეც ავეყვი ირონიამი.

— ყველასი, ერთის გარდა. იმ ერთთან ძალიან მიჭირს, თუმცა მაინც ვახერხებ.

— ეს კარგია თუ ცუდი? — ცხოვრებაში პირველად დაუფსვი სხვას ეს შეკითხვა.

— სწორედ ამიტომ, ის მიყვარს და არა სხვა, — თითქოს საკუთარ თავს უთხრა, თითქოს არც გაუგია ჩემი შეკითხვა, სხვა ფიქრებით, სხვა აზრებით დამძიმებოდა შუბლი.

ჩემი უნებლიე შეკრთომა არც შეუმჩნევია, რადგან მე არ მიყურებდა, სადღაც შუა კედლისკენ, ირიბად გაურბოდა მხერა. ვინ იგულისხმა? ვინ არის ის ერთი, ასე რომ უყვარს?

მოულოდნელად შეირხა... ისე შეირხა, როგორც ღრმა ფიქრებიდან თუცრად გამორკვეული ადამიანი, ერთადერთი ერთმანეთში გადახლართა და ფხიზელი სახით შემომხედა.

— მაშ ასე, ლოლა, მოემზადე, შაბათ ღამეს მე და შენ მივფრინავთ.

იმდენად უცნაურად მომეჩვენა მისი სიტყვები, უცებ გადართვა გამიჭირდა. ჯერ ის ვერ გამეანალიზებინა, ვისზე თქვა ასე შეფიქრიანებულია, მიყვარსო და ახლა ახალი სენსაცია მომიზადა. დავიბნე.

— მივფრინავთ? — აი, ეს ნათქვამი კიდევ უფრო ძნელად დავიდა ჩემს „ტვინამდე“, ვერ მივხვდი, რატომ მივფრინავდით, სად მივფრინავდით, რითი და რისთვის...

— ჰო... საფრანგეთში, პარიზში. „ლუმიდარკთან“ მოგვიწვევს ხელშეკრულების დადება, ახალი ფირმაა, დამკვეთებს აგროვებს. კვირის დასაწყისში გველოდებიან. სავარაუდოდ, შაბათს გავემგზავრებით.

— კი, მაგრამ... მე რატომ არ ვიცოდი ეს? აქამდე რატომ არ მითხრეს?

— ვის უნდა ეთქვა? მოლაპარაკებებს მე ვანარმოებდი. ასე რომ, სანამ ყველაფერი არ გადაწყდა, არც არავისთვის მითქვამს. ახლა კი გეუბნები, თან პირველი ხარ, ვისაც ვუთხარი. აქაც პირველი ხარ, სომ ხედავ... იქიდან იტალიაში გადავალთ, „მორანდის“ წარმომადგენელსაც უნდა შევხვდე, — მრავალმნიშვნელოვნად დაამატა.

საშინელი იმედგაცრუება დამეუფლა. სულ ტყუილად მეგონა თურმე, რომ იტალიისკენ გზას მე გავეკვალა-

ვდი. ნუთუ დავმარცხდი? გული თავგანწირულად აკვილდა. მივხვდი, რომ ბოლო შანსიც დავკარგე. ის ძაფის ბოლოც დამისხლტა ხელიდან, რომელსაც ხავსივით ვებლაუჭებოდი.

წარამარა მეცვლებოდა სახეზე ფერი. ამას ვერ ვხედავდი, მაგრამ ტემპერატურის ცვლილების მიხედვით, ვგრძნობდი — ხან წამომენტებოდა ლანვები, ხან გამიგრილდებოდა, ხან გამიხურდებოდა, ხანაც გამიფითრდებოდა... ერთი სიტყვით, დამარცხების გემო ვინწვნიე.

— კარგია, როცა პირველი ხარ, არა? — დამცინავად გამომხედა.

— გააჩნია, რა შემთხვევაში, — გულგრილი სახის მიღება ვცაადე.

— ვფიქრობ, ყველა შემთხვევაში კარგია. არ მეთანხმები?

— არა! — ჯიქურ გავესწორე მხერა, მაგრამ დიდხანს ვერ შევძელი, თვალები გამომიშრა და იძულებული გახვდი, წამწამები დამეხმხამებინა.

— როგორც გინდა. ალბათ შენ უკეთ იცი, რასაც ამბობ. ერთი სიტყვით, შაბათს გადავფრინდებით. საზღვარგარეთის პასპორტი გაქვს?

— რა თქმა უნდა, — ისეთი ტონით მივუგე, ვაგრძნობინე, ეგ როგორ მაკადრე, ქალი მილიონჯერ ვარ იტალიაში ნამყოფი-მეთქი.

— ჰო, თუმცა, სისულელე გკითხე, შენ ხომ „დონა იტალიანო“ ხარ...

— ჩემი წამოსვლა აუცილებელია? — ოღონდ უარი ეთქვა, ოღონდ ეს გამგზავრება თავიდან ამეცილებინა და ყველაფერზე თანახმა ვიყავი.

იმწუთას მისგან არაფერი მინდოდა. მეჯავრებოდა... არა, მეზიზღებოდა... არა, მძულდა... გულს მირევდა...

— აუცილებელია. რომ დამთანხმებოდი და ჩემთვის იტალიური გესწავლებინა, აცდებოდა ეს მისია, მაგრამ არ მონდომე... თუ არ ისურვე. თარჯიმანი მჭირდება, შენზე უკეთესს კი სად ვიშოვი?

„მარტო ამისთვის გჭირდები, არა?“

— რომ დაგთანხმებოდი, ორ დღეში რა უნდა მესწავლებინა? ამასთან, საფრანგეთში მაინც ვერ გამოგადგები. ფრანგული არ ვიცი, — ხმა ჩამწყდომოდა.

— გეცე მართალია... მაგრამ არა უშავს. ფრანგული მე ვიცი, სამაგიეროდ... იტალიაში კი დამჭირდები. რა, არ გიხარია? შენიანებს მოინახულე, ამის დროც დავგრჩება. ერთი კვირით მივდივართ, ეს კი არც ისე ცოტაა: ორი დღე პარიზში, სამი იტალიაში, ორიც გზაში.

— ესე იგი, შაბათს თუ გავემგზავრებით, პარასკევს ჩამოვალთ?

— რატომ მეკითხები? პარასკევს



მორიგი ცოლიანი მამაკაცი გელოდება აქ? პაემანი გაქვს?

— პარასკევს არა, მორიგი ცოლიანი მამაკაცი შაბათისთვის შემოვინახე, — დაბოლმილმა ვუპასუხე, — მაგრამ იქამდე თავის მონესრიგება ხომ დამჭირდება ნამგზავრს, — მთელი სარკაზმი ჩავაქსოვე ნათქვამში და ტანი ძლივს ავითრიე, ადგომა რომ დავაპირე, — კიდევ არის რამე თუ დღეისთვის სულ ესაა?

— დღეისთვის სულ ესაა. ხვალ პასპორტი მიიტანე კადრებში, შორენას ჩააბარე და დანარჩენს ის მოუვლის. შენ კი მოემზადე. ვიცი, ძალიანაც არ გსიამოვნებს ჩემ გვერდით ამხელა გზის გავლა, მაგრამ ამჯერად საქმე ბიზნესს ეხება და არა... — აქ წამიერად შეყოვნდა, თითქოს საჭირო სიტყვას ეძებსო. — პირად ურთიერთობებს.

„გინდოდა, გეტქვა, სიყვარულსო და ვერ გაბედე, არა? მხდალო, მშიშარაჯ!“

— გასაგებია. წავედი, — მოვალეობის მოხდის მიზნით გამოვისახე ღიმილი ტუჩებზე და სკამის საზურგეებზე ხელის შეხებით მიიმედა გავემართე კარისკენ, რომ ფეხი არ შემშლოდა.

შორენამ კვირის ბოლომდე ყველაფერი მოაგვარა. ბილეთები უკვე მზად იყო, ბარგის ჩალაგების მეტი აღარაფერი დამრჩენოდა.

ვიცოდი, პარიზში რომ სუსხიანი ამინდები დამხვდებოდა, ამიტომ თბილი ტანსაცმელი ბლომად გადავარჩიე. არც საღამოს კაბები და საქმიანი კოსტიუმი დამვიწყებია. სამგზავროდ, პალტოს შიგნით ზურმუხტისფერი პიჯაკი ჩავიცვი. ეს ფერი ყველაზე „ხელსაყრელი“ იყო ჩემთვის — საოცრად ესადაგებოდა ჩემი თვალების ფერს და მკვეთრად უსვამდა ხაზს მის კონტურებს. ნიკას ისე დავემშვიდობე ნინადღეს, არც უკითხავს, აეროპორტამდე რითი მოდიხარო. დამპალი! ამგვარად ცდილობს, ჩემზე შურისძიებას? კაციც ეგეთი უნდა!

ტაქსით წავედი, რადგან მანქანის იქაურ ავტოსადგომზე დაყენების და ოფიციალური „რიტუალების“ ჩატარების თავი არ მქონდა. ბოლოს და ბოლოს, ზედმეტი 2 ლარი დამეხარჯა, მეტი ხომ არა?

ნიკა უკვე იქ დამხვდა.

— ლო! — დამიძახა და ახლოს მივედი თუ არა, ხელი ღონივრად ჩამომართვა, — როგორ ხარ? ყველაფერი რიგზეა?

მისი ხმით ნათქვამი „ლო“ ჟრუანტელს მგვრიდა. არ ვიცი, მომეჩვენა, თუ მართლა ასე იყო, მაგრამ თითქოს

შეაყოვნა ჩემი თითები თავის ხელისგულში... შეიძლება, ოდნავ მომიჭირა კიდევც... იქნებ მინდოდა ასე ყოფილიყო და იმიტომ მეჩვენებოდა?

პასუხი ვერ გავეცი...

„ღმერთო, რა იმპოზანტურია! ყველაზე ლამაზი მამაკაცია, ვინც კი ოდესმე მინახავს! განა ამის ხელიდან გაშვება შეიძლებოდა?!“

მოულოდნელად ვიგრძენი, რომ საცაა, გული წამივიდოდა, რადგან ეს უკანასკნელი ორჯერ სწრაფად ძგერდა, ვიდრე საჭირო იყო.

— შენ რა, სიმაღლის ხომ არ გეშინია? რალაც ფერი წაგივიდა... ცუდად ხარ? — მხარზე შემეხო.

— არა, არაფერი... უბრალოდ, თავბრუ დამეხვია. არა უშვავს, გამივლის... აი, გამიარა უკვე, — ნაძალადევადა გაუღიმიე და მზერა ავარდიე.

თვითმფრინავი დაეშვა თუ არა აეროპორტში, მაშინვე სასტუმროს მივამოხრეთ, თუმცა იქ დიდხანს არ დავრჩენილვართ. ბარგი დავბინავთ მხოლოდ. ჩემი ნომერი ძალიან დიდი და ნათელი აღმოჩნდა. როცა ვესტიბილში დათქმულ დროს ნიკასთან შესახვედრად ჩავედი, გამიკვირდა, ისე უბრალოდ იყო ჩაცმული, საქმიანი შეხვედრისთვის გამზადებულს არ ჰგავდა. მე კი...

— ასე აპირებ წამოსვლას? — ღიმილი ვერ შეიკავა.

— მაგრამ სად მივდივართ? მეგონა, საქმიანი შეხვედრა გველოდა.


— დღეს კვირაა, რა საქმიანი შეხვედრა. უბრალოდ, დავათვალიეროთ პარიზი. საქმეები ხვალ, დილიდან. ადი, გამოიცვალე.

უხალისოდ ავბრუნდი ნომერში. ნერვებს მიშლიდა ეს გასეირნება. დაბოლმილი ვიყავი, ცალ-ცალკე ნომერი რომ აელო. თუმცა, რატომ მქონდა იმის იმედი, რომ ღამეს ერთ ნომერში გავათევდით, არ ვიცი. მან ხომ, ფაქტობრივად, ჩემთან სასიყვარულო ურთიერთობა განწყვიტა?

სამი საათი ვიარეთ. ეიფელზეც ამიყვანა, ლუვრის სასახლაც დამათვალიერებინა, კიდევ ბევრი სხვაც, მაგრამ ხასიათი მაინც ვერ გამომიკეთდა. სხვა დროს ალბათ სიხარულისგან ფრთები შემესხებოდა, ახლა კი არაფერი მიხაროდა. ისე

ვიყავი მოდუნებული და ისე ურეაქციოდ ვათვალიერებდი ყველაფერს, ლამის გავაგოე.

— რა გჭირს? რალაც განუხებს და არ მეუბნები. მითხარი, რატომ ხარ ასეთი სევდიანი, — ვინ იცის,



მერამდენედ მიმეორებდა მსგავს ფრაზებს.

მე კი თავს ვაქნევდი, დავილაღმეთქი, ვიმიზეზებდი. არადა, კრიჭა მქონდა შეკრული, იმდენად განვიცდიდი მის გულგრილ დამოკიდებულებას. საქმელიც კი ისე უგემურად ვჭამე, გემო ვერ გავუგე ვერც სალათას და ვერც ხორციან კერძს, რომლის სახელიც ვერა და ვერ დავიმახსოვრე.

ბოლოს ყველაფერმა ერთად დამალა — ცალკე მგზავრობამ, ცალკე გასეირნებამ, ცალკე ნერვიულობამ და ვთხოვე, სასტუმროში დავბრუნდეთ-მეთქი. მაშინვე დამთანხმდა. უსიტყვოდ დავბრუნდით უკან. ვუთხარი, ვახშამზე არ დამელოდო-მეთქი და ცივად დავემშვიდობე.

შევედი თუ არა ნომერში, წყალი გადავივლი და ეგრევე საწოლში შევწექი. აბრეშუმის თეთრეულმა სასიამოვნოდ მომთენთა და მივდე თუ არა თავი ბალიშზე, მგონი, მაშინვე ჩამეძინა.

დილით ჟანმა, რომელიც აეროპორტში დაგვხვდა, კვლავ გამოგვიარა და „ლუმიდარკის“ ოფისში



ნაგვიყვანა, კომპანიის პრეზიდენტთან შესასხვედრად...

და დაიწყო მუშაობა, მუშაობა და მუშაობა. შემდეგ იყო შესვენება და ლანჩი. მათი საუბრიდან არაფერი მესმოდა, მაგრამ ვხვდებოდი, ნიკა საქმიან წინადადებებს რომ სთავაზობდა მიშელ ტოსტივინტს. უცნაური გვარის მამაკაცი იყო, ძლივს დავიმახსოვრე, სამაგიეროდ, აღმოსავლური იერი ჰქონდა და ძალიან სიმპათიურად გამოიყურებოდა. დაახლოებით 30 წლის იქნებოდა. მე მათ პირდაპირ ვიჯექი, ტოსტივინტის პირადი ასისტენტის გვერდით.

საქმიანმა მოლაპარაკებამ ალბათ 3 საათი მაინც გასტანა. იქიდან კვლავ სასტუმროში დაბრუნდით. საღამოს მიშელმა ვახშამზე დაგვპატიჟა და ამიტომ ცოტა უნდა დაგვეყვანა. ნიკა შემპირდა, 5 საათისთვის გამოგივლი და მზად დამხვდით. დიდად არ მომიკლავს თავი, გაპრანჭვის არც სურვილი მქონდა და არც — თავი. ერთადერთი ის იყო, რომ ლამაზად ჩავიცვი. არ მინდოდა, ფრანგებს ცუდი შთაბეჭდილება დარჩენოდათ საქართველოზე, უგემოვნო ქალები ჰყოლიათო.

ნიკა უფრო ადრე მოვიდა, ვიდრე ველოდი. ფრთხილად დააკაკუნა კარზე, როგორც სჩვეოდა ხოლმე, ძლივს გასაგონად. უხალისოდ გავუღე და არ დაველოდე, როდის შემოვიდოდა, გამოვბრუნდი და ჩემი საქმე გავაგრძელე, მაკიაჟს ვიკეთებდი.

ერთი რამით გვეჯობიან ევროპელები, — მოულოდნელად ალაპარაკადა ნიკა, სავარძელში ჩაჯდა და ჟურნალების მაგიდაზე დადებული „ვოგის“ თვალთვლივს შეუდგა, — აქაური ქალები ბევრად განსხვავდებიან ქართველი ქალებისგან.

— რითი? — ცალკებად დავინტერესდი და ირიბად გავხედე, თან, სახის კანს მკვებავით ვინოტივებდი, რათა მერე „რუმიანა“ კარგად დამტოვოდა.

— იმით, რომ ფულიან კაცებზე არ არიან დაგეშილები. რა თქმა უნდა, გამონაკლისები აქაც არიან, მაგრამ იშვიათი გამონაკლისები. ამ სამყაროში ყველა ქალი როდია ქონებაზე მონადირე ცივისსხლიანი არსება. საქართველოში კი, თითქმის ყველა ქალს ერთი საერთო აქვს — როგორც კი ცნობილი ფულიანი მამაკაცის პირისპირ აღმოჩნდება,

ეგრევე ერთი რამ ესატება სახეზე — სიხარბე და გაუმაძღრობა... ზეპირად ვიცი, როგორ იცვლებიან ისინი ამის შემდეგ, მანერებიც კი ეცვლებათ, საუბრის ტონიც კი. ამ დროს



ისინი შენი გულისთვის ყველაფრისთვის მზად არიან.

— მე რატომ მეუბნები მაგას, ნიკა? არ მითხრა, რომ მეც ეგეთი გამომეტყველება მქონდა, როცა შენი „მდიდარკაცობის“ ამბავი გავიგე, — გაღიზიანებულმა „რუმიანას“ ღრუბული ისეთი ძალით გავისვი ყვრიმალზე, კანი გამეხეხა.

— შენზე არ ვლაპარაკობ. წელან შემხვდა ორი ქართველი „მან-დილო-სანი“, რომლებიც ჩემს ძმაცვებს ჰყოლიათ აქ წამოყვანილი „საგულაოდ“. რომ გამაცნეს ეს „ნაშორკები“, გამეცინა. დამშოკა მათი სახეების უცარმა ცვლილებამ. ერთი გადაბრუნებული მხერა რომ მესროლა რომელიმესთვის, ორ წამში დაუტყდებოდნენ ლექსოს და გიოს და მე გამომეკიდებოდნენ. ჰმ...

— რას იზამ. დედაპინა მამაკაცებს ეკუთვნით, განსაკუთრებით მდიდრებს და ლამაზებს. მათ ყველაფერი აქვთ, რასაც მოისურვებენ, თითქმის ყველაფრის ყიდვა შეუძლიათ. ამასთან, ერთი დღეც არ შეუძლიათ ქალების გარეშე ცხოვრება. და თუ საშუალებაც უწყობთ ხელს, ქალთა სამყაროც მრავალფეროვანი ხდება მათთვის. თითქოს ჩქარობენ, რომ ყველანაირი ქალი გასინჯონ, ასაკით, კანის ფერით, სიმაღლე-სიდაბლით განსხვავებულები, გამხდრებიც და ჩაუტყუნებულებიც... ამასთან, მოსწონთ, როცა ახალგაცნობილ ქალებს ეროტიკულ გაკვეთილებს უტარებენ, გამოცდილებას უზიარებენ, რალაც ახალს ასწავლიან. ასეთი როლი კი სწორედ იმ მამაკაცებს მოსწონთ, ვისაც სექსი უყვარს. შენც ხომ გიყ-

ვარს სექსი? განსაკუთრებით ასაკოვან ქალებთან... ჰოდა, რა გასაკვირია? მე რომ კაცი ვყოფილიყავი, იმავეს ვიზამდი, — მივყარე და მივყარე მწარე-მწარე.

— და ქალი რომ ხარ, იმავეს აკეთებ, რასაც სხვები?

— ქალი რომ ვარ, იმიტომაც არ მინდა, დავემსგავსო სხვა ქალებს.

— მაგრამ პრობლემა ის არის, რომ შენც გიყვარს სექსი, — ჩამირტყა.

— ამის დასამტკიცებლად მოხვედი ნახევარი საათით ადრე? — ავდექი და გარდერობი გამოვალე, რათა პალტო ჩამომეხსნა.

— არა. უბრალოდ, ისე ამირია გული იმ ქალების მანერებმა, მინდოდა, ვილაცასთან დავცლილიყავი. ამიტომ გაგანდვე შენ... ნავედით?

— ნავედით, მე მზად ვარ...

„სექსისთვისაც, სხვათა შორის, ოლონდ მოისურვე“.

ხასიათი მხოლოდ მაშინ გამოიკეთდა, იტალიაში რომ ამოყვავი თავი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ირგვლივ იტალიური ლაპარაკი რომ მესმოდა, ასე მეგონა, ქართული ჩამესმოდა ყურში. გენები მაინც თავისას შვრებოდა. სასტუმროზე უარი ვუთხარი, ჩემებთან ნავიდეთ-მეთქი. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მაინც დავითანხმე. ხარჯებში სასტუმროც გატარებული მაქვსო, იჯუჯღუნა. მაგ საქმეს ბაბუა მოგიგვარებს-მეთქი, შევპირდი.

ჩემები ლამის გაგიჟდნენ, როცა დამინახეს. ბებია ატირდა, ბაბუამ ღიმილი ულვაშებში ჩამალა, რათა გულაჩუყება ამით დაემალა.

ნიკა რომ გავაცანი, ცნობისმოყვარე ჩრდილმა გადაუარა მოხუცებს სახეზე.

— ეს ის არის, ვისაც მე ვფიქრობ? საქმროა შენი? — იტალიურად გადმომილაპარაკა ბაბუამ და კითხვით სავსე მზერა მესროლა.

— არა, ნონო, ჩემი უფროსია, ჩვენი ფირმის პრეზიდენტი, — ვიუარე, მაგრამ თვალი მაინც ვერ გავუსწორე.

— დედაშენივით არ გეხერხება ტყუილი, — თითი დამიქნია და ორივეს შინ შეგვიძღვა.

რალა ბერი გავაგრძელო და, დაუწინყარი დღეები გავატარეთ რომში.



ბაბუას ისე მოეწონა ნიკა, ერთ დღეში ორ ფირმასთან გააფორმებინა ხელშეკრულებები. მერე ტურისტული მოგზაურობაც მოგვიწყო და დავდიოდით და დავდიოდით. რისი ნახვაც მოვასწარით, ყველაფერი ვნახეთ და დავათვალიერეთ. ერთი იყო მხოლოდ, ნიკას არც ერთხელ, ნასვამსაც კი, „კომკავშირული დისტანცია“ არ დაურღვევია, არც ფლირტი ნამოუწყია და არც ქათინაური გაუმეტებია ჩემთვის. თბილი სიტყვებიც კი სანატრელი გამიხდა.

უკან დაბრუნების დღეც დადგა. ველარ ველეოდი დედაჩემის მშობლებს. როგორ მომნატრებოდა აქაურობა. აქ სულ სხვა გარემო იყო, სხვა ჰაერით იყო ატმოსფერო გაჟღენთილი. თითქოს არავინ არავის მტრობდა, არავინ არავის ხლართავდა ინტრიგების ქსელში, ყველას ყველა უყვარდა... ძალიან რომანტიკული გარემო იყო, თუმცა ნიკამ არ ისურვა ამ რომანტიკაში ჩემთან ერთად მონაწილეობა.

— შენს ქორწილზე აუცილებლად ჩამოვალთ, — თვალცრემლიანმა ბებიამ სლუკუნით მიჩურჩულა ყურში და ხარბად ჩამოცნა, — არაჩვეულებრივი ადამიანია, გაუფრთხილდი მას.

— რას ამბობ, გაგიჟდი? ჩვენ ერთმანეთთან მხოლოდ საქმე გვაკავშირებს, — დაბნეულმა მივუგე, მაგრამ ვიგრძენი, რომ გავნითლდი.

— მართალია ბაბუაშენი, დედაშენივით საერთოდ არ შეგიძლია ტყუილის თქმა, — სიცილით მითხრა ბებინამ და კიდევ ერთხელ ჩამიკრა გულში.

თვითმფრინავში ნიკამ გადაიკითხა ჩანაწერები, რომელიც მე გავამზადე საქმიანი შეხვედრებისას. თან მეკითხებოდა, ეს სიტყვა იტალიურად როგორ იქნება. მეც ვუთარგმნიდი და ღიმილს ვერ ვიკავებდი მისი შემხედვარე, პატარა ბავშვივით იქცეოდა. არადა, ძველებურად ხაზგასმით გულგრილად მექცეოდა. ამიტომაც მე, როგორც არასდროს, მიხაროდა, რომ ჩამოფრენისთანავე წინ გამოსასვლელი დღეები — შაბათ-კვირა მელოდა და მის ამჟამებულ სიფათს ცოტა ხანს მაინც ვერ ვნახავდი. არადა, უამრავი ფული დახარჯა, იტალიაშიც და საფრანგეთშიც. ყველაფერი მანახვა, რისი მოსწრებაც შეიძლებოდა, რითაც ალბათ სხვა ქალები ამჟამად მოინონებდნენ თავს. თუმცა, არც ჩემებს დაუკლიათ მისთვის პატივისცემა. ის კი არა, ბაბუა და ნიკა დამეგობრდნენ კიდევ.

— სახლამდე რითი უნდა მიხვიდე? დაგხვდება ვინმე? — მკითხა, როცა აეროპორტის შენობიდან გამოვედი.

თბილისის ცივი ჰაერი სასიამოვნოდ მილიტინებდა ნესტოებში.

„მაინც „ჰოს“ გიპასუხებ, სულ რომ ფეხით მომიწიოს ამ გზის გავლამ“.

— ჰო, დიდი მადლობა.

— მადლობა შენ, ასე რომ დამეხმარე.

ვიგრძენი, როგორ გამომეცალა მინა ფეხქვეშ და მაქსიმალურად შევეცადე, თავი ხელში ამეყვანა, რათა წონასწორობა არ დამეკარგა.


— ფულს ამაში მიხდიან, — მწარედ ამოვთქვი და თავი დავუქნიე, მერე პალტოს საყელო ავინიე და სწრაფი ნაბიჯებით გავერიდე.

ვიცოდი, თვალს რომ მაყოლებდა, მაგრამ ამჯერად ფეხი არ შემშლია. ერთადერთი, რაც ხელს მიშლიდა, ცრემლები იყო, ლაპალუპით რომ დამედინა ლანჯებზე და თვალები დამიბინდა.

ირგვლივ ალბათ უამრავი ადამიანი ივლიდა... უბრალოდ, მე ვერავის ვხედავდი, რადგან კვლავ მართო დავრჩი... მე ყველა მამჩნევდა, მე კი — ვერავის...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

43 ქართული პროზის საგანძური



ტომი №43
შალვა დადიანი

შალვა დადიანი
შვედური რუსი

43

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

<p>ოთხარ შილაკი (ნაწილი I)</p>  <p>44 ნაწილი I</p>	<p>ოთხარ შილაკი (ნაწილი II)</p>  <p>45 ნაწილი II</p>	<p>ოთხარ შილაკი (ნაწილი III)</p>  <p>46 ნაწილი III</p>
---	--	---

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

- | | |
|---|--|
| <p>№1 ბურაბ ღონანაშვილი</p> <p>№2 მიხეილ ჯაპანიშვილი</p> <p>№3 ნოღარ ღუშაბაძე</p> <p>№4 ილია შავშავაძე</p> <p>№5 ბურაბ რჩეულიშვილი</p> <p>№6 ვაჟა-ფშაველა</p> <p>№7 რაზო შიშვილი</p> <p>№8 აპაკი ნეაბთელი</p> <p>№9 ბურაბ ბაბაშვილი</p> <p>№10 ღავით კლდიაშვილი</p> <p>№11 ოტია იოსელიანი</p> <p>№12 ბრიგოლ აბაშიძე (წიგნი-I)</p> <p>№13 ბრიგოლ აბაშიძე (წიგნი-II)</p> <p>№14 არჩილ სულაკაური</p> <p>№15 ნიკო ლორთქიფანიძე</p> <p>№16 გოფარძი ჩოხელი</p> <p>№17 ლევან გომთა</p> <p>№18 პაპ შორილაძე</p> <p>№19 ვასილ ბარნოვი</p> <p>№20 თამაზ ზიგინაური</p> <p>№21 რვაზო ინანიშვილი</p> | <p>№22 ნიკო ლომოური</p> <p>№23 ბურაბ ფანავიძე</p> <p>№24 კონსტანტინე ბაგსახურდია (პარი-I)</p> <p>№25 კონსტანტინე ბაგსახურდია (პარი-II)</p> <p>№26 კონსტანტინე ბაგსახურდია (პარი-III)</p> <p>№27 ეფიშიმ შიფინი</p> <p>№28 ლავრენტი არაღანიანი</p> <p>№29 შარაბ ელიოზიშვილი</p> <p>№30 ალექსანდრე ვაჟაბაძე</p> <p>№31 ნუზარ შატაძე</p> <p>№32 უიარალო (კონფრატა თათარიშვილი)</p> <p>№33 დენა შიგინაური</p> <p>№34 იაკობ გომბაშვილი</p> <p>№35 კოტე ჯანდიაი</p> <p>№36 ლევან სანიძე (წიგნი-I)</p> <p>№37 ლევან სანიძე (წიგნი-II)</p> <p>№38 თამაზ შილაკი</p> <p>№39 ლეო თარაი</p> <p>№40 ვაჟა ზიგინაური</p> |
|---|--|

წიგნის ფასი **3** ლარი!
23-დან - 30 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ **გზა** და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**გზა.ჯი**“ გვ. 38 26 73; 38 26 74

გზის გზნიღლები

სოფლა გამხელილი სჯობს

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა! მოგესალმებით ყველას ერთად და თითოეულს, ცალ-ცალკე- აცვიდა, არა? ალბათ სწორედ ამის ბრალია, რომ გახურებულ „ფერთან“ მიმსდარხ-ართ და ზრცულ ამბებს მიმესიჯებთ. არა, სასაყვე-

დურო კი არაფერია, ამბები კარგია და საინტერესო, მაგრამ სამწუხაროდ, ყველას ვერ ვტივ- ჰოდა, ვინც კარგი ამბავი გამოგზავნა და ამ ნომერში ვერ დაგვბეჭდვ, იცოდეთ, რომ არსად დაიკარგება და თანდათანობით აუცილებლად დაგვბეჭდავ. ახლა კი თქვენი მესიჯები და საკმაოდ საინტერესო ამბები.

არასწორი პაროლი

დაუფინყარია ჰაერში გაფანტული ის სუნი და სურნელი... ჩაისუნ-თქავდი და ამოსუნთქვა აღარ გინ-დოდა. უფრო სწორად, შინაგანი შფოთვა გეუფლებოდა, რომ შენი ცხოვრებიდან ეს მიწიერი სამოთხე არ გამქრალიყო... სამურზაყანოშივე შემოგეპარებოდა სულში აღტაცე-ბა, გულრიფშამდე გაფაციცებული ჭვრეტდი შემოგარენს, მერე უცებ დასავლეთიდან, საამო ზღვაური მოგელამუნებოდა და უკვე კელა-სურში შესულს, ყვითელი ქვიშნარი-დან ზღვასთან მიგებებულს, ნეტარე-ბა გიპყრობდა და ბიჭვინთამდე მიგყვებოდა. იქ უკვე ახალ სამ-ყაროში, შემოქმედის სიდიადესა და ბუნების ძალას ხელახლა ინვენედი შენს თავზე. სოხუმსა და ოჩამჩირ-ეში ზღვა გავეშებული, დუჟმორეუ-ლი რომ აწყდებოდა ქვის ჯები-რებს, აქ, ამ ღვთივობძებულ ბუნე-ბის უბეში მორჩილად მოლივლივე, დანდობილად ეალერსებოდა ბიჭვინ-თის ნაპირებს... მაგრამ, ეს იყო უნინ...

ახლა კი ის სურნელი დენტის, ომისა და სიკვდილის სუნით გა-ჯერებულიყო. ომარი გულდან-ყვეტილი დასეირნობდა დაბა მერხ-ეულის მიდამოებში. წყაროსთან მივიდა, ცივ წყალს დაენაფა და იქვე ქვაზე ჩამოჯდა. გულბოროტი კაცი არ იყო, მაგრამ ჯუჯღუნნი და ყვირილი თითქმის სულ უნევედა. თანამშრომლები შიშითა და რიდ-ნით ეკიდებოდნენ, თუმცა ხანდახან

პატარა, უბოროტო ხუმრობებსაც არ თაკილობდნენ, თან ომარის გულუბრყვილობასა და დაბნეულო-ბას თავის სასარგებლოდ იყენებ-დნენ. ახლაც, მის მახლობლად, ომისთვის დამახასიათებელ, ავ სი-ჩუმესა და მორიგი შეტაკების მოლოდინში ბიჭები კროსვორდს ავსებდნენ. ერთობოდნენ, რომ არ ეფიქრათ დანარჩენ საქართველოზე, სადაც ცხოვრება ჩვეულებრივ მიედინებოდა... ისე, ტრადიციად იქცა — ქვეყანას ერთგან ზვარ-აკად ეწირებთან, ხოლო მათივე მოდგმა სხვაგან კონცერტებზე ირ-თობს თავს. ამოსაცნობი სიტყვა იყო „სამხრეთამერიკული ხარი“. ბიჭებ-მა ომარს მოჰკრეს თვალი და მის გასაგონად ერთხმად შესძახეს:

— ოოო, ამას მარტო ძალიან ჭკვიანი თუ გამოიცნობს, — თან ომარისკენ გააპარეს თვალი. — ალექსანდროვიჩ, რაღაც ხარო, გვე-კითხებიან და...

ომარს თავი არ აუნეგია, ისე გასძახა:

— ვაიი, რა იცით თქვენ ხარ-ძროხა... მოზვერი ნახეთ, აბა, მოზ-ვერი.

ბიჭების ჩაფხუკუნება არ გაუგო-ნია.

— არ ჯდება, ბატონო ომარ, ოთხი ასოა.

ომარმა თითები მოიმარჯვა:

— კა-მე-ჩი... არა... უ-შო-ბე-ლი... არა... მოზვერი ვთქვით... ჰოო, ჩლიქოსანიო, არა? მაშინ თხა ნახ-



ეთ, თხა...

ბიჭების ხორხოცი სადღაც გამ-სკდარმა ჭურვმა დაფარა.

— ბატონო ომარ, რძის პროდუ-ქტი.

— „სმეტანა“, — უპასუხა აზ-არტში შესულმა.

— არა, ქართულად და ექვსი ასო, — შეასენა ყველაზე აქტი-ურმა, მესასხელად პეპომ.

— მაშინ ა-რა-ჟა-ნი... ვაჰ, შეიდე-ია... კეფირი ნახე, კეფირი! — ბი-ჭები ნელ-ნელა დგებოდნენ, რომ თავიანთი სიცილით ომარი არ გაენწყენებინათ.

— არა, ალექსანდროვიჩ, ქართუ-ლად და სიტყვაში „ო“ ურევია.

— ხაჭო ნახეთ, თქვე ცალტვინე-ბო, ხაჭო...

თავს უკვე აღარავინ იკავებდა

და დაუფარავად ხარხარებდნენ. ომარი მიძიმედ წამოდგა და დანაყოფის თავმოყრა ბრძანა.

— ხედავთ, რომ უთანასწორო ბრძოლები მიმდინარეობს... ჩვენი ამოცანაა, ხელმძღვანელობის ბრძანებებისა და საომარი ვითარების შესაბამისად მოქმედება. დღეს ღამის 10 საათიდან პაროლი იქნება... პაროლი იქნება... — ირგვლივ თვალი მიმოავლო და მიგდებულ „ფორდ-სკორპიო“ დალანდა. — პაროლი იქნება „სკორპიონი“. გადაეცით ცენტრს და გამოიჩინეთ მაქსიმალური სიფრთხილე. ჩვენი დისლოკაციის ადგილი სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანია, წინასწარ გეუბნებით და კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, რომ რუსი ვერაგია და შესაძლოა, უნიკალურად შენიღბული აგენტები, მსტოვრები და მზვერავები შემოგვიგზავნონ. არავის ენდოთ! უპაროლოდ ჩიტიც ნუ შემოფრინდება...

ოფიცრები საგუშაგოებზე გაანანილა და თვითონ სახელდახელოდ მოწყობილ კარავში გაუხდელად მიწვა, ცოტა თვალს მოვატყუებო. შუალაშე კარგა ხნის გადასული იყო, როცა საგუშაგოების შემოვლა დაიწყო. შეძლებისდაგვარად სრულდებოდა ხელმძღვანელთა განკარგულებები და ცოტაოდენ დამშვიდებულნი მოტრილდა შტაბისკენ. გზად კიდევ ერთი საგუშაგოს შემოწმება უწევდა. ფიქრებში გართულს გამა-

ფრთხილებელი შეძახილი შემოესმა:

— „სტოი, კტო იდიოტ!“
უმალ გამოერკვა და ხმის მიმართულებით დაბნეულად უპასუხა:
— მე ვარ, კაცო!
— პაროლი!
— მოიცა, კაცო, ერთი... რომელი ხარ მანდ, შენ?
— პაროლი! — გამაფრთხილებელ შეძახილს ავტომატის გადატენის ხმა მოჰყვა.
— მოიცა, „ფორდი“ კი არა... „მუსტანგი“? არა... „ფოოორდ-სიერა“? არა...
— პაროლი, თორემ დაგადულე ადგილზე! — კიდევ ერთხელ გაჩხაკუნდა იარაღი.
— „ფორდი“ რა შუაშია, ისე ვთქვი... პაროლია ტარაკანა! ბიჭო, ვერ მიცანი? ომარი ვარ, შე კაცო...
— პასუხი არასწორია! ხელები თავზე შემოინწყვეთ და მუხლებზე, მაღეეეე!
— ობობა, ბიჭო, ღმერთი არ გაგინყრეს...
— პაროლი! კიდევ ერთ შანსს გაძლევ...
— წურბელა, ხოჭო, ხოჭო... ბიჭო, რომელი ხარ? პეპო, შენ ხარ, გიცანი... „კაპეზევი“ ამოგალპობ!
— პაროლი არ არის სწორი! ზუსტად დღეს ჩაგვიტარა ინსტრუქტაჟი და გაგვაფრთხილა ჩვენმა დიდებულმა უფროსმა, შეიძლება

შენიღბული აგენტურა შემოპარვას ლამობდესო... ოჰ, როგორ ამიხდა მისი დარიგება... ომის კანონების შესაბამისად ვიღებ გადაწყვეტილებას აგენტის ადგილზე ლიკვიდაციის შესახებ!

— ოჰ, პეპო... ამას არ გააბატიებ, შე ჩათლახო... გამოეთრიე და მიპატაკე, როგორც წესი და რიგია! „სკორპიონს“ კი ვიპოვი სადმე და კისერზე დაგასვამ...

— ოჰ, ალექსანდროვიჩ, ღმერთო მომკალი, როგორ მოხდა, რომ იმნუთასვე ვერ გიცანი? მაგრამ დაზაფრული ვიყავი, თქვენი ინსტრუქტაჟის მერე, — „დარცხენილი“ იმართლებდა თავს პეპო. — რუსი ისეთი ვერაგია... და თქვენც ისეთი დამაჯერებელი და გონებაში გამჯდომი საუბარი იცით... გვზრდით, ბატონო ომარ, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, აქამდე ან „პლენში“ ვიქნებოდით, ან... — და მრავალმნიშვნელოვნად, ცისკენ აზიდა მუდამ მხიარულებითა და ცეცხლით სავსე თვალები.

გულით უყვარდა ეს ახალგაზრდა ოფიცერი. უნდოდა, რაიმე თბილი ეთქვა, მაგრამ სენტიმენტები არ სჩვეოდა და ესლა გაიფიქრა: „ეეჰ, შვილო, კიდევ კარგი, მართლა არ აგიხდა ჩემი წინასწარ ნათქვამი, თორემ ასე თამამად და ყოყლოჩინად არ „იკოსტავებდი“ აქ და სახეზეც აღარ გექნებოდა ეგ თავზედი და ურცხვი ულიბკა“.

220-პოლტიანი პასუხი

„გზავნილების“ ბოლოს წაკითხულმა სასაუბრო თემამ, „ცოდვა გამხელილი სჯობს“, გემრიელი ღიმილი მომგვარა. იცით, როგორია გემრიელი ღიმილი? როგორი და — ჩადენილი საქციელის კმაყოფილებისგან წარმოქმნილი... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისა, რომ ადამიანი იწყებს „ფილტვის მკვლელის“ (სიგარეტის) მოწევას...

- 1) უბრალოდ ემარიაჟება და თავი ძველი ბიჭი ჰგონია;
- 2) გარშემო მყოფები ეწვიან და მიაჩნია, რომ სირცხვილია, თავად რომ არ ეწევა;
- 3) სიგარეტის ფულს სთხოვენ ხოლმე და ფულის თხოვნის თავიდან აცილების მიზნით, თავადაც იწყებს მოწევას (თუმცა ვერ ხვდება, რომ ერთი პრობლემის

მოშორებით მეორეს აწყდება).
სამივე შემთხვევაში „ფილტვის მკვლელის“ მწველი ტვინფლავა ადამიანია და რადგანაც გარს ბევრი ტვინფლავა ადამიანი მეხვია და აგრეთვე ვანალიზებდი, რომ სიგარეტს მავნებლობის მეტი



არაფერი მოჰქონდა, სწორედ ამიტომ არ დამიწყია მოწევა. თუმცა გემო და არომატი შეგრძნებული მაქვს და სწორედ ამ არომატის შეგრძნების მომენტში საკუთარ მეზობელს დავეუნახავარ. ამ ამბავმა მისი წყალობით ჩემი მშობლების ყურებამდე მიაღწია. მამაჩემმა ჭკუის სასწავლებლად, სიტყვიერად „მიმტყიპა“ და დასჯის გარკვეულ ზომებსაც მიმართა. გავიდა ხანი. ჩემდა საბედნიეროდ და ჩამშვები მეზობლის საუბედუროდ, შევიტყვე, თუ რომელი ქალი აღმოჩნდა ენის მიმარბენინებელი და გამიხარდა კიდევ, რადგან ვალში არ დავრჩებოდი. ის კი, არც მეტი, არც — ნაკლები, კარის მეზობელი, მართო მცხოვრები, 60 წელს გადაცილებული, პირობითი სახელით — ნატაშა იყო და ერთ დღეს, როცა შინ მართო ვიყავი, წინასწარ დაგემილი შურისძიების გეგმის განხორციელებას მივყავი ხელი.

ავიღე 2-წევრიანი, სპილენძის გრძელი „შნური“. ერთი ბოლო საკუთარი სახლის შემოსასვლელში



არსებულ შტეფსელში შევარჩვე, ხოლო მეორე ბოლო ფაქიზად დავიკავებ, კარის მეზობელთან მივედი, კარზე ზარი დავრეკე, ჩავიკუზე და ურდულის გაღებას დაველოდე. რამდენიმე წამში გული ამიჩქარდა, რადგან მისი პლასტიკისხირონიანი ფლოსტების ხმა გავიგონე და შესაბამისად, მისი მოახლოება ვიგრძენი.

— ვინ არის? — იკითხა, როდესაც საჭვრეტიდან ვერავინ დაინახა.

ამ დროს გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ურდული გადასწია და სწორედ ამ მომენტში, დენის შეერთებული „შნურის“ ბოლო მისი კარის სახელურს დავადე და 2-ნამიანი პაუზის შემდეგ მოვაშორე. მოვაშორე თუ არა, იმწამსვე მძიმე საგნის იატაკზე „დატყლიზნებისა“ და კიდევ რაღაცის გატეხის ხმა გავიგონე. სახლში შევვარდი და მოვლენების განვითარებას დაველოდე...

ვფიქრობდი, რომ 2-ნამიანი დენის დარტყმა სიკვდილს არ გამოიწვევდა და ამაში დანამდვილებით მაშინ დავრწმუნდი, როდესაც რამდენიმე წუთში ჩვენს სადარბაზოს

„სასწრაფოს“ ეკიპაჟი მოადგა.

მოკლედ, დენის დარტყმით შეშინებულმა ნატაშამ მაშინვე „სასწრაფოს“ დაურეკა, შემდეგ კი ხელოსანს, რომელსაც საკუთარ კართან ახლოს მდებარე „სუშილკის“ კედლებში არსებული, ძველი და გაუშართავი შტეფსელებისა და შნურების ძირფესვიანად მოსპობა დაავალა, რადგან დენის დარტყმის მიზეზად მიიჩნედა. ერთი სიტყვით, მის არამკითხე საქციელს, „220-ვოლტიანი პასუხი“ გავეცი... ახლა კი თქვენი ნებართვით, მეორე ამბავზე გადავალ, რომელიც სულ რაღაც ნახევარი წლის წინ, ერთ ღამეს მოხდა: ცოტათი შეზარხოშებული ვიყავი, როდესაც სრულიად შემთხვევით, საკუთარი „გაჭედილი“ კომპიუტერის მონიტორს მუშტი ჩავარტყი და მონიტორი გაითიშა, შემდეგ კი საერთოდ აღარ ჩაირთო. რადგან მონიტორზე გაცემული გარანტია ჯერ კიდევ ძალაში იყო, მეორე დღესვე მივაკითხე მომსახურების ცენტრს და მომსახურე პერსონალს დამაჯერებელი სახით აუხსენი, რომ ვიდეოს ყურების მომენტში მონიტორი გაითიშა, შემდეგ

კი საერთოდ არ ჩაირთო. რადგან მონიტორს „ფიზიკური ზემოქმედების“ კვალი არ ემჩნეოდა, საბედნიეროდ, დაიტოვეს და მითხრეს, რომ 2 დღეში დამიკავშირდებოდნენ და შეკეთებულს გამატანდნენ. დამირეკეს და მითხრეს, რომ მეხალისებოდა თუ არა, კიდევ 1 კვირა უნდა მომეცადა, რადგან მონიტორი იმდენად იყო დაზიანებული, რომ მისი შეკეთება ვერ ხერხდებოდა. 1 კვირის შემდეგ გამოვცხადდი კომპანიის სათავო ოფისში და იქ მომუშავე ვინმე გუჯამ მშვიდი ხმით მაცნობა: რადგან თქვენი მონიტორი შეკეთებას არ დაექვემდებარა და ქარხნული წუნი დაუდგინდა, ამ შემთხვევაში კომპანიის ვალდებულია, დაზიანებული ნივთი ახლით ჩაანაცვლოსო და ხელში მომაჩვენეს ახალთახალი, 350-ლარიანი მონიტორი, წარმატებები მისურვეს და მადლობაც კი გადამიხადეს, რომ მათი კომპანიის მომხმარებელი ვიყავი... ნუ, გარეთ გამოსვლისას რა მასშტაბურ განცდებსა და სიცოცხლე ვყავდი შეპყრობილი, ალბათ ყველას გეჩვენებათ წარმოდგენილი მისტერ.

თავდასავლები ნიფხვით და უნიფხვოდ

„მარ, მინდა ერთ ჩემს მეგობარზე მოგიყვე: მართალია, მისი პიროვნული დახასიათება რომ მოვიწოდო, მხოლოდ 1 ეპითეტით შევძლებ — გადარეული, მაგრამ მის გარეგნულ მონაცემებს მხოლოდ 1 სიტყვით ვერ დავხასიათებ. გეგემრიელად ჩაპუნტულებულია... ნუ, მართალია, მისი „ნიფხავი“ თვითმფრინავის „ჩიხოლად“ არა, მაგრამ ქელეხის გადასახურავ „პალატკად“ ნამდვილად გამოდგება. მოკლედ, ეს ზომიერად ფერხორციანი საქალბატონე თავის დას სტუმრობდა, კახეთის ერთ-ერთ სოფელში. შუადღისას საცვლების გარეცხვა გადაწყვიტა. ის იყო, ბოლო საცვალს

წურავდა და გასაფენად ამზადებდა, რომ დამ გამოსძახა, შამო, გენაცვალე, ყავა დავლიოთო და ზომიერად ფერხორციანმა და უზომოდ დაბნეულმა, საცვალი ისევ ტაშტში ჩააგდო და სახლში შებრუნდა... იქვე, 3-4 წლის დისშვილები თამაშობდნენ, სამთვლიანი ველოსიპედით. კარგად რომ დააკვირდნენ, ველოსიპედი გასარეცხი ყოფილაო და ბირჟაზე გადაწყვიტეს წასვლა. მოკლედ, დებმა ყავის სმით გული (მუცელიც) რომ კარგად იჯერეს, ბავშვები მოიკითხეს და აბა მიხვდით, სად მიაგნეს? დიიიახ, ბირჟაზე და თან იცით, რა სიტუაციაში? პატარებს წყალში ჩაეყოთ ხელები, გვერდით მოყენებულ ველოსიპედს კი დეიდის თეთრი ნიფხვით რეცხავდნენ. გადაუხვამდნენ ველოსიპედს, მერე გაშლიდნენ, გაალაღლებდნენ წყალში და ისევ რეცხავდნენ... გვერდით, ბირჟაზე მდგომი ბიჭები მათი შემყურე, სიცოცხლით იხოცებოდნენ მანამ, სანამ ბავშვებს ჩემი ზომიერად ფერხორციანი და უზომოდ ნევროზიანი მეგობარი არ დაადგა თავზე. საერთოდ, მინდა გითხრაო, რომ მას შესანიშნავი ამბები აქვს, ქვედა საცვლებთან დაკავშირებით. ამას წინათ, ის და თავისი დები მეზობლის ვენახში გადაიპარნენ, ხილის მოსაპარავად (გაითვალისწინეთ, რომ მოწიფულები არიან და ერთ დას 1 „ლატოკი“ ქმარ-შვილი ჰყავს). მოკლედ, აშარმა მეზობელმა ვენახში შეპარული ქურდები რომ დაინახა, სასწრაფოდ ძალდი აუშვა და ჩვენს მონა-მორჩილსა და მის დაიკოებს მიუქსია. ალბათ, თქვენც წარმოიდგენთ, რა დღეში ჩაცვივდნენ. 2 მათგანი წარმატებით გადაეშვა მავთულხლართზე; მესამეს კი წინაღედს ნაყიდი,

თეთრი, რუშინი საცვალი ხლართზე გამოედო და მავთულს შეეკიდა. ჩემს ზომიერად ფერხორციან მეგობარს ბევრი აღარ უფიქრია, დაიკოს სასწრაფოდ გააძრობინა მუღლის გულის გასახარად ნაყიდი ტრუსი და მავთულხლართზე დაატოვებინა, სანამ ძალდი წამოეწეოდა და ტრუსის გარდა სხვა ადგილების დატოვებაც მოუხდებოდათ. რა თქმა უნდა, იმ თეთრ, რუშინ საცვალს მისი და მთელი თვე გლოვობდა, მაგრამ მე იცით, რას ვფიქრობ? ის მეზობელი რა დღეში ჩავარდებოდა, თავის მავთულზე შეკიდულ ნიფხავს რომ აღმოაჩენდა?! ნუცუ“.

სამეგრელოს გაშარყებული სიყვარული

„აუდიტორიაში ბუზის გაფრენის კი არა, სიჩუმის ხმაც გაიგონებდით, ისე იყვნენ სტუდენტები გასუსულ-გატრუნულები. პოლიტექნომიის სემინარი მიმდინარეობდა, ხოლო ლექტორს, ბატონ პარმენს, წარმოშობით ოდიშელ ინტელიგენტს, რაღაცით თუ ვიღაცით უკმაყოფილება სახეზე ენერა. ავტოკალაში გვარების დაბოლოებებს ჩამოატარა და პირველივე „ია“-ზე დამთავრებული გვარი ამოიკითხა:

- მუსხაშვილია, დაფასთან...
 - არ გახლავთ, პატივცემული.
 - მაშინ... მაშინ მოვუსმინოთ...
- მოვუსმინოთ მაშინ... მოდი ერთი, გავიგოთ, გვირახს აქეთ ქართველებმა რა მოგვიზადეს... შინჯიკაშვილო, რას გვეტყვი, აბა? — ლექტორის ცისფერი თვალები თითქოს ნიშნის მოგებით



შესცქეროდნენ სტუდენტს და შიგადა-შიგ აუდიტორიაშიც აცეცდებოდნენ, მორიგი „მსხვერპლის“ ძიებაში.

შინჯიკაშვილიმა კარგად უპასუხა. ლექტორიც თითქოს კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

— წაგიკითხავს, თვალი გადაგივლია — უფრო სწორად. ახლა აღარ ჩაგეკითხები და გამართულ სამიანს დაგიჩენ... რვეული ხომ გაქვს... მაჩვენე... რა არის ეს? ქართულია თუ არაბული ასოები? მარჯვნიდან წაგიკითხო? თავს იგდებ? აიგდე, აიგდე და გამოცდებზე აგური შეუშვირე... ან პირიქით... ნუ, როგორც არის... მაგას არა აქვს ასლებითი მნიშვნელობა. კიდო მალალი ნიშანი დაგიჩენე... კაი, აბა, თავისი სურვილით ვინ გამოვია... ხელს იწვევ? მაშინ, ცოტა თამამად... გამობრძანდი და რვეულიც გამოაყოლე ხელს... გვარი?

— ზაზა კოლოშვილი, პატივცემულო. — მიმინოშვილი გამიგია, ქორიძე, წეროძე, ჩემო ბატონო, ბუაძეც... ქათამაძე და მამალაძეც, შევარდნაძე ხომ გამიგია და გამიგია, შევარდნიძეც გამიგია, აი კოლოშვილი არ გამიგია! — აშკარად ქილიკის ხასიათზე იყო ბატონი პარმენი.

ზაზა მართლაც შესაშურად იყო მომზადებული და სხაპასუხით აყალიბებდა სენსიომონის, ადამ სმიტისა და ფურეის თეორიებს. ლექტორმა ხელის მოძრაობით გააჩერა: — შეიძლება კოჭლი ოთხიანი დაგიჩენოს კაცმა, თუ რვეული გექნება წესრიგშიო, უთხრა და ზაზას სქელყდიანი, ჩანანერების ნიგნი გადაშალა. თვალსაჩინოებისათვის, ზაზას ძირითადი თეზისები და მნიშვნელოვანი თემები სხვადასხვა ფერის მელნითა და ფლომასტრით ჰქონდა გამოყოფილი. პარმენმა რვეული ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, მერე გაურკვეველობის ნიშნად მხრები უკმაყოფილოდ აიჩეჩა და ზაზას ჰკითხა: რას გიკითხავთ მე თქვენ და სად სწავლობთ?

— ვსწავლობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გვიკითხავთ პოლიტიკონომიას, პატივცემულო...

— აგაშენა ღმერთმა... მე კი მეგონა, აკადემიაში ვკითხულობდი „რისოვინიას“... რა არის ეს? რვეულია თუ „ცვეტნიო რისუნკების“ ალბომი? რა გვარი ვარო, რა თქვი? რა მნიშვნელობა აქვს... დაჯექი — „სამი“...

— კოლოშვილი ვარ პატივცემულო, ხოლო წინაპრები კოლოსქუები ყოფილან, — მოახსენა ზაზამ და ასობგერა „ლ“ შეძლებისდაგვარად დაარბილა.

ბატონმა პარმენმა უნდოდა აოხხედა.

— საიდან ხარ ბიჭო, შენ?

— სენაკიდან, პატივცემულო...

— ოჰ... მერე, რომ შეუბნები, მზად ვარო, გააგრძელე, კიდევ მოჰყვივი! — თვითონ კი რვეულის თვალღერება უფრო ყურადღებით განაგრძო. მოულოდნელად, ზაზას თხრობა შეანყევტინა და

აუდიტორიას მიმართა:

— ვინმეს გაქვთ პატივისცემა იმ საგნის მიმართ, რასაც სწავლობთ? თუ გაქვთ, რაში გამოიხატება?! გამოიხატება აი, ამაში — და ზაზას რვეული მალა ასნია, ყველას დაგვანახვა და თან თითებს ენით ისველებდა, რომ გადაეფურცლა. — შეხედეთ, რა გულმოდგინე ნამუშევარია და რაც მთავარია, რა ეს-თეტიკურია...

მერე მაგიდას მიეყრდნო და თვალსა და ხელს შუა გარდაიქმნა... სულ სხვა კაცი შეგვრჩა, მოქილივე და შოვინისტი პარმენის ნაცვლად.

— არ მიცნობთ თქვენ მე... პარმენ ლემონჯავას... მე აქ მართლა... (ენაზე იკბინა) მე აქ მართო პოლიტიკონომიას კი არ გასწავლით... მე გასწავლით, რომ უნდა გიყვარდეთ... რა გეყვარებათ, მნიშვნელობა არ აქვს... დვინო, დუდუკი, ქალები, თავისთავად — ნორმის ფარგლებში, მაგრამ ბანქო, ნაშალი და სოდომ-გომორი უფაღმა გაცილოთ... ამით გარდა შეიყვარეთ რაც გინდათ და ვინც გინდათ... როცა გეყვარებათ, არ გაბროტდებით. ცოდვა გამხელილი სჯობს და მიყვარს ჩემი სამეგრელო, ჩემი ჩელა და ენგური, ჩემი ენა მეგრული, მაგრამ ამ სიყვარულს ხანდახან მოფერებით გაგაშარებთ ხოლმე... დღეს შინჯიკაშვილის პასუხზე რა ჩავინიშნე მე ჩემს უბის ნიგნავში, არ იცით და ვერც მიხვდებით... გამოცდაზე დავეჭიდოთ, არნივებო... გიორგი ნადირაძე, ასანა კითხულობს თქვენთან „საქართველოს ისტორიას“... მშურს თქვენი...

ზარი დაირეკა. ცოდვა გამხელილი სჯობს და აუდიტორიის დატოვება აღარავის გვინდოდა, არც ბატონ პარმენს, ამ უსათნოეს და იუმორით სავსე კაცს. მერწმუნე, ძვირფასო მკითხველო, ჩემო, შენც გაცნობისთანავე მოგხიზლავდა ეს კაცი და მის მოსაგონებლად დიდხანს გაგყვებოდა სახეზე ღიმი, ჩემულად კი ულიბტა.

გამოცდილი „დამნაშავე“

„რა კარგია, არა, ბებია-ბაბუასთან სტუმრობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა პენსია ახალი აღებული აქვთ. მეც, ყოველ ცხელ ზაფხულს, ბავშვობაში ბებოს სტუმარი გახლდით. ჩემი იქ ჩასვლა ჩემზე არანაკლებ უხაროდათ ჩემს თანატოლ, უბნის ბავშვებსაც. ბებოს წყრომის მიუხედავად, ჩემი ჩასვლისთანავე ეზო, როგორც ბებიაჩემი იტყოდა, უბნის „ბლაჭიბლუჭებით“ იცნებოდა ხოლმე. ბებო ყოველ საღამოს, ბაბუასთან იოხებდა გულს და ჩვენი ცელქობის შედეგად გაფუჭებულ „საგმირო საქმეებს“ წყევლა-კრულვის თანხლებით აცნობებდა. როცა დავქალდი და დავბრძენდი (ოჰოჰ!) აღარ ვცელქობდი. ახლახან კი ჩემი და სხვა შვილიშვილების ონავრობას მონატრებულმა ბებომ, მთელი ოჯახის თან-

დასწრებით, ჩემს გონებაში ღრმად მიმალული ამბავი გაიხსენა: დაღლილ-დაქანცულ ბებობას საღამო ხანს შვილიშვილები ესტუმრნენ. ერთ-ერთს, როგორც ბებია იტყოდა, „არგასაზრდელსა“ და „ჯიმ და ჯილაგამოსანყვეტ“ ბავშვს, რომლის ვინაობა ბებოს დღემდე ვერ გაერკვია, ახლად შედებოდა იატაკზე გადაველო და ბებობას ნაჯახი წყალში ჩაეყარა. შვილიშვილებს თურმე იმიტომ არ გაჰპრახუბია, რომ იატაკს მისივე, „ტრადიციული“ ფესხაცმლის — კალოშის კვალი აჩნდა. ის კი არ იცის, რომ იმ პატარა ონავარმა, იმისათვის, რომ კვალი დაეფარა, ბებობას კალოში ჩაიკვია და მეორე ოთახს ისე მიაშურა (რა თქმა უნდა, „მოკრასკული“ იატაკის გავლით), სადაც ტკბილეულობა ეგულეობდა. ბებოს ფესხაცმლით კი ეს საქმე არ გასჭირვებია. ჰოდა, ახლა უნდა გავამხილო, რომ ის „არგასაზრდელი“, „ჯიმ და ჯილაგამოსაგდები“ ბავშვი მე ვიყავი, მე... თქვენი ლუნა“.

უნებური შეცდომა

„რატომ ვწერთ?“ წარმომიდგენია, რომ ყველა თავისებურად უპასუხებდა ამ მარტივ კითხვას. არსებობს მისწრაფებები, გარემო, გარემოებები... აგრეთვე — უნიჭობაც. თუ ვწერთ, ეს იმას ნიშნავს, რომ არ ვმოქმედებთ, რომ რეალობასთან პირისპირ დარჩენილი, დიდ გასაჭირში ვიმყოფებით, რომ რეაქციის სხვა გზა, კომუნიკაციის სხვა ფორმა ავირჩიეთ, როგორც გარკვეული მანძილი, დრო ფიქრისა და განსჯისთვის. — ის იყო, ნიგნი შემდეგ გვერდზე გადავფურცლე და მწერლის ორიგინალური წერის სტილით აღფრთოვანებულია, გონებაში მის მიერ დასმულ, ერთი შეხედვით მარტივ კითხვაზე პასუხის გაცემა ვცადე, რომ...

— ხომ გუბუნები, შენი მაიმუნობის (მგზავნელობას გულისხმობს) ამბავი იაფფასიანი ბოზის ტელეფონის ნომერით მოედო მთელ სოფელს! — ჩვეული, ნაძალადევად სიბრახეშეპარული ხმით მითხრა ბებომ და ხელით სასტუმრო ოთახისკენ მიმითითა, სტუმარი გყავსო...

— ვინ არის? — უსიტყვოდ, სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით დაფუსვი კითხვა მოხუცს და სანამ პასუხს გამცემდა, მანამდე გაუჩინარდი მისი თვალთახედვიდან...

— გამარჯობა, — მომესალმა ასე, 50 წლის ქალბატონი და სკამისკენ მიმითითა, — დაჯექი, შენთან სალაპარაკო მაქვს...

ვერ ვიცანი...

— მე ვარ შვილებისგან უარყოფილი, სახლიდან გამოგდებული, დამცირებული, განადგურებული, სულიერად დაცემული ქალი... — ძალიან დამბნა მისმა აცრემლებულმა თვალებმა და აცხცახებულმა ხელებმა. სანამ რამეს ვკითხავდი, ქალმა განაგრძო: აქედან პირდაპირ თბილისში მივდივარ, ხვალ დილით კი საბერძნეთში მივმგზავრები... კიდევ ერთით უნდა გავზარდო ქართველი ემიგრანტების რიცხვი. ვგრძნობ, რომ ჩემს საქართველოს, ჩემს პატარა, საყ-

გაგრძელება იხ. გვ 87

ყურადღება! თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანანევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

„სიკვდილის წინ მამა პატივს გვთხოვდა“

„მისნაირი მშობელი არ მომენატრებოდა...“

„გზის“ №49-ში დაიბეჭდა უცნობის მქოვი, რომელიც გვწერდა, რომ ბედნიერი ბავშვობა არ ჰქონია. „დედნული გასლავართ და როგორც ყველა დედნულს, ჩვენც ძალიან გვიჭირდა... უფროსი დაძმა მყავს. ძმა ავადმყოფია და შესაბამისად, უმუშევარი, მაგრამ ჩვენი ოჯახის მთავარი სატყევეარი ისაა, რომ ერთი წლის წინ მამამ მიგვატოვა... ჰო, ის ჩვენგან წავიდა და ავადმყოფ დედასთან დაგვტოვა. მამას ვერ გავამტყუნებ, ამის უფლება არც მაქვს, მაგრამ იცით, რა მიკვირს? — ამ ხნის მანძილზე შვილები ერთხელაც არ გახსენებია... ყველაფერს ავიტან, შიმშილსაც კი, ოღონდ მოვიდეს ხოლმე, ჩამეხუტოს და ისე მომიფეროს, როგორც ბავშვობაში მეფერებოდა“.

ლიკა ქავია

უსახელო:

„კარგად მესმის შენი ტკივილი და დარდი, რადგან მამამ ჩვენც მიგვატოვა, მე და ჩემი ძმა დედამ გაგვზარდა... ოჯახის წევრებს მხარში ამოუდევნი, მათ ტკივილი შეუშუსუბუქე. რატომ გგონია, რომ მშობლების სიტბოს ღირსი არა ხარ? მერწმუნე, შენი ბრალი არაა, მამაშენი სახლიდან რომ წავიდა. ცხოვრებაში ყველა უშვებს შეცდომას და მამაშენიც ცდებდა, ყურადღებას რომ არ გაქცევო... მამაჩემი ისე გარდაიცვალა, 30 წლის მანძილზე მხოლოდ 5-ჯერ გვნახა. სიკვდილის წინ ყველაფერს ნანობდა, პატივს გვთხოვდა, მაგრამ შვილებმა მოყენებული ტკივილი ვერ ვაპატიეთ. ახლა ხშირად ვფიქრობ, — ნეტავ, მისთვის ერთი შანსი კიდევ მიმეცა და ცოცხალი ყოფილიყო-მეთქი, — მაგრამ უკვე ყველაფერი გვიანია... თუ მამაშენი მიხვდება, რომ შეცდომა დაუშვა, აუცილებლად აპატიე და მიიღე ისეთი, როგორიც არის (თუნდაც, სხვა ოჯახი ჰყავდეს). წარმატებას და გამძლეობას გისურვებ! სულით არ დაეცე და ყველაფერი კარგად იქნება. P.S. ჩემს სახელს შეგნებულად არ ვწერ“.

მარია:

„ვაიმე, მოკვდი ტირილით. უცნობო, გულს ნუ გაიტეხ, ცუდზე ნუ იფიქრებ. მერწმუნე, ღმერთი არ მიგატოვებს, შენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული“.

ბრუნინა:

„თუ დედაშენი არ უყვარდა, ცოლს აქამდეც უნდა დაშორებოდა... არ გენყინოს, მაგრამ პირადად მე, მისნაირი მამა არ მომენატრებოდა. ღმერთს მიენდევ და ილოცე. იცოდე, ერთადერთი ხსნა უფლის სიყვარულია. უკეთესი ცხოვრების იმედი გქონდეს. წარმატებებს გისურვებ!“

თაითრო:

„ჩემო კარგო, მამაშენისნაირი კა-



ცის გამო ნერვიულობა არ ღირს. დედას და ოჯახს გაუფრთხილდი. ღმერთმა გამძლეობა მოგცეს. გოცნი“.

სვანის ასული:

„ხშირად, უპასუხისმგებლო ახალ-

გაზრდა ბიჭების საქციელის გამო ვწივით და ავადმყოფი ცოლ-შვილის მიმტოვებელ მამაზე რაღა უნდა ვთქვა? მისი სასონარკვეთილებაც გასაგებია, მაგრამ ვუჟაკებს გაქცევა არ ახასიათებთ, ეს საუკეთესო გამოსავალი ნამდვილად არაა... გეფიცები, შენი ძალიან კარგად მესმის და გთხოვ, ეკლესიაში მიდი, მოძღვარს დაელაპარაკე. მერწმუნე, ის შეძლებს შენს დახმარებას, სწორ გზაზე დაყენებას. კეთილ ადამიანებთან და ნათესავებთან იურთიერთე. ღმერთი გფარავდეს“.

ალექსანდრა, 19 წლის:

„მოგესალმებით. შენი მესიჯის წაკითხვის შემდეგ გული მეტკინა. მშობლების სიტბოს ამქვეყნად ვერაფერი შეედრება. შემიძლია, ერთი რჩევა მოგცე: აიყვანე მოძღვარი, ოღონდ — ნამდვილი მოძღვარი. თუ არ იცი, რას ვგულისხმობ, წაიკითხე წიგნი მამა გიორგი ბასილიძეზე ან ესტუმრე მას მონაშეთში. ნამდვილი მოძღვარი გასწავლის უფლის სიყვარულს და რაც ყველაზე მთავარია, დაგანახებს, თუ როგორ უყვარხარ უფალს. ჰოდა, მერე მამის სიყვარული და სიტბო არასდროს მოგაკლდება, უფალი ხომ ყველა ადამიანის მამაა. პატივისცემით“.

„ლოვესთან“ ურთიერთობას ჩემი ძმა მიზლის“

უცნობი:

„გამარჯობა. ერთი ბიჭი მიყვარს და მასაც ვუყვარვარ, მაგრამ „ლოვესთან“ ურთიერთობას ჩემი ძმა მიზლის. მას ჩემი რჩეული არ მოსწონს; რატომღაც ჰგონია, რომ არ ვუყვარვარ და მატყუებს. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

„თავს არ ვაძლევ უფლებას, რომ შემიყვარდეს“

ცივი ძალი, 19 წლის:

„არ ვიცი, ამ მესიჯს დამიბეჭდავთ თუ არა, მაგრამ იცოდეთ, თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და ხშირად გწერთ კიდევ; ახლა თავად დამჭირდა თქვენი დახმარება და გთხოვთ, არ დაიზაროთ... ერთი ბიჭი ძალიან მომწონს. მასაც მოგწონვარ, მაგრამ თავს არ ვაძლევ იმის უფლებას, რომ შემიყვარდეს. რატომ? — მეშინია, იმავეთი რომ არ მიპასუხოს? უკვე დიდი ხანია, კოცნას მთხოვს. მეუბნება: იქნებ გული გამითბო და შემიყვარდეს, მე კი უარს ვუბნები — არ მინდა მავოცოს და მერე მიმატოვოს (ბიჭების უმეტესობა ხომ ასე იქცევა). არ ვიცი, როგორი ურთიერთობა უნდა მქონდეს მასთან და საერთოდ, ვაკოცო თუ არა?“

P.S. მაშ ასე, თუ უცნობისა და ცივი ძალის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



„უბამოდ გაზრდილი გოგო თანაგრძნობას იმსახურებს“

„სიყვარულს ისე აღიქვამ, როგორც ნებაყოფლობით მოწობას“

„გზის“ №49-ში დაიბეჭდა შეყვარებული გოგოს მესიჯი, რომელიც გვწერდა, — „ლოვეს“ მხოლოდ იმიტომ დამაშორეს, უბამოდ გაზრდილი რომ ვარო. „მამის გარეშე რომ გავიზარდე, ამიტომ აუცილებლად, ცუდი უნდა ვიყო?.. მიუხედავად ყველაფრისა, ერთმანეთს ჩუმიად ვხვდებოდით, უერთმანეთოდ ნუთსაც ვერ ვძლებდით, მაგრამ რამდენიმე ხნის წინ ჩემთან ურთიერთობა შეწყვიტა, ტელეფონის ნომერიც გამოცვალა. სიკვდილი მინდა, მის გარეშე ბედნიერი ვერ ვიქნები“.

პუპუ:

„ვაიმე, გადამრია შენმა მესიჯმა. მეც უბამოდ გავიზარდე, მაგრამ ამის გამო ქმრის ოჯახს არ დავუნუნებოვარ. მას სათანადოდ რომ ჰყვარებოდი, შენ გამო ყველას დაუპირისპირდებოდა. თავი ხელში აიყვანე და ეგ ადამიანი დაივიწყე, არ ყოფილა შენი ღირსი. უფალს ებარებოდე“.

ახალი სანა:

„მე ახლახან დავინყე თქვენი რუბრიკის კითხვა. მართლაც რომ საინტერესო თემებს აშუქებთ ხოლმე; ხალხს ეს სჭირდება და არა ის, თუ რომელი ცნობილი სახე ვის გაჰყავს, ვინ ვისზე რამდენი წლით უფროსია, ვისი ქორწინება ან განქორწინება სკანდალური და ა.შ. მე მათსაც ამ თაობის აზროვნება, ზოგჯერ კი სიკეთემდე მივყავარ იმას, რასაც აქ ვკითხულობ... ახლა კი მინდა, შეყვარებული გოგოს გამოვეზნაო: ჩემო კარგო, შენი წერილის ნაკითხვის შემდეგ ბევრი კითხვა გამიჩნდა, ბევრ სასარგებლო რჩევასაც მოგცემდი, მაგრამ ამ ყველაფრის „ესემესით“ მოწერა გამიჭირდება. მხოლოდ ერთს გეტყვი: ამბობ, რომ შეყვარებულის გარეშე ნუთითაც ვერ ძლებ, მის გარეშე ვერ სუნთქავ და ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი აზრით, იმ ბიჭს სათანადოდ არ უყვარდი. სიყვარულისთვის ადამიანი რას აღარ აკეთებს, ის ყველას და ყველაფერს წინ აღუდგება, ყველაზე უარს იტყვის, ოღონდ საკუთარი სიყვარული დაიცვას და შეინარჩუნოს, შენმა „ლოვემ“ კი ყველაფერი დაანგრია. P.S. ცხოვრება ის შავი ფურცლებია, რომელზეც თეთრი წერტილები უნდა აკრიბო“.

ლორეია:

„როგორც ადრე აღვნიშნე, არ მიყვარს ბანალურობა და ამბების რომანტიკულად გაშიფვრა, უბრალოდ, მხოლოდ იმ მიზეზს გეტყვი, რატომაც დაგშორდა: მას ძალიან უყვარდი და ცდილობდა, მშობლებისთვის წინააღმდეგობა გაენია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩუმიად ხვდებოდით, ვეჭვობ, რაღაც მიქარე; იმნუთას არა, მაგრამ მერე შენში ეჭვი

შეუპარა და მშობლების პოზიციაზეც დაფიქრდა. P.S. ზოგიერთმა ცოტა თავი დაიფასეთ, თავს ნუ გვაცოდებთ“.

თაო:

„ეტიკობა, არ უყვარდი, თორემ სხვის აზრს არ მოუსმენდა. „დედიკოს ბიჭი“ ყოფილა. აბა, რა არის ცუდი იმაში, უბამოდ რომ გავიზარდე? ბიჭები ჩვენს ცრემლს და სინანულს არ იმსახურებენ. წარმატებები!“

ნანა:

„შენ ადგილას, შევხვდებოდი კი არა, თავებდს ვანყევლინებდი. იცოდე, თავი არ დაიმცირო; გაუშვი, ნაფიდეს. არ უყვარხარ და რატომ „ეტიენები“? ნამდვილი სიყვარული აუცილებლად გწვევა, დაელოდე. თავს იკლავ? არ სჯობია, იცოცხლო? მერწმუნე, სიკვდილს მერეც მოასწრებ“.

ლარი:

„შეყვარებულ გოგოვ, მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი და ვიცი, ახლა რასაც გრძნობ. ალბათ, შენი შეყვარებული მშობლების გამო მოიქცა ასე... პირადად მე, „ლოვე“ დამიბრუნდა და იქნებ, შენც დაგიბრუნდეს. ძნელია დაივიწყო ყველაფერი და ამას არც გეტყვი, მაგრამ ეცადე, ტკივილს გაუძლო. თანაგიგრძნობ“.

ფირცა ადამი:

„როცა ადამიანი შეყვარებულია, ბრმავედება და სწორი გადაწყვეტილების მიღება უჭირს. დამიჯერე, დრო გავა და ეგ ბიჭი დაგავინყდება; ან რად გინდა გვერდით ისეთი ადამიანი, რომელსაც არ უყვარხარ (ამას მისი საქციელიდან გამომდინარე გეუბნები)? რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ უბამობის გამო დაგინუნეს, მართლა ვერაფერს გეტყვი, ეს სისულელეა!.. აბა, შენ იცი, მხნედ იყავი და ლამაზ დღეებს იმ ბიჭზე ფიქრით ნუ გაიუფერულე. გკოცნი“.

ცანაფი:

„ჩემო კარგო, ნუ ინერვიულებ. ტანჯვა ალბათ, ისედაც არ გაკლია და მის გამო სიცოცხლის გამწარება არ ღირს. რას ჰქვია, დაგინუნეს, თანაც — იმის გამო, რომ უბამოდ იზრდებოდი?! თუ „ლოვეს“ მართლა უყვარდი, ეს გრძნობა ერთად უნდა დაგვევით და ყველაფრის

მიუხედავად, საკუთარი კეთილდღეობისთვის გებრძოლათ, მაგრამ ის არაკაცურად მოიქცა, შენი ცხოვრებიდან გაქრა... ვიცი, ახლა მის გარეშე იტანჯები, მაგრამ ძლიერი უნდა იყო. სამუდამოდ დაივიწყე ის სიყვარული, რომელმაც ასე დაგტანჯა (თურმე, სიყვარულს მხოლოდ ტანჯვა მოაქვს). ღმერთი გფარავდეს“.

ბაპაი:

„წარმომიდგენია, მახინჯი აზროვნების ხალხის გამო ახლა რა დღეშიც ხარ. უბამოდ გაზრდილი გოგო თანაგრძნობას და პატივისცემას უნდა იმსახურებდეს, მაგრამ დაუნებს რა გამოლევს?.. შენი შეყვარებული სუსტი პიროვნება ყოფილა და კარგია, ეს დროზე რომ გამოავლინა. პრიმიტიული აზროვნების ადამიანის გამო ამდენს ნუ იდარდებ, ღირსეულს დაელოდე. ყველაფერი კარგად იქნება, თავი მაღლა ასწიე. გკოცნი“.

რუხაი (YELLOW):

„რა სისულელეებს რომავ? შეყვარებული კაცი საყვარელ ადამიანს ტკივილს არასდროს მიაყენებს. შენ ხარ ადამიანი, რომელიც სიყვარულს აღიქვამს როგორც გაცნობიერებულ და ნებაყოფლობით მონობას და ტყუევდები... P.S. ვერავინ ვერავის დაკარგავს იმიტომ, რომ არავინ არავის ეკუთვნის. ძალიან გთხოვ, სწორად გაიგე, რასაც ვამბობ“.

კუსა:

„ჩემო კარგო, იმ ბიჭს ნამდვილად უყვარდი? ბიჭი, რომელიც გოგოს ასე ექცევა, არა მგონია, მასზე ფიქრობდეს. შეხვდი და გაარკვიე, რატომ მოიქცა ასე. ისე, არა მგონია, მას კიდევ აინტერესებდე. მაპატიე, ამ სიტყვებით გული თუ გატყინე, მაგრამ რეალობას თვლი უნდა გაუსწორო. არ ინერვიულო, გაკოცე“.

ვაი:

„ალბათ თავადაც ხვდები, რომ ის ბიჭი ლაჩარი, დონდლო და დებილია. მან საკუთარი სიყვარულის დასაცავად წინააღმდეგობა მშობლებსაც კი ვერ გაუწია. მერწმუნე, მას ან არ უყვარდი, ან ნამდვილი ლაჩარია!.. გასაგებია, რომ გულს ვერ უბრძანებ, მაგრამ ერთს გირჩევ: ერთი-ორი დღე იტირე, კარგად გამოიგლოვე, მერე კი ქუჩაში გადი და მეგობრებთან ერთად გაერთე, ცხოვრებით დატყები, იმ ბიჭს კი ჯანდაბამდე გზა ჰქონია. დამიჯერე, ამქვეყნად ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც შენს ცრემლებს იმსახურებს“.



მოხილ-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილ-ზაციაში“ მოხდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრბოთ სიტყვა GZA გამოტოვით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქაღაბი

1. ვეხმანები „გზა“ №41, მე-9 მესიჯის ავტორს. ვარ ბათუმელი, 38 წლის. ვარ პათიოსანი და გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის. ოჯახის შექმნის მიზნით.
2. გავიცნობ არამატყუარა, არა-გაჭირვებულ და არასულელ კაცს, მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 42 წლის. ქვრივი. დადებითი პიროვნება. მაქვს ბინა.
3. მეგობრობა შეგიძლიათ? სალო.
4. ვარ 23 წლის, ლამაზი გოგო, რეგიონში. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 20-დან 30-წლამდე ასაკის მამაკაცს.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილ-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h



ქაცუბი

5. 50 წლის კაცთან მეგობრობა ვის სურს?
6. ვარ 25 წლის, მატერიალურად უზრუნველყოფილი. სამეგობროდ გავიცნობ 20-დან 30 წლამდე გოგოს.
7. გავიცნობ 18-დან 25 წლამდე ასაკის მანდილოსანს, თბილისელს. ვარ თბილისელი ლუკა, 23 წლის, კარგი გარეგნობის.
8. ვეხმარებები „გზა“ №49-ში გამოქვეყნებული, მე-5 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ საკონტაქტო ნომერი.
9. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო ლამაზი სულის ქალბატონი. თუნდაც იყოს განათხოვარი. საქმიანი, მეოჯახე, 30 წლის ზემოთ! მომწერეთ სალამოს. გიორგი.
10. ვარ მარტო, ცოლს გაცილებული, 45 წლის მამაკაცი. გავიცნობ სერიოზულ ქალბატონს, 45 წლამდე, ვისაც სიყვარული და ოჯახი უნდა. ვარ სიმპათიური. გელოდებით.
11. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით კაი ქართველ მანდილოსანს. ვმუშაობ. გამოემხმარეთ, გელოდებით.
12. თუ თბილისში ხარ, თუ ვისიცა ხარ, ვერ გაიგო მან შენი ფასი, თუ შენც ჩემსავით მარტოსული ხარ, დამეკონტაქტე. დათო, 39 წლის.
13. ვარ 34 წლის. გთხოვთ, მომწერეთ 46-ე ჟურნალის მე-3 მესიჯის ავტორის, მეგის ნომერი.
14. ვეხმარებები 22 წლის გოგონას, 50-ე ნომრიდან. გთხოვთ, ნომერი მომწეროთ.
15. ვეხმარებები 50-ე ნომრის 1-ელი განცხადების ავტორს. ვარ 35 წლის, უცოლო მამაკაცი (არც არასდროს მყოლია). დამირეკეთ ან დამიმესიჯეთ. კობა.
16. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-33 წლის გოგოს. ვარ დასავლელი,

- ლი, 34 წლის. დანარჩენი — პირადად.
17. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მორწმუნე, ქალიშვილ, დაბალ, 25-30 წლის გოგოს. ვარ 33 წლის, დასავლეთიდან. ვმუშაობ თბილისში. მაქვს სტაბილური სამსახური. ივიკო.
18. გთხოვთ დამაკავშიროთ ჟურნალ „გზის“ №43-ის, მე-4 მესიჯის ავტორს. ჩემი ნომერი მიეცით.
19. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით, თბილისელ, პათიოსან, ქალიშვილ, კარგი ხასიათის გოგოს, 22-28 წლამდე. დამიმესიჯეთ.
20. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28 წლამდე მანდილოსანს. ვარ დასაქმებული.



სხვადასხვა

- ჩემო სიცოცხლე, ჩემო უსაყვარლესო ქმარუკავ, ძალიან მიყვარხარ. გაღმერთებ. პუკუ.
- გამარჯობა, მარი და მგზავნელებო. მარ, მინდა გამოგხატო ჩემი პატივისცემა SVEET-GIRL-ის მიმართ. ძალიან კარგი გოგოა. სოფელი.
- ახალი ვარ და ჯერ კარგად არავის ვიცნობ, მაგრამ ყველაზე მაგრად მისტერი და კლეოპატრა მომწონს. ისე, ყველა კარგები ხართ!
- გამარჯობა „გზის“ ყველა ერთგულ მკითხველს. ჰოკერა, ძალიან მაინტერესებს №48-ში გამოგზავნილი ლექსის ავტორის ვინაობა და თუ არ შენუხდებით, მომწერეთ. გამადლობთ.
- ბანსი, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, ჩემი სიხარული ხარ. ვგიჟდები შენზე. ანი სამუდამოდ ერთად ვიქნებით. ჩვენ ბედნიერები ვიქნებით. გკოცნი. შენი ბანსულა.
- მამა, მენტარები და მიყვარხარ. ცოტაც და ერთად ვიქნებით ყველა. არ გატყდები ყივჩაღი გიჟდება, ისე ენატრები. გვაკვლიხარ.



• 5-7, გაია, როგორ ხარ, სიხარულო? დღეს ჩემთვის ერთი ჩვეულებრივი, სევდიანი დღეა. ახლა მოვედი სახლში და მინდა, რაღაც დაგიწერო, მაგრამ არ ვიცი, როგორ დავიწყო. ვზივარ და გამუდმებით ვფიქრობ შენზე. თავში სხვა არაფერი მიტრიალებს. მიმაჩნია, რომ ჩვენი შეხვედრა უფლის ნება იყო. შენთან შეხვედრის მერე მთელი ჩემი ცხოვრება საოცრად შეიცვალა. შენთან ბედნიერ ქალად მივიჩნეე თავს და ყველაფერი მიხაროდა. გასსოვს ჩვენი ჩხუბი? მე — არა. ვერასოდეს ვახერხებდი შენთან გაბუტვას, უშენოდ გატარებული ყოველი წუთი საუკუნედ მეჩვენება. ძალიან მიჭირს უშენობა და არ ვიცი, რამდენ ხანს გაძლებ ასე. ჩემი გოგონებისთვის არაფერი მითქვამს, არ მინდა... გოგონებთანაც იშვიათად ვკონტაქტობ, უმეტესად სახლში ვარ და ჩემთან თუ გამოვლენ ხოლმე. არსად წასვლის და არავის ნახვის სურვილი არ მაქვს, გულს ვერ ვუდებ. უშენოდ აღარაფერი მიხარია. ჩემი დაქალი იყო ჩამოსული, საზღვარგარეთ რომ ცხოვრობს და ორჯერ რესტორანში ვიყავით. იქ წასვლაც მუხარებოდა, მაგრამ მაინც წავედი. ჩემს თავში ვარ ჩაკეტილი და სანამ არ გნახავ, ალბათ ვერ გავიხსენებ. მთელ დღეებს შენზე ფიქრსა და შენს მოლოდინში ვატარებ. ხშირად დავდივარ ეკლესიაში და მამაჩემის საფლავზე. ვლოცულობ შენზე, შენს ჯანმრთელობაზე. ღმერთი არ გაგვიწირავს, ყველაფერი კარგად იქნება. თავს გაუფრთხილდი. მიყვარხარ და მთელი ცხოვრება დაგელოდები.

• 5-7, გაია, ნეტავ მქონდეს ნაზი ფრთები, ჩუმად შენთან მოვფრინდები, განა დიდხანს გაფრინდები? გაკოცებ და გავფრინდები. ვერ დაგივიწყებ და მაინც მიყვარხარ. ვერასდროს დაგივიწყებ. მივხვდი, ჩემთვის ძალიან ძვირფასი ხარ და უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია. მე შენით ვსუნთქავ და თითქოს შენი დუმილიც მესმის. უშენოდ ყოველი წუთი საუკუნედ მექცა. მენატრები... ო, ღმერთო, როგორ მენატრები და როგორ მტკივა ეს მონატრება — გულის ტკივილამდე, სულის კვილამდე და ტირილამდე. გულში უსასველო ფიქრები მომანვება ხოლმე. ფიქრი ურითომ, გრძობა უსიტყვო, დუმილი მძიმე და მწუხრისფერი, ოცნება ჩემი სევდანარევი და მარტოობის ობოლი ცრემლი. ზოგჯერ ისეთი მძიმეა ფიქრი, რომ მარტოობა განვაგდო მინდა, მაგრამ ვერ ვშველი სულის ტკივილებს. ძალიან მიჭირს უშენობა. შენ ჩემი ფიქრის ყოველი სიმი ხარ. შენი დავიწყება ძალიან ძნელია, უშენოდ დღეები არაფერს ელიან. ძნელია, როცა ტირილი გინდა, ძნელია, როცა ტირილს ვერ ბედავ, ძნელია, როცა სიცილი გინდა და ამ სიცილის მიზეზს ვერ ხედავ. ძალიან ბევრი რამის თქმა მინდა, მაგრამ არ ვიცი, რა გითხრა. თავს გაუფრთხილდი, სიხარულო, ახლა მთავარი შენი ჯანმრთელობაა. სხვა ყველაფერი კარგად იქნება. ვლოცულობ შენზე. ღმერთი არ გაგწირავს, შენი სიკეთე გადაგარჩენს. როცა გულში სიყვარული

ამდენია, მოლოდინის მეტი რაღა დამრჩენია? მიყვარხარ!

• უსაყვარლეს, უტკბილეს, მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ადამიანს, ჩემს კლუბატრას მინდა წინასწარ იუბილედ მივულოცო. მთელი გულით მიყვარხარ, დაიკო. გესუტუნე. ფლამინგო.

• დათ, ძაან მინდა, ამას ტყუილად გწერდე და იქითა ხუთშაბათს სახლში იყო. უკვე ძაან მიჭირს. უშენოდ ცხოვრება უაზროდ გადის. მაპატიე ეს განწყობილება. ბევრი კარგი ადამიანი გკითხულობს, ბევრი — უბრალოდ ნაცნობი. ვგრძნობ, გულით მეკითხებიან. რამდენ ვინმეს ჰყვარებხარ. :) შენ ისეთი ადამიანი ხარ, ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. ბავშვები ჯანმრთელად არიან. ეგაა, რომ ყიფილი გვირეცს მაგრად. :) სიჯიუტის ასაკი დაეწყო, — „მინი გარდატეხის“. დროზე თუ არ მოხვალ, ამას ჩვენ რას „მოვერევიტ“? ახალ წლამდე თოვლის ბაბუს ამბავში ვაჩერებთ და ძაან რომ გაჭედავს ხოლმე, თოვლის ბაბუს ავტორიტეტი მშველის. გუჯას წერილს აწერინებს, საჩუქრების სიით.

• შაკო, წერილი შენი სახლის მისამართზე გამომიგზავნე და გამოვართმევ შენებს. ასე მირჩევიან. არ ინერვიუო, ყველაფერი კარგად იქნება. მიყვარხარ გულში. ნეტავ იცოდე, რა ცუდად ვარ შენ გარეშე. გთხოვ, თქვი სიმართლე და ყველაფერი დამთავრდება. კოცნა რომ გამოგიგზავნე, დაინახე დღეს? მიყვარხარ გულში. ჩემი ნაწუქარი ჯვარი გამოაგზავნინე და გაიკეთე, გთხოვ. მანდედან რომ გამოგიგზავნა შენმა ძმაკაცმა, ეგ არ ატარო. ღმერთი გფარავდეს. მიყვარხარ გულში.

• ყველაზე მეტად გულს ის მირევს, რომ ადამიანის განსხვავებულობას ვერ ვხედავთ და ყველა ის ბრბო გვგონია, რომელიც თავისი შხამიანი მზერით გულს გვიღრღნის. ლოვჩიკა.

• რუისპირ, მე მჯერა, რომ განსხვავებული ხარ და სიტყვები: „ღირსი იყო“, მხოლოდ ნიღაბია, რომლითაც გინდა დაამტკიცო, რომ შენც ამ სამყაროს ეკუთვნი. ლოვჩიკა.

• მე ის კი არ მაშინებს, რომ უსამართლო, ბრბო ხალხით ვარ გარშემორტყმული, არამედ ის, რომ დროის სვლამ არ მოიტანოს ის რეალობა, რომ მეც მათნაირი გავხდებ. ლოვჩიკა.

• დღეს ბარბარობა და ყველას გილოცავთ. გუშინ კი ლოს დაბიღები იყო. ლევან, მე მნამს შენი განსხვავებულობის. უბრალოდ, საჭიროც არაა, ეს სხვებმა გაითავისონ. ლოვჩიკა.

• ჩემი უსაყვარლესი მგზავნელები მენატრებიან — მემე, ენიგმა, გულში მიყვარხართ. ნიკოლი და გადარეული სად გაქრენ, ნეტავ? სად დამეკარგეთ? ნიბუ.

• მარი, ვილაც პლაგიატებს რატომ უბეჭდავ ცნობილ პოეტთა ლექსებს, ხელმოწერილ საკუთარი ნიკით? ეტყობა, თავადაც არ იცი, რომ ეს სხვისი ლექსებია! სირცხვილია! ქეთი.

• 5-7, გაიას. არ ვიცი რატომ, მაგრამ გელოდები. არ ვიცი რატომ, მაგრამ მენატრები, არ ვიცი რისთვის ან რატომ მეისიზმრები, ან რისთვის

გისაკუთრებ და სხვისთვის მენანები. მინდა ვიტყო, ცრემლი არ მომდის, მინდა ვიფიქრო, აზრი არ ამომდის, მინდა დაგივიწყო, ძალა არ მომეწინს. ისევ მარტო ვარ, შენ ისევ არ ხარ. წვიმას აპირებს და არსად ჩანხარ. არც ერთი სიტყვა, არც ერთი ფრაზა, ნეტავ ვიცოდე, ნეტავ შენ სად ხარ. მთელი ცხოვრება გეძებდი, კარგო. გეძებდი ქვეყნის გაჩენის დღიდან... ცხოვრებამ მტანჯა, მაგრამ არ ვდარდობ. სიცოცხლე მართლ შენ გამო ღირდა. ნეტავ რა გითხრა ამ სიმორიდან, მწუხარე გულით რა შემიძლია, ყველაფერი დავთმობ ამქვეყნად, მაგრამ უშენოდ ყოფნა არ შემიძლია. თუკი ლოდინი მარგუნა ბედმა, ნურც გაიფიქრებ, რომ ბედი არ მაქვს, უბედური ხომ მხოლოდ ის არის, ვისაც ლოდინის მიზეზი არ აქვს.

• აუ რა, მართლა რა ძაან მაგარი რომანია... აცრემლებული თვალებით ვწერ. როდის მოვა შემდეგი ხუთშაბათი? მარ, მიყვარს შენი რუბრიკა, მის ნეგრო.

• მე ცხოვრება მიყვარს! ნორმალური, წესიერი, საამური ცხოვრება, მთელი მისი მომზიბლავი ბანალურობით. აი, საუფლო, საითკენაც მე მივირტვი.

• 030, ბაჩი, როგორ ხარ, სიხარულო? ჩვენ კარგად ვართ. ახალ წელს მე და დათი წავალთ, სადაც დავდიოდით ყოველთვის, მერე მოვალთ შენთან. არ მინდა ინერვიულო. გთხოვ, ბაჩი. მერე სახლში მოვალთ. რაც შეეხება მანქანას, სიხარულო, წამეკაიფე? კაი, ბაჩი, არ ინერვიულო და რამეს ვიზამ. „წინასწარ“ ვაშლევინო ნერვები? კიდევ რა მოვიმატო ნერვების მოსაშლელი? შენს თავს გეფიცები, მეცინება. მაგარი ხარ. აი, სრული გაგიჟებისთვის ეგ მინდა და მერე აღარაფერი დამჭირდება, მერწმუნე. გაკოცე უამრავი და არ ინერვიულო. ბაჩი, რომ გნახავ, მერე ვილაპარაკოთ, რა და როგორ ვიზობია. ვაშლიჯვარში ვიყავი, თამუშას ცუდად აქვს საქმე. რანამ გაიგო იმ ნაშოჩის ამბავი და აუუ, დიდი ამბავია დატრიონალეული. მგონი ცუდად დამთავრდება. რანა იკლავს თავს, წავიდეს სახლიდანო. ალიკოც დედამისს ეთანხმება. ისეთი საცოდავია თამუშა, გული დაგეწვება. შემეცოდა მაგრად. შენც გადმოგწვდა რანა, ქალებში წანწალი თურმე შენც გყვარებია, — არადა, რა იყო, ხათუნას ბეჭებზე ზეთის წასასმელად რომ ეპატყებოდაო. ბაჩი, ვედარ ვსუნთქავდი, იმდენი ვიცინე. მოკლედ, დიდად გაქვს სახელი გაფუჭებული თათრებში, საზიზღარო. შენ გაკოცე უამრავი, ჩემო სიხარულო. მომენატრა შენთან წუნწუნი. უფალი გფარავდეთ ყველას. დათი მთხოვს შენს ნახვას. წამოვიყვან. ცდილობს, ჩემთან ერთად იყოს. დედას წერტილი გაიზარდა. სკოლაში ვიყავი, კრება იყო. კარგი ბიჭია, არ ვემდური, მაგრამ გული მწყდება, სიმღერა მიატოვა, საერთოდ აღარ უნდა გაგონება. გიტარის დანახვაც არ უნდა. ინანებს ალბათ, მაგრამ გვიან იქნება. მერე იქნებ შენ სთხოვო. ბებოს ბარტყი მაგარი კაცია. ჩემი ნომერი იცის, მირეკავს, — დედამ გამ-



აბრაზა, დადუ რომ დარეკავს, უთხარ-
იო. ვეტყვი, ბე, აბა რას ვიზამ-მეთქი
და უნდა ნახო, რა გამართული დადის.
მაგარი კაცუნაა, მოუნატრე, სიხარულო.
არა უშავს, გავუძღვოთ, ალბათ ეს უნდა
გაგველო. უფლის ნებაა და გავუძღვებთ,
ჩვენ ძლიერები ვართ. მინდა, კარგად
იყო. გავოცე უამრავი, ბაჩი. მენატრები
ძალიან.

• მაინტერესებს „გზის“ 50-ე ნომრის
მგზავნელის ნომერი. ნინოა, 20 წლის,
ქვრივი. ახლა ნავიკითხე და იქნებ დამეხ-
მაროთ. მგონი 50-ე მესიჯია. გთხოვთ,
ჩემი მესიჯი გულგრილად არ დატოვო-
თ. იმ გოგოს ნომერი მომწერეთ. მეც
ნინო ვარ, 20 წლის ქვრივი. მინდა გავ-
იცნო. ნომერი იქნებ მომწეროთ.

• სოსო ჯანგულაშვილო, მიყვარხარ
მთელი ჩემი არსებით. პანუ.

• 25, დე, ძალიან მენატრები. იმედი
მაქვს, 28-ში გნახავ. გილოცავ ნიკოლო-
ზობას, წმინდა ნიკოლოზი გფარავდეს.
ბი... გუშინ გაფრინდა მაია ჩამოვა, შენ
არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად
იქნება. ძალიან მისხარია შენი მეგობრე-
ბის ერთგულება შენდამი, მაგრამ ბე-
გიმ ყველას გადაუჯოკრა. ჩვენ ვერ ვა-
კეთებთ იმას, რასაც ის აკეთებს. მე და
გგი გოცნით. მაგრად იყავი. ოთარი
ჩამოვიდა ამერიიდან. ზურა ჩ... გამ-
ოვიდა და სულ ჩვენთან იყო. კახას
ცოლი და შვილი იყვნენ, მაგრამ ვერ
გნახეთ. ადრე დათოს ცოლიც იყო.
ბიჭები ძველებურად არიან.

• მე სასაცილოდ ვიგდებ ქვეყანას და
ღმერთს საყვედურს შევუთვლი ცოტას.
ატარექსია.

• მარი, ძალიან დიდი მადლობა მიღე-
ბისთვის. იცი, რა ცუდად ვარ?! გავთხ-
ოვდი, ქმარი მცემდა და წამოვედი. ვარ
ახლა ასე, მხოლოდ „გზას“ ვენდობი. აქ
ყველაზე მაგარი რუისპირია. 1916.

• მარ, მაპატიე, თუ დროს გართმევ,
მაგრამ თქვენი ბრალია. ამიტომ აქვე
გთხოვ, გავგიგე, ყველაზე ჭკვიან დედ-
ოფალს რა ნიგნები უნდა და იქნებ
როგორმე გვაცნობო. ან მანდ, თქვენ-
თან, აკვარუშის თავზე ჩამოვიდე განცხ-
ადება ან სულაც საშვია ბიუროში
დატოვე ინფორმაცია. არ შეიძლება,
მასეთ ბავშვს არ ნავეშველოთ. მგზა-
ვნელთა სახელით რაიმე საჩუქრით ნი-
ნოს გახარება პირადად ჩემთვის დიდი
პატივია და ამის დასტური იქნება ჩემს
სახეზე ფართო უღიბვა.

• აუ, მარ, რაც მოგწერე, იმაზე პა-
სუხი კი არა და, კომენტარი მომწერე,
რა... და მართლა დავეხმაროთ იმ გოგ-
ოს, ნინოს — „ყველაზე ჭკვიანში“ გამ-
არჯებულს, არ შეიძლება? და საერ-
თოდ, „მაგარი“ მარ, არ არის კომპლი-
მენტი. უდიდესი მოკრძალებით, თქვენს
სამსახურში იგულეთ უღიბვა.

• მწერალსა და მის მკითხველს შორის
არსებობს უხილავი თამაში — შუალე-
დი; გნებავთ — მანძილი. ბევრისთვის
იგი ვერტიკალურია, მაღლა — მწერა-
ლი და დაბლა — მკითხველი. მე რომ
მწერალი ვიყი, ამ შუალედს ჰორი-
ზონტალურად და წრფივად წარმოვსახ-
ავდი. გაიარა მწერალმა რალაც მან-
ძილი და მერე მკითხველსაც ამცნო ამ
გზის გავლის მეთოდი. მერე კიდევ გა-

იარა მწერალმა და ა.შ. მაგრამ თუ
მწერალი გაჩერდა და აღარ განაგრძო
მოძრაობა? ამ დროს ბუნებრივია, მკითხ-
ველი დაეწევა მას; შესაძლებელია თა-
ვადაც გაიგნოს მსა; და მწერალსაც
გადაასწროს ამ წრფეზე. ახლა შემო-
ქმედმა გადანყვობა განაგრძოს გზა და
აქ ხდება ყველაზე უსიამოვნო ფაქტი:
მწერალი მკითხველს აღუწერს, ამ უკა-
ნასკნელისათვის უკვე კარგად ნაცნობ
გარემოს. მკითხველი უკვე აღარ ენდო-
ბა და მეორეჯერ აღარ მოუსმენს (რომც
ისევ გადაასწროს მწერალმა) ანუ არ
ნაიკითხავს ამ თუ ნაიკითხავს, ისიც
მხოლოდ გულმოდგინე შეცნობით და
ცხადია, კლასიკოსებს.

• ახლახან ერთი ნიჭიერი ადამიანის,
ლექსების კრებულის ავტორის შემო-
ქმედებით საღამოზე მოვეხი (შოთას,
ილიას, ავაკის, ვაჟას და... ტიციანის,
პაოლოს, ლადოს, ანასა და მურმანის,
თუ გნებავთ ტუტჩევისა და ბუნიის,
ახმატოვას, ახმადუღინას, ბოლოკის, ეს-
ენინის, ბაირონის, გოეთეს და სხვა
მრავალ ტიტანთა შემხედვარეს, მიჭირს
კიდევ ვინმეს ვუნოდო პოეტი). ლაკვასტს
მართლა აქვს ის ღვთივობაძებული
„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“. ისე, რა ბუმბერ-
აზი და გრანდი უნდა იყო, რომ შენმა
ხალხმა სახელის უთქმელადაც, უტყვა-
დაც გაღიაროს. მართლაც „მეფე იყო
და პოეტი და სიმღერითაც მოკვდა“
(რა გაუმართლა ლაკვასტს, მასზე
საუბრისას თავისთავად რომ გადმო-
ჰყვა გულისტქმას ეს სიტყვები?!). იქ
გამოვიდნენ ახალგაზრდა ავტორები.
სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი
ბაციკაძე იყო და აღნიშნა ამ ახალ-
გაზრდად, რომ ჩემს ნაწარმოებებში ჩემს
სულიერ განცდას ვაქსოვ, ვერ ვაკვებ
ვერც უარყოფით ემოციას და ცალკეულ
შემთხვევებში ნაწარმოები ბოღმითა და
ღვარძლით არის გაჯერებულიო.
ოცნაი ნიღბის ხისტი, პასიური რომ-
მანტიკოსებისაკენ გადახრილი და აგრე-
სიული ავტორები, უპირველესად, მა-
იაკოვსკი წარმომიდგა თვალწინ. საერ-
თო ჯამში იმის თქმა მინდა, რომ ისევ
ენა ქართული, სიტყვა ქართული (რა
ენაზე გნებავთ გაუყვადეს) და კდემა
ქართული გააერთიანებს საქართველოს.
არა — პოლიტიკურად მეძავი ოპოზიცი-
ის მიერ, არა — ბინძური პოლიტიკ-
ურატივის მიერ უნიჭოდ მართული,
არამედ ქართველ ახალი თაობის,
ოთხმოცდაათიანელების მიერ ლაღად
და მნიკვლადუდებლად წარმოჩენილი.
მგონია, რომ პოეტური ენით უფრო
მეტის მიღწევა შეიძლება, ვიდრე
სამხედრო ან თუნდაც ულტიმატუმის
ენით. აფხაზებსაც ჰყავთ ნიჭიერი თაო-
ბა (ნაწილობრივ, ქართული სისხლისა
და გენის მქონე). მათ შორის აღვნიშ-
ნავდი ირინა ჭკადუას, რომელიც აფხ-
აზეთის ჰიმნის თანავტორი გახლავთ.
ბუნებრივია, მისი ლექსები რუსულად
არის დაწერილი და შემიჩნდა აზრი —
რა იქნება, რომ ითარგმნოს ახალგაზრ-
და შემოქმედთა ნაღვანი რუსულიდან
ქართულად, ქართულიდან — რუსუ-
ლად ან სულაც — აფხაზურად. ჩვენ
ჩვენს მოსაზღვრე ქვეყანად სხვა სახ-
ელმწიფოებს ველარ ავირჩევთ...

• მისტერ, ძალიან მომწონხარ. ქაჯე-
ბის დედოფალი და რუისპირ, თქვენც
ძალიან მაგრები ხართ! მოკითხვა ყვე-
ლას!

• ქალბატონო მარი, ან გარდაცე-
ლილი მეუღლის ავადმყოფობამ გამსა-
და თქვენი ჟურნალის აქტიური მკითხ-
ველი. მისთვის ვიყიდე იმ დღის გამო-
სული ჟურნალი „გზა“. ეს დღე ხუთ-
შაბათი იყო. მას შემდეგ ექვსი წელი
გავიდა და ყველა ნომერი შექნილი
მაქვს. ყოველ ხუთშაბათს ველოდები
და ქალაქში მივდივარ მის შესაძენად.
ძალიან მომწონს ჟურნალში გამოქვეყ-
ნებული მასალების მრავალფეროვნება
და თემატიკა. მიუხედავად ასაკისა, დიდი
სიამოვნებით ვკითხულობ თინეჯერ-
ულ პონტებსაც, რომელიც წარსულში
მაბრუნებს და მახსენებს სასიამოვნო
მოგონებებს. განსაკუთრებით დიდი
მადლობა „ქართული პროზის საგან-
ძურის“ გამოცემა-გაყიდვისთვის.
შეჭირვებულ მსურველებს ხელსაყრელ
ფასებში შეუძლიათ ამ ნიგნების შეძე-
ნა. თავს უფლებას მივეცემ, გაგანდოთ
ჩემი გულისტკივილი. შეიძლება დროს
ჩამოვჩრი და ისევ XIX საუკუნეში დაერ-
ჩი. გამომდინარე ქართული ტრადიციე-
ბისა და მენტალიტეტის გათვალ-
ისწინებით, ჩემთვის მიუღებელია და
მტკივნეულია, როცა რომანებისა თუ
„გზავნილების“ მოქმედი პირები —
ქალიშვილები თვითონ აქტიურობენ და
მათთვის სულერთია, ვის ჩააბარებენ
ქალწულობას. ნაწარმოებებისა და მო-
ქმედი პირების დასახელება შორს
ნაგვიყვანს. ამით დათვურ სამსახურს
ხომ არ ვუნევთ? 15-20 წლის გოგონე-
ბი ვიღაცას დაუნებებან და როცა მუცე-
ლი წამოუბრდებათ, მერე გთხოვენ
რჩევასა და დახმარებას. სწორედ ერთი
საბედისწერო შეცდომის გამო ბევრი
მეძაობის გზას დასდგომია. თუ პა-
სუხს მივიღებ, რამდენად საფუძვლიანია
ჩემი გულისტკივილი, მადლობელი
ვიქნები. პატივისცემით, პენსიონერი
გურამ ფუტკარაძე. ბათუმი, სოფ.
ყოროლისთავი.

• სულ მაინტერესებდა, ვინ დამანათ-
ლა ეს ანგელოზის ღიმილი. მე ხომ
არასდროს მყოლია ნათლია.

• ერთი რამ ზუსტად ვიცი: ამ ღიმი-
ლის დამსახურებაა სწორედ, რომ უმან-
კო ვგონივარ ყველას, მიუხედავად იმ-
ისა, რომ ღამლამობით დაჩითულ ბალ-
ახზე გამოლტვილ ჩემს სხეულზე უთვა-
ლავი ნაკანრი დაუტოვებია ვნებამ-
ორულად მთვარეს, ლურჯი ფრჩხილებით
(და არა მხოლოდ მთვარეს).

• არაერთხელ აზიღულა ჩემი და ჭრი-
ჭინების შერწყმული კვნესა ღრუბლე-
ბამდე (ცხადია, არა მარტო ჭრიჭინე-
ბის). უმანკო ვგონივარ მიუხედავად იმ-
ისა, რომ მზე მრავალჯერ დაუფლებია
ჩემს სხეულს. შემოსულა ჩემში, მომ-
ფერებია ყველაზე გარყვნილი ალერსით
და დავეკოცნივარ ყველაზე ბილნი ამ-
ბორით (და არა მხოლოდ მზეს). შემო-
სულა ჩემში და აუესია ჩემი საშვილოსნო
პატარა მზეებით. მე კი, გაზაფხულის
ნამიან ღამეს, აკვირებულ ხედ ქვეულს,
არასასურველი შვილებივით მომიშორე-
ბია კვირტებად ქვეული პატარა მზეები

(და არა მხოლოდ მზეები) და ახლა, როცა ქრისტეს ასაკს მიღწეულ „მე“-ს მუქი ღვინოთ სავსე ფიალით მლოცავს ჩემი ჭარბი მეზობელი და ჩემით აღფრთოვანებული ამბობს საკუთარ მხოლოდმობილზე, შენაირი საამაყო გაზრდილიყოსო, მე სიმწრით მეცინება, მზრუნველი მამის მიერ საყვარელი ასულის უნებურ დანყველაზე. და როცა მე მგონია, რომ სიმწრით ვიცინი, ვიცი, სხვები ისევ ანგელოზის მიამიტ ღმილს ხედავენ ჩემს ნიღაბმორგებულ სახეზე... P.S. მარ, ესეც პროზაულად გამხელილი ცოდვები :) მთლად ჩემი ცოდვები არ არის, მაგრამ მაინც ცოდვები... პატივისცემით, მე-კალ-მე.

• კიდევ ბევრს გვითმენს უფალი, მაინც ბევრს გვაბატობს, მაინც გვაძლევს შანსს გამოსწორების, სინანულის, ჩვენ კი ესეც არ გვინდა. მასთან სიახლოვე და ნეტარების შეგრძნება გვეზარება, ლოცვა გვეზარება, მარხვა გვეზარება, სინანული და მიტევება გვეზარება... არადა, როგორ სწყურია სულს... როგორ შია გულს... როგორ განიცდის... სჭირდება... ჩვენ კი არ ვაქცევთ ყურადღებას მის გამოძახილებს... არადა, როგორ განიცდის... ჩვენ კი ისევ ვცოდავთ... სინანული არ გავაჩნია. შეგვიწყალე, უფალო, გვედრები ცოდვილი სულით. კლეოპატრა.

• ამ უღიბესთან რა უნდა ამ ხალხს, ვერ ვხვდები. ადამიანი ცდილობს და გვიყვება რაღაცას (გამოსდის კიდევ) და რას ერჩით? თუ განსაკუთრებულად უბეჭდავს, ეს მარის გადამწყვეტილება და რატომ შევეწინააღმდეგეთ? მე მომწონს უღიბესა და მარისაც. ასე რომ... კლეოპატრა.

• ახლა სახლში მივდივარ და წვიმს, მე კი ვარ უქოლგოდ, თან როგორ „ბღენაა“. არადა, როგორ მიყვარს წვიმა. ნეტავ რიანა თავის „ამბრელას“ არ მათხოვებს? კლეოპატრა.

• გვიანი შემოდგომის წყნარი საღამოა, ცივი ქარი ხიდან დაცვნილ, გამხმარ, ოქროსფერ ფოთლებს ეთამაშება, აშრიანებს და საღამოს სინყნარეში ბუნების იდუმალ ჰარმონიაზე საუბრობს. სახურავზე სავამურიდან ამომავალი კვამლი ღამის სიჩუმეში ცას ერთვის და თითქოს მთვარისკენ მიემართება... მზისგან მიტოვებული — მარტო სულის გასათბობად. ღამე უღამაზესად გაილია და გამთენიისას ზამთრის პირველმა თოვლმა გამოადვიდა სახურავებში მოზინადრე, კეთილი ბელურები. მათ ჭიკჭიკით ამცნეს სოფელს ზამთრის მობრძანება და მათი ჭიკჭიკი სულ მალე პატარების ჟრიალულმა შეცვალა და გააყრუა მიდამო... დაღამდა. სოფლად ღამის სიჩუმეში აქა-იქ ყეფენ ძაღლები. მკრთალი ღამე, ვარსკვლავებით მოქარგული უძირო ციდან დაჰყურებს პატარა სახლებს. რომელთა სარკმლებიდან თითქოს მთვარის ნათების პასუხად, გამოსჭვივის თბილ ბუნარში ონავრად მოელვარე ცეცხლის მბჟუტავი სინათლე. ამ ჟრიალულში გაილია ზამთრის პატარა, მაგრამ ღამაში დღე... კვლავ მოსალამოვდა, შრილა, ოქროსფერი ფოთ-

ლების ნაცვლად ახლა თოვლის წყნარ, ქათქათა ფანტელს ეთამაშება ქარი. კვლავ ყეფენ აქა-იქ ძაღლები, კვლავ დანთებულია სოფლის პატარა, მყუდრო სახლებში თბილი, ნითლად მოელვარე ბუხრები, ახლახან შეწყვეტილი ფანტელების ცვენა. ეს ბუნების ტკბილი და სიმშვიდით გამორჩეული ღამაში ჰარმონია უზომო სიხარულით აგავსებდა... ჯაყისმანელი.

• გამარჯობა, ქ-ნო მარი, დღეს ყურნალ „გზას“ და „გზავნილებს“, „მოზილი-ზაციას“ ვკითხულობდი. უინტერესო მომჩვენა, ლაკვასტის, ქ-ნი დუმბაძისა და მისირელის გარეშე...

• ტანოს: ძალიან მაგარი ლექსია, ამრავლოს შენაირები უფალმა. მასე განაგრძე.

• მარი, ბოლო გვერდზე უნიკოდ რომ წერს ვილაც, ჯერ ერთი, საავტორო უფლება ირღვევა, რადგან ავტორს არ მიუთითებს, მეორე კი მომაბეზრებელია, ცოტ-ცოტა მაინც დაუბეჭდე.

• გინახავს ოდესმე აპრილის წვიმაში, მარგალიტისფერი წვეთების სინორჩე? თვალის ქუთუთოზე ცრემლებად რომ განვიმს და სადღაც გიჭრება ქალური სიმორცხვე. გიგრძნია ოდესმე სუსხიან ზამთარში, მზისგან მოგზავნილი სხივების სინაზე? ხანდახან გულნატკენს ტირილი რომ გინდა და მაინც იცინი, სუყველას ჯინაზე. დადიხარ ამქვეყნად თითქოსდა უბინო, თითქოს ეს სამყარო მარტო მე ვაცდუნე, ხანდახან მგონია, ის ეშმა მე ვიყავ, გველად შევიმოსე და გადაგარწმუნე. არადა, ძვირფასო, ვინ იცის, მაგ სულში როგორ ბობოქრობენ ვნებების ტალღები, იქნება ერთ დღესაც თავიც კი დავიხრჩო, ცოტა თუ დათბები, ცოტა თუ გალღვები. ვინ იცის, იქნება ის ევა შენ იყავ, ადამს რომ გაულო სამყაროს კარები, თავბრუ დაახვია, აცდუნა ბედკრული და მერე აუხსნა ხევეული თვალები. და მაინც, შენ გქვია სამყაროს მშვენება, მე კი ღმერთისგან ნაქერნი მიწა ვარ, უშენოდ, ძვირფასო, ცხოვრება მოკვდება, უსახლვოდ მიყვარხარ, სიცოცხლეს ვფიცავარ... P.S. მომენატრეთ, გადარეულბო... მაესტრო.

• დიდი მადლობა იმ მგზავნებს, ვინც ზანგურის ლექსები გამოგზავნა. გთხოვთ, კიდევ იაქტიუროთ და ავტორი მიუთითოთ, იქნებ ისეც დაიბეჭდოს ჟურნალში.

• ნიგნი სამწუხაროდ ვერ ვიშოვე ქუთაისში. კიდევ ერთხელ მინდა ვახსენო „ქართული პროზის საგანძური“. რა თქმა უნდა, უმეტესობა ნაცნობი, საყვარელი და მერამდენედ ნაკითხულია. სამწუხაროდ, ხშირად ვხედავ გაუყიდავად დარჩენილ ტომებს, რადგან ხალხს ის 4 ლარიც არა აქვს ზოგჯერ. გზავლობ წინასწარ. პატივისცემით, სვანის ასული.

თუ მძიმე ჩანთები ჰქონდა, მერედა მაჩვენებდა და მძიმე პარკებსაც მათრევენებდა სახლამდე. ერთ დღეს კი ბებოს ჩაედინა გზაში და ისე ჩამოვყვდი, არ გავადვიდე. ცოდავ გამხელილი სჯოროსო და პარკების თრევა დამეზარა. :) თან ბებოს საშუალება მივეცი, ბოლომდე გამოეძინა. ბარბარე.

• მარი, მგზავნელებო და უბრალოდ, „გზის“ ერთგულ მოკითხველებო, სალოს ჩანახატითა და სანოს ლექსით მოხიბლული გესალმებათ. ლაკვასტი...

• მარ, ამ უღიბესთან რა უნდათ? მე (და არა მარტო მე) სიამოვნებით ვკითხულობ მის გზავნილებს. მოვიკითხავ პატივისცემით. ქ-ნი დუმბაძის წასვლაც გვეყოფა. ლაკვასტი.

• ნამდვილი რწმენისგან უნდა განვასხვავოთ ცრურწმენა. ცრურწმენა, როცა სხვადასხვა მოვლენას ალექიკვით რაღაც მინიშნებებად და აქედან გამომდინარე, დიდ ყურადღებას ვანიჭებთ ხელისგულის, ცხვირის ქავილს, ცარიელი სათლებით მომავალ ადამიანს, გზიდან მოზრუნებას, კოვზის, ჩანგლის, დანის დავარდნას და ასე დაუსრულებლივ. ზოგჯერ ჯვარს საკმეველს შეაბამენ ან გულმუნუხებულს პირში ჩაუდებენ, ცხვირის დაცემინებისას კი ერთმანეთს ეუბნებიან, ჭჭმარიტებს რაღა შენი დამონშება უნდაო. წინააღმდეგ შემთხვევაში კი უბედურებას უწინასწარმეტყველებენ. ყოველივე ამას საერთო არაფერი აქვს რწმენას და ქრისტიანობასთან. ლაკვასტი.

• სუთმბათმშვიდობისა, სულში ჩასაძვრენო და იქიდან აღარგამოსაშვებო მგზავნელებო. ცოდვას რაც შეეხება, ჯერ კიდევ საკითხავია, ჩადენილი ცოდვის გამხელა სჯოროსო თუ დამალვა. პირადად მე, როცა ჩემი საშვილიშვილოდ დამალული ცოდავ გავამხილე, მწარედ ვინანე. მეგობარმა გულახდილობა ვერ დამიფასა და ვერ მაპატია, მის მაგივრად მის მზე-ჭაბუკს დაუფარავად რომ მიცენრე, რასაც მის შესახებ ვფიქრობდი. ნაღია ბებოც გაანაწყნა იმის გაგებამ, რომ წინა ზაფხულს, მისთვის განკუთვნილ ხინკალში ფქვილი მე ჩავყარე. ცოდავ ვერც ჩემმა დამ შემინდო, როცა დედამ ჩემი გაფუჭებული საქმე მას დააბრალა. ბებოც გამი-



ჯავრდა, როცა ვუთხარი, რომ მის ხელისგულზე გაზრდილ ყვავილს მე მოვუღე ბოლო. თუ შეა უნდა ვალიარი, რომ ვერც მე ვაპატიე ზოგიერთს ჩემი მისამართით უსამართლოდ ნათქვამი თუ გაკეთებული ცოდვა. საქვეყნოდ უნდა ვალიარი კიდევ, რომ ჩემს დაუპატიჟებელ სტუმრებს „სო-ჩიკიდან“ დენი მე გამოვურთე და გამომეზული დავტოვე. ასეა, ბატონო, მოსვლა რომ იცი, ნასვლაც უნდა იცოდე. გკოცნით, გეხვევით, განძის მაძიებლის მაძიებელი.

• მე ავტირდი, სიყვარულმა ამატირა, მენატრები, უშენობამ გამაგიჟა, რა შორსა ხარ, სიხარულო, შენთან მინდა. ნინიმზ.

• მოვედი. რა ხდება აქანე, სიმონ? აცივდა რაცხა ქუთისში. მევიდა გონია ზამთარი. :) ახალი წელი მოვა მალევე! :) ბაჭია ვის ჰყავს სახლში?

• მაგრად მომწონეყე YELLOW... მართლა მწველელეზე შენი გზავნილი გლიჯავს... ჰო, მეც სოფელი ვარ, ყველას ასე უნდა, ვინც მხოლოდ გახსნილი ჯინსით გაფასებს. ვოოოუ! მეგი.

• მარ, ყველა გულს მტკენს, რატომ არ გვაქვს ნეტავ ბედნიერების უფლება? ნუთუ გარეგანი ნაკლი ყველა სულიერებას აუფერულებს? კურკა.

• არაჩვეულებრივი ადამიანია რუი; უსაყვარლესია კუტრინა, რომელიც აღარ ჩანს; SWEET-ი, რომელიც დაიკარგა, ახლისება აქაყარობას. მინდა მაცსტროზე ვთქვა, ამ უსაყვარლეს ადამიანზე: მიყვარს ეს ადამიანი, უამრავი ლამაზი დღე მაჩუქა. გახსოვს, გი, სურამში ჩემი ყოფნა?

• ცოდვა გამხელილი სჯობს და „გზავნილების“ დაარსების დღიდან მინდა გავხდე მგზავნიელი, მაგრამ სულ თავს ვიკავებ, რადგან შორიდან გაცილებით კარგები და საყვარლები ხართ. მე გიცნობთ ფოტოებით, წაკითხული მაქვს თქვენი პირველი გზავნილები, როგორ მონიწიებით ითხოვდით ძველებისგან მიღებას. ითხოვდით რჩევებს, შემდეგ კი სხვებს აძევებდით აქედან. მარ, დამიბეჭდე, თორემ რაღაც საინტერესო ვიტყვი „გზაზე“ და მის ერთ უსაყვარლეს მგზავნილზე. ამდენი ვინავე და მგონი ვიმსახურებ, დამიბეჭდო, თან ახალი წესიც გავითვალისწინე. დალო.

• მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს მეგობარს, ვისაც ვუყვარვარ და ჩემ გვერდით არიან ან გარკვეული მიზეზების გამო ვერ არიან. შეუნდეთ თქვენს ცოდვილ გრუზინკას.

• ყველა ადამიანი მეტ-ნაკლებად ცოდვილია. მე კარგი გაგებით ცოდვილი, 3 წლის წინ გავხდი, როდესაც შემთხვევით ჟურნალი „გზა“ გადავხადე და ვეზირაე „გზავნილებს“. გრუზინკა.

• ღვთის განდგომას სულ გერჩიოს ხალხისაგან ზურგით დგომა. ვერ გაგიგეს? ნუ გაშინებს, რად გაბრმავებს ეს დიდება. ყოველივე წარმავალი ფუჭია და გაუღებია, მხოლოდ ღვთის გზით სიარული მოგანიჭებს უკვდავებას. ნუ შელახე სული წმინდა წარმატების მოლოდინში. ეშმა ხარობს, უფალი ნუხს, შენი ასე გაურჩებოთ. წადი ისევე მონასტერში, ნუ გაშინებს ხალხის ენა, ცოდ-

ვებისთვის პატიებას ეძიებდე მხოლოდ ღმერთთან. შეიგნე, სხვის მიტევებას რომ გაჰყვება შენი წყენა, ღვთის განგებას ვერ ნაუხვალ...

• მოგესალმებით, მარი და მგზავნილებო. ახალი ვარ და იმედია, მიმიღებთ თქვენს ოჯახში. თითქოს თბილი კერა ვიპოვე და მინდა, მეც თქვენთან ვიყო თბილად. განსაკუთრებით მომეწონა ლაკვასტის და კლეოპატრას ლექსები და ჩანახატები. წარმატებებს გისურვებთ, შემოქმედების გზაზე. ღმერთს ებარებოდეთ! დიდი სიყვარულით, სალო2.

• ღმერთმა ყველას მოგვამდლოს ჭემ-მარიტი სიყვარული. გვეხაროს მარად უფალში და ეს სიყვარული თითოეულ ადამიანთან მიგვეტანოს და გვეხაროს ერთმანეთის სიყვარულით! სალო.

• შემოდგომა... ლამაზი, ყვითელი ფოთლები ირგვლივ მიმოფანტულა... მივდივარ და მივთვალავ ყვითელ ფოთლებს, რომლებიც ჩემში მხოლოდ სევდას აღძრავს... მენატრება ძველი დრო და ის შემოდგომა, ტკივილისა და ღალატის გარეშე... ახლა კი... ახლა მხოლოდ ტკივილი და ტყუილია. უსიყვარულობას განვიცდი, ადამიანის უსიყვარულობას... ნუთუ ნუგეში მხოლოდ ამ ფოთლებისგან მივიღო? ნუთუ ტკივილი მხოლოდ ფოთლებს გავანდო? ადამიანები სადღა არიან? სად არის მათი სიყვარული? ის სიყვარული, რომელსაც სიტყვით ყოველ წუთს გვიმტკიცებენ. საქმემ კი ამხილა ისინი... ვერა და ვერ ვპოულობ სიყვარულს, რომელსაც ვეძებ. თითქოს ირგვლივ მოსიყვარულე წყვილები ირვიან, მაგრამ — არა! ნუთუ ესაა, ხალხხო, სიყვარული? ნუთუ, ბაგეზე ერთი კოცნით გინდათ დაამტკიცოთ სიყვარული? მაშინ ახლა რატომ ვარ მარტო? ტკივილის გაზიარება სხვისთვის მინდოდა? იმიტომ, რომ ქვეყანაზე არ არსებობს სიყვარული. სიყვარული ადამიანს არ შეუძლია, რადგანაც ეგოიზმი ბუდობს მასში და შინაგანი ეგო არ აძლევს იმის უფლებას, სხვას მიანიჭოს სიყვარული. მას მხოლოდ თავისთვის უნდა სიყვარული... ბილიკი დამთავრდა... და ჰოი, საოცრება... ტაძრის წინ ვდგავარ... სიყვარულის ძიებაში უფალმა თავისთან მიმიყვანა და დამანახა ის, რასაც ჭემ-მარიტი სიყვარული ჰქვია, ჩამისუტა და შემიყვარა მე, ცოდვით დაცემული... ხალხო, გავახილოთ თვალები, გავხსნათ გულის კარი და მივიყვართ ერთმანეთი, ვაპატიოთ ერთმანეთს ყველაფერი, მოვეფეროთ ერთმანეთს და ყველანი ერთად ბედნიერები ვიქნებით. ვიხაროთ უფალში, სიყვარულმა თავისი გზა უნდა ნახოს და ბოლომდე მივიდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ მიდის, ჭკნება, რადგან ეს ის არ არის, რასაც ჭემ-მარიტი სიყვარული ჰქვია! ...იქ ვიმყოფები, სადაც მუდამ სიყვარულია! მივხვდი, რომ ვიპოვე, ვიპოვე ის, რასაც ამდენ ხანს ვეძებდი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს სიყვარული ვერ ვიპოვე ადამიანებში...

• მარ, როგორ ხარ, საყვარელო? აუ, ქალბატონო ნანი, გემუდარებით, დაგვიბრუნდიიი... თქვენ ჩემი აზრით, დღეს ერთადერთი ნათელი წერტილი ხართ „გზაში“. გკოცნით! CRAZY GIRL.

• სალამო მშვიდობისა, მარი... აუ, 2 უსაყვარლესი ადამიანი, 2 გიო, ჩემი გაჩენილი კუტრინა და ჩემი მწვანეთვალეა რუისპირი მენატრებიან სიგიჟემდევეყე! CRAZY GIRL.

• აუ, ნაომის მესიჯებს რომ ვკითხულობ, სურვილი მიჩნდება, დავიჭირო და მაგრად ვანვლო... მერე კი... მე შენ მოგარჯულებ, ჩემო პატარა, ველურო გოგო. ლევაინ, 39 წლის.

• ნაომი ნავიდა? მისტერცი... არადა, მაგრად ესიყვარულეოდნენ ერთმანეთს. :) ორივე მევასებოდა. ნანი ბებოც... ღირებული აღარავინ ხართ.

• მარ, სიხარულო, გული დამწყდა, უღიბპეას რომ ასეთი თვალთ უყურებ. განა დანაშაულია, აზრიანი, კარგი გზავნილის დაწერა და შეიძლება მოწერის სურვილი დაუკარგონ. ნუთუ ასე ძნელია, უბრალოდ ნაიკითხო და მიიღო საინტერესო ამბად, ყოველგვარი შურის გარეშე? ასე მართლა ვერ გავფრინდებით შორს! ამას განა იმიტომ გწერ, რომ ჩემი ამბავიც მოხვდა წინა რიგებში, უბრალოდ, მე ეს მიმამჩნია სიმართლედ. მაპატიე. მიყვარხართ, მარ!

• ბარბარობას გილოცავ, მარი, არ გეწყინოს, თქვენობით რომ არ გწერ. შენს ყველა რომანს და აზრებს მუდამ ვკითხულობ. ზოგჯერ გეთანხმები, ზოგჯერ — არა. ჯიგრიანი ქალი ხარ.

• ცოდვა გამხელილი სჯობს და მიყვარხარ, მათააარ! ფიფქია.

ლეთს მივულოცო ბარბარობის დღესასწაული. მრავალს დაესწარი. მიყვარხარო. ქაჯების დედოფალი.

• მათააარიიიი, იის მესიჯე რათ არ დამიბეჭდე? დედიკო ვეჭყვი და გაგიბრაზდება... :) მოკითხვა რუის, მისტერს, სკარლეტს, ლაკვასტსა და ფლამინგოს. ქაჯების დედოფალი.

• მოვიკითხავ ნანი დუბაძეს. დაგეტოვა, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ თვალს ისევე გვადევნებს. ქ-ნო ნანი, ძალიან დააკლდით ჟურნალის ფურცლებს. ქაჯების დედოფალი.

• მარ, როგორ ხარ, საყვარელო? აუ, ქალბატონო ნანი, გემუდარებით, დაგვიბრუნდიიი... თქვენ ჩემი აზრით, დღეს ერთადერთი ნათელი წერტილი ხართ „გზაში“. გკოცნით! CRAZY GIRL.

• სალამო მშვიდობისა, მარი... აუ, 2 უსაყვარლესი ადამიანი, 2 გიო, ჩემი გაჩენილი კუტრინა და ჩემი მწვანეთვალეა რუისპირი მენატრებიან სიგიჟემდევეყე! CRAZY GIRL.

• აუ, ნაომის მესიჯებს რომ ვკითხულობ, სურვილი მიჩნდება, დავიჭირო და მაგრად ვანვლო... მერე კი... მე შენ მოგარჯულებ, ჩემო პატარა, ველურო გოგო. ლევაინ, 39 წლის.

• ნაომი ნავიდა? მისტერცი... არადა, მაგრად ესიყვარულეოდნენ ერთმანეთს. :) ორივე მევასებოდა. ნანი ბებოც... ღირებული აღარავინ ხართ.

• მარ, სიხარულო, გული დამწყდა, უღიბპეას რომ ასეთი თვალთ უყურებ. განა დანაშაულია, აზრიანი, კარგი გზავნილის დაწერა და შეიძლება მოწერის სურვილი დაუკარგონ. ნუთუ ასე ძნელია, უბრალოდ ნაიკითხო და მიიღო საინტერესო ამბად, ყოველგვარი შურის გარეშე? ასე მართლა ვერ გავფრინდებით შორს! ამას განა იმიტომ გწერ, რომ ჩემი ამბავიც მოხვდა წინა რიგებში, უბრალოდ, მე ეს მიმამჩნია სიმართლედ. მაპატიე. მიყვარხართ, მარ!

• ბარბარობას გილოცავ, მარი, არ გეწყინოს, თქვენობით რომ არ გწერ. შენს ყველა რომანს და აზრებს მუდამ ვკითხულობ. ზოგჯერ გეთანხმები, ზოგჯერ — არა. ჯიგრიანი ქალი ხარ.

• ცოდვა გამხელილი სჯობს და მიყვარხარ, მათააარ! ფიფქია.



გილოსავ!

• რამაზ ბინაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. მრავალს დაგასწროს უფალმა. გაიხარე და გამრავლდი. თამუნა, ნიკა, ნათელა, მზია.

• მალხაზ გრძელძიქს: მამიკო, გილოცავთ შობა-ახალ წელს. გისურვებთ გამოჯანმრთელებას, გათავისუფლებას და დიდხანს სიცოცხლეს. გკოცნით, მარი და მამუკა.

დასაწყისი იხ. გვ. 76

• მალხაზ გრძელიძე, გილოცავთ შობა-ახალ წელს. მალე გათავისუფლებას, გამოჯანმრთლებას და ულევ სიხარულს გისურვებთ. გკოცნით, მანანა და ირმა.

• მერაბ კუპრაშვილო, გილოცავთ შობა-ახალ წელს. გისურვებთ მალე გათავისუფლებას, ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. გფარავდეს ღმერთი. ნატო, მანანა, გივი.

• პროსპექტელ ორ ძმას მთელი გულით ვულოცავ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს. მალე შეხვედრამდე. ზაზა.

• გილოცავთ ახალ წელს. უფალში გაძლიერებას, მოყვასის სიყვარულს და სულიერ სიმშვიდეს გისურვებთ. უფალს ებარებოდეთ. კლოპატრა.

• ათენში დროებით მყოფ ინგა ფორჩხიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ალავერდს ვთხოვ დაგიფაროს, ნიკორწმინდა გწყალობდეს, ბეთანიამ ჩაგიხუტოს, გელათი კი გყვარობდეს. შენთვის წვიმამ გადაიღოს, წუში მუდამ ყვაოდეს, ღმერთმა ტკბილად დაგაბეროს, სიყვარულით ხარობდე. ინეზა.

• ათენში დროებით მყოფ სოფო სოფრომაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ დიდ-დიდ სიყვარულს, ლამაზ სიხარულს, ოცნების ახდენას, ვარსკვლავის ანთებას, ცხოვრების სინათლეს, უგრძელეს სიცოცხლეს. ინეზა დეიდა.

• ზარები რეკავენ, ბარბარობაა, დილა გათენდა წმინდათა წმინდა, ტაძარში რამდენი სანთელიც იწვის, შენთვის იმდენი სიკეთე მინდა. გილოცავთ ბარბარობას. ნაპერწყალა.

• ბოხო-ბოხო, დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ ყველაფერ კარგს, შენს პატარა, ლამაზ ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარხარ, ბრატ, გკოცნი უამრავს. შენი გრუზინკა დაიკო.

• გამარჯობა, მარ, როგორ ხარ? ბარბარობას გილოცავ. წმინდა ბარბარემ დაიცვას და დაიფაროს შენი ლამაზი ოჯახი. ძალიან მიყვარხარ. მე ახლა კარგად მაქვს ყველაფერი. გამაღობ ყურადღებისთვის.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტრე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ყურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ვარელ სამშობლოს ჯერ არასდროს შესცივინია ასე მარტოობისგან, მაგრამ გამოსავალი არ არსებობს... ცრემლები ხელით მოიწმინდა... თითქოს 5 წუთში დაბერდაო, ისე შეეცვალა გამომეტყველება. — დღეს ქართველების და არა მარტო ქართველების უდიდესი პრობლემა — გულგრილობაა, ხალხმა სიყვარულის უნარი დაკარგა... — არ დავეთანხმე, მაგრამ შეპასუხება ვერ გავბედე... — ახლა თქვენთვის, ახალგაზრდებისთვის გაუფასურდა სიყვარულის ძველი თამაში, რომელსაც მომხიბლავი წესები წარმართავდა, ლალატი ახლა ლალატად აღარ მიიჩნევა, ერთგულება მხოლოდ სიძველეს ყოფილა, რომელმაც მნიშვნელობა დაკარგა...

ახლათ შეამჩნია ჩემი ინტერესით სავსე, გაფართოებული თვალები ლიამ და გალიმება სცადა.

— ვიცი, რომ ჟურნალ „გზაში“ რალაცებს წერ. არ მინდა ქვეყნიდან ისე წავიდე, ისე გავყარო ჩემს მეორე ნახევარს, ჩემს მუჭისხელა საქართველოს, რომ ვერავის მოვყევი ჩემი ამბავი.

— შემიძლია, რომელიმე ჟურნალისტის ტელეფონის ნომერი მოგცეთ. დარწმუნებული ვარ, მოგისმენენ, თქვენს ტვიკილს გულთან ახლოს მიიტანენ და „გზის“ ფურცლებსაც სიამოვნებით დაგიტომბენ, — ვუპასუხე დაბნეულმა და ტელეფონში ნომრის ძებნა დავიწყე...

— არა, არა, გენაცვალე, მომისმინე... გასული საუკუნის 80-იან წლებში, მაშინ, როდესაც ადამიანის ცნობიერებიდან დაწყებული, მისი ტანისამოსით დამთავრებული, ყველაფერი ნაცრისფერი იყო, ვგრძნობდი საკუთარ გამოჩეულობას... თეთრი, წითელი, მწვანე, ყვითელი... ფერადი ვიყავი. როცა შვებთ ამოვისუნთქე ანუ გაზაფხული მოვიდა და მეც „გავმწვანდი“, ძალით დამაყრევინეს ფოთლები, „დამბერტყეს“... ფრთები გამოვიხსი და ის იყო, უნდა ავფრენილიყავი, ორივე ფრთა ძირში მომატყვიეს... აი, ახლა სრულიად უცხო ადამიანის წინ ვყვები ჩემი მწარე წარსულის შესახებ და ერთადერთ იმედს ვიტოვებ, ვინმე იტყვის, შენ მართალი ხარ, ძლიერი ხარ, ღირსეული ქართველი ხარ... და ყოველ წამს ჩემს მარტოობაში მზესავით ვიძიებ... ახლა რასაც მოგიყვებით, ვიცი, ბევრს გულსამრევად მოეწონება. მეც ასე ვარ, მაგრამ არ მინდოდა, გეფიცებით... არ ვიცოდირ.

2 წუთით სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა... დავიძაბე... ქალბატონმა ჩემი დის მიერ შეთავაზებულ ყავაზე უარი განაცხადა და განაგრძო:

— ოჯახი სიყვარულით შექქმენი. ყველაფერი მქონდა, რაზეც ქართველი ქალების უმეტესობა ოცნებობს, მაგრამ უტვინო აღმოვჩნდი. როცა ჩემი ვაჟი, ჩემი ერთადერთი შვილი 20 წლის გახდა... — ისე აკანკალდა, შემეშინდა, ცუდად არ გახდეს-მეთქი.

შეამჩნია რა ჩემი შემფოთება, თავი ხელში აიყვანა ლიამ.

— ლენა ახალგაზრდა, 21 წლის, საკმაოდ შექლებული დედის შვილი იყო,

დედისერთა, ობოლი... ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ჩემს დათუნას ლენა ცოლად შეერთო. გამომივიდა კიდეც... ჩემი მეუღლე შვილის ქორწილს ვერ დაესწრო — საზღვარგარეთ იყო სამუშაოდ წასული... წვეილი შეენყო ერთმანეთს, მაგრამ ის „დიდი გრძნობა“ რატომღაც მაინც არ მოვიდა. იყო პატივისცემა, გაგება, ნდობა, მაგრამ არ იყო სიყვარული. ქორწინებიდან 3 თვეში ლენოჩკა საყვარლად გაიბერა. უბედნიერესი ვიყავი, ბებია გავხადე, შვილი-ნიშვილი მეყოლებამეთქი... ვახტანგი — ბაბუს სახელი დაარქვეს პატარა ვაჟაც, ჩვენს მომავალს, ჩვენს მზესა და მთვარეს... — კარგი რა, მამა, შვილიშვილი გეყოლა, შენი სესხია, ახლა მაინც ჩამოდი, — მახსოვს, როგორი სიყვარულით გაჟღენთილი ხმით უთხრა დათუნამ მამამისს... ყოველთვის ვგრძნობდი, ის უფრო უყვარდა, ვიდრე — მე. ლენას დედაც ჩამოვიდა... — ყავა ერთი მოყუდებით გადავკარი და ისევ სმუნდა ვიქეცი... — აი, აქ კი დამთავრდა ჩემი ცხოვრება... ყველაფერი მე დამაბრალეს, შენ რომ არ გაგერიგებინაო, შენი ბრალიაო... არავინ დამინდო. ჩემი ქმარი დათოს სიდდერის დანახვისას გაშეშდა, გაშრა... ადრე ყოველი მეორე მოსკოვში დადიოდა ხოლმე გასართობად, შვილო... იქაურ ქალებში კი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ჩვენი კაცები... ჰოდა, ჩემი დათუნა და მისი ცოლი და-ძმა აღმოჩნდა. ჩემი სათქმელი უკვე გითხარი. როგორც გინდა დანერე. თუ გინდა ჯვარზე გამაკარით... ჩემი დათუნას სიკვდილის შემდეგ უკვე ყველაფერმა აზრი დაკარგა... მხოლოდ პატივმა მინდა...

წამოდგა, არც დამემშვიდობა, უკანაც აღარ მოუხედავს, ისე გაუჩინარდა ფარდის მიღმა...

კიდევ დიდხანს ვიჯექი ასე, ფართოდ გახედილი თვალებით, უაზრო, არაფრისმთქმელი გამომეტყველებით მაცქერალი... არ ვიცი, რამდენად მარტივად, მაგრამ ნამდვილად გავეცი ჩემს თავს პასუხი კითხვაზე — „რატომ ვწერ“... დავსვი საბოლოო ნერტილი ჩემს დღიურში ამ საკმაოდ ემოციური დღის ბოლოს და თავი ძილს მივცეცი... P.S. ჩემი მხრიდან კი დავამატებ, რომ ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როცა ძალიან ვნერვიულობ ჩემს გზავნილზე... რამე ხომ არ გამომრჩა? რამე ხომ არ ჩავაკვებე? უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ... P.P.S. ქალბატონო ლია, იმედია, ნაიკითხავთ ამ გზავნილს საქართველოდან ძალიან შორს და მიხვდებით, რომ ჩვენ უკვე გაპატიეთ... რუისპირი (yellow)“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ყველაზე გამორჩეული ახალი წელი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com



ბაიბ-აუბი

მიხეილ ცაგარელის 2011 წლის ზოგადი ასტროლოგიური პროგნოზი აღმოსავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიუანსებით



პირთხა (1936, 1948, 1960, 1972, 1984, 1996)

ენერგიული, ექსცენტრიკული, შეუპოვარი და თავისუფლებისმოყვარეა. სწორედ ამ თვისებებმა შესაძლებელია, წელს პრობლემები შეუქმნას. წლის მმართველი — კატა სახლის მოყვარულია, მას არ უყვარს ექსტრავაგანტურობა. ამიტომ, წლის მბრძანებელს თავი რომ მოაწონოს, მანევრირება მოუწევს — საჭირო სიტყვების მოძებნა, საკუთარი ინტონაციისა და ამა თუ იმ ქმედების კონტროლი, რაც არ იქნება ადვილი. კატა, ისევე როგორც ვეფხვი, არ მისცემს ვირთხას პოტენციალის სრული გამოვლენის შესაძლებლობას. რაც უფრო მეტ დროს გაატარებს წყალთან, მით უკეთ იგრძნობს თავს. თებერვლის დასაწყისამდე ვირთხა უნდა მოერიდოს ახალ ნაცნობობასა და კონფლიქტებს. არ უნდა აპყვეს პროვოკაციებს. წლის მეორე ნახევარი ხელს შეუწყობს სასიყვარულო ურთიერთობებისა და საოჯახო პრობლემების გადაწყვეტას. ყველაზე დიდ სიამოვნებას მას ბავშვები მოუტანენ.

ვირთხის წელში დაბადებული ცნობილი ადამიანები: მოცარტი, ჟოულ ვერნი, ჯეკ ლონდონი, მარლონ ბრანდო,

დიეგო მარადონა, ივ სენ ლორანი, ზინედინ ზიდანი, ანტონიო ბანდერასი, ჟერარ დეპარდიე, ლუი არმსტრონგი, მადონა, ანა კალანდაძე, ნანი ბრეგვაძე, ლევან თედიაშვილი, თემურ ყვითელაშვილი, ეკა მამალაძე, ზაზა ფაჩულია, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, კახა კალაძე.

ხარი, ხაზირი (1937, 1949, 1961, 1973, 1985, 1997)

კატის (კურდღლის) წელიწადში ხარი გეგმების რეალიზაციას შეძლებს და წარმატებასაც მიაღწევს. არ უნდა დასჯერდეს მიღწეულს და აქტიურად იმოქმედოს; თეთრი კატა ცხოვრების სწრაფ რიტმზე გადართვას სთავაზობს, რითაც არ ნააგებს. შედეგი შესაძლებელია, მაშინვე არ მიიღოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში, აქტიურ მოქმედებას აზრი მაინც აქვს. მეტი დრო უნდა დაუთმოს ურთიერთობების გამყარებას და არა ახალი პარტნიორების ძებნას. გამოავლინოს მაქსიმალური მოთმინება საყვარელი ადამიანის სასიათის მოულოდნელი ცვლილებების მიმართ. საკვები პროდუქტებიდან რაციონში უნდა შეიტანოს — ბოსტნეული, სხვადასხვა მცენარეული ცხიმი. წლის დაწყებამდე უნდა გაისტუმროს ვალი და ახალი სესხის აღებისგან თავი შეიკავოს.

ცნობილი ადამიანები: ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი, რენე არი, ვინსენტ ვან გოგი, ჩარლი ჩაპლინი, პიტლერი, ბიბი კინგი, მერილ სტრიპი, რიჩარდ გირი, ეროსი მანჯგალაძე, სოფიკო ჭიაურელი, ოთარ კობერიძე, მერაბ სეფაშვილი, შოთა და აჩი არველაძეები, ავთო ცქვიტინიძე.

პიფხვი (1938, 1950, 1962, 1974, 1986, 1998)

აქტიური, აგრესიული, ავანტიურული მიდრეკილებების მქონე ნიშანია.

ეს თვისებები კი კატას არ მოსწონს. თუმცა იგი ვეფხვს ვერ მოერევა; ვეფხვს წელს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ზედმეტად აგრესიული, სულსწრაფი, მოუფიქრებელი მოქმედებები წელს პრობლემებს შეუქმნის. კატის წელიწადში ვეფხვი კარიერულ წინსვლას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ გარშემო მყოფთა მიმართ მომთმენი და კეთილგანწყობილი იქნება. თუ ინტუიციას მოუხმობს, მაშინ წარმატებებს მიაღწევს. წელს მაქსიმალურად თავი უნდა შეიკავოს ალკოჰოლური სასმლის მიღებისაგან; მეტი სიფრთხილე და ყურადღება მართებს გზებზე მოძრაობისას. წლის დასაწყისში ოცნებას აიხდენს.

ცნობილი ადამიანები: ბეთჰოვენი, ჰეგელი, მარკო პოლო, შარლ დე გოლი, მერილინ მონრო, რომი შნაიდერი, ადრიანო ჩელენტანო, სტივ უანდერი, დემი მური, ტომ კრუზი, ლეონარდო დი კაპრიო, კარლ ლაგერფელი, ტინა ტერნერი, ბრაიან ადამსი, აგათა კრისტი, კოტე მახარაძე, მაია ჯაბუა, თენგიზ სუხიშვილი, რობერტ სტურუა, გურანდა გაბუნია, ირინა სარიშვილი, დათო ხუჯაძე.

ჯაბა, ჯარღალი (1939, 1951, 1963, 1975, 1987, 1999)

თუ ვეფხვის წელიწადში კატა-კურდღელი ენერჯის დაკარგვას განიცდიდა, მელანქოლიურ-დებრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაშინ წელს უკვე გადაწყობა და მეტად აქტიური ცხოვრების დაწყება ცოტა რთული იქნება, თუმცა ამას ითხოვს თეთრი კატის წელიწადი! ამიტომ გააქტიურებას სთხოვს მათ ეს წელიწადი. წელს ისინი ფორტუნას რჩეულები არიან, განვითარების ახალ, 12-წლიან ეტაპს იწყებენ, ამიტომ ძველი საქმეები უნდა დაასრულ-



ლონ და ახალი დაიწყონ. განიმსჭვალონ ოპტიმიზმით, რათა საფუძვლიანი საძირკველი ჩაუყარონ მომდევნო 12-წლიანი განვითარების ეტაპს. თუ წელს მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნათ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ წინა 12 წელიწადი არასწორად იცხოვრეს. ეს არის ცვლილებების, ბედის კორექციის წელიწადი. წელს დასვენება-მოდუნების შესაძლებლობა თითქმის არ ექნებათ, ოღონდ დრო სწორად უნდა გადაანალიზონ. არ უნდა აპყენენ ეჭვებს.

ცნობილი ადამიანები: ფიდელ კასტრო, მილა იოვოვიჩი, კონფუცი, ფრენკ სინატრა, ჯინა ლოლობრიჯიდა, სტინგი, დევიდ ბექჰემი, იოსებ სტალინი, ლავრენტი ბერია, ზვიად გამსახურდია, ნინო ანანიაშვილი, თამარიკო ჭოხონელიძე, გიორგი ასანიძე, გიგი უგულავა, ლიზა ბაგრატიონი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, გიგა ლორთქიფანიძე, მერაბ ჟორდანია.

დრაკონი (1928, 1940, 1952, 1964, 1976, 1988, 2000)

ძლიერ ადამიანთა ნიშანია, რომელიც ყოველთვის ირჩევს განვითარებისთვის რთულ გზას. დრაკონმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კატას მაქსიმალურად არ უყვარს. იგი ხშირად წარმატებას აღწევს პრინციპით — „ყველაფერი ან არაფერი“. უპრიანი

იქნება, წელს ამ დევიზისაგან თავი შეიკავოს. მასშტაბური პროექტები ერთი წლით გადადოს. მეტი დრო უნდა დაუთმოს ოჯახს. გასოვდეთ, რომ კარიერული წინსვლა ბევრად იქნება დამოკიდებული ახლობლებთან ურთიერთობების სტაბილურობაზე. ჯანმრთელობის მხრივ სასურველია, მეტი ყურადღება დაუთმოს ორგანიზმის განმენდას, სახსრების მკურნალობას. მუსიკის მოსმენა ხელს შეუწყობს დადებითი ენერჯის მოზღვავებაში.

ცნობილი ადამიანები: ჟანა დარკი, ნიკიტა, ლინკოლნი, ბერნანდ შოუ, ზიგმუნდ ფროიდი, მარლენ დიტრიხი, სალვადორ დალი, კრისტინ დიორი, ჯონ ლენონი, ნიკოლას კეიჯი, მაიკლ დუგლასი, ალ პაჩინო, მარკესი, პელე, ჩე გევარა, ელგუჯა ამაშუკელი, ედუარდ შევარდნაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ნანა ალექსანდრია, ბიძინა კვერნაძე, ნინო ბურჯანაძე, ვლადიმერ გუცაევი, სოსო პავლიაშვილი, დავით გამყრელიძე.

ჰალი (1929, 1941, 1953, 1965, 1977, 1989, 2001)

აღმოსავლური გაგებით, პრაქტიკული, თავდაჭერილი, ბრძენი ადამიანის ფსიქოტიპია. ამ ნიშანს შეუძლია, დიდი ზეგავლენა მოახდინოს კატაზე, განსაკუთრებით კი — მის

იაპონურ ვარიანტ კურდღელზე. ყოველივე ეს სასიკეთო პერსპექტივებს უქადის. რაც უფრო მეტს მოინდომებს, მით მეტს შეძლებს. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს. წარმატებით გაბრუნებულმა შესაძლებელია, ზომიერების გრძნობა დაკარგოს, დაიბნეს. არ უნდა აპყენს ცდუნებებს, სიფრთხილე და წინდახედულება გამოიჩინოს. ყური უნდა დაუგდოს უფროსი თაობის ადამიანთა რჩევებსა და აზრებს. შესაძლოა, გაუუარესდეს ჯანმრთელობა. შესაძლოა, მხედველობა დაუსუსტდეს, ამიტომ თვალბს კომპიუტერთან მუშაობით ნუ დაძაბავს. კარგი იქნება, წყლის პროცედურების ჩატარება. წელს მეტად იქნება დაკავებული საზოგადოებრივი საქმიანობით, შესაძლებელია, მოუხდეს მასშტაბურ პროექტებში მონაწილეობა — ყოველივე კი წარმატებას მოუტანს. გველის წლის ლოზუნგია — „ყველაფერი სახლისათვის!“

ცნობილი ადამიანები: გოეთე, პაბლო პიკასო, შუბერტი, ნობელი, კოპერნიკი, მაო ძე დუნი, მოჰამედ ალი, ლინდა ევანგელისტა, მერაბ ბერძენიშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, მამუკა ონაშვილი, თემო გოცაძე, რომა რცხილაძე, ლევან ბერძენიშვილი, ლეილა აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი, ლევან ნულაძე.

საახალწლო სიორარძში პაპარა ფეხბურთალებს!

25 დეკემბრის „ტელის“ ნომერთან ერთად, ერთი წლის განმავლობაში!

ოცნებობ, გახლე ფეხბურთის ვარსკვლავი? მაშინ ეს 60860 და DVD დისკი შენთვისაა!

საახალწლო ფასი 10 ლარი! მხოლოდ 25-დან 31 დეკემბრამდე!

„ამ წიგნში გაეცნობით მრავალ საფარვანოს, რომლებიც საფეხბურთო ოსტატობის დახვეწაში დაეხმარებათ.“

მოიცადე აქველ არედაქციები



დედისგან მიტოვებული ნიჭიერი გოგონას მიზანმიმართული სკოლა მწვერვალისკენ

ლინდა თურქოშვილი ცოტა ხანში 16 წლის გახდება და უკვე 14 წელია, რაც ბავშვთა სახლის — „მომავლის სახლის“ აღსაზრდელია. თანატოლებისგან იმით გამოირჩევა, რომ ძლიერი ფოკალური მონაცემები აქვს. წლების წინ, საბავშვო „ვეროვიზის“ შესარჩევ კონკურსშიც მონაწილეობდა, ახლა კი ტელეპროექტ — „ნუცას სკოლის“ კონკურსანტი გახლავთ და 21 დეკემბერს პირდაპირ ეთერში საკუთარი საკონკურსო ნომრითაც წარდგა მაყურებლის წინაშე... სანამ აღნიშნულ კონკურსში ეს-ემ-ესებით გამარჯვებული გამოვლინდება, მანამდე მოვუსმინოთ თვითონ ლინდას, რომელსაც გასულ კვირას ბავშვთა სახლში ვესტუმრე.

„თამრიკო ჭოხონელიძე მიჰვიღა“

ლალი ფასია

— „ნუცას სკოლაში“ მისვლა რატომ გადაწყვიტე?

— მასწავლებლებმა მირჩიეს... მე თავს ვიკავებდი, არ მინდოდა. მანამდე, პროექტ — „ნიჭიერშიც“ შემომთავაზეს მონაწილეობა, მაგრამ უარი ვთქვი. თუ არა ვარ საკუთარ თავში დარწმუნებული, რაც უნდა ბევრმა მიჩიჩინოს, არაფერი გამოუვა. „ნუცას სკოლაში“ მონაწილეობა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა, დათო კობახიძემაც შემომთავაზა, — მოდი, ვცადოთო და უარი ვეღარ ვთქვი. ვნახოთ, ამ საქმიდან რა გამოვა.

— როგორც ვიცო, პირველად შენში მუსიკალური მონაცემები ბავშვთა სახლის პედაგოგებმა აღმოაჩინეს. პატარაობიდანვე მღეროდი?

— კი, ჩემთვის სულ ვმღეროდი... ბავშვობაში ვამბობდი, კოსმონავტი, დიზაინერი, იურისტი უნდა გამოვიდე-მეთქი. მომღერლობაზე არასდროს მიფიქრია. ჩემში მუსიკალური მონაცემები აქაურმა მუსიკის მასწავლებელმა — თამუნა სუხიტაშვილმა აღმოაჩინა. თავიდანვე ხმის დიდი დიაპაზონი მქონდა, მაღალ ბგერებს ადვილად ვიღებდი და თანატოლებისგან ამით გამოვიჩნეოდი. სმენაც მქონდა. ერთხელაც, ჩვენმა დირექტორმა — გვანცა ლიპარტელიანიმა 1-ელ საბავშვო „ვეროვიზის“ კონკურსში მონაწილეობა შემომთავაზა. დავთანხმდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ფინალში ვერ გავიდოდი და საკუთარ თავს ვუთხარი, — თუ ფინალში გავალ, მუსიკას გავყვები-მეთქი! ფინალში მართლაც, მოვხვდი და მას მერე ვფიქრობ, რომ მომღერლის კარიერას გავყვე...

— ფინალში გახვედი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გაიმარჯვე?

— ფინალში სულ 12 კონკურსანტი ვიყავით; მარიამ რომელაშვილმა გაიმარჯვა, მაგრამ დარჩენილი 11 ფინალისტი, მის საგულშემატკივროდ, ჰოლანდიაში ქალბატონმა სანდრა რულოვსმა წაგვიყვანა. იქ 3 შესანიშნავი დღე გავატარეთ. კონცერტიც კი ჩავატარეთ ჰოლანდიაში მცხოვრები ქართველები-სთვის...

— პაატა ბურჭულაძის ფონდ „იენანას“ ჰიმნს მგონი, შენც ასრულებ, არა?

— კი, „მომავლის სახლიდან“ 5 ბავშვს გვინვევენ მათ კონცერტებზე და ვმღერით: „მე მინდა, მქონდეს თბილი სახლი“... პაატა ბურჭულაძის ფონდმა, სიმღერა უკეთ რომ მესწავლა, რამდენიმე წლის წინ, თამრიკო ჭოხონელიძის საბავშვო სტუდიაში მიმიყვანა. მათ ჩემი დაფინანსება უნდოდათ, მაგრამ თამრიკომ ამაზე უარი თქვა: ლინდას ფულს ვერ გამოვართმევ, უფასოდ უნდა ვამეცადინო, — და რამდენიმე წელი ჭოხონელიძეების სტუდიაში დავდიოდი,



მათი შევილობილი გავხდი. ქალბატონი თამრიკო პირადად მასწავლიდა სიმღერას. მოკლედ, თამრიკო ჭოხონელიძემ მიშვილა... ზოგიერთი მუსიკოსი მირჩევს, საოპერო ხელოვნებას გავყვე. ამის მონაცემებს ჩემს თავს ვერ ვატყობ. საესტრადო სიმღერები უფრო მომწონს. განსაკუთრებით, ინგლისური ლირიკული მუსიკა მიზიდავს... ცოტა ხნის წინ მაია დათუნაშვილმა მიმიწვია თავის სტუდიაში, ასევე უფასოდ...

— მასსოვს, მაია ასათიანმა შენს დასაფინანსებლად, სამუსიკო სკოლაში რომ გველო, ტელეპროექტში — „ვის უნდა 20.000“ ითამაშა...

— სამუსიკო სკოლაში გვიან შევედი. იტალიელები გვაფინანსებდნენ. მერე დაფინანსება შეწყდა და ის იყო, ფორტეპიანოსთვის თავი უნდა დამეჩვენებინა, რომ მაია ასათიანმა დამირეკა, — მინდა, შენთვის „ვის უნდა 20.000“ ვითამაშოო. გამიხარდა. მან 3.000 ლარი მოიგო და ამ თანხას გადაცემაში შემოსული ზარებიდან 2.500 ლარიც დაემატა. ახლა სწორედ ამ თანხიდან ვიხდი სწავლის საფასურს.

— სკოლაში როგორი მოსწავლე ხარ?

— ყოველთვის კარგად ვსწავლობდი. მაქვს საყვარელი საგნები: ინგლისური, ქართული ლიტერატურა, სამოქალაქო სამართალი... ისე, იურისტობაზე ახლაც ვფიქრობ. ცუდად არც ფიზიკა-ქიმიას ვსწავლობდი, მაგრამ ბოლო დროს, ჩემი დატვირთული გრაფიკის გამო, სკოლაში გაკვეთილების გაცდენა ხშირ-



ად მიწვევს. არადა, ახლა მჭირდება სწავლა. ყველაფერი კარგად უნდა ვიცოდეთ.

რომელ სკოლაში სწავლობ?

— ავლაბარში, 84-ე საჯარო სკოლაში დავდივარ. ახლა ცოტა „ნუცას სკოლაში“ დამხია უკან — იქ გამოსასვლელად ვემზადები (ინტერვიუ ჩანერილია 16 დეკემბერს. — ავტ.).

ვინ არის შენი კურს მუსიკაში?

— არასდროს არავის ფანი არ ვყოფილვარ, მაგრამ ყოველთვის მომწონდა ლირიკული სიმღერების შემსრულებლები — უიტნი ჰიუსტონი და სელინ დიონი. მიყვარს ისეთი მუსიკოსები, რომელთა ხელოვნება წლებს უძღვება...

სიმღერის გარდა, კიდევ რა გიტაცებს?

— ძალიან მომწონს დიზაინერობა, ბავშვობიდან კაბებს ვკერავ. ჩემთვის ბევრი რამ შემეძვერა. თეატრსაც ვაპყრობოდა და ვქსოვ. ახლა სკოლაში, საახალწლოდ, კარნავალისთვის ვემზადებით. ეს ჩემი იდეა იყო და ისიც, რომ საკარნავალო კაბები ქალაქისგან შემეძვერა. ყველას განსხვავებული სტილის ქალაქის კაბა გვეცმევა.

ლინდა, საერთოდ ბავშვთა სახლში როგორ აღმოჩნდი?

— 2 წლისაც არ ვიყავი, მე და ჩემი ძმა დედამ რომ მიგვატოვა. მამამ ქუჩაში არ „დაგვყარა“, მაგრამ სამივე ერთად, საოცარ გაჭირვებაში ვცხოვრობდით ავლაბარში, ერთ პატარა სარდაფში... მეზობლები, როგორც შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ... მამა საპარიკმაზეროში სტილისტად მუშაობდა, მაგრამ სამსახურში რომ მიდიოდა, უპატრონოდ ვრჩებოდით. ამიტომ მეზობლებმა, მამის უკითხავად, როდესაც ის სამსახურში იყო, მე და ჩემი ძმა ამ ბავშვთა სახლში მოგვიყვანეს. ჩემი ძმა 5 წლის იყო და მაშინვე მიიღეს, ჩემი მიღება კი კანონით არ შეიძლებოდა — ლაპარაკიც არ ვიცოდი და დამოუკიდებლად კარგად ვერც დავდიოდი. გამოდიოდა, რომ ქუჩაში უნდა დავრჩენილიყავი. მაგრამ მაშინდელმა დირექტორმა — ცირა ლანჩავამ (ის ჩემი ნათლია) არ გამწირა, კანონი დარღვია და მაინც მიმიღო. თან, აქ რომ მომიყვანეს, ფილტვების ანთება მქონდა. მძიმედ ვიყავი და ჩემს გამოსაჯანმრთელებლად, მაშინვე დაირაზმა ბავშვთა სახლის მთელი პერსონალი. იმ საღამოს მორიგე მასწავლებელი — მზია ტვილდიანი იყო, რომლის მკლავებშიც ჩამეძინა. დილას რომ გავიღვიძე, თურმე მზია

მასწავლებელს „დედა“ დავუძახე. იგი ატირდა და თქვა: — შინ წაიყვან, ერთი თვე სახლში მეყოლება; რომ გამოკეთდება, მერე მოიყვანო. მისი ოჯახის წევრებს ძალიან შეუყვარდა; იმ ადამიანებთან დღემდე მაქვს ურთიერთობა, ხანდახან, შაბათ-კვირას მათთან სახლშიც მივდივარ, ხოლო მზია მასწავლებელს, პატივისცემის ნიშნად, „დედას“ ვუძახი...

მამა სად არის?

— მამა მუშაობს და ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, რადგანაც საკუთარი სახლი არ გვაქვს. როდესაც თავისუფალი დრო მაქვს, მას მაშინ ვნახულობ.

ლინდა, ვფიქრობ, რაც ოჯახისგან მოგაკლდა, ბავშვთა სახლმა ნაწილობრივ მაინც აგინაზღაურა, მაგრამ მაინც, რა გრძნობაა, როცა საკუთარ ოჯახში არ იზრდები?

— ხანდახან ვფიქრობ, — ჩვეულებრივი ოჯახის შვილი რომ ვყოფილიყავი, ალბათ ჩემში ვერც აღმოვაჩენდი მუსიკალურ ნიჭს-მეთქი... ბავშვთა სახლში კომუნიკაბელურ ადამიანად ჩამოვყალიბდი, რადგანაც სხვადასხვა ხასიათისა და ფსიქიკის ბავშვთან მიწვევს ურთიერთობა, ყველას უნდა გავუგო და ვუგებ კიდევ. აქ მარტოობისთვის დრო არც მრჩება...

გული რაზე გწყდება?

— ხანდახან მგონია, დედა გვერდით რომ მყოლოდა, უფრო კარგი ვიქნებოდი-მეთქი... ასეთი ბრძნული გამონათქვამი ავიღე ჩემს ცხოვრებისეულ დევიზად: „ბედნიერება ის კი არ არის, როგორ დგახარ მწვერვალზე, არამედ — როგორ ადიხარ მასზე!“...

წარმატებები მინდა, გისურვო. — გმადლობთ.

„სოფლიო ღატაქტივისის სიუჟი“
 ყოველ ორშაბათს! შურნალ „რეიტინგთან“ ერთად
 თითო კრიმინალური სტაქში!

20-დან -27 დეკემბრამდე
ერთ სტენდი ბარნერი
ცალთვალა მისთვის ჩვენება

ფასი 2 ლარი!
 (შურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოსული ნიგნები - საჭმე №1-დან - №26-მდე (პაიზს კვლავი რეიზი, არტურ კონან დოლი, სილენი ვალდონი, აბათა კრისტო, ჯალსონ ფილიპსი, როს გაკლონალი, ჯონ ლიქსონ კარი, ჯო კორუი, დევილ კეპითი, ზორის აკუნინი, ჩარლზ პანოუ, ლიქ ფრანსისი, რაიმონდ ჩანდლერი, სეიტო გასპოტო, სირილ კეირი, ფრიდრიხ ლიურანგატი, შორჟ სიხონინი, გუალ-ნერსაშაკი, ათი ელიგაი, ფრად ვარბასი, ელბარ ალან კო, ჯონ ლე კარა, კეინარ რანკი, კრისტინ ზემსკი და პაიზს კვლავი რეიზი) შეიძინეთ ნიგნის მალაზიებში

27 დეკემბრიდან
ერთ მაქლონალი
 უახანსაწელი მუშა



„ეს მეორე გაგოსდაა, როგორც საკუთარ თავს მოვუწყვე“

რისი ეზინია პანიკურად გიორგი ქორქიას

ამბობს, რომ ბავშვობაში უფრო აქტიური მკითხველი იყო, ვიდრე დღეს არის. ერთი პერიოდი დეტექტივებმა იმდენად გაიტაცა, სხვა ჟანრის ლიტერატურა აღარც აინტერესებდა. მერე ფანტასტიკის კითხვა დაიწყო. გამორჩეულად ორი ავტორი უყვარს — ბულგაკოვი და დანელ შარში — თავისი სატერული თეთრი ოუმორით. ბოლო წლებში სტელტანინი ნანარმოებები არ წაუკითხავს. ინტერნეტის სხვადასხვა საიტზე მცირე მოცულობის ტექსტებს ეცნობა. წიგნი არასდროს მოუხარავს. კითხვაზე — რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდა? მასსუსობს, რომ ამაზე არც უფიქრია. ბოლო წლებში ნანარმოები, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — „ბეჭდების მბრძანებელი“ და ამ ნამუშევრის პერსონაჟებთანაც საიმოვნებო იმეგობრებდა. მას ასე „ერუდიტის“ სტუმარი ჟურნალისტი — გიორგი ქორქია გახლავთ.

თავისუფალი კვინიკაჰე

პრაქტიკული მკითხვარ

- გიორგი, როგორი მესიერება გაქვს?
- ცუდი.
- ლექსები გიყვარს?
- ყველა პოეტმა და პოეზიის მოყვარულმა მაპატიოს, მაგრამ ლექსები არ მიყვარს. პოეზიის ნიმუშებს სკოლაშიც არ ვსწავლობდი...
- საინტერესო იყო შენთვის პროექტი — „კოდი“ მონაწილეობა?
- ამ შოუში იმიტომ მოვხვდი, რომ საკუთარი თავი გამოეცადა და აჭარიდან დაღწილი ჩამოვედი... მივხვდი, რომ „სათურის ადამიანი“ ვყოფილვარ, არადა, მანამდე ასე ნამდვილად არ მეგონა. ისე, იმასაც მივხვდი, რომ კარგი ნერვები მქონია...
- შენ და ნუკის წყილს გამარჯვების შანსი რამდენად გაქვთ?
- წინასწარ ვერაფერს გეტყვი; ცოტა ხანში ყველაფერი გაირკვევა. მინდა, აჭარლებს დიდი მადლობა გადავუხადო იმ სიტბოსთვის, რომელიც ჩვენ მიმართ გამოამყვანეს... ნუკი ძლიერი ადამიანია, ჯანსაღი ფსიქიკა აქვს, განონასწორებულია. მასთან არანაირი პრობლემა არ შემქმნია. წყლის პანიკურად მეშინია, ნუკი კი კარგად ცურავს. პროექტში სულ 4 გოგო იყო, რომელი მათგანიც უნდა ყოფილიყო ჩემი მენყვილე, თავს ნებისმიერთან კომფორტულად ვიგრძნობდი.
- ახლა კითხვარზე გადავიდეთ.
- (იცინის) „კოდის“ შემდეგ, ეს მეორე გამოცდაა, რომელსაც საკუთარ თავს ვუწყობ.

- აფრიკაში, რუანდის დასავლეთ საზღვართან არის ტბა — კივუ. მის სიახლოვეს მდებარე ვულკანის ამოფრქვევისას ადულებული ლავა ტბაში იღვრება. ამის შემდეგ ადგილობრივი მცხოვრებლები ნაგებში სხდებიან და ტბაზე დაცურავენ. რა უნდათ მათ იქ?
- ალბათ რაღაცას აგროვებენ.
- სწორად მსჯელობ.
- (ფიქრობს) თევზს ხომ არა?



- დიას. მოხარული თევი გამოაქვთ. ის მათი ქვეყნის სიმბოლოა. მას დროდადრო უმაღლეს სახელმწიფო ჯილდოებს ანიჭებდნენ. პირველი ორდენი წერა-კითხვის გაფრცელებაში შეტანილი წვლილისთვის მიიღო. მისმა ასობით ათასმა თანამემამულემ კითხვა მხოლოდ იმიტომ ისწავლა, რომ მისი ბიოგრაფია წაეკითხა. დაასახელე ეს ადამიანი.
- სპორტსმენია?
- დიას, ფეხბურთელია.
- ჩემი საყვარელი ფეხბურთელი — პელე. ბრაზილიის ნაკრების გულშემმატიკივარი ვარ.
- ძველ რომში რომელი ბატონები თავიანთი სამფლობელოების დასაცავად შავ დოგებს იყენებდნენ. სიბნელეში მათი შემწნევა რთული იყო. ამის გამო გაჩნდა ეს გამოთქმა, რომელმაც დღემდეც მოაღწია. რომელ გამოთქმაზეა ლაპარაკი?
- (ფიქრობს) ძალის ნაკბენივით ახსოვს, არა?
- ეს სწორი პასუხი არ არის. გამოთქმა 3-სიტყვიანია და მათგან ერთ-ერთი სიტყვაა „ძალი“.
- ძალები იმდენად მიყვარს, აუცილებლად გამოვიცნობ (პაუზის შემდეგ). „ეზოში ავი ძალია“... გამოვიცანი?
- ყოჩაღ! ნოდარ დუმბაძის რომელი ცნობილი მოთხრობის გმირია — გოგი თუშურაშვილი?
- „კუკარაჩაში“ კუკარაჩა.
- ვინ წარუძღვა ძლევაშოსილ საქართველოს ლაშქარს ფეხშიშველი ბასიანის ბრძოლაში?
- თამარ მეფე.
- რამდენი წლის იყო იგი, როცა მამამ — გიორგი III-მ მეფედ აკურთხა?
- მგონი, 14 წლის იყო.
- ცდები, უფრო პატარა — 12 წლის იყო. რა ერქვა ვეოდალთა უმაღლეს ფენას რუსეთში?
- ბოიარი.
- „იგუარა“, „ბენტლი“, „როლს-როისი“, „ლამ-



ბორჯინი“ — ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ინგლისური წარმოების ავტომანქანა?

- „ლამბორჯინი“.
- ბარონი დენონი ფრანგი გრაფიორი, მხატვარი, მწერალი და დიპლომატი იყო. იგი დანიანურებული იყო ლუდოვიკო XVI-ისა და ნაპოლეონის დროს. ალექსანდრე I კი მისგან სურათებსა და სხვადასხვა ნივთს იძენდა. სად ინახავდა მათ?
- გთხოვ, კითხვა გამიმეორე. (გამეორების შემდეგ) ალბათ, ერმიტაჟში, ასეა?
- დიას. ვინ მონათლა იესო ქრისტე?
- იოანე ნათლისმცემელმა.
- რა ერქვა ალუდა ქეთელაურის ცოლს?
- არ მახსოვს.
- ლელა. რა პოზაში აქვს ხელები ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“?
- გადაჯვარედინებული.
- ეს ინგლისელი პოეტი 1824 წელს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. იგი სიცოცხლის ბოლო წლებში საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის ომში აქტიურად მონაწილეობდა. სიკვდილის წინ, ბოდვისას წარმოთქვა: „საბრალო საბერძნეთი!“ დაასახელე ეს პოეტი.

ინგლისელი პოეტებიდან ჯორჯ ბაირონი მახსენდება.

- სწორი პასუხია. ვინ არის ავტორი ლექსისა — „მე პატარა ქართველი ვარ“?
- სირცხვილია, მაგრამ არ ვიცი.
- დუტუ მეგრელი. ნებისმიერ ზრდასრულ ვეფხვს საკუთარი სანადირო ტერიტორია აქვს, სადაც არავის უშვებს. მაგრამ ხდება გამონაკლისიც. როდის?
- გამრავლების პერიოდში. მამრები მდებარებს სტუმრობენ და მცირე ხნით ერთად ცხოვრობენ. ცხოველებზე ბევრი რამ ვიცი, მკითხე რაც გინდა.
- რომელ სისხლძარღვებში მიედინება სისხლი ყველაზე ნელა?
- კაპილარებში.
- რამდენი ფლოქვი აქვს ცხენს თითოეულ კიდურზე?
- 1.
- „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა!“ ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?
- ვაჟა-ფშაველა, არა?
- ცდები!
- ვერ გიპასუხებ. ეს უკვე მეორედ შემტყვია.
- რაფელ ერისთავი. რომელ ქართულ მხატვრულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ?!“

- „ქეთო და კოტეში“.
- ბელორუსია, პოლონეთი, ავსტრია, უნგრეთი — ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს?
- ავსტრია.
- რომელი ქართული ხალხური სიმღერა მიეძღვნა შალვა ახალციხელს?
- არ ვიცი.
- „შავლეგო“. თბილისში რომელ მოედანს ერქვა ადრე ერევნის მოედანი?
- თავისუფლების მოედანს. სანამ ამ სახელს დაარქმევდნენ, მანამდე ლენინის მოედანი ერქვა.
- სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ კარგად გახსოვს?
- მგონი, კარგად მახსოვს.
- რა ერქვა ამ ნამუშევარში ხელმწიფს?

- აი, „გადავიჭედე“ (იციინს). ვერ გავისვენებ.
- ფინეზი. ვის ეკუთვნის გამონათქვამი: „გვარდია კვდება, მაგრამ არ ნებდება“?
- ნაპოლეონს.
- თბილისში მდებარე ეს უძველესი ბაზილიკური ეკლესია ვახტანგ გორგასლის ვაჟის — დაჩის ბრძანებით აშენდა. დაასახელე ეს ეკლესია.
- (ფიქრობს) ანჩისხატი.
- რა ერქვა სვეტილელ დალაქს?
- არ ვიცი.
- ფიგარო. რომელია ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის დამაკავშირებელი სრუტე?
- გიბრალტარი არ არის?
- რა თქმა უნდა. ეს ხე იყო ერთადერთი მცენარე ამ ცნობილი ადამიანის ბაღში. 1820 წელს მას მუხი დაეცა, მაგრამ ხისგან სავარძელი გააკეთეს, რომელიც ინგლისში, კერძო კოლექციონერებთან ინახება და ფასდაუდებელ რელიკვიას წარმოადგენს. დაასახელე ეს პიროვნება და ხის ჯიში, რომელიც მის ბაღში ხარობდა.
- ვერ გიპასუხებ.
- რატომ? ფიზიკას არ სწავლობდი?
- ფიზიკას? მგონი, სწორი პასუხის გაცემაში ეს ერთი სიტყვა დამეხმარა. ნიუტონი უნდა მეთქვა?
- დიას.
- მის ბაღში ვაშლის ხე იქნებოდა. ამ კითხვაზე პასუხს ჩამოთვლი?
- რა თქმა უნდა. მითოლოგიაში კარგად ერკვევი?
- (იციინს) რა უნდა მკითხო?
- ძველბერძნულ მითოლოგიაში არის ქალღმერთი — თემიდა.
- (მანყვეტინებს) სასწორით ხელში.
- რომელი ქალღმერთი შეესაბამება მას რომაული მითოლოგიიდან?
- არ ვიცი.
- იუსტიცია. რიაზანოვის ფილმი — „იტალიელების არაჩვეულებრივი თავგადასავალი რუსეთში“ ნანახი გაქვს?
- დიას. მაგ სურათში ანდრეი მირონოვი თამაშობს.
- ფილმში იტალიელი მაფიოზის — როზალიოს მიერ წარმოთქმული ფრაზა, შემდეგ ხატოვან გამოთქმად გადაიქცა. მითხარი ეს ფრაზა.
- მაფიასთან კავშირშია?
- დიას, ეს ფრაზა ორი სიტყვისგან შედგება.
- (ფიქრობს) „მაფია უკვდავია!“ გამოვიცანი?
- გამოიცანი. ცნობილია, რომ ეგვიპტელები კავკასიელ ტყვეებს გვარდიის შესავსებად ყიდულობდნენ. დროთა განმავლობაში ეს „თეთრი მონები“ ისე გაძლიერდნენ, რომ ეგვიპტის მმართველ ძალად გადაიქცნენ. რა ერქვათ მათ?
- მამლუქები.
- ამ ხელსაწყოს, რომელიც გამიზნულია ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ფიქსირებისთვის, ოფიციალურად „პოლიფიზიოგრაფი“ ჰქვია. დაასახელე ამ ხელსაწყოს საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება.
- სიცრუის დეტექტორი.
- დაასრულე ვოლტერის ცნობილი გამონათქვამი: „ვისაც არ უყვარს თავისუფლება და ქვეშევრდობა, შეიძლება, იყოს ძლევამოსილი, მაგრამ ვერასოდეს იქნება...“
- ამ გამონათქვამს ვერ დავასრულებ.
- „...ვერასოდეს იქნება დიდი ადამიანი“.



გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის
(აითხვები)**

ქვემოთ მოცემული კითხვები ურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი

1. ვის ეკუთვნის სიტყვები: „რუსეთი იქნება დიდი, ან საერთოდ არ იქნება!“?

2. დაასახელეთ ის, რისი მარცხენა ხელში დაჭერა ძალზე იოლია და შეუძლებელია, დაიჭიროთ მარჯვენა ხელში.

3. რა ბედი ეწია საცხოვრებელ ბარაკებს, რომლებიც გასული საუუუნის 50-იან წლებში იაპონელმა სამხედრო ტყვეებმა ხაბაროვსკის მახლობლად თავისთვის ააგეს?

4. ვინ განადგურა მაკედონური დინასტია?

5. ვინ იყო სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟის პროექტის ავტორი?

6. დაასახელეთ ამერიკელი მწერალი, რომელსაც კრიტიკოსები „დიდი ნუგუმისმცემლის“ სახელით მოიხსენიებენ.

7. რას ეძახიან „გეორგიკებს“?

8. რას ნიშნავს ფორდევინდი, ბაქშაბაგი, ჰალფინდი და ბეიდევინდი?

9. დაასრულეთ ლევ ტოლსტოის სიტყვები: „არაფერი ისე არ აერთიანებს ადამიანებს, როგორც კარგი და უწყინარი...“.

10. რის გამო იხდიდა ვლადიმერ მაიაკოვსკი ბუტირის საპრობილეში სასჯელს?

11. ვისი სიმღერიდან არის ეს ნაწყვეტი: „მი ს ნიმი ვსტრეტილის კაკ ტრი რუბლია ნა ვოდკუ, ი რაზაშლის კაკ ვოდკა ნა ტრაის“?

12. ერთხელ მენდელეევის დასაბეჭდად გამზადებული მისივე სტატია გადასცეს, რომელიც ყველა მისი ტიტულითა და რეგალიებით იყო ხელმოწერილი. მენდელეევი ეჭვი გამოთქვა: ამ სახით ამ სტატიას არ დამიბეჭდავენო. რატომ?

ანექლოცენი



მეტროს ესკალატორზე ჩარბენისას ახალგაზრდა ბიჭმა შემთხვევით მხარი გაჰკრა გვერდით მდგომ სვანს. ინერციით გააგრძელა სირბილი, მერე გაჩერდა, უკან დაბრუნდა და ბოდიში მოუხადა.

— ნადი, ბიძიკო, ნადი. მე უკვე ზურგზე მოგაფურთხე! — უპასუხა სვანმა.

— რატომ არ იყავი სკოლაში?
— ჩემი ძმა ავად გახდა.
— მერე შენ, რა?
— მე ის, რომ მთელი დღე მისი ველოსიპედით ვსეირნობდი.

თვითმფრინავის სალონში სტიუარდესა შემოდის და აცხადებს:

— პატივცემულო მგზავრებო, ჩვენი თვითმფრინავის ერთი ძრავა მწყობრიდან გამოვიდა, ფრენა დამატებით ერთ საათს გაგრძელდება.

ცოტა ხანში ისევ შემოდის და აცხადებს:

— მეორე ძრავაც გამოვიდა მწყობრიდან და ფრენა დამატებით 2 საათს გაგრძელდება.

მესამედ უკვე გაფითრებული შემოდის:

— ყველა ძრავა გამოვიდა მწყობრიდან!

— აბა, გვიფრენია მთელი დღე და ეგ არის! — უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი სვანმა.

— ჩემმა ცოლმა რომელიღაც ურნალში ამოიკითხა, უმი ბოსტნეული სასარგებლო ყოფილაო...

— ეჰ, არც ჩემს ცოლს უყვარს სადილის კეთება...



სატელეფონო ჯიხურთან:

— უკაცრავად, უკვე ნახევარი საათია, ყურმილი გიჭირავთ და არ საუბრობთ. იქნებ დამარეკვინოთ...

— ხელს ნუ მიშლით... ცოლს ველაპარაკები!..

შექსპირს უთხრეს, ცოლი გლალატობსო.

— მართალია ეს ამბავი?! — ეკითხება ცოლს.

— მართალია. ოღონდ, ღვთის გულისათვის, ამისგან ტრაგედიას ნუ შექმნი.

— მისო, შენი ცოლი ყველგან დანანნალებს!

— ტყუილია, ეგრე რომ იყოს, სახლშიც შემოივლიდა.

— ყველაფერი მქონდა: ფული, სახლი, მანქანა, ლამაზი ქალი, რომელსაც ვუყვარდი და უცებ ყველაფერი გაქრა.

— კი მაგრამ, რატომ?

— ცოლმა გაიგო...

მამა-შვილი ცირკში.

— ახლა წარმოგიდგენთ სასიკვდილო ნომერს!

ბავშვი გაფაციცებით უყურებს. ნომერი დამთავრდა.

— მამა, რა იყო აქ სასიკვდილო?! ა, მამა? მამა!.. მამა!.. მამაააააააა!..



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. ვლადიმირ პუტინს.
2. საკუთარი მარჯვენა ხელის იდაყვი.
3. ბარაკები იმდენად კომფორტული გამოვიდა, რომ რუსებმა იაპონელი ტყვეები შიგ ალარ შეუშვეს. შენობათა კომპლექსში პარტიულ ხელმძღვანელთა ოჯახებისათვის პანსიონატი გაიხსნა.
4. ბალკანეთის მმართველმა კასანდროსმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 317 წელს ჯერ ალექსანდრე მაკედონელის დედა — ოლიმპიადა მოაკვლევინა, რამდენიმე წლის შემდეგ კი ალექსანდრეს ცოლ-შვილი, როქსანა და 12 წლის ალექსანდრე შეიპყრო და ისინიც დაახოცვინა.
5. ბართოლომეო რასტრელი (მხაილ ზადორნოვი ხუმრობდა: „ერმიტაჟ სტროილსა ს 1754 გოდა პო 1762 გოდი ევო არხიტექტორ რასტრელენ“).
6. ო'ჰენრი.
7. ანტიკურ ლექსებს, რომლებშიც სოფლის ყოფა და სოფლის მეურნეობა არის გაიდელეზული.
8. ეს სია იალქნისანი გემის სვლის კურსთა ჩამონათვალა.
9. „სიცილი“.
10. მუშათა შორის რევოლუციური იდეების პროპაგანდისთვის.
11. ვლადიმირ ვისოცკის.
12. მენდელეევის ტიტული მეფისაზე უფრო გრძელი გამოდიოდა.



— ექიმო მუცელი მიბუყბუყვებს!
— ჩივის პაციენტი. ექიმმა გასინჯა და თავი გააქნია:

— ერთი რამის თქმა დანამდვილებით შემიძლია: სმას, მონევასა და ქალებში სიარულს თავი უნდა დაანებოთ.

— აბა, რა ვაკეთო, ექიმო, დავჯდები და ვიბუყბუყვო?

ახალი ამბები: გუშინ სექსუალურ უმცირესობასა და სექსუალურ უმრავლესობას შორის შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც უმცირესობის უმრავლესობამ საავადმყოფოში ამოყო თავი.

ორი დაქალი საუბრობს:

— რა სიმპათიურია ჩვენი ახალი თანამშრომელი ემზარი, რა ეშხიანია, რა ტანადი... მერე როგორი სწრაფია?! ყველაფერს თვალის დახამხამებაში აკეთებს... ერთ ნუთში...

— ეეჰ, ეგ ნაკლი რომ არ ჰქონდეს, კაცი ვერ აჯობებდა...

მარომ ტყუბი გააჩინა და საგონებელში ჩავარდა, ნეტავ, ვინ უნდა იყოს მეორეს მამაო.

არქიტექტორმა ხიდი ააშენა. არ იცის, როგორ გამოცადოს. წავა ბრძენთან რჩევის საკითხავად. ბრძენი ეუბნება:

— ხიდზე 100 სიდდერი დააყენე და უთხარი ერთდროულად ახტენე. თუ ხიდი არ ჩაინგრა, ესე იგი, ვარგისია.

— რომ ჩაინგრეს?

— ეგ მთლად უკეთესი.

რუსების უსაყვარლესი ანეკდოტი: ნოემ თავის კიდობანში ცოლთან, შვილებთან და რძლებთან ერთად თითო წყვილი დედამიწაზე მცხოვრები ყველა არსება აიყვანა და წარღვნაც დაიწყო. 40 დღის განმავლობაში ამხელა ჯოგს ჭამა ხომ უნდოდა? ჰოდა, კიდობნის ძირი სულ მალე ნაკელითა და განავლით გაივსო. შენუხდნენ ნოეს შვილები. მამასთან მივიდნენ და ეუბნებიან, რამე უნდა ვილონოთ, განავალი ვედროებით ამოვხაპოთ და ზღვაში ჩავცალოთო. ნოე გაბაღირია, წყლის დაბინძურება როგორ შეიძლება, როგორმე უნდა მოვითმინოთო. ჰოდა, ისხდნენ ასე, სანამ კიდობანი ნახევრამდე არ გაივსო. ისევ მივიდნენ შვილები ნოესთან თხოვნით და კვლავ უარი მიიღეს. ბოლოს, კიდობანი ბოლომდე აივსო. სხვა რა გზა ჰქონდა ნოეს, დადგა შვილებთან ერთად და განავლის ამოხაპვა დაიწყო. ვედროებით ხაპავდნენ და ზღვაში ცლიდნენ... ჰოდა, მას შემდეგ დაცურავდა ეს განავალი წყალში... სანამ კოლუმბმა არ აღმოაჩინა.

ვეტერინართან მოსაცდელში ორი ძაღლი ხვდება ერთმანეთს.

— იცი, ბიჭები ქვებს მესროდნენ და ერთ-ერთს ვუკბინე. ჩემი საქმე წასულია. ევტანაზია არ ამცდება. შენ რატომღა მოგიყვანეს აქ? — ეკითხება ერთი მეორეს.

— როგორ გითხრა, ჩემი პატრონის ქალიშვილი აერობიკაში ვარჯიშობს ხოლმე აბსოლუტურად შიშველი. გუშინ მეტად საინტერესო პოზაში იყო და ვეღარ მოვიტმინე...

— ჰოო, შენი საქმეც წასულია!

— აბა, რა გითხრა, მე რამდენადაც ვიცი, აქ ბრჭყალების დასაჭრელად მომიყვანეს...

რენიფოსტოგანაა





ჰოროსკოპი

23-29 დეკემბერი

ფინანსი

ფინანსური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. ახალი იდეები დასვენების დღეების შემდეგ განახორციელებთ.

კარგი

კარგი პერიოდია უცხო ენის შესასწავლად. შემოსავლის დამატებითი წყარო გაგიჩნდებათ. შაბათ-კვირას საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ჯანმრთელობა

შემოქმედებითი საქმიანობა წარმატებებს მოგიტანთ. საქმიანი შეხვედრები გელით უცხოელებთან, რაც მნიშვნელოვნად წაადგება თქვენს საქმიანობას.

კარიერა

ფულის ფლანგვას არ გირჩევთ, უმჯობესია, თანხა ზამთრის არდადეგებისთვის დაზოგოთ. დასვენების დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

ღირსი

ძველი საქმეები წლის ბოლომდე დაასრულეთ. შეიძინეთ საიუველირო ნაწარმი. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასა და სამართალდამცავებთან.

ქანდაკობა

ახალი იდეების განხორციელებას კოლეგების დახმარებით შეძლებთ. ფინანსური საკითხების მოგვარებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ, რომ არ გახდეთ თალითების მსხვერპლი.

სახსნი

სიფრთხილე გმართებთ ფინანსური საქმეების მოგვარებისას. დასვენების დღეები ნათესავებთან ერთად გაატარეთ.

მედიცინა

შესაძლოა, შემთხვევითი ნაცნობობა სასიყვარულო ურთიერთობაში გადაიზარდოს. კვირის მეორე ნახევარი ოჯახის წევრებს დაუთმეთ.

მეგობრობა

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ალადგენთ. მოერიდეთ დიეტის დაცვას. ეცადეთ, ხშირად ისეირნოთ ფეხით.

თხრობა

კვირის დასაწყისში რომანტიკული შეხვედრები და შემოქმედებითი საქმიანობა გელით. კარგი პერიოდია მეგობრების შესარიგებლად და ურთიერთობების აღსადგენად.

მეცხეობა

ივარჯიშეთ და აქტიურ ცხოვრებას მისდით. მეუღლესა და ოჯახის სხვა წევრებთან არ იკამათოთ. დასვენების დღეებში მეგობრებისთვის საჩუქრები შეარჩიეთ.

ღირსება

გაფრთხილდით, კოლეგებმა ქორების ქსელში არ ჩაგითრიონ. კარგი იქნება, თუ ხშირად ისეირნებთ. ძველ ნაცნობებს თავი შეახსენეთ და მათთან კავშირები აღადგინეთ.

ხილის მოყვარულებს

(გაზრდა ღირსი. იხ. „გზა“ №50)

დააკვირდით, რომელ ხილს მიირთმევს შენი მეგობარი და მასზე ბევრს საინტერესოს შეიტყობ:

მორიდებული და მომთმენი ადამიანი უპირატესობას **ფორთოხალს** ანიჭებს. კარგი თანამშრომელია, დინჯად და ყურადღებით მუშაობს.

ად მიირთმევს **ბანანს**. უყვარს შექება. ნებისმიერ კონფლიქტს დიპლომატიურად წყვეტს.



ადამიანი, რომელსაც **საზამთრო** უყვარს, არასდროს წუნუნებს, მუდამ ხალისიანი და ენერგიულია. უყვარს, როცა რჩევას ეკითხებიან. მეტი პრინციპულობა რომ გამოიჩინოს, უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს.

კვი ოპტიმისტს უყვარს. იუმორის გრძნობა აქვს და მის გვერდით არასდროს მოიწყენთ. ერთგული და გულისხმიერი მეგობარია. უყვარს ექსპერიმენტები და მიზნის მისაღწევად რისკზეც მიდის.

კეთილი, ერთგული, გულისხმიერი და მოსიყვარულე ადამიანი ხშირ-

მატებასაც მიაღწევს.

ფიცხი ხასიათის ადამიანს სხვა ხილს **ყურძენი** ურჩევნია. უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. საჩუქრები და სიურპრიზები ბავშვივით ახარებს.

ელეგანტური და მხიარული პიროვნება უპირატესობას **მარწყვს** ანიჭებს. უყვარს ლამაზი ნივთები, წვეულებები. წვრილმანებზე ნერვებს არასდროს იშლის.

მანგოს ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანი მიირთმევს. ყოველთვის აკონტროლებს სიტუაციას. კოლეგების მიმართ მკაცრი და მოთხოვნა.

ანანასის მოყვარული გადაწყვეტილებებს სწრაფად იღებს. ადვილად ეგუება ცვლილებებს. რთულ სიტუა-

ქლიავის მოყვარული ახლობლებს შეცდომებს არასდროს აპატიებს, მაგრამ არც სხვათა კრიტიკას იღებს. თუ საქმემ დააინტერესა, ბოლომდე მიიყვანს და წარ-


ციაში მხოლოდ საკუთარ თავს ენდობა და ყველა საქმეს დამოუკიდებლად ასრულებს. არის უღალატო და უბოროტო.



	1. ქრისტე-შობისთვე	2. მწერი		3. ძროხა წლიდან 2-3 წლამდე		4. მშობელი
	5. წელითღრიცხვის სისტემა			6. ქალაქის ტიპის დასახლება		7. მდინარე დას. საქართველოში
	8. ოხერი				9. ტფილა	10. წვალ-გაუვალი შესაფუთი მასალა
					11. ციებ-ცხელება	
						12. გოშია

	13. ხის ალვირი			14. კოხტა, ღამაში ქალი		15. ტიბეტური ხარი
						16. არაბული ქვეყანა
				17. ცხენბურთი		
	19. საბრძოლო ნადავლი				20. გამოკვეთილი ნათელი	
				21. ხურდა ფული აშშ-ში		22. სომხური კონია
	23. ტურგენევის მოთხრობა	24. ვარდობისთვე				25. მწისქვილის წილი
	26. თავხედური გულახდილობა					
	28. მრგვალი და დიდი ჯოხი	29. ცეტი, დაუფიქრებელი	30. ცელქი, ონავარი			31. სწორი ბალახიანი ადგილი

	32. აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო	33. სივრცე დედამიწის ზემოთ		34. ქრისტეს გამცილებელი		
						35. კვირის დღე
	36. ქათმის ჯიშო					
	37. წარმოსახვის უნარი, ოცნება					



ფინი ნომრის სკანვორდის პასუხები

1. სამეგრელო; 2. ცეცე; 3. გესლი; 4. ლოსი; 5. კორიდლო; 6. რენესანსი; 7. ავტომობილი; 8. უხა; 9. ნოე; 10. რენო; 11. კოლექცი; 12. სუნამო; 13. ტიბა; 14. აბო; 15. სიძე; 16. კრილოვი; 17. კეკე; 18. ამაგი; 19. დასი; 20. კირხე; 21. ობი; 22. ბაგე; 23. ტროლეიბუსი; 24. საკე; 25. ობობა; 26. კოკი; 27. ლელა; 28. ნატო; 29. ბოტი; 30. ვეროპა; 31. სიმინდი; 32. იგლე; 33. ნერპა; 34. ალიონი; 35. გრიგალი; 36. კობერიძე; 37. კეპი; 38. კოლი; 39. პილიგრიმი; 40. უბე; 41. ენდი.

სურათებზე: სარა ჯეისიკა პარკერი; ბილი კრისტალი.



გამდევმლობა ჰატიგრა L-ის წიგნები



წიგნი მოძრავი სურათებით.
ფასი: 19.99


თოვლის ბაბუს ახალწლიანი ამბავი

თოვლის ბაბუს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და გამორჩეული ახალი წლის ამბავი. ეს წიგნი გაგიმხელთ თოვლის ბაბუს საიდუმლოებებს და პასუხს გასცემს ბავშვების უამრავ შეკითხვას.



ახალი წლის ლექსები

ისეთივე სანატრელი და მხიარული ლექსები, როგორც ახალი წელია.
ფასი: 8.99



დათუნია დრუნჩას

წიგნით დათუნიაზე მხიარული ლექსი და პაწლების დახმარებით გაცოცხლეთ გულუკეთილი დრუნჩასა და მისი მეგობრების თავგადასავალი.
ფასი: 9.99



ბუნების 365 გასახალისო ფაქტი და რეცეპტი

წიგნი შეიცავს უხარმაზარ ინფორმაციას მცენარეებსა და ცხოველებზე. ის მოგიტყობთ ბუნების უცხო საიდუმლოებებზე, სიცოცხლის წარმოშობაზე, დინოზავრების გადაშენებაზე, მცენარეთა აგებულებასა და ცხოველთა ქცევაზე.
ფასი: 24.99



ლოპი და კუჩქაძე

ამ წიგნში თქვენ წაიკითხავთ და თანაც პაწლებით ააწყობთ მამაცი კურდღლის ამბავს, რომელმაც ტყის ბინადარნი მრისხანე ლომის ბრწყინებისაგან იხსნა.
ფასი: 9.99

ბუნების 365 გასახალისო ფაქტი და რეცეპტი

ბავშვებს ელით საოცრებებით აღსავსე მოგზაურობა უძველესი ცივილიზაციების ქვეყნებში – მათ შორის საქართველოშიც. წიგნში ნახავთ მრავალ მოძრავ გვერდს, შესანიშნავ ილუსტრაციებს, გაეცნობით ბევრ საოცარ და საინტერესო ფაქტებს.
ფასი: 19.99






წიგნი

„50 წიგნის“ სერიის „კვირის პატივს“ და მიღწეუ
ბაჟიანებით „კვირის პატივს“ 7 ლარად! გულ: 38 26 73; 38 26 74 ელ.პ.პი

წიგნი უნდა
 წაიკითხოთ,
 სანამ ცოცხალი ხარ!




წიგნი 4
ალექსანდრე დიუმა
„სამი მუხატარი“ ტომი I

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერით
 და სპეციალური სანიშნით

**27 20-ლან -
 ლექსებრამდე!**


მხოლოდ „კვირის პალიგრის“
 მკითხველისთვის წიგნის
 სპეციალური ფასი - 7 ლარი

გულ!




ალექსანდრე დიუმა
სამი მუხატარი
 ტომი II

გულ!



უილიამ შექსპირი

გულ!








ფიქსიონალი
 80 000
 ანტიკვარული
 წყაღვებ

და სხვა დიდ
 წიგნები...
 ყოველ მწიგნობარს
 „წიგნის სერიაში“
 უნდა!

ყურადღება! თუ თქვენ ვერ მოასწარით მეორე წიგნის - „მარტინ იდენის“ შექმნა 7 ლარად, „პალიგრა
 მედია“ ამ სერიის მეოთხე წიგნთან ერთად ისევ შემოთავაზებთ ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენს“ სპეციალურ ფასად!

25 დეკემბრიდან პირველი და მეორე გომი წიგნის მაღაზიებში გაიყიდება 12 ლარად!

ფოტოკუჩიოზები



ბილეთი/96
ჩართა ბილეთის «საანალიზო» აქციაში

14 ინვესტირება

მიიღე საჩუქრად* ფარდობითიანი ტელეფონი



2011 წელი და 2011 SMS** ყოველ თვე,
მთელი წლის განმავლობაში!

* აქციის პერიოდში ნებისმიერი საანალიზო კომპლექსის დროულად დაბრუნებაზე უზრუნველყოფა 15 იანვარს, თანხის ბრუნებაზე უზრუნველყოფა 21 დღის განმავლობაში ბილეთის ქსელში სასაბრუნო, SMS-ზე და GPRS-ზე.

** უფასო წახვედი და SMS-ები დაბრუნებაზე თანაბრად უფასო ყოველი მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, ბრუნება უზრუნველყოფა ბილეთის გეო-ქსელში დაბრუნების 5 დღის განმავლობაში